# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 21 ნოემბერი 2008 №24(76)

1516
2008



იოსებ ჭუმბურიძე პიროვნებად დარჩენაზე

პავსანიადან ემზარ კვიტაიშვილამდე

ქეთი თუთბერიძის ბრმების ქალაქი

საუბარი ზურაბ კანდელაკთან

გიორგი შერვაშიძის ნოველა

მზია ხეთაგურის ლექსები

# პრემია „საგურამოს" ახალი ლაურეატები






**ბიძინა კვერნაძე**
(ილია ჭავჭავაძის მედალი – „მარად და ყოველგან, საქართველოვ, მე ვარ შენიანი" – ქართული კულტურისა და ხელოვნების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის)



**ნოდარ წულეისკირი**
(პროზა)



**ჯანსუღ ჩარკვიანი**
(მუსიკა)



**გურამ გოგიაშვილი**
(თარგმანი)



**ნუგზარ მუზაშვილი**
(გრაფიკა)



**მაგალი თოდუა**
(ჰუმანიტარული მეცნიერება)



**კარლო ფაჩულია**
(ხელოვნება)



# 2008

„ინტელექტი" გთავაზობთ

























მისამართი: ილია ჭავჭავაძის 17ბ ტელეფონი: 25 05 22, 91 22 83, 899 55 66 54

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| საქართველოს გზებზე | 2 | ამირან არაბული ფრაგმენტები ერთიანი სურათისათვის |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 5 | ეკა ბუჯიაშვილი „კალეიდოსკოპი“ ანუ ფესტივალის შემდეგ საუბარი ზურაბ კანდელაკთან |
| პროზა | 7 | გიორგი შერვაშიძე ღვთისმშობლისანი |
| პოეტის ერთი ლექსი | 10 | ემზარ კვიტაიშვილი რვაფეხა ღრიანკალი კედელზე |
| პოეზია | 11 | მზია ხეთაგური მადლობას გიძღვნი, მწუხარებავ! |
| პირველი შთაბეჭდილება | 13 | მალხაზ ივანიძე სტილი, როგორც გამოცდილება |
| რა ხდებოდა კულისებში | 14 | ვასილ კიკნაძე სცენამდე |
| ლიტერატურული ცხოვრება | 18 | გასალები „ცხონების კარიბჭისა“ |
| წუთები და წლები | 19 | როსტომ ჩხეიძე ქართული დუელიანა |
| რეპორტაჟი | 31 | ქეთევან მეგრელიშვილი „ნათელი ცრემლით დაწერილი“ (ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილის წიგნის წარდგინება) |
| კრიტიკა | 34 | ნესტან ფიფია გაძლებაც, გადარჩენაც, სიცოცხლეც... (სახელები ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში) |
| ახალგაზრდებო, ან კი თქვენ | 38 | ქეთი თუთბერიძე ბრმების ქალაქი და სხვა ლექსები |
| პირველი შთაბეჭდილება | 41 | გივი ალხაზიშვილი ადამიანის თანმდევი დარდი |
| სიტყვა კეთილი | 42 | თინათინ ღვინაძე „არც ერთი გაცვეთილი ფრაზა“ (არნოლდ ჩიქობავა მანანა ჩიტიშვილის ლექსების შესახებ) |
| სპორტი | 43 | გივი გამრეკელი „ანანდში ტალის სული ჩასახლდა“ |
| ახალი წიგნები | 46 | იოსებ ჭუმბურიძე პიროვნებად დარჩენა პიროვნებათა გადაშენების ეპოქაში |
| დეტექტივი | 49 | ფრიდრიხ დიურენმატი მართლმსაჯულება |
| მოზაიკა | 63 | აჰა, ცხენი მწვანე |



დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 41-95-21
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62


გარეკანზე: ბერლინი
მანანა ჩიტიშვილი, ფოტოეტიუდი ბაბუა ალუდაურისა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 დეკემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წლეულს, აგვისტოს დასაწყისში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ერთკვირიანი მივლინებით ზემო რაჭაში იმყოფებოდნენ ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული.**

**მივლინება, როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგიანი გამოდგა: ჩაიწერეს საინტერესო ზეპირსიტყვიერი მასალა, ვიდეოფირზე აღბეჭდეს საუკუნეს მიტანებულ მოხუცებთან საუბარი, გადაიღეს ასზე მეტი ფერადი ფოტოსურათი...**

**რეპორტაჟი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, რაჭის ტრადიციულ სოფლებში მიღებული შთაბეჭდილებების არასრული ნაკრები და ანარეკლია ... და ყოველივე ეს — აგვისტოს შემზარავი მოვლენების ჭრილში...**

ამირან არაბული

# ფრაგმენტები ერთიანი სურათისათვის

ოთხმოცდათორმეტი წლის ფედოსია ბიძიშვილი-აზანიშვილისა, კდემით და კეთილგონიერებით გამორჩეულ ძველ ქართველ ქალთა ტიპიური განსახიერება, სოლიდურ ასაკშიც საღად მეტყველი, მოფიქრალი და დარბაისელი, გვიყვება, თანატოლ სარა სულთანიშვილთან ერთად, ორი უღელი ხარის ძალით, როგორ მიაშველა საბრძოლო ტყვია-წამალი მამისონის გადალმა მდებარე ალაგირში გამაგრებულ ჩვენს მეომრებს მეორე სამამულო (!) ომის უმძიმეს წლებში... „მეთაურმა ხელები დაგვიკოცნა და გვითხრა, ორივეს გმირობაზე წარგადგენთო. მერე გავიგეთ, რომ მტერთან ბრძოლაში დაიღუპა..."

არ შეუშინდნენ უღელტეხილის სიმაღლეს, გზის სირთულეს, უკაცისძეო ადგილებში ღამისთევას და პირნათლად აღასრულეს ღვთისა და ერის წინაშე საკუთარი ნებით ნაკისრი, ქალთათვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო და შეუფერებელი მოვალეობა...

იმასაც ცხადლივ იხსენებს (ოღონდ გვარ-სახელებს არ ამხელს), სოფლის ჯანღონიანი ვაჟკაცებიდან რამდენიმემ თვითონვე რომ დაიხეიბრა თავი, ოღონდაც საომრად არ წასულიყვნენ... ან ნაჯახს ჩაირტყამდნენ ფეხში, ან მარჯვენას გადაისერავდნენ და დაჯანდაგებულები სინდისის ქენჯნის გარეშე დეზერტირობდნენ... არავის გმობს და ამუნათებს, არც განსჯის და ასამართლებს, უბრალოდ, სიტყვას მოაქვს და ამბობს იმას, რაც თანამდევია ყოველი შფოთიანი დროისა, აშლილობის და შიშიანობის წლებისა...

* * *

აგვისტოს მდუღარე დღეა, მტკნარი, ულრუბლისფთილო...

გლოლა („გლოლ" სვანური სიტყვაა და ფერდობს ნიშნავსო, — გვიხსნის შემშრალი ნათიბის სახვეტად თავის კარ-მიდამოში გამოსული მიხეილ ბერიშვილი) ზემო რაჭის უმშვენიერესი სოფელია („**არს გლოლა დაბა მსგავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი**", — წერს ვახუშტი ბატონიშვილი) და საამო სიოც იძვრის, სუნთქვა შეიძლება. ტყიანი მასივის მაღლა აზიდულ ცვარაეთის მოტიტვლებულ მთას ცის ცვარი ენატრება, მაგრამ სადაა წვიმა, თვეზე მეტია, მშრალობას ბოლო არ უჩანს, გადამხმარია ამტვერებული გზებიც და მზისპირის ბალახიანი ფერდობებიც...

ჩუმი დრტვინვის მღელვარე ტალღების ნახმევი სწვდება ყურთასმენას. ავის მოლოდინში გალურსულან დაწმენდილი რიონის ნაპირებზე ჩამომსხდარი ნაძვნარიანი მთები. გახუნებულ ყვავილებს ტანში ცხრო შესდგომიათ და დანაკლულებული ნაკადულებიც კანკალით ჩამორბიან ფართოფოთლოვანი სიმწვანით დაწინწკლულ ქვა-ღორღიან დაღმართებზე...

* * *

„**არ გავცვლი სალსა კლდეებსაო...**" ეეჰ, ბევრი რამე მავიწყდება!.. ჰო: „**არ გავცვლი ჩემსა გლოლასა თბილისის მშვენებაზედაო...**" რო დაიჭრა, მაშინ დაწერა ჩემმა ქმარმა ეს ლექსი. საზღვარზე რო მოვიდა, ეხლა მაინც დავიძინებო და იქ გაქურდეს. ნაწერები ჰქონდა ბევრი, აქ ველარ მოიტანა... ეს იყო ორმოცდაერთი წლის ჩვიდმეტ აგვისტოს..."

ქალბატონი ფედოსია ისევ თავისი სიყმაწვილისა თუ ახალგაზრდობის შუქში მოლივლივე ბილიკებსაა მიკემსილი. თუკი რამ გასახსენებლად საღირალი გადახდენია თავს, იქ ეგულება, იქ, ათწლეულების სიშორეში, სიღარიბისა და შიმშილის გაერთფერებულ დღე-ღამეთა წიაღში...

სამთო სავალიც კარგად ახსოვს. დღემდე არ დავიწყებია, რა და რა სიმაღლეები უნდა გაევლოთ და მოეტოვებინათ უკან ბარისკენ გეზაღებულებს: „სახაროს ეძახიან, ლექსიც არის — „სახარო, გლოლის დოვლათიო"... რო წავიდოდით, ხუთლეკს ვეძახდით, იქ მოვუხვევდით, მერე გამოჩნდებოდა ჩოჩაველი, გიორგიეველი... ავიდოდით სახაროს..."

* * *

გლოლის გამოღმა უბნის ორღობეში, რიყის ფერადი ქვის მაღალი ყორე რომ მიუყვება შეაბჯრული დარაჯივით, შაოსანი ქალი შემოგვხვდა. გავესაუბრეთ. სონა სულთანიშვილი („კუკლასაც" მეძახიანო, — გაგვეცნო) ოთხმოცდაორი წლისაა, მისი და ეთერი — სამოცდათექვსმეტის. ზამთარ-ზაფხულ ორივენი აქ არიან. მარტოებს უწევთ დროის შეუჩერებელ დინებაში დგომა... სათნო სახის დამხვდური ლექსებით სავსე საერთო რვეულს ფურცლავს. კითხულობს. „ჩემთვის ვწერ, ეჯე-ბეჯედო", — ურთავს კომენტარს... შინ გვეპატიჟებიან. შევდივართ. გრილა. ხვანჭკარას გვთავაზობენ. საუცხოო ჯიშის სუფთა წვენია. ერთი ძმა მელვინე ჰყოლიათ, ამბროლაურში ცხოვრობს და მისი წყალობით გულუხვად ხვდებიან შემთხვევით მგზავრსა თუ სასურველ სტუმარს...

„ეთერი, ჩემი და, ძალიან კარგი მეფეხურია. კაი ფეხი აქვს. სოფლიდან რო ვინმე მიდის მანქანით, თავსაფარს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხდის და გზაზე დააგდებს. ყველას კარგად აქვს დაცდილი მისი გაცილება", — ღიმილით გვეუბნება სონა დეიდა..

ზამთრობით, თოვლი რომ გადასუდრავს არე-მიდამოს და აბურბურებული ფანტელების უთეთრესი ფარდა ჩაკეტავს თვალსაწიერს, მიმსვლელი და ხმის გამცემი ესაკლისებათ. სხედან შეშის ღუმელს მიფიცხებულები და დედაქალაქში გაკრეფილი ძმა-ძმიშვილების დღეგრძელობას შესთხოვენ უფალს...

იგონებენ უხვთოვლიან ზამთარში იურა ჯაფარიძის ფოლკლორული ექსპედიციის კალმასობას გალმა-გამოღმა გლოლაში. ეს იყო სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ და ყველაფერი მაინც გუშინდელივით ახსოვთ... დღეს იმ ექსპედიციის წევრთაგან აღარც ბეჟან ხარაიშვილია ცოცხალთა შორის. ამა სოფლიდან იურას სრულიად მოულოდნელმა გასვლამ ხომ არა მხოლოდ რაჭა, ლუხუნის ხეობა და აბარი გაალეგა, ბევრს გაუგალა გული ხევსა და ხევსურეთში, ფშავსა და სვანეთში, თუშეთსა და გუდამაყარში, საერთოდ, მთელ საქართველოში.

ნათალი ჭიქის გლუვ კედელს სინანულის ცრემლივით ჰკიდია ხვანჭკარას კრიალა, ლალისფერი წვეთი...



*კარ-მიდამო სოფელ ღებში*

* * *

ონში დაბრუნებულებს თბილისიდან სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ: გარდაიცვალა ვახუშტი კოტეტიშვილი... ჯანგატეხილმა და მაინც დაუმარცხებელმა ტანჯვით დალია სული... რუსეთის ფარდაახდილი აგრესიის დასაწყისია და თითქოს საარსებო სივრცეც რაღაცნაირად გაცრეცილა, დავიწროებულა... უკანასკნელი შეხვედრები, 12 მაისის ფოლკლორული საღამოსთვის მზადების დეტალები და ბევრი რამ მანამდელიც ერთად მოგროვდა, მოზღვავდა, ერთმანეთს წაეწყო და წაეფარა... იმ დღესაც თბილისურად ცხელოდა, მე და ეთერი სამსახურის მერე მოსანახულებლად რომ მივედით: კომპიუტერის ეკრანს მისჩერებოდა, მარჯვენა ხელის მტევანი კლავიატურაზე ედო, წელში გამართვა ადრინდელზე მეტად უჭირდა, მარცხენა ფეხის წვივიც გასიებული და წითელი ქარისგან გავარვარებული ჰქონდა, ტკივილის კვალი და ნაჭდევი დამჩნეოდა სახეზე, მაგრამ დაჩივლებას ვინ იტყვის, კრინტიც არ დაუძრავს გაუსაძლის სალმობასა და დღითი-დღე მზარდ ავადობაზე... მზეოს გასძახა. „ქართულ სონეტებად" სახელდებული შედევრები წაგვიკითხა... მომიბრუნდა და მეუბნება: — ნახე, ბიჭო! შავ-ხევ-სულეთი, ფშავ-ხევსურეთი... გახარებულია განუმეორებელი სარითმო სიტყვების მიგნებით. ხელს მართმევს, თავისკენ მეწევა და გულში მიკრავს... იმავე თუ მომდევნო დღეს მართლაც იწერება ბრწყინვალე სონეტის ასეთი სტრიქონები: **„ჩემი სამზეო, საიქიო, შავ-ხევ-სულეთი, აკლდამა ჩემთა ოცნებათა ფშავ-ხევსურეთი..."** ხოლო ეს 12 აგვისტოს მოხდება, ქაშუეთიდან რომ გამოვასვენებთ და პარლამენტის მოედანზე შეკრებილი ათიათასობით მომიტინგე ქალ-კაციდან ცხრა-ათზე მეტი რომ ვერ გაიგებს, ვინ დაკარგა საქართველომ, ვისი პროცესია ეშვება შავად მბზინავი ქვაფენილით მტკვრის სანაპიროსკენ...

დროის ნიშნეულ მონაკვეთებთან უცნაური თანხვედრაც, ალბათ, მისი ბედი იყო, ღვთით დაწერილი და განწესებული: ომი რომ იწყებოდა, მაშინ აღესრულა და დიდგორობას მიჰბარდა დიდუბის წმინდა მიწას!

* * *

ონში ჯერჯერობით სიწყნარეა, რაჭულ სიდარბაისლეს ვერაფერი ამღვრევს, ჩვეული, ურღვევი რიტმით, მდორედ და ტაატით გრძელდება ცხოვრება.

კულტურის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი ხათუნა ღუღუნიშვილი გვეხმიანება და გვიხსნის, სად და ვის უნდა მივაკითხოთ მეორე დღეს, ასეთივე შედეგიანი და შინაარსიანი რომ გამოდგეს შემკრებლობითი სამუშაო.

* * *

ჭალას მივდივართ, ონიდან ერთი კილომეტრით დაშორებულ მყუდრო სოფელში, ჩვენს ყოფილ მეზობლებთან ნუცუბიძის ფერდობიდან.

ლამარა დეიდა, ირმა და ხათუნა შინ არიან...

მეზობლებიც მათ ეზოში მოგროვილან...

საუკუნოვანი კაკლის ღონიერ ტოტებში შემოგორებული მთვარე დაჰნათის ტაბლას და ერთი-ორად თვალმისავალს ხდის ისედაც ლამაზ, მთების უბე-კალთაში გამოხვეულ სოფელს...

**„სულ არ მინდა ეს სოფელი და არც მისი ადგილობა, შუადღემდის მზე არ მოდის, გვიანდება სადილობა..."**

ეს ლექსი ჭალაზეა ნათქვამი, ერთ დროს ძლიერ, ხალხმრავალ, ხოლო ახლა ლამის გამესამეღებულ, ადგილობრივთაგან ულვთოდ გამეტებულ, მიტოვებულ სამოსახლოზე.

ჩვენი თანამოსაუბრის გიორგი ჩიკვილაძის სიტყვით, იყო დრო, როცა „ჩრდილად" წოდებულ გალმა ჭალაში ორი კვირის განმავლობაში ხნავდა ოცდაორი უღელი ხარი.

შეუბანი და ჭალა „ალილოსაც" ჩინებულად ასრულებდა და შემდეგ საფერხულო სიმღერასაც: **„შეუბანსა და ჭალასა კაცი ვერ სჯობდა ბარადა, ნინია ლობჯანიძესა ცერი წააძვრეს მშრალადა, ჭალას რომ დახვდა დიგორელი, საქმე შეიქნა შავადა..."**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თენდება რვა აგვისტოს უდავლათო დილა.

ონის შესასვლელში, ხიდთან, სამხედროების სიმრავლეა.

აქ ნაკლებად იგრძნობა, რა ჯოჯოხეთური ალი და სენცეცხლი უახლოვდება ცხინვალს და მის შემოგარენს.

მძიმე ტექნიკა მიიწევს კვაისის მიმართულებით...

გზას ვაგრძელებთ რიონის სათავეებისკენ.

ნაკიეთთან ვჩერდებით.

მდინარეზე დილის თხელი, სიფრიფანა ნისლი მიცურავს.

**„ბუნება წარბსაც არ იხრის, მაინც მშვიდი და მშვიდია...“**

კაცთა ცხოვრების ხისტსა და მოუხეშავ ლაბირინთებს უებრო მალამოდ აფენია მილიონწლოვანი ბუნების ღვთისმიერი მადლი, უმაღლესი წესრიგი და ხელთუქმნელი ხიბლი...

ამ ბუნების და მის ბინადართა ენა ეყურებოდათ მთელ რაჭაში განთქმულ მონადირეებს: ღებელ მალაქია ლობჟანიძეს, ჭიორელებს — სეხნო და შალვა რეხვიაშვილებს, გლოლელებს — თომა ბალაშვილს, ნიკო გოგოჩიშვილს... ეყურებოდათ და ზედმიწევნით იცავდნენ მონადირეთათვის დაწესებულ შეზღუდვებს, აკრძალვებს, მთის საზოგადოებებში საყოველთაოდ მიღებულსა და აღიარებულ ნორმებს...

ხალხის და გარემოს ჰარმონიული თანაარსებობა უხინჯო მომავლის მყარ გარანტად მოიაზრებოდა.

ახლა?..

რაჭაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მაღალმთიან რეგიონებში, დღესაც არსებობს მკაცრად დაცული ტყის კორომები, კვრივივით შეუვალი ხატის ტყეები, ხეთა თაყვანისცემის აშკარა გადმონაშთები, მაგრამ დესაკრალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა, სიწმინდეთა შერყვნისა და პროფანაციის ზოგადმა ტენდენციებმა ამ თავისებურ ოაზისებსაც მუხანათურად შეუტია და თავისი დაღი დაასვა...

რიონის ხეობის ზემო ნაწილი, წიწვნარით და ტყვიისფერი კლდეებით, დარიალისა და თორღვას აბანოს ხეობებს წააგავს, თუმცა მათთან შედარებით უფრო რბილი და ხავერდოვანია...

გზის აქეთ-იქით მიფენილი სათიბებიდან ჭრიჭინების გაბმული გნიასი ისმის.

ღადე-ღუდე აღმართის ბოლოში სივრცე თანდათანობით იხსნება და ჭიორას ხალვათი, ლალად მხარგაშლილი მინდვრების საუცხოო ხალიჩა დავით კაკაბაძის ფერწერული ტილოების ასოციაციას იწვევს.

მთის ძირში მიყუჟულ ჭიორას — რეხვიაშვილების, ჩაგელიშვილების და გობეჟიშვილების სოფელს შორიახლოდან ჯერაც დარაჯობს თავდაცვითი დანიშნულების რამდენიმე ციხე-კოშკი.

ჭიორელთა („ჭივერ“ სვანურად „გაჭირვებულის“ ფარდი სიტყვაა) წინაპრებს ფასის მთის გადაღმა უცხოვრიათ. მომხდურებისგან და დიდთოვლობისგან შეწუხებულები საქართველოს მიწა-წყალზე გადმოსულან და აქ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას, დასახლებულან.

შარაგზის პირას, კედლის გრილოში ჩამომსხდარ ქალებთან ვსაუბრობთ. სამივე დაღონებულია: ერთი მათგანის შვილიშვილი გუშინ რეზერვისტებში გამოუძახიათ და მობილურ ტელეფონზე მასთან დაკავშირებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

უხერხულია ასეთ დროს ძველი ამბების, ლეგენდებისა და მითების გახსენება სთხოვო პირადი დარდისა და წუხილის მორევში ჩაფლულ ძაძიან ბერქალებს...

ღებში, სამაგიეროდ, მთქმელ-მთხრობელთა თითქმის სრული შემადგენლობა შეიკრიბა. სამოცდაათს ქვემოთ არცერთი არაა. ასაკისდა მიუხედავად, მხნედ გამოიყურებიან. რაჭველთა ჯანიანი სიბერე, დინჯ გენებთან ერთად, აქაური ჰაერის, ჯანსაღი კლიმატისა და ნაირგვარი მინერალური წყლების სიკეთესაც უნდა მიეწეროს.

სანახშოზე, ოდესღაც ხუთსართულიანი დუროიანი სახლის ნაშალთან ჩაჯარებულ შაოსნებში სამი მამაკაცი ურევია: ელგუჯა გავაშელი (პანტოილეეთი), ვალიკო და მიშა ლობჯანიძეები (დავითელეეთი და გიველეთი).

მამიშვილობით თუ არ მოიხსენიე, რაჭაში ძნელია გარკვევა, რომელი მიშას თუ ვალიკოს შესახებაა ლაპარაკი...

ერთმანეთის ნაამბობს ყურადღებით ისმენენ.

რაღაცას ამატებენ, აზუსტებენ...

ვთხოვთ და იხსენებენ თავიანთი ყმაწვილქალობის, გათხოვების, დაოჯახების, ძნელბედობის, „საჭინკაო“, ნაძრახი ადგილებისა თუ საზაფხულო ქოხ-ბოსლებში თვეობით ყოფნის სიზმრადქცეულ ამბებს ნიურა და ლიდა გავაშელები, სოტერა, ლენა, ზინა და სიფო ლობჯანიძეები...

არეშიძეებსაც ახსენებენ, „შავ-ბნელ წარსულში“ ღებელთა მებატონეებს, პირველი ღამის უფლებით რომ სარგებლობდნენ და ბევრ თავმოყვარე ახალშეუღლებულ ქალ-ვაჟს გაუმწარეს ცხოვრება; იგონებენ ვაჟკაცობას ზვიადა ლობჯანიძისას და გულითად გავაშელისას, დავრდომილი კაცისას, ვინც, მეზობლების ხელისკიდებით სათვალთვალო კლდის თავზე მიყვანილმა, მშვილდ-ისრით ჩაკლა მდინარეში თავნება ძმათაგან ცოცხლად გადარჩენილი ბოლო ძმა...

მაშინდელია ეს ლექსიც: **„არი არეშიძესაო, ხმალი ქარქაშში დევსაო, ბატონყმობა გადავარდა, თავისუფლება ღებსაო...“**

* * *

ღების შუაგულში აქაურთა ძალისხმევით და ღვთის შეწევნით უმოკლეს ვადებში აშენებული მაცხოვრის ეკლესიის გუმბათზე მაღრიბისკენ მიდრეკილი დაღლილი მზის მინელებული სხივები ელავენ.

ვაჟა ლობჯანიძის ოჯახში გამართული გულითადი პურობის შემდეგ სტუმარ-მასპინძელნი მშვიდობიანი შემოდგომისა და უახლოეს წლებში კვლავაც არაერთხელ შეხვედრის იმედით ვშორდებით ერთმანეთს...

................

საქართველო რუს აგრესორებთან მზაკვრულ, უთანაბრო ომშია ჩართული თუ ჩათრეული; წინა დღეს წედისი დაიბომბა; არის მსხვერპლი; ონის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭურვის აფეთქებას ფეხად გამოვასწარით და ჩვენს ჩანაფიქრს, სოფელ წესში შვებულებით მყოფ ეთერ მაისაშვილთან ერთად ლუხუნის ხეობაში იურა ჯაფარიძის სამარე მოვინახულოთ, როგორც ჩანს, ამჯერად ასრულება არ უწერია.

# „კალეიდოსკოპი“ ანუ ფესტივალის შემდეგ

*

## საუბარი ზურაბ კანდელაკთან

**„ევროპის პრიზი“ — ასე ჰქვია ყოველწლიურ ტელერადიოფესტივალს, რომელშიც ტრადიციულად საქართველოც მონაწილეობს-ხოლმე. ცნობილი რეჟისორი ზურაბ კანდელაკი, რომელსაც არაერთი მნიშვნელოვანი რადიოსპექტაკლით იცნობს მსმენელი, ახლახან დაბრუნდა ბერლინიდან და საკუთარი შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარა წლევანდელი ფესტივალის შესახებ:**

— წელს, ფესტივალზე წარდგენილი იყო 120 სპექტაკლი ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან (არ მონაწილეობდა რუსეთი; სომხეთი და აზერბაიჯანი ამ ფესტივალზე ტრადიციულად არ არიან ხოლმე).

ჩვენ (ქართულმა რადიომ) წარვადგინეთ სპექტაკლი „კალეიდოსკოპი ანუ გამოცდის წინ“. თემა ნასესხებია ადრინდელი პიესიდან „კურდღლები“ და ეხება აფხაზეთის ტკივილს, სოხუმს, დევნილების პრობლემას. ეს სპექტაკლი შესაძლოა „კურდღლების“ რიმეიკადაც ჩავთვალოთ, თუმცა აქ ყველაფერი სრულიად ახალი კუთხით არის დანახული. წელს ჩვენი სპექტაკლი თავიდანვე ფესტივალის ყურადღების ცენტრში მოექცა. „ევროპის პრიზის“ საგანგებო საიტზე ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე გამოქვეყნდა ინტერვიუ ფესტივალის დირექტორთან სიუზან ჰოფმანთან. როდესაც მას ეკითხებიან: როგორი იქნება წლევანდელი ფესტივალიო? იგი პასუხობს: მე გამოვარჩევდი ინგლისურ მხატვრულ ფილმს, იტალიურ დოკუმენტურ ფილმს და ქართულ რადიოსპექტაკლს, რომელიც აფხაზეთის ომის შედეგად გამონვეულ ადამიანურ გრძნობებზეა აგებულიო...



**— შემდეგ, ფესტივალის მიმდინარეობისას რა გამოხმაურება მოჰყვა სპექტაკლს?**

— რამდენი ხანია ვმონაწილეობ ამ ფესტივალში, მაგრამ ასეთი მოწონება, საერთოდ, ასეთი გამოხატვა დამოკიდებულებისა წარდგენილი ნამუშევრის მიმართ, ჯერ არ მინახავს. იქ სისტემა ისეთია, რომ მონაწილეები თვითონ წერენ ქულებს, თავადაც არიან ჟიურის წევრები, ამიტომ მეტოქეების მიმართ შედარებით მოზომილად გამოხატავენ დამოკიდებულებას. ამ სპექტაკლის შემდეგ კი ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი მათგანი და მითხრა:

— ეს საუკეთესოა შენს ნამუშევრებს შორისო.

გამოხმაურება მოჰყვა იმიტომაც, რომ სპექტაკლის თემაც, გარემოც ბევრისთვის ნაცნობი აღმოჩნდა. მაგალითად, ერთმა რუმინელმა მითხრა: მე იმ პალმასთან, რომელზეც საუბარია სპექტაკლში, სურათიც მაქვს გადაღებულიო.

კიდევ ერთი უცნაურობა დაჰყვა ამ ყველაფერს: პიესაში არის დაბომბვის სცენა, რომელიც ივნისში ჩავწერეთ, ფონად დავადე რუსული მარში. აგვისტოში ეს ყველაფერი საბედისწეროდ აგვიხდა. ფესტივალზე წინასწარ გასაგზავნი ანოტაცია უკვე მზად მქონდა, როცა საქართველოში ის ტრაგიკული მოვლენები დატრიალდა და ანოტაციას ხელით მივაწერე ის სიტყვები, რომლითაც მთავრდება სპექტაკლი: შშ! „გადაარჩინეთ ჩვენი სულები!“ — ფრაზა, რომელსაც მსახიობი პიესის ფინალში ამბობს რეალურადაც საბედისწერო მდგომარეობად გვექცა...

სხვათა შორის, ამ ყველაფერს ყურადღება მიაქციეს ფესტივალზე — აღინიშნა, რომ ეს სიმბოლური სცენა — დაბომბვა რუსული მარშის ფონზე — რუსეთის ოკუპაციის დღეებამდე რამდენიმე ხნით ადრე იყო ჩაწერილი.

**— და მიუხედავად ამისა სპექტაკლი პრიზის გარეშე დარჩა?**

— იცით, ეს ცოტა რთული საკითხია. ჩვენ იქ მხოლოდ ერთხელ მოვახერხეთ სპეციალური პრიზის აღება და ორჯერ მოვხვდით ათეულში. წელს საუკეთესო ათეული აღარ იყო, შეიცვალა ფესტივალის ფორმაც და პრიზების გაცემის სისტემაც, რამაც კიდევ უფრო გაართულა გზა ჯილდოსკენ. თუმცა ეს სხვა თემაა, ჩემთვის ის შეფასებები და გამოხმაურებები უფრო მნიშვნელოვანია, სპექტაკლს რომ მოჰყვა. ისე, ერთს კი გეტყვით:

საერთოდ დისკუსიები სპექტაკლების შესახებ ორ კოორდინატორს მიჰყავს. წელს ერთი მათგანი იყო „ბი-ბი-სის“ რადიოდრამის ხელმძღვანელი, მეორე კი წარმომადგენელი მოსკოვის რადიოდან — მარინა ბაგდასარიანი. როცა „ბი-ბი-სის“ კოორდინატორს ვკითხე აზრი ჩემი სპექტაკლის შესახებ, მან მითხრა:

— ძალზე კარგი გაკეთებულია, ოღონდ, აი, თემა ჩემთან ახლოს არ მოდის, თითქოს ძალზე შორიდან ვუყურებდი ამ ყველაფერსო. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ პრიზი „ბი-ბი-სის“ რადიოს სპექტაკლმა აიღო, ჩემი აზრით ძალზე სუსტმა ნამუშევარმა.

**— რა იყო ამ გამარჯვებული პიესის თემა?**

— ჩვეულებრივი ყოფითი თემა იყო, შესაძლოა გარკვეული კუთხით საინტერესოც, მაგრამ... ძალზე სუსტად გაკეთებული. იქ ბევრი კარგი ნამუშევარი იყო, რომელიც უპრიზოდ დარჩა...

**— ასეთი ფესტივალები ალბათ იმითაც არის საინტერესო, რომ იკვეთება თუ რა თემებს ირჩევს ევროპელი მაყურებელი. თქვენ რას იტყოდით, როგორი ტენდენციებია ამ თვალსაზრისით? რა აინტერესებთ მსოფლიოში? ხომ არ დაიჩრდილა ისეთი თემები, როგორიცაა, მაგალითად, კონკრეტული, ეროვნული პრობლემები და წინა პლანზე ხომ არ წამოვიდა ზოგადი, ყოფითი საკითხები?**




— ასე ვერ ვიტყოდი. ამ საკითხს საიდანაც უნდათ იქიდან მოაბამენ ყურს. ადრე, მაგალითად, ძალზე აქტუალური იყო თემები გონებასუსტების, ავადმყოფების, სექსუალური უმცირესობების შესახებ. წელს ამ თვალსაზრისით, ფესტივალის თემები შედარებით უფრო ჯანსალი მომეჩვენა.

**— ამ ჟანრში ფორმის სიახლეებზე რას იტყვით?**

— ბევრს ვერაფერს. განსაკუთრებული სათქმელიც არაფერია. ძირითადად ყურადღება ეფექტებზე და ტექნიკურ სიახლეებზე მახვილდება. თუმცა ფესტივალზე იყო სპექტაკლები, რომელთაც გამოარჩევდი. მაგალითად ბულგარელებს წარმოდგენილი ჰქონდათ მეტერლინკის პიესა „ბრმები". ეს სპექტაკლი ამ ქვეყნის ერთ-ერთი უსინათლოთა საზოგადოების მიერ იყო დაფინანსებული (ზოგჯერ ამ ყველაფერში საზოგადოებრივი პოზიციის გამოხატულებასაც დებენ). პიესა არის ბრმებზე და გაჯერებულია მეტერლინკისეული სიმბოლოებით. რეჟისორმა ეს ყველაფერი ასე გააცოცხლა: ამ ამბავს უყვებიან უსინათლო ბავშვებს და ასეთი ფორმით თამაშდება სპექტაკლი. ეს იდეა, მაგალითად, ჩემთვის საინტერესო იყო.

ყურადღება მიიქცია ავსტრიულმა სპექტაკლმა, რომელიც ხმებში საინტერესოდ იყო გაკეთებული, მაგრამ თემა საშინელებაა — როგორ იჭრის ადამიანი ხელს, ფეხს... და მერე რას ფიქრობენ ეს ნაწილები.

გერმანული სპექტაკლი მომეწონა ძალიან — „სიჩქარე" — თავიდან ბოლომდე რეპის ფორმით იყო წარმოდგენილი... როგორ გითხრათ, იყო საინტერესო ნამუშევრებიც, მაგრამ რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩნენ.

**— ახალი მიმართულებები თუ შეიმჩნევა რადიოსპექტაკლის სფეროში?**

— სამწუხაროდ, არა. დღესდღეობით თვალნათლივაა ის ტენდენცია, რომ ეს ყველაფერი მაინც კრიზისისკენ მიდის. თითქოს ლიტერატურა იდევნება და აქცენტი ეფექტებზე გადადის, თუმცა დღესდღეობით ტექნიკური საშუალებები იმდენად მაღალია, რომ ეფექტების გაკეთებაც ყველამ ისწავლა, ამიტომ ახლა კიდევ რაღაც სხვა უნდა მოიფიქრონ.

**— ასეთ ფესტივალებში მონაწილეობა მაინც ძალზე მნიშვნელოვანია — გარდა იმისა, რომ ქართული ხელოვნება საერთაშორისო ასპარეზზე გადის, ეს ყველაფერი საინტერესოა გამოცდილების თვალსაზრისითაც. აი, მაგალითად, ხომ არ შეცვალა ამ ფესტივალმა თქვენი გეგმები? ხომ არ განისაზღვრა თემა მომავალი წლის საფესტივალო სპექტაკლისათვის?**

— ეს ყველაფერი ნამდვილად დიდი გამოცდილებაა, თუმცა თემების შერჩევის საკითხი მთლად ასე არ არის. ფესტივალის მიხედვით ამას ვერ განსაზღვრავ. წელს მაგალითად, დოკუმენტური რადიოს ნომინაციაში გაიმარჯვა შემზარავმა ნამუშევარმა — ჟურნალისტმა ჩაწერა მომაკვდავი დედა. დიახ, ნუ გიკვირთ, აილო დიქტოფონი და აგონიაში მყოფი დედის ხმა, მომაკვდავი ადამიანის გაურკვეველი ბგერები ჩაიწერა. საშინელებაა ხომ? მაგრამ იქ ასე არ ფიქრობენ — მათი აზრით ეს პროფესიონალიზმია — ერთგულება შენი საქმისადმი, რომელზეც ასეთ მდგომარეობაშიც შეგიძლია იფიქრო.

ჩემი პიესის თემა კი, აკი გითხარით, იმ ისტორიებმა განსაზღვრა, რაც დიდი ხანია ტრიალებს ჩემში. ახლახან მე ჩავწერე რადიოსპექტაკლი გურამ ოდიშარიას რომანის „პრეზიდენტის კატის" მიხედვით. იქაც არის საუბარი ამ საკითხებზე, ამ პალმაზეც... „კურდღლებში" ეს თემები — „თეთრი ქალაქი", „მწვანე პალმა...." — უფრო ზოგადად ჩნდება. იქ მთავარი მაინც ის იყო, რომ ვერავინ გაბედა ხმის ამოღება იმის შესახებ, რაც მაშინ მოხდა და სწორედ ეს „კურდღელი" — ადამიანებში ჩამჯდარი შიში — აისახა მასში. თანაც ამ სპექტაკლში მოთხრობილია კაცის თავგადასავალი, წლევანდელ ფესტივალზე წარდგენილ პიესაში კი წინა პლანზე ინევს ქალი, რომელიც გაორებულია, ველარ ხვდება სად არის რეალობა, ფრაგმენტულად ახსენდება ამბები თავისი ცხოვრებიდან და ოცნებობს ისევ გადაიღოს სურათი იმ პალმასთან. ნინელი ჭანკვეტაძემ შეასრულა ეს როლი და ფესტივალზე ერთხმად აღინიშნა: ქალის შესანიშნავი ხმა არისო.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს...

ყოველ წელს ვამბობ, რომ აღარ წავიღებ სპექტაკლს ამ ფესტივალზე, მაგრამ მერე მაინც ვამზადებ ხოლმე... იცით, არის სხვა ფესტივალებიც... საინტერესო თემებიც არის... აქაც, ვნახოთ, როგორ იქნება საქმე. რადიოში როგორც იქნა ახალი მიკროფონები მივიღეთ. ის, რომ ასეთ პირობებში მომზადებული ჩვენი რადიოსპექტაკლები ტექნიკური დონით არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვა ნამუშევრებს, ძალზე დიდი ძალისხმევის ფასად გვიჯდებოდა. ახლა ისე აღარ ვიწვალებთ, ალბათ...

წლევანდელი შედეგით კი გულდაწყვეტილი ნამდვილად არ ვარ. აკი გითხარით, ჩემთვის მთავარი მაინც ის შეფასებები იყო, რომლებიც თავისი ემოციურობით და გულწრფელობით გამოირჩეოდა. ასეთი რამ კი ამ ფესტივალისთვის უცხოა.

ესაუბრა
**ეკა ბუჯიაშვილი**



სახელი და გვარი: გიორგი შერვაშიძე.
დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო.
დაბადების წელი: 12 ოქტომბერი, 1979.
განათლება: 24-ე საშუალო სკოლა, თსუ ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი; თეუსუ ფინანსები და საბანკო საქმე, ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი.
პროფესია: ფინანსისტი.
ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და სამი შვილი.
პუბლიკაციები: ჟურნალები - ცისკარი, მნათობი, სტუდია, ლიტერატურული პალიტრა, ლიტერატურა და ხელოვნება;
წიგნები – რომანი „სიბრძნის ნაყოფი" და მოთხრობების კრებული „მგრაგნელი".
და კიდევ:
დავიმახსოვროთ ეს სახელი და გვარი. ჩვენ მას კიდევ შევხვდებით.

გიორგი შერვაშიძე

# ღვთისმშობლისანი

ის დრო იყო, ქალაქში რომ დიდი მღელვარებები დაიწყო და ხალხმა სცადა, უკმაყოფილება გამოეხატა. ყველას რაღაც აღელვებდა და ცალ-ცალკე ნერვიულობას, გადაწყვიტეს, შეკრებილიყვნენ სადმე და ერთმანეთისთვის მაინც გაენდოთ გულისნადები. ადგნენ და ერთ ნაჩვევ ალაგს შეიკრიბნენ, იქნებ აქ უფრო გვისმინონ, ნაცადი ხერხიაო. აღმოჩნდა, რომ ზოგი მტკივან ფეხს, ზოგიც კი ჯიბეს შემორჩეულ ჩრჩილს ჩიოდა. ერთმა თავისი თქვა, მეორემ სხვისი. ყველას რაღაც აწუხებდა. ყველა ერთ ბედ ქვეშ იყო. შეკრებილთ დაშლა დაეზარათ, მზისგულზე დგომა ეამათ. თან, ვინ მოთვლის, რამდენი ხნის უნახავი ერთურთი იხილეს და რამდენი საამებელი სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. პირმოღიმარნი ხვდებოდნენ ძველ მეგობრებს და შეპარვით ეკითხებოდნენ, შენც გაგჭირვებია, შე საცოდაოო?! მერე კი ხელებს განზე შლიდნენ გაოგნებულნი და აბა, ნეტა ვილას ულხინს ამ ქვეყნად, ჩვენი ცოდვის შემხედვარესო. შემდეგ გულუბრყვილოდ იცინოდნენ და აბა, ის რაღა გაჭირვებაა, სადაც რომ გრძელმოკლე შაირი არ ითქმისო?! იწყეს ლექსები, სიმღერები, დავლური და "ვარადა". ერთმანეთის მზერაში ითბობდნენ გულებს, ნუგეშის ციცინათელები ესხათ სახეზე მწიფე ყურძნის მტევნებივით. დაიშლებოდნენ, უკან წასასვლელი გზის ფული რომ ჰქონოდათ, ან ვინ აცალათ ფეხით გასეირნება. ამოქოქეს ამათ და ბანი მისცეს იმათ. ამათ ხალხს მიმართეს, ჩვენ ყველაფერი თქვენი გულისთვის, თორემ ჩვენი თავი და მომავალი ჩინ-მედლები ჯანდაბას წაუღიაო, ხოლო იმათ კიდევ, ხელისუფალთ, თქვენ ცოტა ალაოდ ხომ არა ხართო? ისე, იცოდეთ, ეგეც ისევ თქვენი, მოქალაქეთა გულისთვის, თორემ არც ჩვენ გვილირს დღევანდელი სავარძლები ბევრი „ნადის" ძახილადო. ხალხმა, გადი რა, ძაღლი ვარო? ჯანდაბას პოლიტიკოსები წაუღია, ჩვენ სახლში ხელგაშლილი სტუმარი მოგვენატრა და ახლა, გარეთ ერთმანეთის უპურმარილო ნახვასაც გვიშლითო?! თქვეს და უფრო მეტად აღელდნენ. აღელდნენ და ახმაურდნენ, როგორც უთამადო სუფრიდან აშლილთ სჩვევიათ ხოლმე და წამოვიდა რეპლიკების კოკისპირული: ნადი, მოდი, შენი, სხვისი, იმათი და ამათიცო, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც ახლა შეისმინა ვერავინ ხალხის გმინვა.

ჰოდა, აი, ზუსტად ის დღეები იყო, ქალაქში რომ დიდი მღელვარებები დაიწყო და ჩემმა ძმაკაცმა, სამსახურში გამომიარა მანქანით, წამო პახმელიიდან გამოვიდეთო.

— აგაშენა ღმერთმა, შენ თუ მაგ სიკეთეს იზამ და ჩემს თავს დაიხსნი უსაზღვრო „თავსივობისგან", – უმალ სახე გამინათდა და შვება ვიგრძენი.

— ბიჭო, სულ ჩემს ხარჯზე როგორ უნდა გამოდიოდე პახმელიიდან, ერთი შენი ფულიც დამანახე, რა ფერია, – გამკეწნლა, თუმცა კი წინასწარვე იცოდა, რომ ის იხდიდა „საპახმელიო" ხარჯებს.

— კაი, რა, ძმაო, გუშინ ქორწილში ვიყავი და ხარჯი მაქვს ნანახი. ხელფასამდე ისეთ დღეში ვარ, ტრანსპორტში რომ ვინმე დამემგზავროს, იმისიც მეშინია. – ცოტა წავიწუწუნე და გონებაში საჭირო დუქანს დავუწყე ძებნა.

— მორჩი ტირილს, წამო, წამო, შენზე უარესად თავი მე მისკდება და მაშინ შაბათის აბანო იყოს შენზე, – მაინც გამრია სამომავლო ხარჯებში და ვითომ, სინდისის ქენჯნისგან დამიხსნა.

ჰოდა, წავედით და იქვე მდებარე, ერთ-ერთ საშუალოდ აშმორებულ სამიკიტნოში ამოვყავით თავი.

— ბიჭო, მე სამსახურში უნდა მივბრუნდე და ერთი კათხა ლუდისა და ჩიხირთმის მეტი ვერაფერს გიახლები, – ისე დამაჯერებლად ვუთხარი ეს ყველაფერი, რომ ჩემი თავის გამიკვირდა, როდის იყო, პახმელიაზე ასე მსუბუქად მკურნალობდნენ-მეთქი.

— ეგრე იყოს. არც მე გახლავარ აქ გასკდომის გუნებაზე, მით უმეტეს, რომ საჭესთან ვარ და წინა სიმთვრალის ქვითარი ჯერ კიდევ მანქანაში მიგდია. აბა, მარტო ჩემი ჯარიმების ხარჯზე ხომ არ უნდა შეივსოს ეს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი, – სიტყვა ნათქვამი იყო და თითქოს ამის დასტურად, მიმტანს, ჯერ „ორი ლუდი და მერე დანარჩენი რალაც-რულაცეებიო".

— ჰა, ბიჭო, რა აზრის ხარ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე? – ვკითხე და თან საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაც ვცადე, რაც არცთუ ისე კარგად გამომივიდა, რადგან მხრებზე ჯერ კიდევ ორი არწივის თავი მება, რუსეთის გერბის არ იყოს.

— რავი ამათი... — კონკრეტულად ვერ მივხვდი, ასე გამეტებით ვის აგინებდა, მაგრამ მისი გულალალობიდან გამომდინარე, ეჭვი არ შემპარვია, რომ მასაც ის ფეხი სტკიოდა, რომელიც სხვა დანარჩენთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, მაშინ მე რას მიზიხარ აქ? წადი, ბიჭო, და შენც იქ დადექი, სადაც ხალხი დგას და თავის პოზიციას აფიქსირებს.

— ჩემი შენ გითხარიო, შე მართლა ბელენგვერა. რომ დამდგარხარ და გაიძახი ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს სამშობლოსა და ხალხის სიყვარულზე, შენ თვითონ რატომ არა დგახარ იქ? თუ მარტო ჭიქით ხელში გიყვარს ბიჭო, მამული?

— შენ კაიფობ, ძმაო, და ეს ამბავი ნაღდად არ არის სახუმარო. შენ გგონია, რომ ხალხს ნაღდად მოსწონს ეს მიტინგები და ხმაური? დარწმუნებული ვარ, რომ არა და იცი როგორ დაიღალნენ? ბიჭო, აბა, წარმოიდგინე, რამდენი მწარე მოგონება უკავშირდება ამდენი ხალხის ერთად თავშეყრას. თანაც ისევ იმ დასაწვავ ადგილზე, პარლამენტთან, სადაც კარგი არასდროს არაფერი მომხდარა. და იცი რატომ იყო ყოველთვის ასე? იმიტომ, რომ ყოველთვის ვილაც სხვისგან ვიმართებოდით და იმ სხვას კიდევ ყოველთვის ფეხებზე ეკიდა ჩვენი გულისტკივილი და გუბეებად დამდგარი სისხლი.

ამასობაში მიმტანმა ყველი, პური, სალათა, ჩიხირთმა და ორი კათხა ლუდიც მოგვართვა. მეც, დროებით, ჩემი საინფორმაციო აპარატი ჭამა-სმის რეჟიმში გადავიყვანე და მივხვდი, რომ ძმაკაცმაც ამოისუნთქა.

— ბიჭო, იცი რას გეტყვი, მოდი, პირდაპირ აღიარე, რომ გეშინია იქ მისვლა და ანკი საერთოდ ფეხებზე გკიდია ხალხის ეს მღელვარება, – აშკარად ჩემი აგდება ჰქონდა გადაწყვეტილი.

— აუ, ვისაც ეშინოდეს, იმისი დედაც... ხომ ხვდები, ბიჭო, რომ ჰაერზე არ გელაპარაკები და უბრალოდ, მაგრა არ მინდა, ვილაცის ხელში ბრმა იარაღი გავხდე. თუ გეეჭვება, წამო, ძმაო და ახლავე ორივენი იქ დავდგეთ, – ვითომ ავუკრიფე კოპები შევკარი, მაგრამ ბოლო სიტყვებზე თავი ველარ შევიკავე და გამეცინა.

— ბაზარი არ არის, წამო და დავდგეთ. მაგრამ მე უკეთესს გეტყვი. მოკიდე, ბიჭო, შენს ცოლ-შვილს ხელი და ჩადით სადმე, იქვე ეზოში. თქვენ, შეჩემა, იმდენი ხართ, რომ ერთ მიტინგს ეყოფით. – ამაზე ორივემ გულიანად ვიცინეთ და მერე ისევ სუფრას მივუბრუნდით.

ჩიხირთმა ჩავხვრიპეთ და ის კათხებიც ერთი ამოსუნთქვით გავცალეთ. თავში მობოგინე „დვიჟოკიც" თითქოს ცოტათი დაიზეთა, მაგრამ სამაგიეროდ ახლა სალერლელი აიშალა.

— თითოც დავლიოთ, არა? ძლივს არ გამოვიხედე თვალებიდან?! ჰოდა, რას გეუბნებოდი, იცი, ვერ ვიტან მეთქი ამ მთავრობის სახლისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ხალხი რომ იკრიბება. ამას წინათ, ვილაცამ მითხრა, რომ იქ, სადაც ახლა ეს „დარბაზი" თუ „კარავი" გაუმართავთ ჩვენ ხელისუფალთ, ადრე, თურმე, ძველთაძველი ეკლესია იდგა. ჰოდა, მერე ეს ეკლესია დაუნგრევიათ წითლებსა თუ თეთრებს და იმ ადგილას ეს მონსტრი აუშენებიათ. ისე, ხომ იცი, კაცმა რომ თქვას, შეიძლება სიმართლეც იყოს ეს ყველაფერი. აბა, მაშინ, რატომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში მომხდარ უბედურებათა უდიდესი ნაწილი ან იქ ხდება და თუ არადა, იქ იწყება?! – სიტყვა გავასრულე და ხინკლით ხელდამშვენებულ მიმტანს თითებით ვანიშნე, ორი ლუდიც დაამატე-მეთქი.

— ისე, ამას ერთი პატარა თეთრიც მოუხდებოდა, არა? – ჯერ ხინკალს დახედა და მერე მე ჩამიკრა მაცდურად თვალი არყის ბოთლზე გამოსახული რასპუტინივით. მოგონილი წყენით შევხედე.

სამიკიტნოში კი საგრძნობლად ჩამოცხა. ჰაერი დაიხუთა და მონოტონურმა ზუზუნმა გაჟღინთა იქაურობა. ხალხი შეზარხოშდა და აყაყანდა. ან თავიდანვე ზარხოშყაყანებდნენ და უბრალოდ ჩვენი გადამწვარი რეცეპტორები ვერ აღიქვამდნენ ამდენ გამაღიზიანებელს ერთდროულად. ანდა, თუნდაც, უფრო მარტივად, ლუდმა გაჭრა და ჩვენც ავიმღვრიეთ. "არდალევის" უტყვ ჭიდილში ვიყავით ჩაბმული ორივე, როდესაც გვერდითა მაგიდიდან ვილაცის მჭექარე, ვაჟკაცური და თანაც საკმაოდ მუსიკალური ხმა შემოგვესმა.

— თქვენ გენაცვალეთ, ჩემო ძმებო და კაცურო კაცებო. თქვენი ჭირიმე ყველასი, ჩემო დევგმირებო და სამშობლოს სიამაყევ. ერთი ჭიქის შესმა მინდა და თუ დამანებებთ, ლამაზ ლექსებსაც ბევრს გეტყვით. ყველანი ძალიან მიყვარხართ და მინდა, რომ ყველას ბევრი მოგეფეროთ და მხრები დაგიკოცნოთ ჩემო გმირებო. ამ ჭიქით ჩემი ლამაზი სამშობლოს სადღეგრძელო ვთქვათ და ვთხოვოთ: გულს ნუ გაიტეხ მზიანო, მტერს არ მივუშვებთ შენზედაო. ჩვენი სამშობლოს გამარჯვებისა შევსვათ. გაუმარჯოს მადლიანს, დალოცვილ იყოს მარადის! – სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ყელში მობჯენილი ბურთი გამისკდა და ცრემლად მომადგა თვალებზე. გარემოებათა უსიტყვო მორჩილებაში აღმოვჩნდით და როგორ გაჩნდა ჩვენს მაგიდაზე ბოთლი არაყი, არ მახსოვს. აბა, რაღა დროს სამსახური და მისთანებზე წუწუნის ჟამი იყო, როდესაც აქ, ასეთი სიტყვები ითქმებოდა. დავასხით, დავლიეთ და ვიგრძენით, რომ უმალ ზუსტად იმ ჯიგრიან ქართველებს დავემსგავსეთ, რომელთაც ის კაცი ლოცავდა.

თამადა არ ჩერდებოდა და იქ მყოფთა დაჩიავებულ გულებზე დიდი ასოებით აწერდა დიდივე მამულიშვილების სახელებს: ვაჟა, აკაკი, ილია... სამიკიტნო კი სულ უფრო იხუთებოდა, უხილავი ძაფებით გაერთიანებული სუფრები სულ უფრო ხურდებოდა და თითქოს დროც, თითოეულ წარმოთქმულ სადღეგრძელოსთან ერთად, რამდენიმე საუკუნით უკან იხევდა. ფრთაშესხმული თამადა ნელნელა კილოს იცვლიდა და მსმენელი ჯერ გარე კახეთს გააქანა, მერე ქიზიყს მისწვდა და ბოლოს მთისაკენ გაიწია. შემდეგ უცებ შედგა, სახე გაუნათდა და დასცხო საცეკვაო „ქუდი გვერდზე დაგიხურავს"... ტანში ჟრუანტელმა დამირბინა და გულში ბანი მივეცი. ვილაცამ კი რაღა გულში, ბარემ ნატურშიო და სიმღერაც აგუგუნდა. არც ტაშს დაუგვიანია დიდხანს და სულ მალე, ვილაც მაღალმა და ტანადმა მიმტანმა გოგომ, ჯერ ხელები გაშალა და მერე კი თმები გაიშალა. უეცრად, ეს ამდენი, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანი, ერთი სუფრის თანამეინახედ იქცა. გაჩნდა განცდა ნაცნობობისა, სიახლოვისა და თანამოაზრეობისა.

— ბიჭო, რა მაგარი კაცია ეს ბიჭი, არა? თან რა მაგარი კაცური ხმა აქვს? აი, ისეთი, ჟრუანტელი რომ დაგივლის ტანში. ეჰ, მოდი, ერთი ჩვენც დავლიოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადღეგრძელო და ესე ვთქვათ, რომ ამ

განსაცდელისათვისაც გაეძლოს და არც ჩვენ გავფუჭებულიყავით.

— გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას! ბიჭო, გუშინდელი ქორწილიდან მოყოლილი რამსი მაქვს არეული. აი, ახლაც იმისი განცდა მაქვს, რომ ეს ყველა ადამიანი ერთ პონტშია შეკრებილი. ანუ თითქოს ყველანი სამშობლოს სიყვარულისთვის ვიმყოფებით აქ.

— შენ უკვე მაგარი მთვრალი ხარ და ურევ რაღაცეებს. მომისმინე, რას გეტყვი! ჩვენ, ძმაო, აქ ვზივართ და ვჭამთ, ვსვამთ და ვქეიფობთ და ის ხალხი კიდევ ქუჩაშია გამოსული და ცდილობს, რომ თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს.


მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

მერე სამართლიანია, რომ ჩვენ, ჩვენი წილი აღელვების გამოხატვის მაგიერ, ვსხედვართ აქ გალექსილები და ჭიქებს ვუჭახუნებთ ერთმანეთს?

— მართალი ხარ და მეტსაც გეტყვი, ახლა აქ ვინმე რომ შემოვარდეს და დედა გვაგინოს, რას დამჯდარხართ, თქვე უჯიგროებო, როცა ქარვასლა ინვისო, არც ეგ უნდა გვეწყინოს, რადგან კაცი ყოველთვის იქ უნდა იყო, სადაც შენი ხალხია და არა გზისიქითა დუქანში. ხა... ხა... ხა...

ჩვენი რჩეული თამადა კი ახლა უკვე ლექსებს კითხულობდა, „ყორლანებიდან გნოლი აფრინდა"-ო, და გასუსული დარბაზი შიგ "სახისგულში" ჩასჩერებოდა. არადა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი პროვინციელი ბიჭი იყო. საშუალო ტანის, მხარბეჭიანი, მუქი კანის ფერის, შუბლთან ოდნავ თმაშეთხელებული და გატეხილი ცხვირით. თუმცა კი, მისი ნათქვამი „პური ვჭამოთ", ბევრად უფრო მართალი და ნაღდი იყო, ვიდრე ჩემი „უფალო შემიწყალე".

— ბიჭო, ჟორა, წავიდეთ მიტინგზე?

— არ ვიცი ლეხო, გეხვეწები, ნუღარ დამაწყებინებ ყველაფრის თავიდან ახსნას. ნაღდად არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე ასეთ დროს. წესით, ალბათ, უნდა წავიდეთ.

— აბა, ისინი და ესენი მატყუარა პოლიტიკოსები და ეგეთებიო.

— ჰოდა, მაშინ არ წავიდეთ. ვიყოთ აქ, დავლიოთ და მერე ვთქვათ, ერთი იმათი და ამათი ძალით ჭკვიანი თავებიცო და სამშობლოს კიდევ, ალბათ, ისევ ღვთისმშობელი მიგვიხედავს. აბა, ერთი მითხარი, როდის იყო, რომ ჩვენ, ხალხს, ერთმანეთის ჭამის მეტი რამე გაგვეკეთებინოს და ერთმანეთის სისხლის ღვრაზე უკეთ რამე გამოგვსვლოდა?!

— და მერე არ გაგვამტყუნებენ, როცა ჩვენ იქ, თქვენ მაშინ აქო

— ალბათ... უეჭველი... მაგრამ დრო ხომ ჩვენზე ერთი ნაბიჯით წინ დგას და შესაბამისად, მტყუან—მართლის ყველაზე კარგი მოსარჩლე და განმკითხავიც ეგ არის.

— მეზიზღება პოლიტიკა.

— მეც.

— ბიჭო, ამას არ სჯობდა, ხმლით ხელში გვებრძოლა მტერთან და იქ დავცემულიყავით?!

— კი, სჯობდა.

— მერე, განა ახლა არ კვდებიან სამშობლოსთვის?

— კვდებიან, როგორ არა, მაგრამ ჭირი ისა გვჭირს, რომ ეს ჩვენი სამშობლო ახლა სულ სხვა გრდემლზე დევს და მას ახლა სულ სხვა მჭედელი ჭედავს. და თუ ვისთვის ჭედავს, ეგ უკვე არავინ უწყის!

მეორე დღეს კი, ეს ჩემი სიტყვები, ანუ "ვინ უწყის", რომ გამახსენდა, ძალზე მწარედ ჩამეცინა. სწორედ ის ჟამი იდგა, როდესაც ქართველებს ერთმანეთისთვის უკვე გამეტებით ერტყათ კეტები და ქვები, ხოლო უსახელო ლიდერები ორივე მხარისა კი განზე იცქირებოდნენ, აქაოდა, თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ არ გვტკივა თქვენი დასიებული ცხვირპირიო?! მე კი მაშინ დემოკრატიის სამჭედლო ქვეყნის აქაური "შტაბის" სამსახურში ვიდექ და მახსოვს, როგორ დაგვიბარეს ყველანი შეკრებაზე და დიდი რუდუნებით გაგვანდეს, რომ იარების მოშუშების, გულის მოფონვისა და გატეხილი სახელის გამთლიანების დრო დაგიდგათო. გვითხრეს, რომ ეს ასე იქნება და ის ისეო. ჭირი იქა და ლხინიც იქაო. ბევრი არაფერი შეიცვლება, მაგრამ ჭალას მომკვდარ ჩიტზე ჩვენ ნუღარ გვატირებთ, რადგან ბდღვნად მაინც არ ღირდა ეგ უბედურიო. მაგრამ რაც ყველაზე „ჯერთქვენგულგასახარია", ამ ყოველივეს სხვა დანარჩენი ქვეყანა, თქვენგან განსხვავებით, რამდენიმე საათში შეიტყობსო (ვითომცდა, პატივი დაგვდეს, მიდით და თქვენ პირველებმა იჭორავეთო). „ვაი, შენს საქართველოს"- მეთქი და წავიშინე თავში ხელები. თურმე სად წყდებოდა ჩვენი ქვეყნის ბედი და იქ შეკრებილ ხალხს კი რას უჩვენებდნენ?! ასე ყოფილა თურმე ყოველთვის, ჩვენს ისტორიას უცხო ჟამთააღმწერელი წერდა და ჩვენ კი მუდამ ვჩემულობდით, ღვთისმშობლის წილხვედრნი ვართ, ღვთისმშობელი გვიხსნის და ღვთისმშობელი დაგვიფარავსო.

და იქნებ, მართლაც, ღვთისმშობლისანი ვართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ემზარ კვიტაიშვილი

## რვაფეხა ღრიანკალი კედელზე
(Pandimus imperator)

ვუძღვნი მიშიკო კუხალაშვილს, ჩემს მომიჯნავე ღრიანკალის ზოდიაქოში დაბადებულს, ვინც ლამაზ ჩარჩოში ჩასმული, უნატიფესი, მეფური შესახედაობის, დიდი მორიელი მისახსოვრა

ვერ იქრიალებს ჯუნგლებში ლაღად,
შემწყდარა მისი ძრწოლა, რიალი;
სამარადისო ტყვეობა დალავს,
შუშის ქვეშ შავი თვლემს მორიელი.

ორივე გვერდზე ოთხ-ოთხი ფეხი,
ორიც – მარწუხი, კიბორჩხალასი...
ბოროტ ზრახვათა გორგალს თუ გრეხილს,
დააქანებდა ბოლმა ხალასი.

საცეცებიც აქვს, გიშრისგან ნაკვეთს,
იტყვი, საცაა, მსხვერპლს ეკვეთება,
ფაფუკ წრუწუნას გაგუდავს აქვე,
გადმოსდინდება გესლი წვეთებად.

აზნექილ კუდში თუმც შხამი ჩახმა,
რა დათვლის მწერებს, მისგან დატორილს...
მაინც როგორ გავს შემართულ ჩახმახს –
მორიელების იმპერატორი.

უჭმელს და უსმელს, უდაბნოც არ ღლის,
თვით ჯოჯოხეთის ალით შებოლილს;
გადამტანს ყველა გვალვის და წარღვნის,
ვინ დაანათლა ფერი ებონის?!

დუმს, მონატრული ქვიშრობში ტანტალს,
აღარც მდინარე უხმობს, სატივე...
ისედაც სუსტი, მხედველი ზანტად,
დაბრმავებია თვალი, ათივე.

გატრუნულს, ათას მტერთან ნარჩოლარს,
მივჩერებივარ, დროდადრო ვშიშობ; –
როცა იქნება, ცივი ჩარჩოდან,
გამოცოცდება ტროპიკის პირმშო.

არც ხვრა ობობის, არც ნესტი ხვრელის,
შავს, გადუხარშავს, ვატყობ ხვაშიადს;
მინისგან, ახალს, არაფერს ელის,
მისი ადგილი მრუმე ცაშია.

## მინაწერი



ეს ლექსი შარშან, ნოემბრის თვეში დაიწერა და მასში არაფერია ბუნდოვანი, გაუგებარი, მაგრამ რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა დავურთო.

პავსანიას თავის განთქმულ, ენციკლოპედიური ხასიათის „ელადის აღწერაში“, ერთგან, ნათქვამი აქვს, რომ რომელიღაც ფრიგიელმა იონიაში ჩამოიყვანა მორიელი და მას ზუსტად კალიის მსგავსი ფრთები ჰქონდა. პავსანია, მრავლისმნახველი და მომსწრე სწავლული, მუდამ სიმართლის დაწერას ცდილობს, მაგრამ არა მგონია, მორიელს როდისმე კალიისებრი ფრთები ჰქონოდა. ეტყობა, განზე გაშვერილი ფეხები მან ფრთებად ჩათვალა.

პლინიუს-უფროსსაც, ვეება „ბუნების ისტორიაში“ შეუტანია ცნობა უცნაურ, ორკუდიან მორიელზე, რაც ძნელია სარწმუნოდ მიიჩნიო, მაგრამ თუ ორთავიანი ხბო იბადება ათასში ერთხელ, ხომ შეიძლებოდა, ორკუდიანი მორიელიც გაჩენილიყო?! ერთი ჯიშის, აშკარად ჭკვიანი, მაიმუნი მორიელს თურმე შხამით გაძეძგილ კუდს აკვნეტს და მერე გემრიელად ახრამუნებს (უხერხულიც კია, ასეთი მიხვედრილობის პატრონს მაიმუნი ეძახო).

მორიელის ხსენება, მითუმეტეს, გამოჩენა ძველთაგანვე თავზარდამცემ შიშს აღძრავდა ადამიანებში და, რა დასამალია, მისადმი მეც, სიყმაწვილიდანვე, ძრწოლას განვიცდიდი. ერთხელ, სხვენის მხარეს გასულმა, დავინახე, აგურის ჭუჭყიან, აბლაბუდებიან კედელზე მიცოცავდა ღია ფერის (ლანდი გასდიოდა), კუდმოკაუჭებული საშინელება და შემკრთალმა რაღაც დავარტყი, მივასრისე.

მორიელის ექვსასამდე სახეობაა აღრიცხული. ჩვეულებრივი ზომა ხუთი-ათი სანტიმეტრია, მაგრამ ზოგი ოც სანტიმეტრამდე იზრდება და ალბათ დანარჩენ წვრილფეხობაზეც მეტხანს ცოცხლობს. უჭმელი თვეობით ძლებს; დადასტურებულია შემთხვევები, წელიწადნახევარიც კი უშიმშილია (ნეტავი ადამიანებსაც დაჰყოლოდათ ესოდენ საჭირო უნარი, რამდენ თავსატეხსა და დავიდარაბას გადარჩებოდნენ).

სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდაა აღწერილი დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი „მეგრული მორიელი“. მე თვითონ არ მინახავს, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, მოწითალო-მოყავისფრო ზურგი, ხოლო მუცელი ღია შეფერილობისა აქვს, სიგრძით ოთხიოდე სანტიმეტრია. მაინც საგულისხმო ფაქტია, რომ იგი საქართველოს ტერიტორიაზე (ეგებ უკვე მიტაცებულზე) იპოვეს და, ცხადია, რაღაცით განირჩევა დანარჩენი მოძმეებისგან, თორემ განკერძოებულად არ განიხილავდნენ.

საგანგებოდ წერენ, რომ ტყვეობაში მორიელებს ნირი, საქციელი ეცვლებათ, ნამეტანი თავისუფლებისმოყვარენი ყოფილან (ქართველები თითქმის შევეწირეთ საუკუნეობით ნანატრ თავისუფლებას და ბოლომდე ვერ მიგვყავს სანუკვარი ოცნება, მიწა-წყლითაც და მოსახლეობითაც თითქმის გაგვანახევრეს).

მორიელი მტკიცედაა დამკვიდრებული ეგვიპტურ და ბერძნულ მითოლოგიაში. მიუთითებენ, რომ ალქიმიაშიც მაგიურ ატრიბუტად ითვლებოდა, როგორც ტყვიის ოქროდ გარდაქმნის მონაწილე.

ხიმენესი ცეცხლშენთებულ და დასაღუპად განწირულ ამ საშიშ არსებაზე ამბობს – „საბრალო მორიელიო“. გამიკვირ-

## პოეტის ერთი ლექსი

და, მაგრამ პოეტი ალბათ სხვანაირად ვერ იტყოდა ასეთ უსაშველო მდგომარეობაში მყოფზე.

მეზიზღებოდა, მაგრამ, ამავე დროს, კიდევაც მხიბლავდა მისი ნატიფი აღნაგობა, ყოველთვის მინდოდა, ლექსის გამოკვეთილ ფორმაში მომექცია და ჩამემწყვდია იგი.

დაბეჯითებით აღარ მახსოვს, სად ამოვიკითხე ეგზოტიკური ცნობა, რომ ეგვიპტელ ქურუმებს ტაძარში ჰყოლიათ დიდი ზომის „წმინდა მორიელი". საგანგებო ყუთში ჩასმულს, მთლად უსაქმოდ არ გააჩერებდნენ, თუმცა არც ის ვიცი, ვის დასაკბენად იყენებდნენ (სადაც ფუნაგორია ხოჭოს აღმერთებდნენ, მზის სიმბოლოდ მიაჩნდათ, მორიელს რაღაზე დააკლებდნენ პატივს?!) იმას ოცი წელი უცოცხლია და მერე აღსრულებულა. მორიელისთვის ამოდენა დრო უთუოდ ბიბლიური პატრიარქის ასაკი იქნებოდა.

სწორედ შარშან, ჩემი ახლობელი ადამიანის შვილმა (ეს მიძღვნიდანაც ჩანს), ძალზე კეთილმა და საზრიანმა ყმაწვილმა, აფრიკული მორიელის მეტად მიმზიდველი, კარგად დამუშავებული ფიტული მაჩუქა, რითაც დიდად გამახარა.

მისი ფოტო (ციფრული აპარატი გამოიყენა) გადაიღო ჩემი სიყრმის მეგობრის დათო ნერედიანის მშვენიერმა ქალიშვილმა მაიკომ; რამდენიმე რაკურსი შეარჩია, სანაქებო პროფესიონალიზმი გამოავლინა და ფოტოები გადმომცა, რისთვისაც მას ცალკე ვუხდი მადლობას.

თითქმის ჩუქებისთანავე განვიზრახე, ამ ფიტულად ქცეული მორიელის თავისებურად გაცოცხლება; ვეცადე, იგი მშობლიურ გარემოში დამებრუნებინა. ვერ ვიტყვი, ჩანაფიქრი რამდენად განვახორციელე. სურვილები, რაც თავი მახსოვს, ძნელად მისრულდება და ამას შეგუებული ვარ. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა.

## პოეზია



მზია ხეთაგური

* * *

მე ახლა ფრთხილად უნდა ვიყო,
თავს ველოლიავო და უარი ვუთხრა
აბეზარ ფიქრებს,
თორემ შეიძლება
ერთმა ჩემებურმა ალტკინებამაც კი
ბოლო მომიღოს...
თავს უნდა ველოლიავო
არა იმიტომ, რომ არ მოვკვდე,
არამედ იმიტომ, რომ...
ცოცხალ-მკვდარი არ ვიყო.

### ქანდაკება

დავლუპულიყავ ნეტავ 9 აპრილს!
მე იქ ვიყავი, მაგრამ გადავრჩი.
გადამარჩინა გახევებამ,
საბედისწეროდ რომ იქცა სხვისთვის...
მე არ გავრბოდი, არც ვეცემოდი,
არც ვლოცულობდი...
არც ვმოძრაობდი და არც ვყვიროდი,
მონუსხულივით გამეყინა სხეულიც, სულიც,
თვალები, ფიქრი, ოცნებები, მეხსიერება
და ქანდაკებად ქცეული ვგავდი
ძახილის ნიშანს!
ვერ დამინახეს, ვერ მიპოვნეს, არად ჩამაგდეს,
რადგან ისინი ერჩოდნენ იმას,
რაც მოძრაობდა...
მოძრაობდა მთელი ქალაქი
და აიჩეხა ყველა, ვინც კი
ირეკლებოდა ალესილი ნიჩბის სარკეში!
მეორე დღეს არსად ისმოდა არც „გაუმარ-ჯოს",
არც „სა-ქარ-თვე-ლო"...
მერე კი ისევ ავმოძრავდით,
ერთმანეთი დავაყრუეთ, გავამხეცეთ,
ვანჯღრიეთ და გავიმეტეთ,
და დავბრუნდით უძრაობის იმ ხანაში,
სიდანაც ველარ გამოხვალ!
და ქანდაკებად გადაქცეული,
ძახილის ნიშნად აღმართული,
მოგძახით ახლა: შემომხედეთ! რომ მოძრაობამ
ქვად არ გაქციოთ!

* * *

ფეხმძიმედ ვარ შენზე, სიკვდილო...
ის კი არ ვიცი,
სიკვდილი, როგორც ადამიანი,
ცხრა თვის შემდეგ იბადება?
თუ, უფრო გვიან,
ან უფრო ადრე?

### სიღრმე ქართული ცის...

აღარაფერი არ მიკვირს,
აღარაფერი მწყინს!
მიკვირს, (თუმც არად არ მიღირს)
ცოცხალი რომ ვარ, ის!

სხვაც ატყობს, ჩემში რაც არის,
რა უსაშველოდ გძულს...
რომ სამტროდ ახლაც მზად არის
შენს სულში მგელი — ძუ!

თურმე მხოლოდ შენ გცოდნია,
ვინ, და როგორი ვარ!
რომ ჩამომახრჩონ, ცოტაა, —
ჯვარს უნდა მაცვან, ჯვარს!

პოეტში მიკვირს ეგ ბოლმა,
რატომ მიკვირდეს სხვის!
ვინ აღარ გადამელობა
აბჯრით რკინის თუ ხის!

მხოლოდ ღმერთია მოწამე
რამდენი ჩრჩილი მჭამს,
რამდენჯერ ენით მოწამლეს
ჩემი კრიალა ჭა...

ირგვლივ სიკეთით მომზირალს,
მზერას მაყოლებ ცივს...
მაგრამ ორივეს ჩაგვძირავს
სიღრმე ქართული ცის.

## უცნობი შიში

გულგრილი მზერის ბლაგვი გისოსი
მოვარდნილ სურვილს კოდავს...
და მენატრება უცხო მიზეზით
ის, რაც არასდროს მქონდა.

კვლავ მოთმინებით, ასე ულევით,
ყურად არ ვიღებ ყრანტალს...
და მენატრება ნაცნობ სურნელით
ის, ვინც არასდროს მყავდა.

სად არ ვიყავი, რა არ მაკადრეს
საკადრის სიტყვის გარდა...
და მენატრება ისე, ვით ადრე
ის, ვინც არავის ჰგავდა.

კართან ვდგავარ და უცნობი შიშიც
ნაცნობი არის ალბათ...
და იმარხება, თანდათან, სკივრში
საგაზაფხულო კაბა.

## ჩემებრ დარეხვილები...

მაკლდება და მემატება
პოეტური და-ძმები...
სურნელება მენატრება
მარად მწვანე ნაძვების!

ალტაცება შურს ვერ ფარავს,
ვაი, შესამჩნევია!..
ანგელოზი არ ვარ, მაგრამ
ერთგულება მჩვევია.

სხვას ვუყვარვარ მე თქვენს ნაცვლად —
მევენახეს, მებაღეს,
ვინც ჩემს სულში ღია კარსაც
თქვენზე ფრთხილად შეაღებს...

საკუთარ თავს ვეომები,
აქ დავრჩე თუ წავიდე?
ღმერთო, პოეტ მეგობრების
მეგობრობას მარიდე!

მოწმედ ვინც დგას, მუნჯი არის
და მაშინებს იგავით,
რომ თქვენ შორის უჩინარი
უნდა ვყოფილიყავი!

ანდა ისე, როგორც ნერგებს,
ჩამემარხა სხივები...
მათ ოდესმე მიაგნებდნენ
ჩემებრ დარეხვილები!..

* * *

თუ არ ძალგიძს, ხილულად აქციო უხილავი...
თუ საჯარო მარტოობას უნილბო ნილაბივით
სახეზე ვერ ირგებ...
თუ შენზე ჭორები და ქილიკი
გულს უფრო გტკენს, ვიდრე
მოხუცების სამათხოვროდ გაწვდილი
ხ ე ლ ე ბ ი —
არც გმირი ხარ, არც შემოქმედი,
მაგრამ მათსავით გაქვს
არსებობის უფლება!

* * *

რა არის მარტოობა? —
გრძელი ფიქრების შემდეგ დასმული
ერთი დიდი წერტილია —
როცა შენს ცხოვრებას
სხვა სასვენი ნიშნები აღარ უზის!

რა არის ბედნიერება? —
როცა მარტო ხარ და
სისულელეების ჩადენაში
ხელს არავინ გიშლის!

რა არის სისულელე? —
პატარ-პატარა სიხარულებია,
დიდ-დიდ ბედნიერებებს რომ გპირდებიან
და უცებ, უბედურებას რომ წააწყდები.

რა არის უბედურება? —
როცა არა გაქვს მარტოობა,
სისულელე და
ბედნიერებაზე გარდაუვალი ოცნება...
რა არის გარდაუვალი? —
მხოლოდ შეხვედრა და
განშორება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მადლობას გიძღვნი, მწუხარებავ! —
შენ არც კი იცი,
რა მშვენიერი ხმებით ალავსე
საუფლო და სხეული ჩემი...
რა სასწაული ფერით შემოსე
ჩემი არსობის თვალსაწიერი...
რა დიდებული მარტოობით დამაჯილდოვე;
რა სიზმარს მიმეც, რა ცხადს წამგლიჯე...
რა კუნძული შემომწირე, რა მლაშე ზღვები,
რა სივრცე მომეც,
რა ნაღვლიანი შხუილი ფრთების...
რა სიფრიფანა სიმს მიანდე
მრავალხმიანი სიმღერა ჩემი!..
მადლობას გიძღვნი, მწუხარებავ!

* * *

თქვენ ფხიზელი ხართ,
მე კი — მთვრალი?
გზით მოხვეულით
მოთენთილ სხეულს
მაგ სიფხიზლით
რად ეჯახებით!
ნუთუ ვერ ამჩნევთ,
რომ ბარბაცებს
არა სხეული,
არამედ სული, აჩეხილი
ბაირაღებით!
თქვენ ფხიზელი ხართ, მე კი —
მთვრალი...
მაგრამ მაფხიზლებს
შიში, დალმართზე სიყვარულის
დაცურებისას...
და მძულს სიფხიზლე —
ალესილი თვალის მახვილი —
მოწმე შიშველი სურვილების და
ცდუნებისა.

### სიბერესთან შეჩვევა

ხომ ბევრჯერ გთათხეს,
უარგყვეს და
ფეხქვეშ გაგთელეს?
ხომ დაგცდენია: მორჩა,
მეტი არ შემიძლია!
მთელი სიცოცხლე რეპეტიციებს
გადიოდი,
გაჩნდა ანონსი — პრემიერის
მაუწყებელი!
როგორც პირველად დაწერილი
უბიწო სიტყვა,
როგორც პირველად გადადგმული
მჸიფე ნაბიჯი,
როგორც პირველი
გულისხეთქვა და სიყვარული,
როგორც პირველი ღალატი
და მზის დაბნელება —
მოდის სიბერე... და ისეთი
ადვილია მასთან შეჩვევა,
თითქოს სხვა არცრა გისწავლია
სიბერის გარდა!

პირველი შთაბეჭდილება

# სტილი, როგორც გამოცდილება

ჩვენ ისევ ერთად ვართ, ოღონდ დიდი ხანია არ შევხვედრივართ. თუმცა ლექსისთვის დროს რა მნიშვნელობა აქვს.

ისევ ჩვენთან არის მზია ხეთაგური — ლამაზი, დაუდგრომელი, მართალი, საინტერესო.

აქ არის მისი ლექსი — დახვეწილი რითმებით, ნერვული რიტმით, გამოკვეთილი და ზუსტი სათქმელით. გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია ამ ლექსებს და ეს არის ძალიან კარგი, რადგან გამოცდილება პოეზიაში მნიშვნელოვანი ფაქტორია შთაგონების შემდეგ.

მზია ხეთაგურმა კარგად იცის, რა თქვას და როგორ თქვას.

მან ისიც იცის, რომ მისი ლექსით ტრაგიკული ქართული ყოფიერება გამოხატავს თავს — დეჰუმანიზებული, დეჰეროიზებული, გამოშიგნული გარემო, სადაც ადგილი აღარ რჩება სულიერი წონასწორობისა და უბრალო ადამიანური ბედნიერებისათვის.

მარტოობის მოტივების გარეშე პოეზია არ არსებობს, მაგრამ ასეთი?..

თუმცა რა გვიკვირს, ჩვენ ხომ მზია ხეთაგურის ლექსებს ვკითხულობთ. ამ ლექსებში ჩანს, თუ როგორ ვემსგავსებით ერთმანეთს პოეტები და მკითხველები ჩვენ-ჩვენი ტკივილებითა და იმედგაცრუებებით.

ჩვეული გარემოდან გაქცევისა და გაუცხოების სურვილი გასაკვირი არ არის, მაგრამ დღეს რაღაც სხვანაირად აღიქმება ეს ლტოლვა უცნობი სამყაროსაკენ, სადაც სიცარიელე უფრო საგულვებელი, ვიდრე სხვა რამ, თუნდაც საგანთა ახალი, განსხვავებული რიგი. სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ მძაფრი სოციალური შინაარსი ვერ ჩრდილავს ფორმალურ მხარეს, რაც უთუოდ ანგარიშგასაწევია.

ზემოთ აღვნიშნე, ლექსებს გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია-მეთქი. ეს, უპირველეს ყოვლისა, გარითმვის ტექნიკაში ვლინდება. მზია ხეთაგური რითმულ წყვილებს ძირითადად ზმნისა და არსებითი სახელის მეშვეობით აყალიბებს, რაც დაკვირვებული მკითხველის თვალში უთუოდ საინტერესო ეფექტს ქმნის.

დახვეწილი გემოვნების მაჩვენებელია ისიც, რომ მეტაფორებს მომჭირნედ იყენებს და არც სხვა პოეტურ სამშვენისებს არის გამოკიდებული.

ეს არის სტილი, მზია ხეთაგურის სტილი.

**მალხაზ ივანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ კიკნაძე

# სცენამდე

საბჭოთა ეპოქაში თეატრის რეპერტუარის ფორმირებას სარეპერტუარო პოლიტიკა ერქვა. ეს შემთხვევითი არ იყო. საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია თეატრს. მან კარგად იცოდა თეატრს რა ძალა ჰქონდა. 1922 წელს საქართველოში 11 თეატრი იყო,1936 წელს უკვე — 39. 1970 წელს 9 ათასამდე სპექტაკლი გაიმართა. თითოეული თეატრი ყოველ წელს 400-მდე წარმოდგენას თამაშობდა.

რეპერტუარის მართვისა და საერთოდ თეატრის მუშაობაზე კონტროლისათვის თეატრებში ფუნქციონირებდა სამხატვრო საბჭოები. საბჭოში მეტწილად თეატრისა და საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ.

საბჭოებზე იმართებოდა ცხარე დისკუსიები, იყო აზრთა ჭიდილი. იგი ერთგვარ თეატრალურ პარლამენტს წარმოადგენდა. დემოკრატიული დისკუსიების ეს ფორმა აცოცხლებდა თეატრის მუშაობას. ყველა რეჟისორი და მსახიობი დიდ ანგარიშს უწევდა საბჭოს აზრს.

როცა ლ. ბერიამ დაინახა, რომ ახმეტელი მას ადვილად არ ემორჩილებოდა და მის თეატრს ღრმად ეროვნული მიმართულება ჰქონდა, ამიტომ გადაწყვიტა რუსთაველის თეატრში ახალი სამხატვრო საბჭოს შექმნა. საბჭოში შეიყვანა მუშები და პოლიტიკურად ერთობ საიმედო „მაღალიდეური" მწერლები (ს. ეული, გ. ბუხნიკაშვილი და სხვანი). ეს იყო ახმეტელის შემოქმედებაზე პარტიული კონტროლის მექანიზმი. ახმეტელმა მას თავისი საბჭო დაუპირისპირა. საბჭოში შეიყვანა მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, მ. გოგიბერიძე და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

ახმეტელის დაპატიმრების შემდეგ ლ.ბერიამ საბჭოს ყველა წევრი „ანტისაბჭოთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ჯგუფად" გამოაცხადა და მკაცრ კონტროლზე აიყვანა, ზოგი დახვრიტა, ზოგს კი დაჭერის შიშის სინდრომი მიუსაჯა. სტალინის სიკვდილის შემდეგ „დათბობა" დაიწყო, მაგრამ ხალხი მაინც ვერ განთავისუფლდა შიშის სინდრომისაგან.

მე ათი წელი ვიყავი რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოს მდივანი (1954-1964). ეს იყო ურთულესი და უაღრესად საინტერესო პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. ოქმებს ხელით ვწერდი. სხდომების სტენოგრაფირება არ ხდებოდა. ახლა როცა ვათვალიერებ ოქმებს, მთელი იმჟამინდელი ცხოვრება ცოცხლდება ჩემს თვალწინ. როგორი დისციპლინა და ორგანიზება იყო! შემოქმედებითი ცხოვრება დუღდა, იბადებოდა ახალი სათეატრო ტენდენციები, მიმდინარეობდა თეატრალურ-ესთეტიკური ორიენტირის შეცვლა. ასპარეზზე გამოდიოდა ნიჭიერი ახალი თაობა (ე. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, მ. ჩახავა, რ. ჩხიკვაძე, გ. სალარაძე და სხვები). იცვლებოდა მხატვრული კრიტერიუმები. 37 წლის ტრაგედიაგამოვლილი თაობა მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა ცვლილებებს. მათ მწარე გამოცდილება ჰქონდათ და მეტისმეტად ძვირად უჯდებოდათ ერთი გადაკრული, ორაზროვანი თუ „ანტიპარტიული" ფრაზის თქმა. სხდომის ოქმებშიც იგრძნობა ეს ტენდენცია. ზოგჯერ ასეც ხდებოდა. იმისი შიშით, რომ არ მიმხვდარიყვნენ სპექტაკლის ჩანაფიქრს ან გადაკრულ მინიშნებებს, წარმოდგენის მხარდაჭერის მიზნით იწყებოდა ქებათა-ქება, ყურადღების სხვადასხვა საკითხებზე გადატანა.

დამკვიდრებული იყო სპექტაკლების საჯარო განხილვის პრაქტიკაც. წარმოდგენას ჯერ თეატრის საბჭო „გასინჯავდა", შემდეგ მოიწვევდნენ სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელს და მასთან ერთად განიხილავდნენ წარმოდგენის გაშვების საკითხს.

ჩემს არქივში ინახება მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის „ვისია, ვისი?" — საჯარო განხილვის ოქმი. მაშინ კულტურის სამინისტროში ვმუშაობდი. წარმოდგენის ნახვის შემდეგ მოეწყო განხილვა.

პირველად ვაქვეყნებთ ოქმს:

## ოქმი №5

1965 წლის 9 ივნისს შედგა თეატრის ახალი წარმოდგენის — ო. ჩხეიძის კომედიის „ვისია ვისი?" — საჯარო განხილვა.

დაესწრნენ კულტურის სამინისტროს მუშაკები, თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

სპექტაკლის ჩვენების შემდეგ აზრი გამოთქვეს:

მ. მრევლიშვილი — (მწერალი) — პიესაში იგრძნობა ხალხური კოლორიტი, ხალხის სიბრძნე, მისი გონებამახვილობა, ენობრივი სისადავე ხალხური — ქართლის კოლორიტი შესანიშნავად არის მოცემული. სპექტაკლი ძალიან მომეწონა, როლები კარგად არის განაწილებული და ყველა მონაწილე თავის ადგილზეა. ე. ყიფშიძემ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა თავისი ნიჭი და სცენური მიმზიდველობა. ვეთანხმები მესამე მოქმედების გროტესკულ გადაწყვეტას. მოწმეებმა იციან ყველაფერი, მაგრამ მართლის თქმისა ეშინიათ, ტყუილს კი არ ამბობენ, ეს გადაწყვეტა ბერიკაობიდან, ხალხური ნილბებიდან გამომდინარეობს. ვულოცავ გამარჯვებას პიესის ავტორს და ჩვენს საყვარელ თეატრს.

დ. ჯანელიძე — (პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი) — წლევანდელ სეზონში მარჯანიშვილის თეატრმა ეს მესამე ქართული პიესა განახორციელა. („კახაბერის ხმალი", „მკვდრის მზე", „ვისია ვისი?") ამან მეტად გააცოცხლა რეპერტუარი. ჩვენ გული გვტკიოდა, რომ მსახიობთა უფროსი თაობის შემცვლელები თითქოს არ არიან — ახლა კი მთელი თაობა გამოჩნდა. ბრწყინვალედ თამაშობენ ე. ყიფშიძე, ი. ტრიპოლსკი, ა. ვერულაშვილი, თ. თეთრაძე, ე. ვერულეიშვილი, დ. ქუთათელაძე და სხვები.

პიესის მესამე მოქმედება — სასამართლოს ცნება მაგონებს ილიას „გლეხთა განთავისუფლების" სცენებს — ეს კარგი ტრადიციაა, ყოველთვის უნდა დავემყაროთ რეპერტუარს, გამოვაჩინოთ თანამედროვეობა. უფრო მისი დადებითი თვისებებით, ამას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ვულოცავ თეატრს ნამდვილ გამარჯვებას.

ვ. კიკნაძე (თეატრმცოდნე) — სპექტაკლმა მრავალმხრივ გამახარა. თეატრში მოვიდა ნამდვილი მწერალი, თავისი შესანიშნავი ქართულით, ჰუმანური იდეებით, დიდი სიმართლით, ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლია. პირდაპირ გამოვლენაა აქტიორული ნიჭიერებისა. ყველა — პატარა ეპიზოდიც კი — სათანადო შემოქმედებითი სიმაღლეა. მარჯანიშვილის თეატრი იბრძვის ქართული რეპერტუარის შესაქმნელად — ეს მისასალმებელი ტენდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციაა. მხატვრობა ხელს უწყობს მსახიობებს. სპექტაკლში არის გაჭიანურებული ადგილები, სჭირდება შეკვეცა. თეატრს ვულოცავ ამ დიდ სიხარულს.

ნ. შვანგირაძე (თეატრმცოდნე) — ჩვენს დრამატურგიაში საინტერესოდ მოვიდა ო. ჩხეიძე. ის ნამდვილ ქართულ ხალხურ ნიადაგზე დგას. ხალასი ენა, ხალხური სიბრძნე განსაკუთრებულ სიხარულს ანიჭებს მკითხველსა და მაყურებელს. დღეს ყველამ ვიგრძენით ეს სიხარული. მსახიობები ერთიმეორეზე უკეთესები არიან. ე. ყიფშიძე — უნიჭიერესი ქალია, დ. ქუთათელაძემ გამაოცა. ი. ტრიპოლსკი ერთი შემოსვლით სახეს იძლევა, მომეწონა მხატვრობა (მ. ხუციშვილი). იგი სპექტაკლის მთლიანობაშია. სასიამოვნოა მუსიკა (ა. ჩორგოლაშვილი). მაყურებელი მოხიბლული და ნასიამოვნები დარჩება.

აკ. კვანტალიანი (რესპ. სახ. არტ.) — სასიამოვნოა ო. ჩხეიძის მოსვლა თეატრში. ხალხი კეთილია, კეთილშობილია. სიმართლე გაიმარჯვებს — აი, რას ამბობს მწერალი თავის პიესაში. ჩვენი დიდი მასწავლებელი კოტე მარჯანიშვილი ყოველთვის იბრძოდა მსახიობთა გამოსავლინებლად, სპექტაკლის გამარჯვებას ხედავდა მსახიობთა გამარჯვებაში. ამ სპექტაკლში ყველამ შექმნა დასამახსოვრებელი სახე. ყველა დეტალი შესანიშნავად არის დამუშავებული, ამაშია თეატრის ძალა.

ო. ეგაძე (ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე) — ო. ჩხეიძის სახით გვყავს შესანიშნავი მწერალი და თეატრის დამსახურებაა, რომ მის ნაწარმოებს სიყვარულით გაუღო კარები. საერთოდ, უნდა ავღნიშნო, რომ მარჯანიშვილის თეატრი კამერტონია საქართველოს ხელოვნებაში. იგი მიდის სწორი შემოქმედებითი გზით და სხვა თეატრებსაც უჩვენებს მაგალითს — ამისათვის მადლობა და სიყვარული თქვენ — ყველას.

ა. ნულუკიძე (კულტურის სამინისტროს სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი) — პიესამ და წარმოდგენამ დატოვეს ძალიან დიდი შთაბეჭდილება. ეს სპექტაკლი ეკადრება კ. მარჯანიშვილის თეატრს. ცხოველი იუმორი, დამაჯერებლობა, სახეთა მთელი გალერეა. კაცი კაცსა ჰგავს, ქალი ქალს. არავინ არ ჰყეფს, არავინ არ ჰღმუის. სცენაზე ნამდვილი ადამიანები არიან. რეჟისორმა ი. კაკულიამ სწორად გახსნა სპექტაკლი, მისი ძარღვი, მისი რიტმი, ე. ყიფშიძე დაბადებულია მაგდას როლისათვის. ბრწყინვალედ განხორციელებული სახეებია, მსახიობები გამოირჩევიან უსიტყვო როლებშიც კი. თეატრს ვულოცავ ასეთი კარგი ავტორის მოსვლას, მშვენიერ მსახიობურ ანსამბლს. ამ სპექტაკლით თეატრმა კიდევ განამტკიცა თავისი ავტორიტეტი.

ვ. ჭელიძე (მწერალი) — რაც ქება ითქვა — ყველას ვეთანხმები. ო. ჩხეიძე უმართებულოდ იყო დატოვებული უყურადღებოდ. სასიხარულოა, რომ თეატრმა მოძებნა ეს პიესა და განახორციელა. ეს მისთვის კარგი სტიმულია. შესანიშნავი ქართული ისმის სცენიდან, აქტიორებით აღფრთოვანებული ვარ. პირველ მოქმედებას სჭირდება შეკუმშვა. ლირიკულ ხაზს მეტი ადგილის დათმობა სჭირდება.

ი. კაკულია (რეჟისორი) — ამ პიესის დადგმა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. მიხარია, რომ ამ დიდებულ თეატრში დაიდგა და თქვენი მოწონება დაიმსახურა.

გ. ლორთქიფანიძე (თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი და დირექტორი) — სპექტაკლზე მუშაობას დამთავრებულად არ ვთვლით. უფრო დავხვეწავთ და დავამუშავებთ. გზა თეატრისა, ეს არის ბრძოლა ქართული თანამედროვე რეპერტუარის შექმნისათვის. ამ ძნელ გზაზე უნდა დაგვეხმაროს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული თეატრი, პირველყოვლისა კი — ჩვენი მწერლობა.

ო. ჩხეიძე (მწერალი, პიესის ავტორი) — მადლობას იხდის.

*თავმჯდომარე გ. ლორთქიფანიძე (ხელ. დამს. მოღვაწე)*
*მდივანი გ. ტატიშვილი (რესპ. დამსახ. არტისტი)*

* * *

**ძალადობის პრობლემა, რომელიც სპექტაკლში იყო გამოხატული და სახელმწიფოსათვის საეჭვო ასოციაციებს იწვევდა, ალტაცების ატმოსფერომ გადაფარა. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ეს იყო 1965 წელი. ათი წლით ადრე კი სიტუაცია გაცილებით რთული იყო. დესტალინიზაციის პროცესი არც კი იყო დაწყებული. ამ ფონზე დიდი აურზაური გამოიწვია აკ. დვალიშვილის სპექტაკლმა — მ. ჯაფარიძის „ჩვენებურებმა“, რომელსაც პირველად „ზემო იმერლები“ ერქვა. პიესა რუსთაველის თეატრში წაკითხული იქნა 1955 წლის 10 სექტემბერს, საბჭოსა და დასის გაერთიანებულ სხდომაზე.**

### ოქმი №4

1955 წელი. 10 სექტემბერი.

რუსთაველის თეატრის სამხატვრო საბჭოსა და დასის გაერთიანებული სხდომისა.

დღის წესრიგი:

მ. ჯაფარიძის პიესის — „ზემო იმერლები“-ს კითხვაგანხილვა.

ვ. კიკნაძე — მე ყოველთვის დიდი პატრიოტი ვიყავი ამ პიესისა და მიმაჩნდა, რომ მისი დარჩენა სცენის გარეთ — შეცდომაა. უკვე რამდენიმე წელია ჩვენ ვეძებთ კარგ ქართულ პიესებს. ეს მაშინ, როცა ამხ. ჯაფარიძის პიესა რატომღაც ჩრდილში იყო მოქცეული.

დღეს ჩვენს თეატრს ყველაზე მეტად სჭირდება ნამდვილი ქართული პიესები. დასამალი არ არის, რომ ზოგჯერ პიესებს ქართული გვარები და სახელები აქვს მხოლოდ, ნამდვილად კი მასში არაფერია ქართული. აბა წარმოიდგინეთ რა იქნებოდა გორკის, ჩეხოვის პიესები, რომ ისინი უპირველეს ყოვლისა არ ატარებდნენ რუსი ადამიანის თვისებებს, რომ ისინი ნამდვილი რუსული პიესები არ იყვნენ, ასე იყო ყოველთვის მართალი ხელოვნება. ამ მხრივ ჯაფარიძის პიესა დიდ მოწონებას იმსახურებს, ავტორი შესანიშნავად იცნობს ქართველი გლეხის ცხოვრებას, მის ფსიქიკას, განწყობილებას. ეს გლეხი საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი როდია. იგი საბჭოთა ადამიანია თავისი მართალი ზნეობით, მხნეობითა და მისწრაფებებით. ამბობენ, თითქოს პიესაში სილარიბის მოტივებია ძლიერი და ამიტომ პიესა იდეურად საეჭვოა. ეს სრული გაუგებრობაა, სად წერია, საიდან გამოდის, რომ პიესა სილარიბეზეა დაწერილი? ნაწარმოების იდეა ეს რომ არ არის, განა ამას ღრმა ფიქრი უნდა? მწერალმა დაგვანახა, რომ ომი დიდი უბედურებაა, მას ხალხისთვის აურაცხელი ტანჯვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაქვს. ფაშიზმმა საბჭოთა ხალხს გაუგონარი უბედურება მოუტანა, მაგრამ იგი გმირულად გადაიტანა საბჭოთა ადამიანმა და გამარჯვებული დარჩა. მწერლის თქმით, ამ მძიმე ჟამს საბჭოთა ადამიანებმა შეინარჩუნეს და უკეთ გამოავლინეს მისი მაღალი თვისებები: ერთგულება სამშობლოსადმი, მეგობრობა და სიყვარული ურთიერთისადმი და უპირველეს ყოვლისა მონოლითური მთლიანობა. მწერალი ამას შესანიშნავად გადმოგვცემს, „ჭირსა შიგან გამაგრება“ არის პიესის ლაიტმოტივი და ეს არის მთავარი და არა სხვა. შესაძლებელია ჩვენ გვედაონ, სპექტაკლმა წაიბორძიკოს კიდეც, მაგრამ გვირჩევნია ჯანსაღად იდაონ, ვიდრე დუმილით შეხვდნენ.

ვ. ბერიძე — პიესამ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ მე ამდენი სიამოვნება დიდი ხანია არ მიმიღია. ნამდვილად მაღალმხატვრული ნაწარმოებია და შეუძლებელია მისი იდეურობის ეჭვქვეშ დაყენება. პირიქით, მე იდეური მხარე უფრო მომწონს. როცა ომის პერიოდის ამ ადამიანებს უყურებთ, რომლებმაც ბევრი გაჭირვება გადაიტანეს, თქვენ გჯერათ, რომ მართლაც ამ ზნეობის, ამ ადამიანებს შეეძლოთ გაემარჯვათ. ამით ვეთანხმები ამხ. კიკნაძის აზრს, რომ პიესა უნდა დაიდგას რუსთაველის თეატრში.

**ვ. ბერიძემ შემდეგ მოიყვანა მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები, რომ პიესა მაღალმხატვრულია.**

**წინასწარ ვგრძნობდი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო პიესის დადგმის შემთხვევაში. ამის საფუძველს იძლეოდა აკ. ხორავასა და ალ. აფხაიძის გამოსვლა.**

**ოქმში ვკითხულობთ:**

აკ. ხორავა — ეს პიესა რამდენიმე წლის წინათ მოვიდა, მე მაშინ მომწონდა. იგი ოსტატურად არის დაწერილი, მაგრამ მე მაინტერესებს, რა პრობლემებს პასუხობს პიესა დღეს, როცა ჩვენ გავიმარჯვეთ? რეჟისორმა სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატაროს და წარმოადგინოს საბჭოზე მისი მონაფიქრი დასამტკიცებლად, მანამდე კი ძნელია გაბედული მხარდაჭერა.

ა. დვალიშვილი — პიესაში არის დიდი სინამდვილე და ზოგიერთები ამან შეაშინა, მხატვრის ენით თქმული სიმართლე, რომელიც გვეხმარება უარყოფით მოვლენებთან ბრძოლაში, საშიში კი არ არის, არამედ სასურველია. ჩვენ ძალიან დავეჩვიეთ შელამაზებული ამბების გადმოცემას, სადაც ყველაფერი იდეალურად არის წარმოდგენილი, პარტიამ მწერლებს უთხრა, წერეთ სიმართლეო და აი, დღეს მოვისმინეთ მართალი პიესა ქართველი კაცის დიდ მორალზე, სისპეტაკეზე, კაცურ-კაცობაზე, ჩვენ უმტკივნეულოდ არ გაგვიმარჯვია და რატომ გიკვირთ, როცა ამ მხარეზე მიუთითებენ? პიესა ძალიან მომეწონა და იგი უნდა დაიდგას ჩვენს თეატრში.

ა. თოიძე — პიესა უდავოდ დიდ ყურადღებას იქცევს, შესანიშნავი ენით არის დაწერილი, მე არ მესმის, რად არის საშიში იმის თქმა, რომ ომის დროს ჩვენ გვიჭირდა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ, სულით არ დავცემულვართ, განა ეს უკეთესი არ არის? ეს ხომ ფაქტია და რად უნდა დავმალოთ?

ე. აფხაიძე — ჩვენ საკითხი დღეს უნდა გადავწყვიტოთ ხელის აწევით. პიესა იმდენად შესანიშნავად არის დაწერილი, რომ ნაკლის თქმა მიჭირს. უდავოა, რომ პიესა იდეურად საეჭვოა, ამისთანა სოფელი ფრონტს ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევდა, მასში კონფლიქტი არის საზოგადოებრივ წყობასთან. შიმშილის მოტივები უნდა შემოკლდეს, როგორადაც არ უნდა გადავეფაროთ, ეს აშკარაა. ვერიდოთ, არ გამოგვივიდეს სოციალური გარემოს კრიტიკა. პიესაში არის შინაგანი დინამიკა, მაგრამ ეს არ კმარა. რა თქმა უნდა პიესის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, ცოტა მუშაობა გამოასწორებს ამ ნაკლს.

**ალ. აფხაიძის განცხადება, რომ „პიესა იდეურად საეჭვოა“ სავსებით საკმარისი სიგნალი იყო ზემო ინსტანციებისათვის. ალ. აფხაიძეს არსებითად მხარი დაუჭირა მხატვარმა დ. თავაძემ.**

**ოქმში ნათლად ჩანს ორი მხარის დაპირისპირება:**

კ. მახარაძე — მე ვეკუთვნი იმ ადამიანებს, რომლებიც სწორედ პიესის იდეურ პოზიციებს იწონებენ.

ჩვენ ყოველთვის ველოდებით, თუ ვინ რას გვეტყვის. მოსკოვში იწერება უფრო თამამი პიესები, მაგრამ ამისათვის ისინი არ გაუკიცხავთ, განა კორნეიჩუკის „ფრთებში“ ნაკლები კრიტიკაა ჩვენი სინამდვილის უარყოფითი მხარეებისა? ანდა სად არის კრიტიკა ჯაფარიძის პიესაში? მასში გარკვევითაა დასმული დიდი მორალური, ზნეობრივი საკითხები. ახსნილია ობიექტური მიზეზები ხელმძღვანელობისა. ნაჩვენებია, რომ ამაში ბრალი მიუძღვის ფაშიზმს და ამასთანავე — მთის მწირ ნიადაგს. რა შუაშია სოციალისტური გარემო? არა, ამხანაგებო, ასეთი მშიშრობით დიდი არაფერი არ შექმნილა და არც შეიქმნება.

ჯაფარიძის პიესა დიდი გემოვნების, კულტურის პიესაა და იგი უნდა დავდგათ. უფრო მეტიც, საჭირო იქნება „პერსონალური საქმე“ გადავდოთ და „ზემოიმერლებზე“ ეხლავე დავიწყოთ მუშაობა.

დ. თავაძე — მე ამ პიესაში ყველაფერი მომეწონა, ყველაფერი სიმართლეა. მე პიესა საერთოდ მომწონს, მაგრამ იდეური მხარე მაეჭვებს, ზედმეტი სილარიბე ხომ არაა?

გ. გეგეჭკორი — მე სიამაყის გრძნობით ვამბობ, რომ საქმე გვაქვს დიდი იდეებისა და მორალის პიესასთან და ამდენადვე მიკვირს, საიდან მოდის მის იდეურ მხარეში დაეჭვება. არსად არავითარი საეჭვო არაა. პიესის იდეაა ის, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი სულისა და გრძნობისანი არიან, მათ შეუძლიათ ყოველგვარი განსაცდელი გადაიტანონ, რათა მტერი მოსპონ. განა ეს არის იდეური დაეჭვება? სილარიბე აქ მხოლოდ მხატვრული საშუალებაა.

ფ. ლაპიაშვილი — მე პიესა მომწონს, მხოლოდ საჭირო იქნება ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობა მის სცენურ სრულყოფაზე.

მ. ჯაფარიძე — მე მადლობელი ვარ ამ გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის, ნათელი იყო გამოსული ამხანაგების პოზიცია. ჩემი პიესის იდეაც ნათელია, რა თქმა უნდა, სილარიბე რა მოსატანი იყო, მე ხომ ამაზე არ დამიწერია პიესა?

ამხ. ჯაფარიძემ რამდენიმე სწორი შენიშვნა გაუკეთა ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლას.

პ. კანდელაკი — პიესამ ჩემზე მაღალი შთაბეჭდილება დატოვა, მე მომხრე ვარ მისი დადგმისა. ცხადია, ისეთი პიესა არც ჩვენ გვინდა, სადაც არაფერია საინტერესო და

სადავო. ხელოვნებას უყვარს აზრთა ჭიდილი, მკითხველისა და მაყურებლის გრძნობისა და გონების ამოძრავება, დიახ, გვედაონ, ჩვენ კი შევეცდებით სცენიდან დავანახოთ მართალი და ჯანსალი ცხოვრება, დავანახოთ, თუ როგორ შეუდრეკელნი და ქედუხრელნი არიან საბჭოთა ადამიანები.

დასასრულ, ავტორს მადლობა გადაუხადა ამხ. კანდელაკმა. დამსწრენი ტაშით შეხვდნენ პიესის მიღებას.

*დირექტორი, სარეჟისორო კოლეგიისა და სამხ. საბჭოს თავმჯდომარე /პ. კანდელაკი/*
*მდივანი ვ. კიკნაძე*

* * *

**მ. ჯაფარიძის პიესა დადგა აკ. დვალიშვილმა. გარდა იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც ოქმშია გამოხატული, დაემატა სპექტაკლის ესთეტიკური ორიენტირი, რუსთაველის თეატრის ტრადიციისაგან სრულიად განსხვავებული სტილისტიკა. სცენიდან გაქრა „საკოლმეურნეო სოფლის" სტანდარტული მოდელი, დაიკარგა ამაღლებული გმირულ-რომანტიკული პათოსი. ბულბულის გალობასავით გაისმა წარმოდგენის თბილი, პოეტური ინტონაციები. სრულიად იცვლებოდა რუსთაველის თეატრის ესთეტიკა. ასეთ დროს სავსებით გასაგები იყო ა. ხორავას პოზიცია, რადგან სწორედ მის თეატრს უპირისპირდებოდა „ჩვენებურები", მაგრამ პოლიტიკა არაფერ შუაში არ იყო. ეს ინერციული აზროვნებისა და 37 წლის რეპრესიების შედეგების გამოძახილი იყო.**

**ალ. აფხაიძემ კი სპექტაკლის შემდეგაც გააგრძელა ბრძოლა.**

**წარმოდგენა რამდენჯერმე გასინჯეს, არ გაუშვეს. პირდაპირ ანეკდოტური იყო შენიშვნები. მაგ. პიესის ერთ-ერთი გმირი, სასაფლაოს დარაჯი გეგელა ამბობდა, რომ საჭიროა ეკლესიის ეზოს შემოღობვა, ბოლოს და ბოლოს, რაიკომის მდივანიც ხომ აქ უნდა დაიმარხოსო.**

**პოლიტიკურად მიუღებელია სცენიდან რაიკომის მდივანზე ასეთი რამის თქმაო.**

**1956 წლის 4 იანვარს მოეწყო ჩასწორებული სპექტაკლის ხელახალი ჩვენება. სპექტაკლს დაესწრო ხელმძღვანელობა.**

2602.

### ოქმი №1

რუსთაველის სახ. თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომისა.
4 იანვარი, 1956 წელი.

სხდომას ესწრებიან: კულტურის მინისტრი ა. გუნია, ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი, მოადგილე ვ. ქოჩორაძე, მინისტრის მოადგილე ი. სხირტლაძე, სამმართველოს უფროსი ვ. კუპრავა.

დღის წესრიგი:
მ. ჯაფარიძის პიესის „ჩვენებურების" განხილვა.

მოისმინეს: ამხ. დვალიშვილმა სხდომას გააცნო ის ცვლილებანი, რომელიც პიესაში იქნა შეტანილი ცენტრალური კომიტეტისა და სხვა ამხანაგების შესწორების საფუძველზე.

დასასრულ აკ. დვალიშვილმა აღნიშნა, რომ კუპირება რომელიც ჩატარდა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პიესას და საერთოდ იგი არავითარ დაეჭვებას არ იწვევს.

მ. ჯაფარიძე — კუპირების უფლება, რა თქმა უნდა, აქვს თეატრს, მე ამას არც ვართმევ, მაგრამ ამოღებული იქნა ისეთი ადგილები, რომლებიც უთუოდ ცუდ გავლენას ახდენენ პიესის იდეურ მხატვრულ ხარისხზე. ნაწარმოებს ეკარგება ხორცი. განსაკუთრებით მაღელვებს სასაფლაოზე მესერის მორღვევის საკითხი. ამის ამოღება მე უხეშ შეცდომად მიმაჩნია. აქ არის ტრადიციებისა და მოვალეობის დაპირისპირების, შეთანაბრების საკითხი და ამიტომ უფრო მრავალმხრივად არის წარმოდგენილი ტარიელის სახე. მე მგონია, რომ უნდა დარჩეს ტარიელის სიტყვები — „მაგას საქმე უყვარს, მაგრამ ადამიანი კი არაო". რა არის ამაში ცუდი? განა ცოტანი არიან ჩვენთან საქმოსნები, რომელთაც ადამიანები არ უყვართ?! არასწორად არის შესწორებული ზენარას სახლიდან წასვლაც.

ა. გუნია — ეს ადგილი მაინც დამაჯერებელია და გასაგებია მაყურებლისათვის.

მ. ჯაფარიძე — მე აქ დავას არ დავიწყებ ცალკეულ ფრაზებზე, მაგრამ რაც აღვნიშნე, არსებითად მიმაჩნია და ამიტომ ვფიქრობ, რომ სასურველია იგი დარჩეს.

დ. ჩხიკვიშვილი — ამ შესწორების შემდეგ პიესა გასწორდა თუ გაფუჭდა?

აკ. დვალიშვილი — პრინციპში პიესას არაფერი არ დაუკარგია, რა თქმა უნდა ნიუანსების სახით მაინც დააკლდა ნაწარმოებს.

დ. ჩხიკვიშვილი — მესრის მორღვევა შეიძლება დარჩეს, ამით დიდი არაფერი მოემატება პიესას, არც მისი ამოღებით დააკლდება ბევრი. საერთოდ კი უმჯობესია ეს ადგილი მაინც შესწორდეს.

ა. გუნია — ეს ცუდი სცენა არ არის, მაგრამ მისი დატოვება აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

მ. ჯაფარიძე — მე საერთოდ სიუჟეტური სიმძაფრე არ მიყვარს, მთავარია ხასიათები. ყოველი დიდი ნაწარმოები სიუჟეტურად ნაკლებად ხაზგასმულია, ხოლო ხასიათები უაღრესად აქცენტირებული. პიესა არ არის დაწერილი სილარიბეზე, მასში მთავარია საბჭოთა ადამიანების მორალური ზნეობრივი მხარე. ნაჩვენებია, თუ რამდენად ძლიერნი არიან საბჭოთა ადამიანები, როცა მათ ელობება დიდი დაბრკოლება.

დ. ჩხიკვიშვილი — ეგ მართალია, მაგრამ პიესაში ისედაც მუქად არის დახატული მათი ცხოვრება და აღარაა საჭირო ზედმეტად გამუქება. ხომ არ შეიძლება მინაგოსა და ზენარას შეხვედრა ფინალში ცოტა შესწორდეს?

პ. კანდელაკი — ჩვენ პიესაში შევიტანეთ გარკვეული შესწორებანი, რომლებიც მიგვითითეს. ზოგიერთ შენიშვნას ჩვენ ადრევე ვგრძნობდით, მაგრამ ვფიქრობდით, რომ იგი თანდათან დაიხვეწებოდა. დღეს განახეთ შავი სამუშაო, რა თქმა უნდა, ეს ანელებს საერთო შთაბეჭდილებას. თეატრის ხელმძღვანელობა ერთხელ კიდევ გადახედავს პიესას და ფიქრობს, რომ მაყურებელს სპექტაკლს უჩვენებს 14 იანვარს. თუ გნებავთ ერთხელ კიდევ მოვაწყობთ საჩვენებელ სპექტაკლს და შემდეგ მივცემთ პრემიერას. ან თუ საჭირო არ არის, პირდაპირ ვუჩვენებთ პრემიერას.

ა. გუნია — თუ სარეჟისორო კოლეგია დარწმუნებულია თავის აზრში, არავითარ კომპრომისზე არ უნდა წავიდეს, მას უნდა ეყოს იმდენი პრინციპულობა, რომ დაიც-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვას თავისი შეხედულება. უდავოა, რომ პიესა მხატვრულად დამაჯერებელია. კარგია ნაწარმოების თემა, გადმოცემულია ჩვენი ადამიანების ზნეობრივი სიმაღლე, სიფაქიზე. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მსახიობთა ნამუშევარმაც. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ თეატრმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს თანამედროვეობის ამსახველ პიესებს, აქტუალურ თემებს.

ვ. კიკნაძე — მარტო თემის აქტუალობა არ კმარა. ხშირად თემა აქტუალურია, მაგრამ მხატვრულად ისე სუსტად არის სინამდვილე ასახული, რომ მისგან არავითარი აქტუალური არ რჩება.

ა. გუნია — რა თქმა უნდა თემის აქტუალობა არ კმარა, მაგრამ თეატრის რეპერტუარში წამყვანი ადგილი მაინც თანამედროვე თემატიკას უნდა ეჭიროს. მეტი ხაზგასმა სჭირდება მინაგოს სოფლიდან წასვლას. პიესაზე იმუშავეთ და შემდეგ, როგორც წესია, აჩვენეთ პრემიერა.

პ. კანდელაკი — პრემიერის წინ 3-4 დღით ადრე მოვაწყობთ საჩვენებელ სპექტაკლს, ხოლო 14-ში მივცემთ პრემიერას.

*სამხატვრო საბჭოსა და სარეჟისორო კოლეგიის*
*თავმჯდომარე პ. კანდელაკი*
*მდივანი ვ. კიკნაძე*

* * *

„ჩვენებურების“ ირგვლივ დიდი აჟიოტაჟი იყო, არ ცხრებოდა პოლიტიკური ბრალდებები. ერთ-ერთ სპექტაკლზე მოვიწვიე გ. ნატროშვილი, მაშინ ის „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი იყო. ფართო ერუდიციის მწერალი გახლდათ. მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, რომელიც შემდეგ მეგობრობაში გადაიზარდა. მისი მხარდაჭერის იმედი მქონდა და ამიტომ მოვიწვიე სპექტაკლზე. წარმოდგენა მოეწონა — რას ერჩიან? რა ამბავია ატეხილი? — მკითხა და ყველაფერი ვუამბე. მაშინ ბატონმა გიორგიმ მითხრა: ვასო, დაწერე რეცენზია სხვისი გვარით, რომელიმე მეგობრის გვარით, და დავბეჭდოთო. მე, როგორც სალიტერატურო ნაწილის უფროსს „ჩემივე“ თეატრის წარმოდგენის რეცენზირების უფლება არ მქონდა. დავწერე ჩემი მეგობრის გვარით რეცენზია — „მართალი ადამიანები სცენაზე“. წერილი დაბეჭდა ბატონმა გიორგიმ. ეს იმას ნიშნავდა, რომ წერილმა ცენზურა გაიარა და სპექტაკლს მიეცა საზოგადოებრივი შეფასება.

ერთ დღეს წარმოდგენის სანახავად მოვიდნენ ცეკას პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე, „კაგებეს“ თავკაცი ა. ინაური და სხვები. მთელი თეატრი ფეხზე დადგა, მომხრეებიც ღელავდნენ და მოწინააღმდეგეებიც.

სპექტაკლის შემდეგ დირექტორის პ. კანდელაკის კაბინეტში შევიდნენ:

— რატომ აჩერებდნენ წარმოდგენას? რა უნდოდათ? — იკითხა მჟავანაძემ.

— ძალიან მუქ ფერებშია გამოხატული ხალხის გაჭირვებაო — უპასუხა დირექტორმა.

ვ. მჟავანაძემ ინაურისაკენ მიიხედა და თქვა: ვისაც მაშინ არ უჭირდა, უპატიოსნო იყო. აქ ყველაფერი სიმართლეა...

ასე გადარჩა თეატრი პოლიტიკური ბრალდებებისაგან.

ყველაფერი ეს ჩვენი თეატრის უახლესი ისტორია და ჩვენი ცხოვრების ნაწილია.



# გასაღები „ცხონების კარიბჭისა“

თბილისის პირველ საჯარო სკოლაში გაიმართა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების წარდგენა და პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის თემა უაღრესად აქტუალური იყო: „იაკობის „დედა ენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა“.

საზოგადოების თავმჯდომარის მღვდელი **კონსტანტინე გიორგაძის** შესავალი სიტყვა, არსებითად, იყო მეტად საგულისხმო მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი, იმის აღნიშვნა, რომ გოგებაშვილის „დედა ენა“ „ის კარია, რომელიც ქართველ ერს ულებს უფრო დიდ კარს —ცხონების კარიბჭეს... რომ ამ კარიბჭის გასაღებია განუმეორებელი, უნიკალური მიგნება — „აი ია“. იაკობს ეს საიდუმლო ღვთისგან ეუწყა, ეს უდიდესი მადლი მას ქართველთა განსანათლებლად ებოძა. ღვთის სწავლება და ნება კი არასოდეს ძველდება“.

მამა კონსტანტინემ გამოსვლა ასეთი მოწოდებით დაამთავრა: „დღეს ისევ უნდა დაბრუნდეს გოგებაშვილის „დედა ენა“ ქართულ სკოლაში. ეს აუცილებელი წინაპირობაა საქართველოს სულიერი და შემდეგ ტერიტორიული გამთლიანებისა. დამერწმუნეთ, გოგებაშვილის გზა ქრისტეს გზაა, რომელიც აუცილებლად შეკრებს უგზოუკვლოდ გაფანტულ ქართველ ერს და ტაძართან მიიყვანს“.

საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა **გიორგი გოგოლაშვილმა** კონფერენციას გააცნო გამოკვლევა, რომლის მიხედვითა დგინდება, რომ სახელი „დედა ენა“, მშობლიური ენის მნიშვნელობით, იაკობმა გამოიგონა და შემოიტანა ქართულ სინამდვილეში, რაც ილიამ და აკაკიმ უმალვე მიიღეს და ხელიც შეუწყვეს მის დამკვიდრებას.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები **დოდო (მარიამ) ღლონტი**, **ავთანდილ არაბული**, **იოსებ ჭუმბურიძე**, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **რუსუდან მირცხულავა**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ლუიზა ცომაია**, გამომცემელი **აკაკი ბრეგაძე**, ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე **დარეჯან ხაჩიძე**, ფსიქოლოგი **თინათინ თიაბაშვილი**. ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების დაცვის აუცილებლობაზე მწვავედ ისაუბრა მიტროპოლიტმა **ანანიამ** (ჯაფარიძე).

თანამედროვე ქართული სკოლიდან განდევნილია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, სანაცვლოდ გამოსულ თანამედროვე (?!) სახელმძღვანელოებში სრულიად უგულებელყოფილია გოგებაშვილის მეთოდოლოგიური პრინციპები, პირველკლასელებს სთავაზობენ მდარე მხატვრული დონის ტექსტებს, რაც უდავოდ უარყოფით დაღს დაასვამს მოზარდთა ზნეობრივ აღზრდას, მათი გემოვნების ჩამოყალიბებას! — ასეთი იყო თითქმის ყველა მოხსენების დედააზრი. ამიტომაც ჰგავდა ეს კონფერენცია განგაშის ზარის ჩამოკვრას.

საგულისხმოა, რომ კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს მიმართვას, რომელიც გაეგზავნა შესაბამის უწყებებს, რათა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, როგორც მისი უნიკალური მეთოდოლოგიის ნივთიერი გამოხატულება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადდეს. მიმართვაში დასაბუთებულია ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები.

საზოგადოება აპირებს, უახლოეს მომავალში იაკობ გოგებაშვილის წმინდანად შერაცხვის საკითხი დააყენოს. საამისოდაც ყველა საფუძველი არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# ქართული დუელიანა

## XII

ერთადერთი სამხედრო პირი, ვინც დუელში გამოითხოვს შეურაცხმყოფელს, დავით კლდიაშვილია, ჩვენთვის უპირველესად მწერალი, მაგრამ მაინც ის პიროვნება,ვისთვისაც უცხო არა ყოფილა იარაღი. და ამბავს თვითონვე შემოგვინახავს მოგონებათა წიგნით „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

1896 წლის ზამთარში ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე რომ გარდაიცვლებოდა, „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ გამოეხმაურებოდა მის გასვენებას — სასაცილოდ აიგდებდა ხალხის მგლოვიარებას, პროცესიის მსვლელობას, მონაწილეებს, და იმასაც კი ირწმუნებოდა, შეთქმულება მზადდებოდა ამ დღისათვის, მაგრამ ფხიზლად მყოფმა მთავრობამ დროულად შეიტყო ყველაფერი და საჭირო ზომებიც მიიღო, რათა ვერაფერი გაებედნათ, და ვერც გაბედესო.

ზოგადი შინაარსი სავსებით გვიდასტურებს, ამ გაზეთის („გათახსირებული, ჭუჭყიანი“), კორესპონდენციისა („ყოვლად უმგვანო, შეუწყნარებელი, საზიზღარი, ურცხვი, მახინჯი“) და რედაქტორ პალმის („ურცხვი“) მწერლისეული დახასიათების მიუკერძოებლობასა და ეპითეტთა ზუსტ მისადაგებას.

დავითი ბატალიონის კანცელარიაში იმყოფება, ამ წერილს რომ წაიკითხავს, და ჩაათავებს თუ არა, მივარდება გადამწერთა ოთახში ტელეფონს:

— ცენტრალური... ჩერნომორსკი ვესტნიკის რედაქცია... რედაქტორი პალმი... პალმი ხართ?!. რა სინდისმა მოგცათ ნება ისეთი უმგვანო წერილი მოგეთავსებინათ გაზეთში, როგორიც არის დღეს გაბრიელ ეპისკოპოზის გასვენების შესახებ?!. თქვენ არ იშლით კლოუნობას და გირჩევნიათ დაუბრუნდეთ ჯამბაზობას, როგორც იყავით აქამდის! თქვენისთანა გათახსირებულ, ყოვლად გაფუჭებულ კაცს რა ხელი აქვს რედაქტორობასთან... თქვე სინდისგარეცხილო!

ტელეფონი გაწყდება. დავით კლდიაშვილის აღელვებულ ლაპარაკზე უამრავი ოფიცერი მოგროვდება კანცელარიაში და მათი ცნობისწადილის პასუხად იგი გაზეთის იმ წერილს გააცნობთ. მოისმენენ და ყველა იმ აზრს გამოთქვამს: პალმი არათუ გასალანძღია, არამედ შეუბრალებლად საცემიო.

რედაქტორი ციხის უფროსთან უჩივლებდა: თქვენი კანცელარიიდან მაგინებენო, მეორე დღეს კი გაზეთში მოათავსებდა პატარა წერილს, თუ როგორ გაილანძღა რედაქტორი, და ურიგოდ იხსენიებდა გამლანძღველს, რომლის გვარსაც არ ასახელებდა, თუმც იმუქრებოდა, აუცილებლად ვამხელო. რაც მთავარია, საზოგადოებრივი აზრის დაბნევა და მიმხრობა მოენდომებინა: ასეთი საქციელი თუ დაუსჯელი დარჩება, ტელეფონით ხვალ თვითეულ თქვენგანს მიაყენებენ შეურაცხყოფასო.

რას აპირებ ახლაო, — ჰკითხავდა დავითს პოდპოლკოვნიკი დუმბაძე, ამ ახალ უდიერებას რომ გაეცნობოდა.

— პალმს პასუხი უნდა ვაგებიო!

— ამოირჩიე შენი სეკუნდანტები!

— რჩეულოვი და ლისოვსკი!

ეს ორი ოფიცერი, მუნდირებში გამოწყობილნი, მალევე მიადგებოდნენ პალმს და გამოუცხადებდნენ: დავით კლდიაშვილი დუელში გიწვევს და პასუხს ელოდებაო.

პალმი თავის მართლებას მოჰყვებოდა, მაგრამ ოფიცრები მტკიცედ მოსთხოვდნენ პასუხს და ვადად დაუთქვამდნენ ორმოცდარვა საათს.

საღამოს დავითს ციხის უფროსი დაიბარებდა, გამაგებინეთ, რა მოგივიდათ თქვენ და პალმს? ეს ორი დღეა მოსვენება არა მაქვს მისგან, ძალიან გიჩივითო.

ეს დაუფარავად გადაუშლიდა, თუ რა უმსგავსად იქცევიან ქართველთა მოძულენი და მათი შეუწყნარებელი მოქმედების ბრალია, რომ ერთმანეთში მტრობა იბადება და უსიამოვნო განწყობილება მწვავდება, მათი უპატივცემულო მოპყრობით როგორ ილახება ხალხის თავმოყვარეობა და ზნედაცემულმა პალმმაც როგორ არ დაინდო ხალხისაგან სათაყვანოდ მიჩნეული მიცვალებული და ბინძურად შეეხო მასაც და ხალხსაც.

და მღელვარე ტირადას ამ სიტყვებით დააბოლოვებს:

— ასეთი პირები არა თუ გასალანძღავია, არამედ გასაქრობი და მოსასპობი. მე წინააღმდეგი ვარ სისხლის დაღვრისა, მაგრამ პალმის სისხლს კი სიამოვნებით დავღვრი, თუ ბედი ამაში შემეწია.

გენერალი ჩაიცინებდა და სიცილით წამოიძახებდა:

ბელურა ჩიტი კი არ არის პალმი!..

ეს იმიტომ, რომ პოდპოლკოვნიკ დუმბაძეს ეთქვა მისთვის: დავითი კარგი მსროლელია და გაფრენილ ბელურას არ ააცილებს ტყვიასო.

შემდეგ კი აუწყებდა:

ეშმაკმა წაიღოს მისი თავი! ისეთი შეშინებულია, რომ ორჯერ იყო ჩემთან და სული შემიწუხა: რა ვქნა, მე იარაღის ხმარება არ ვიცი და რამენაირად დამიფარეთო. ისე გამხდალებულია, შემეცოდა კიდეც. ვურჩიე ბოდიში მოიხადოს თქვენთან და ისიც სიხარულით დათანხმდა. მეც გთხოვთ დაკმაყოფილდეთ მისგან ბოდიშის მოხდით ოფიცრების თანდასწრებით და ამით გაათაოთ საქმე. ხვალ შუადღისას მოვა თქვენს საკრებულოში და მოგიბოდიშებთ. იმედი მაქვს, ამის წინააღმდეგი არ იქნებითო.

მართლაც, მეორე დღეს საკრებულოს დარბაზში თავშეყრილი ოფიცრების წინაშე პალმი მოუბოდიშებდა დავით კლდიაშვილს და აღუთქვამდა, გაზეთში თვალსაჩინო ადგილას მოვათავსებ საბოდიშო წერილსო.

მოტივი პირადული რომ ყოფილიყო, როგორც უმთავრესად მომხდარა მსოფლიო დუელების ისტორიაში, მობოდიშებით დასრულდებოდა, მაგრამ რაკიღა ამ დუელის გამომწვევი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობაა, კიდევ უნდა გახიახდეს და დიდი მღელვარების შუაგულშიც მოექცეს.

საბოდიშო წერილი უკვე აიწყობოდა დასაბეჭდად, რომ საქმეში ახალი პირები ჩაერეოდნენ. შეიტყობდნენ თუ არა,

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №23

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალმი დუელში გაიწვიეს, პასუხად მოიბოდიშა და ახლა ამ ბოდიშის გამოქვეყნებასაც აპირებსო, მიცვივდებოდნენ მასთან, გაკიცხავდნენ და საბოდიშო წერილის დაბეჭდვაზე ხელს აალებინებდნენ.

განსაკუთრებით გაცხარდებოდა ციხის არტილერიის უფროსი, რაკილა ქართველებმა ხმოსნად არ აირჩიეს ბათუმის თვითმმართველობაში, და ციხის უფროსის კიცხვას მოჰყვებოდა, კლდიაშვილის მხარე რატომ დაიჭირაო. ატყდება ისეთი აურზაური, ქალაქს მეტი სალაპარაკო და საკამათო აღარაფერი ექნება.

პალმის მომხრეები მოინდომებდნენ მისთვის ოვაციების გამართვასა და საგანგებო ბანკეტის მოწყობას. დავითის მომხრეები კი მისთვის გადაწყვეტდნენ უფრო გრანდიოზული ბანკეტის გადახდას. არეულობა გრძელდება და ციხის უფროსი მთელ რუსობას მოიმდურებს, კლდიაშვილი არ დასაჯა და პალმი გაამტყუნაო. საყვედურები ისე შეაშინებდა ციხის უფროსს, გადაბრუნდებოდა და დავითის გამტყუნებას დაიწყებდა, მერე კი შეუთვლიდა: ორი თვის შვებულება აიღე და ბათუმს გაშორდი, ვიდრე აქაურობა დამშვიდდება და ამ ინციდენტსაც მიივიწყებენო.

დავითი უარს განუცხადებდა: შვებულებაში გასვლას გაქცევად ჩამომართმევენო.

— რაც უნდა ის მიყოს, მე კი ჩემით ბათუმიდან ფეხს არ გადავდგამ! — ასეთი იქნებოდა მისი საპასუხო შენათვალი.

ამასობაში ციხის უფროსს ტფილისში უჩივლებდნენ: აძლიერებს რუსების მოწინაალმდეგეთა ელემენტებსო. და იგი იძულებული შეიქნებოდა დედაქალაქში წასულიყო და ეს ბრალდება გაებათილებინა. დავითის წინაალმდეგ მთელი ამ ახალი აურზაურის სულისჩამდგმელ გენერალს კი რაღაც უცნაური სნეულება შეეყრებოდა — თავის ქალა გაუგანიერდებოდა — და სულსაც დალევდა. მის სიკვდილთან ერთად ყაყანიც შეწყდებოდა და მიჩუმდებოდა.

ასე დაბოლოვდებოდა ყველაფერი პოლიტიკური ფარსით.

## XIII

თვალსაჩინო რუსი მოჭადრაკე დუზ-ხოტიმირსკი თავის კრებულში „რჩეული პარტიები" გაიხსენებს, თუ როგორ გამოქვეყნდა ერთ გაზეთში მის მიერ მოგებული პარტია ანდრია დადიანთან, თუ როგორ იგრძნო თავი ამის გამო შეურაცხყოფილად ქართველმა გენერალმა და მოჭადრაკემ და როგორ გაიწვია კიევის საჭადრაკო წრის ყველა წევრი ოფიციალურად დუელში.

დუელი... არ შემდგარა.

ცხადია, არ გაიმართებოდაო, — ისეთი კილოთი დასძენს დუზ-ხოტიმირსკი, დრომოჭმულ მოვლენას, ისტორიულ ანაქრონიზმს რომ შეეფერება.

ეს ამბავი 1902 წელს მომხდარა და დუელების ჟამი კი გადავლილია, მაგრამ ისეც არა, რომ მისი გამართვა სრულიად გამორიცხული იყოს.

ამიტომ ეს „ცხადია" თავის დამშვიდებაზე უფრო მიგვანიშნებს, თითქოსდა ქართველი თავადის გამოწვევა სერიოზულად არც აღიქვეს, თუმც სტრიქონსა და სტრიქონს შუა მაინც გამოსჭვივის, რომ არც დუზ-ხოტიმირსკისა და არც სხვა კიეველ მოჭადრაკეებს მთლად სახუმაროდ არ უნდა ჰქონოდათ საქმე.

მითუმეტეს, აქ რაღაც უფრო მეტი უნდა იფარებოდეს, ვიდრე წაგებული პარტიის დაბეჭდვაა. ანდრია დადიანის დამარცხებით დასრულებული პარტიები სხვა დროსაც გამოქვეყნებულა, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ვაჟს ვინმე დუელში გამოეწვიოს. ემოციური პიროვნება კი გახლდათ და ჭადრაკშიც რომანტიკული სტილის მოთაყვანე, წარმტაც კომბინაციათა მთელ ციკლს რომ შექმნიდა და მისი რჩეული პარტიები მშვენიერ ლექსთა კრებულს ამიტომაც გაუტოლდებოდა, მაგრამ მისი თავმოყვარეობა არასოდეს შელახულა წაგებითა თუ ამ წაგების გახმაურებით და დუელი რატომ უნდა მოფიქრებოდა.

თენგიზ გიორგაძეს დამაჯერებელი არ მოეჩვენებოდა დუზ-ხოტიმირსკის ის მემუარული ჩანაწერი და უხუცეს მოჭადრაკეს საგანგებოდ გამოჰკითხავდა იმ ეპიზოდის დეტალებს: რა პარტია წააგო ანდრია დადიანმა ამისთანა, რომ ამხელა ამბავი ატყდაო.

ის პასუხად გაიღიმებდა: ანდრიას, როგორც გენერალს, ოფიციალურ საჭადრაკო ტურნირებში გამოსვლის უფლება არ გააჩნდა, ამიტომ შინ იწვევდა სათამაშოდ ძლიერ მოჭადრაკეებს და მეც ასე მოვხვდი მასთან. სტუმართმოყვრულად მხვდებოდა და სადილადაც მტოვებდა. მატჩში ერთი პარტია ლამაზად მომიგო და, როგორც სჩვეოდა, ეს პარტიაც თავისი შენიშვნებით პარიზში გაგზავნა, ჟურნალ „სტრატეჟიის" რედაქციაში, სადაც მეგობრები ჰყავდა. რედაქციას პარტიის ის ფინალი მოსწონებია, რომელიც შესაძლოა გამოსულიყო, თავადს სხვა სვლა რომ ეთამაშა, და გამოქვეყნებით იმ შესაძლო გაგრძელებით გამოაქვეყნა. მე ძალიან მეწყინა ასეთი ცვლილება, ანდრია კი გაკვირვებული იყო, ასე არ გამიგზავნიაო. ზოგ ჩემს მეგობარს დადიანი არ ეჭაშნიკებოდა და შემომიჩნდნენ, სამაგიეროს გადაუხადეო. მე უარზე ვიყავი, მაგრამ თავისი გაიტანეს და მასთან ყველაზე კარგად მოგებული პარტია გაზეთში ამიტომაც დავბეჭდე. რა თქმა უნდა, თავმოყვარე დადიანს ეს არ ესიამოვნა, მაგრამ იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს: შესანიშნებლად „მტრები" დუელში გამოიწვია. მან კარგად იცოდა, რომ დუელმა თავისი დრო მოჭამა და არ შედგებოდა. ისე კი ყველანი კარგად დაგვაფრთხოო.

ჩვენი საჭადრაკო ჟურნალისტი სთხოვდა, რაკილა წიგნში ეს ყოველივე ასე არ წერია, იქნებ „ლელოსათვის" დაგვიწეროთ ისე, როგორც ახლა მიამბეთო.

მერეც ბევრჯერ შეახსენებდა, მაგრამ ის — თუმც დათანხმებით მაშინვე დათანხმდებოდა — დანაპირებს არ შეასრულებდა.

მაგრამ თურმე ეს ეპიზოდი აქ არ მთავრდებოდა.

კარგად დაგვაფრთხოო, — რუსი მოჭადრაკე ღიმილით რომ იგონებდა, მაშინ სალიმილოდ არა ჰქონია საქმე და ის გულისხეთქება, რაში გავიხლართეო, უკარნახებდა, მოებოდიშებინა ანდრია დადიანის წინაშე და მომნანიე ბარათს გაუგზავნიდა: გულწრფელად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაპატიოთ ჩემი დაუდევრობაო.

ამ ბარათს თენგიზ გიორგაძე იპოვნიდა ანდრია დადიანის არქივში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე შეიკვროდა წრე და ქართული დუელიანას კიდევ ერთი ეპიზოდი თავით ბოლომდე გვექნებოდა უკვე ხელთ.

ასე გამოირკვეოდა, რომ ნაგებული პარტიის დაბეჭდვას არ ალუშფოთებია ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი, სამაგიერო მიზლვის იმ უკადრისმა ხერხმა გააგულისა, რადგანაც დუზ-ხოტიმირსკიმ მისგან აკი იცოდა, რომ პარტიის ფინალი ანდრია დადიანს არ შეუცვლია. და თუ რედაქცია ჩაერია უხეშად, მაშ თავადი პირნათელი ყოფილა იმ კაცის წინაშე, ვისაც ასე ხელგაშლით და მეგობრულად ხვდებოდა და არ ეგონა, მისი კეთილშობილებით თუ მოინდომებდნენ ესარგებლათ და ანგარიშის გასწორება ეცადათ.

ანგარიშსწორება რა იყო, უჩვენებდა დუზ-ხოტიმირსკისაც და მის ამფსონებსაც და სათითაოდ ამიტომაც გამოიწვევდა დუელში. საკმაოდაც დაუფრთხია და იძულებული გაუხდია მთავარი გმირი, ბოდიშები ეხადა. სიტყვიერ შეთვლას არ იყაბულებდა ანდრია დადიანი და წერილობით მონანიებას გაამზადებინებდა.

დუელმა თავისი დრო მოჭამა და არ შედგებოდაო, — ასე ახსნიდა მოგვიანებით იმ საბოდიშო ბარათის ავტორი.

თუ ორთაბრძოლის ამ წესს დრო მოეჭამა, რილასთვის სჭირდებოდა თავზე ნაცრის დაყრა?

თუ დაიმალებოდა და ასე აარიდებდა თავს დუელს, სახელი გაუტყდებოდა საზოგადოებაში, ასე რომ, სახუმარო არ ყოფილა ანდრია დადიანის ის შენათვალი.

ამიტომ უჯობდა ელიარებინა თავისი შეცოდება.

წიგნში ბუნდოვნად და მიკერძოებით გაიხსენებდა.

პირადი საუბრისას უფრო გულწრფელად.

დოკუმენტური წყარო კიდევ უფრო გაანათებდა მის მონაყოლს.

ესეც კიდევ ერთი ჩაშლილი დუელი ქართველი კაცის მონაწილეობით.

## XIV

ნიკო ლორთქიფანიძეს მეგობრები მთელ ღამეს ავარჯიშებენ ფარიკაობაში, რათა მეორე დღეს, დუელისას, ასე თუ ისე შეძლოს თავის დაცვა.

ალბათ ფარიკაობაში ერკვევა და ახლა მეტი განაფვა აჭირდება, რაკილა სახუმარო საქმე არ არის ორთაბრძოლაში გასვლა.

თუ ქართულ დუელიანას გაიხსენებ, სწორედაც სახუმაროდ მოგეჩვენება, მაგრამ იქნებ როდისლაც დაირღვეს ეს იდილია და დუელში მონაწილეობა ქართველი კაცისათვისაც სამკვდრო-სასიცოცხლო აღმოჩნდეს?

და იქნებ სწორედ ეს ორთაბრძოლაა გამონაკლისი?

ჯერ ვინ იცის.

ამიტომაც ავარჯიშებენ ასეთი გულმოდგინებით.

ალბათ ერკვევაო...

თურმე... არა, დიახ, სრულიად არა — ნიკოს დაშნა მანამდე ხელშიც არა სჭეროდა.

რა გამოდის — ხელში დაჭერაც სახელდახელოდ უნდა ასწავლონ და ისე მოქნევაც, მისი ფაფხური ორთაბრძოლას დაემსგავსოს და იმდენი მაინც მოახერხოს, ისე არ წამოეგოს მოწინააღმდეგის დაშნას, სულიც დალიოს ზედ.

აბა, რის იმედად დათანხმდა დუელს?

რა ეღონა, როდესაც თავმოყვარეობაშელახულად იგრძნო თავი?

არადა, ხიფათი თითქოს არსაიდან იმზირებოდა.

1902 წელია და ნიკო ავსტრიაში იმყოფება სწავლის გასაგრძელებლად, ქალაქ ლეობენის სამთო აკადემიაში.

მისი ბინის კარს ასეთი წარწერა ამშვენებს: პრინცი ლორთქიფანიძე.

იგი გამონაკლისი არა ყოფილა, ევროპის ქვეყნებში მყოფი ყველა ქართველი უცხოელთათვის უცნობი საქართველოს პრინცობაზე სდებდა თავს, რასაც მემუარული ჩანაწერებიც შემოგვინახავდა და ქართული რომანებიც აირეკლავდა.

გამომწვევი საქციელი არასოდეს სჩვეოდა ნიკოს, გამაღიზიანებელს არაფერს იტყოდა და იმ დღესაც გიგოლი წულუკიძესთან ერთად რომ უჯდა მაგიდას სასადილოში, თავისთვის მშვიდად ათამაშებდა ხელში საშლელს.

ვის რას უშავებს.

არადა — გიგოლი წულუკიძე სულ ცოტა ხანში ნიკოს სეკუნდანტად უნდა იქცეს და ეს ეპიზოდიც მისი წყალობით შემორჩეს ნიკო ლორთქიფანიძის ბიოგრაფიასაც და ჩვენს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სინამდვილესაც. შინ მოჰყვებოდა დიდი ხნის შემდგომ ამ თავგადასავალს და მისი ვაჟი, ანტონ წულუკიძე რომ შეიტყობდა, ელისო აბრამიშვილი ამ დიდებული მწერლის ცხოვრების ქრონიკას ადგენსო, გამოსაქვეყნებლად მას გადაულოცავდა.

ზის ნიკო მეგობართან ერთად და ათამაშებს საშლელს, რომელიც ლამის საბედისწერო როლს ითამაშებს.

ერთი უცხოელი ახალგაზრდა ლექტორი რატომღაც მოვალედ მიიჩნევდა თავს ქართველი სტუდენტისათვის დაეცინა ყველას თვალწინ, ნიკოს დაადგებოდა თავზე და ირონიული ღიმილით სთხოვდა საშლელის ჩუქებას.

სხვას იქნებ ხუმრობაშიც გაეტარებინა ლექტორის ეს უტაქტობა, მაგრამ ნიკოს თავმოყვარეობა ისე აბობოქრდებოდა, აღარაფერს დაგიდევდა, და ისეთ სილას სტკიცავდა დაცინვის მოყვარულს, კარგა ხნით დაუკარგავდა ხუმრობის ხალისს.

იმას ან ქუდი უნდა დაეხურა და აქაურობას სამუდამოდ გამოთხოვებოდა, ანდა შეურაცხმყოფელი დუელში გამოეწვია. თვითონ რომ იყო წამომწყები, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ გააჩნდა. სილა პასუხად სისხლს ითხოვდა და მეორე დღისათვის დანიშნული დუელი დროსაც არ უტოვებდა ახლომხედველ და ორთაბრძოლისათვის სრულიად მოუმზადებელ ჭაბუკს, ცოტა რიგიანად შეესწავლა დაშნის ტრიალი.

მისი ბედი თითქოს გადაწყვეტილია.

ერთადერთი გამოსავალი მობოდიშებაა — თავს დამნაშავედ სცნობს თუ არა, დუელიც ჩაიშლება, მაგრამ ნიკო ვერ დაივიწყებს, რომ წამომწყები მოწინააღმდეგეა და არა თვითონ, ამიტომაც თუ მობოდიშებაა, ჯერ იმან უნდა ითხოვოს პატიება.

ჩაშლით ორთაბრძოლა არ ჩაიშლება, მაგრამ კომიკური იერი მაინც გადაეკვრის, რადგანაც... გაიმარჯვებს ნიკო, ვისაც წინა ღამემდე ვერც წარმოედგინა, ოდესმე დაშნას თუ აიღებდა ხელთ.

ნეტა მოწინააღმდეგეს რა გამოცდილება ჰქონდა?

ისიც პირველად იმ ღამით ხომ არ ავარჯიშეს?

ან იქნებ ბედმა გადმოხედა ძალიან მოწყალე თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოს... და იმ მხრივაც გაუმართლა, რომ კაცის ცოდვა არ დაუდევს — მხოლოდ მსუბუქად დაჭრა ხუმარა ლექტორი.

ეს ჭრილობა საკმარისი აღმოჩნდებოდა, რათა მეტოქენი დაზავებულიყვნენ და შერიგებულიყვნენ.

ნიკოს ეჭვიც არ ეპარებოდა, თვით ღმერთმა გადმომაფარა წყალობის კალთაო, და უფლის მფარველობით დაიმედებული მეორე დუელისას გეზად კი არ დადგებოდა — როგორც წინასწარვე ურჩევდნენ მეგობრები — არამედ პირდაპირ და მკერდგამართული.

## XV

ასე იყო — მეორე დუელიც მოუხდა — უკვე მშობლიურ დედაქალაქში დაბრუნებულს 1907 წელს.

თუმც მეორე ორთაბრძოლა კინაღამ მანამდეც მოუხდა — ისევ იმ ქალაქში, ისევ იმ შენობაში.

პოეტისა და მთარგმნელის მიხეილ კინწურაშვილის (იასამანის ფსევდონიმით რომ არის ცნობილი) არქივში სხვა მასალებთან ერთად აღმოჩნდებოდა რვეულის სამფურცლიანი ხელნაწერიც: „ი. ჟღენტის მოგონება ნ. ლორთქიფანიძეზე“. მამუკა შელეგია ვერ გამოარკვევდა ავტორის ვინაობას, თუმც უცნობ მასალას გამოქვეყნებით გამოაქვეყნებდა, როგორც საგულისხმო პასაჟებითა და დეტალებით შემავსებელს „გულის“ შემოქმედის ბიოგრაფიისა.

ამჯერად მოგონების ერთი მონაკვეთია განსაკუთრებით ფასეული.

მისი კიდევ ერთი ჩაშლილი დუელი.

მანქანათმშენებლობას გამოჩენილი პროფესორი ბაუერი უკითხავდა, იმავდროულად აკადემიის რექტორიც რომ იყო. სტუდენტებს მიჩენილი ჰქონდათ დიდი დარბაზი, სადაც საღამოობით იკრიბებოდნენ და იმავე პროფესორის ხელმძღვანელობით მანქანის დეტალების ხაზვას სწავლობდნენ. პროფესორ ბაუერს მკაცრი ირონიით ლაპარაკი სჩვეოდა და, თუ სტუდენტის ნამუშევარში შეცდომას შენიშნავდა, რაც, რა გასაკვირია, იშვიათი შემთხვევა ვერ იქნებოდა, მოურიდებლად, ხმამაღლა, მთელი დარბაზის გასაგონად დასცინებდა და გამოლანძღავდა. სტუდენტები მიჩვეოდნენ მის მკაცრ შენიშვნებს და მორჩილებით უსმენდნენ.

აგერ კიდევ ერთი საღამო.

ნიკო განაგრძობს ნახაზებზე მუშაობას.

პროფესორი უახლოვდება მის მაგიდას, ამჩნევს ნახაზებში შეცდომას და მასაც, როგორც დაჩვეულიყო, მკაცრი შენიშვნებით მიმართავს.

ნიკო ერთხანს მდუმარედ უსმენს და მოულოდნელად აუღელვებლად მიუგებს:

— ბატონო პროფესორო, თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ.

ის სახტად დარჩებოდა, გაოგნებული მაშინვე შეანელებდა შენიშვნებს და მაგიდასაც მოსცილდებოდა.

რაკილა ირონიული კილო შეურაცხყოფად მიიღო, ნახაზზე მუშაობას მაშინვე მიანება თავი და გადაწყვიტა პროფესორის გამოწვევაც დუელში.

მაგრამ არსებული წესების მიხედვითო, — გვამცნობს მოგონება, — სტუდენტს არ გააჩნდა უფლება პროფესორის გამოწვევისა დუელში, თუ იგი სასწავლებლიდან არ გამოირიცხებოდა და თავის საბუთებს აკადემიიდან არ გამოიტანდაო.

ნეტა რომელი „არსებული წესები“ იგულისხმება?

ალბათ რომელიღაც დაუწერელი წესი, გარკვეული ეტიკეტის დაცვა, საკმაოდ ფეხმოკიდებული, თორემ ის, რაც კანონით სასტიკად იკრძალება, სულაც არ საჭიროებს რაიმე ოფიციალურ გაფორმებას.

მაგრამ დაუწერელი წესები ყველგან და ყოველთვის სახელმწიფო კანონებზე უფრო ძლიერნი და სიცოცხლისუნარიანნი ყოფილან და ამჯერადაც ერთი მათგანი წარმართავს ნიკოს საქციელს.

ამიტომაც მიდის მეორე დღესვე შესაფერისი განცხადებით აკადემიის რექტორთან — დიახ, იმავე პროფესორ ბაუერთან.

ითხოვს — საბუთები უკან დამიბრუნეთო.

რექტორი თავაზიანად შეხვდებოდა სტუდენტს, თითქოს წინა დღით არაფერი მომხდარიყოს, მაგრამ თვალს გადაავლებდა თუ არა განცხადებას, ადვილად მიუხვდებოდა განზრახვას — ნიკოს სეკუნდანტს უნდა დალოდებოდა და ბარიერთანაც წარმდგარიყო.

წყენას არ შეიმჩნევდა.

განცხადებასაც დაიტოვებდა და დაპირებითაც დაპირდებოდა: ხვალ აკადემიის კანცელარიაში რომ მობრძანდები, ყველაფერი მზად დაგხვდებაო.

გამომშვიდობებისას კი:

— ვიმედოვნებ, ამ საღამოს სახაზავ დარბაზში გიხილავთ.

ნიკო იოლად ამოიცნობდა ამ ფრაზის ქვეტექსტს.

პროფესორი ნანობდა და ძალიანაც ნანობდა თავის საქციელს და სტუდენტს დარბაზში იმიტომ იბარებდა, ყველას თვალწინ მოებოდიშა შეურაცხყოფაში გადასული შენიშვნებისათვის.

არც შემცდარა ქართველი თავადიშვილი.

საღამოს ნიკო თავის სახაზავ მაგიდას უზის და ისე ჩაფლულა ნახაზებში, თითქოს სხვა აღარაფერი ახსოვდეს.

პროფესორი უახლოვდება მის მაგიდას და ყველას გასაგონად უბოდიშებს.

საბუთების გამოტანა აღარაა საჭირო.

და ნიკოსაც აკადემიის კანცელარიისაკენ აღარ გაუხედავს.

მოგონება აღარ აგრძელებს იმ განწყობილების აღწერას სტუდენტებს რომ დაეუფლებოდათ, კადნიერი, სარკასტული კაცის ნაცვლად უეცრად თვინიერ, მომნანიე ადამიანს რომ იხილავდნენ.

აღარც ის ჩანს, როდემდე ეყო თვინიერება რექტორს — ნიკოსთან რომ ველარაფერს გაბედავდა, ეს ადვილი მისახვედრია, მაგრამ სხვებთან?!. ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც — მიხვდა, სტუდენტებსაც აქვთ თავმოყვარეობა და სწავლის პროცესში უნებური შეცდომები დანაშაული არ არისო.

მაშინ თუ პიროვნული თავმოყვარეობა აღუშფოთდა, ახლა ეროვნულმა თავმოყვარეობამ არ დაანება თავშეკავებით შეხვედროდა ოფიცერ აკიმოვის მიერ ქართველების სასაცილოდ აგდებას.

ეს ხდება კლუბში, ყველას თვალწინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწერელი კანონი რუს ოფიცერს ავალებდა სილის გამრტყმევის გამოწვევას დუელში, თუ არა, საკუთარი წრე ისე მოიკვეთდა, ალბათ მუნდირის გახდაც მოუწევდა და სამუდამო გადაკარგვაც.

ასე გაეხვეოდა ნიკო კიდევ ერთხელ დავიდარაბაში.

თუმცა... დუელია და დუელი ყოფილიყო.

სეკუნდანტებსაც შეარჩევდა — ილია ზურაბიშვილსა და გიორგი ამირეჯიბს — და ზუსტად ექვს საათზე დანიშნულ ადგილას გამოცხადდებოდა. ამირეჯიბს მოჩხუბარის სახელი გავარდნოდა, ზურაბიშვილი უფრო თავშეკავებული კაცი გახლდათ, სათავადაზნაურო საკრებულოს მდივნად მუშაობდა, ლიტერატურა იტაცებდა და ნიკოს ამ თავგადასავალსაც შემოგვინახავდა.

ნეტა სროლაში თუ ავარჯიშეს მთელი ღამე?

შესაძლოა თოფი თუ დამბაჩა ხელშიც სჭეროდეს, განსხვავებით დაშნისაგან, მაგრამ დიდი ჩუბინი და სროლის-ნადირობის ტრფიალი არ უნდა იყოს და გამობრძმედილ ოფიცერთა შეტაკებისას უეჭველად გამოჩნდება მისი გამოუცდელობა.

ვინ იცის, სროლამ არცმოუწიოს.

პირველი სროლის უფლება, როგორც შეურაცხყოფილს, აკიმოვს აქვს, და მოსალოდნელია მისი ტყვია საბედისწეროდ გამოსხლტეს ლულიდან.

ამიტომაც ღელავენ ასე ძალიან ნიკოს სეკუნდანტები.

შერიგება გამორიცხულია.

ოფიცერი სამხედრო კარიერის დაღუპვას ვერ შეურიგდება.

ნიკო?

ბოდიშით როგორ მოიბოდიშებს!..

თეთრ სერთუკზე შავი ჰალსტუხი გაუკეთებია და... ირონიული ღიმილი დასთამაშებს.

ამ ღიმილისას სეკუნდანტები ვერაფერს გაიგებენ, მაგრამ საფიქრელად დრო აღარ არის და მაშინაა, დუელიანტს რომ ურჩევენ გეზად დადგომას. თანაც დასძენენ, სულგრძელობასა და ამისთანებს მოეშვი და დამბაჩა კარგად დაუმიზნეო.

დიდსულოვნებაზე ხელს ვერ აიღებს?

თუკი ასეა, მეორე გასროლისას ააცილოს განზრახ. მოწინააღმდეგეებს ორ-ორი სროლის უფლება აქვთ და ნიკოს ფუჭი გასროლა დაუსვამს წერტილს იმ მღელვარებას.

ჯერ კი სიკვდილს შეჰყურებს თვალებში და ეს კარგად უნდა შეიგნოს. რეალობასა და თეატრალურ სანახაობას ერთმანეთში ნუ აურევს.

ილია ზურაბიშვილი მეგობარს სერთუკის საყელოსა და „ლაცკანებს" აუწევდა და, რაც მთავარია, შავ ჰალსტუხს დაუფარავდა. თან გულში წყრომით გაივლებდა, ჩემი რჩევა რად უნდოდა, განა თვითონაც არ უნდა მიხვედრილიყო, შავი ჰალსტუხი თეთრ სერთუკზე კარგ სამიზნესავით რომ მოჩანსო?

ნიკო ყველაფერს თავს უქნევს და კვლავ ირონიული ღიმილი აღბეჭდვია სახეზე.

დუელი იწყება.

აკიმოვი საგულდაგულოდ უმიზნებს დამბაჩას.

ეს წუთი კი ასე გადადის მემუარულ ჩანაწერში:

— და ამ დროს ჩემდა შესაძრწუნებლად დავინახე, რომ ნიკო პირდაპირ მკერდგამართული დგას და სერთუკის საყელო და ლაცკანები გადაუწევია. თეთრი გულისპირი და ზედ შავი ჰალსტუხი სასროლი ნიშანივით გამოირჩევა.

გაისმის სროლის ხმა.



მხატვარი კარლო ფაჩულია

ნიკო არც კი შეირხევა, თითქოს თვითონაც სამხედრო პირი იყოს და გამაყრუებელ სროლა-ქუხილს დიდი ხანია შეჩვეოდეს.

კვლავინდებურად მშვიდია, აუღელვებელი.

სახეზე კვლავინდებურად ნათლად გარკვეული ირონიული ღიმილი დასთამაშებს.

უკვე მიხვდებოდით, დამბაჩას ჰაერში რომ დაცლიდა.

აკიმოვი მეორე ტყვიის მომრტყმელი უკვე აღარ იყო.

ნიკო კვლავ ჰაერს გაფატრავდა ტყვიით.

და დუელიც დასრულდებოდა.

რეალური სურათია თუ... უილიამ ფოლკნერის მოთხრობის — „მოზვრიკუდას სურნელი" — ეპიზოდია გადატანილი სცენაზე?

ტყვიის წინაშე აუღელვებელი დგომა და მოწინააღმდეგის მორალური გატეხვა იქიდან დაგვმახსოვრებოდა — ბაიარდ სარტორისის საქციელით აღფრთოვანებულებს, არადა, თურმე, წესითა და რიგით, ჯერ ნიკო ლორთქიფანიძის ბიოგრაფიიდან უნდა შემორჩენოდა ჩვენს ცნობიერებას — პიროვნულსაც, საზოგადოებრივსაც.

უშიშრობით, სიკვდილისათვის თვალებში გულმშვიდი ჩახედვით წაახდენდა გამოცდილ ოფიცერს, სამიზნედ რომ აღიმართებოდა გაღიმებული, ხელს აუკანკალებდა... და თავის მხრივ კი ჰაერში გასროლით კი საბოლოოდ დაამარცხებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალა აკიმოვი და რალა ფოლკნერის რედმონდი!..

სეკუნდანტები საარტილერიო დივიზიის შტაბში გაემგზავრებოდნენ სადუელო აქტის შესადგენად და მთელი ამ რიტუალის მოსათავებლად.

დუელის მარტოდენ ზოგადი ქარგა რომ იყოს შემორჩენილი, სიუჟეტი აქ დასრულდებოდა, მაგრამ მემუარისტი საგანგებოდ რომ გაიხსენებს შტაბსკაპიტნის — აკიმოვის სეკუნდანტის — სიტყვებს, მათ სწორედ იმ მნიშვნელობას მიანიჭებს, ასერიგად ფასეული რომ ხდება შთამომავლობისათვის. ფასეული — რჩეული მწერლის სულში ღრმად ჩასახედადაც და იმჟამინდელი ზოგადი ზნეობრივი სურათის აღსადგენადაც.

შტაბსკაპიტანი კი ეთხოვებოდა და ადვილადაც ვერ ელეოდა ნიკო ლორთქიფანიძის მეგობრებს:

— მოწყალეო ხელმწიფენო! ნება გვიბოძეთ, გამოვთქვა ჩემი და ჩემი ამხანაგების აღტაცება თქვენი რწმუნებულის განსაცვიფრებელი მოქმედების გამო. ჩვენ, სამხედრო ხალხი, ისე ვართ აღზრდილნი, რომ ყრმობიდანვე ვეჩვევით, საფრთხის დროს სიკვდილს ისე ვუყუროთ, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, რომლისთვისაც ყოველ წამს მზად უნდა ვიყოთ. მაგრამ როდესაც ვხედავთ ადამიანს, პარტიკულარულ ტანისამოსში, რომელსაც საბედისწერო წამს ისე უჭირავს თავი, თითქო სიკვდილს აბუჩად იგდებდეს თავისი ადამიანური ღირსების დაცვის დროს, ამას არ შეუძლიან ჩვენი აღტაცება და პატივისცემა არ გამოიწვიოს. ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს თავად ლორთქიფანიძის ყოფაქცევას დუელის დროს და თვითეულმა მისმა მოძრაობამ, ფიზიკურმა და სულიერმა, აშკარად გვიჩვენა, რომ იგი ჭეშმარიტად რაინდია და უმწიკვლო. სამწუხაროდ, ჩვენ ეს პირადად ვერ განვუცხადეთ მას ბრძოლის ველზე, რადგანაც ეს დიდი დამარცხება იქნებოდა ჩვენი ისედაც საკმაოდ დამცირებული ამხანაგისა, და ამიტომ თქვენ გთხოვთ, ბატონებო, გადასცეთ მას ჩვენი გულწრფელი სიტყვები და ულრმესი პატივისცემა.

პარტიკულარულ ტანისამოსშიო...

ამ დეტალით დასტურდება ისედაც საცნაური გარემოება, რომ აკიმოვი რაღაც გამონაკლისი კი არ არის რუს ოფიცერთა შორის, არამედ ქართველების მიმართ აბუჩად ამგდები დამოკიდებულება მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა და იმ წუთას აკიმოვის ადგილას ადვილი შესაძლებელია ნებისმიერი ოფიცერი აღმოჩენილიყო.

მათ შორის, შტაბსკაპიტანიც.

და ახლა ის იმითაც გახარებულია, რომ ეს მორალური მარცხი სხვამ იწვნია და არა თვითონ. არადა, ვერ გადარჩებოდა, თუკი ნიკოსთან საუბრისას ქართველთა აუგი დაცდებოდა.

მეგობრები ნიკოს ამცნობდნენ შტაბსკაპიტნის აღტაცებას.

ის თავისებურად გაიღიმებდა და ერთადერთ ფრაზას იმარებდა:

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ის საბრალო ხომ დაიღუპა.

ერთს, მაგრამ როგორს!.. ნოველური ფინალითაც რომ დაამშვენებს იმ ისედაც მღელვარე და შთამბეჭდავ ეპიზოდს, და ილია ზურაბიშვილს ისღა დარჩენოდა, პირდაპირ გადაეტანა ფურცელზე... თუმცა ნოველური ამბის შემსწრენი ჩვენც შეიძლება გავხდეთ ხოლმე და ფინალური ფრაზა კი გამოგვეპაროს, ყური მოვუყრუოთ რეალობისაგან ნაკარნახევს, სხვა დეტალი მოგვეჩვენოს უფრო მნიშვნელოვანი.

ამიტომაც ნუ დავუკარგავთ მემუარისტს, მისი აუცილებლობა რომ სცნო თხრობისათვის.

## XVI

დუელების ჩაშლა ჩაშლად, მაგრამ კვიმატი, სახუმარო, ოინბაზური იერი აღარ ემჩნევა ორთაბრძოლისათვის მზადების ეპიზოდებს და ბარათაშვილ-ორბელიანის კომიკური დუელი თითქოს განკერძოებულად რჩება; და თუ ფარდი არ გამოენახება, ნუთუ მისი ყალიბი უშუალოდ აღარ უნდა განმეორდეს ქართული დუელების მატიანეში?

თუ ყოფით სინამდვილეში არ მომხდარა, ისტორიულ ქრონიკაში ანკი როგორ განმეორდება?!.

თურმე არც ასეა საქმე და ის დუელიც განცალკევებული ნუ მოგვეჩვენება, რადგანაც ტიციან ტაბიძის ენაკვიმატობამ უნდა გამოიწვიოს ისეთი ვნებათაღელვა, რაც სწორედ კომიკური სახით შემოგვრჩება, თუმც დრამატიზმიც იქვე ჩამალულიყო და ბედისწერა არ გაიმეტებდათ მის მონაწილეებს.

გრიგოლ ცეცხლაძე ასეა დარწმუნებული და ასეც გვიამბობს თავის მემუარულ ჩანაწერებში.

დღესდღეობით მივიწყებულ პოეტთა წყებას შერთვია რაულ გოგოხიაც, ვინც ერთ დროს ჟურნალ-გაზეთებშიც ხშირად ბეჭდავდა ლექსებს და პოეტური კრებულიც გამოეცა („ზამთრის ჩუქურთმა“). გარდა პოეტობისა, მარჯვე სპეკულანტიც ყოფილა და ხელგაშლილობაც სჩვეოდა, ხშირად პატიჟებდა ქართველ და რუს პოეტებსა და მსახიობებს. სერგეი ესენინსაც დაუახლოვდებოდა და მისი პიროვნებით მოხიბლული ესენინი შეპირდებოდა: მომიტანე შენი ლექსების პწკარედები და რუსულად ვთარგმნიო.

საერთოდ კი ის არავის თარგმნიდაო, — ამ ფრაზის ჩართვას აუცილებლად მიიჩნევს მემუარისტი.

იმ დღეებში ესენინი ტიციან ტაბიძეს შეხვედრია და ყოველი შემთხვევისათვის უკითხავს: როგორი პოეტია რაულ გოგოხიაო.

ტიციანს კეთილი სიტყვა როგორ დაცდებოდა, ან ის მაინც ეთქვა: სუსტიო. არც აციებდა, არც აცხელებდა და მიახლიდა: გოგოხია პოეტი სულაც არაა, სპეკულანტია და მოუტყუებიხარო.

ესენინი, ისედაც აფექტური და ეჭვიანი, ძალიან განაწყენდებოდა: ეს სპეკულანტი, ეტყობა, პოეზიას დასცინის და მეც გამაბიაბრუაო.

და შურისძიებით აღივსებოდა.

შემთხვევაც არ დაიგვიანებდა.

ქართული კლუბის შესავალთან არსებულ რესტორანში „კაფე-დეპარი“ ერთ სუფრას უსხედან: პაოლო იაშვილი, ტიციანი, ესენინი და გიორგი ლეონიძე. მახლობელ სუფრას უზის ვანიჩქა ნანიშვილი — მოქეიფე და პოეტთა მეგობარი — ვიღაც მსახიობებთან ერთად. მოშორებით გრიგოლ ცეცხლაძე და ალექსანდრე ლორდელიც შეექცევიან ვახშამს. ამ დროს შემოდის რაულ გოგოხია. ესენინი, უკვე შეზარხოშებული, სწრაფი ნახტომით მიეჭრება და დაუწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებს საშინელ ლანძღვა-გინებას. ეუბნება: ჩემი მასხრად აგდებისათვის ცხვირ-პირს დაგიმტვრევო, — და საცემრად მიიწევს.

ესენინს გააკავებენ.

გოგოხია დაბნეული, განცვიფრებული შეჰყურებს, ვერ გაუგია, რა ხდება. არ იცის, რა ქნას, და ხმასაც ვერ იღებს.

გიორგი ლეონიძე, მისი ამხანაგი სემინარიიდან, მივა და ჩაუჩურჩულებს: დუელში გამოიწვიეო.

გოგოხია გაისწორებს სათვალეს და მტკიცე ხმით შესძახებს: დუელში გიწვევო.

ესენინს ნანიშვილი გადაუჩურჩულებს: გაჰყევიო.

ასე დაინიშნებოდა დუელი.

ესენინის სეკუნდანტი იქნებოდა ვანიჩქა ნანიშვილი, გოგოხიასი — გიორგი ლეონიძე.

იქ დამსწრენი დუელს სერიოზულად არ აღიქვამენ, იფიქრებენ, ესენინი როგორც კი გამოფხიზლდება, მოუბოდიშებს, რადგან ტყუილუბრალოდ გამოლანძღა მისი პატივისმცემელი კაცი, და შერიგდებიანო. მაგრამ ნანიშვილი მოინდომებს, ეს შემთხვევა გასართობად და სასეიროდ გამოიყენოს, ლეონიძესაც აიყოლიებს და ჩუმად მოითათბირებენ: მოდი, ორივე შევაშინოთ და მერე შევარიგოთო.

მეორე დღეს გაუვლიან გოგოხიას და დაანამუსებენ: ხომ გახსოვს, გუშინ დუელში რომ გამოიწვიე ესენინი, ახლა უკან დახევა მთელი ქართველი ხალხის შერცხვენა იქნება, უნდა წამოხვიდე, ჩვენ რევოლვერები უკვე მოვამზადეთო.

იმას საკმაოდ ეცვლებოდა ფერიფური, მაგრამ ჩაცმით ჩაიცმევდა და ნირწამხდარი გაჰყვებოდა სეკუნდანტებს.

ახლა ესენინს მიადგებოდნენ სასტუმრო „ორიანტის" მესამე სართულზე. ლეონიძე და გოგოხია ქუჩაში დაიცდიდნენ, ნანიშვილი კი ნომერში ააკითხავდა: გოგოხია და მისი სეკუნდანტი ქვემოთ გველოდებიანო.

ჰოი, რას შეშინდებოდა ესენინი... და შიში მოაფიქრებდა დუელისაგან თავის დაღწევის ხერხს. თავის სეკუნდანტს ეტყოდა: წამოვალ, მაგრამ აქვე, გვერდით ნომერში მეგობარი მყავს და მას დავემშვიდობებიო. დაუკაკუნებია კარზე, ოთახიდან კი გამოსულა ჩეკისტი, რომელსაც ნანიშვილი შორიდან იცნობდა.

ესენინი გადაეხვევა და გულაჩუყებული ეტყვის:

— მშვიდობით, მშვიდობით სამუდამოდ.

იმან, ჩეკისტმა:

— რა მოგივიდა, ძვირფასო სერიოჟა, სად მიდიხარ.

და ესენინმა:

— დუელში ვარ გამოწვეული და ჩემი სეკუნდანტიც აქ არის.

მიხვდებოდა ნანიშვილი, სეირი ცუდად რომ ტრიალდებოდა, იშვერდა ფეხს და ისეთი სისწრაფით მიიმალებოდა, ლანძღვა-გინებით დადევნებული ჩეკისტი მის კვალსაც ველარ იპოვნიდა.

მთლად კომიკურად ველარ გაახსენდებოდა ეს ამბავი, ისეთი ფაცხაფუცხითა და ძრწოლით დაუსხლტებოდა ჩეკისტს. ინანებდა კიდეც, რა მრჯიდა, რა გართობა ავიტეხეო. ეს ალბათ ერთხანს, ვიდრე იმ წუთების მწვავე განცდა გადაუვლიდა და თვალწინ ამოჩნდებოდა რაულ გოგოხიასა და სერგეი ესენინის დამფრთხალი სახეები.

### XVII

დუელი, როგორც ბედისწერის განაჩენი, აფრთხობდა და ძალიანაც აფრთხობდა სერგეი ესენინს. ალექსანდრ პუშკინის აჩრდილი გამოეცხადებოდა, მიხაილ ლერმონტოვის აჩრდილი წამოადგებოდა თავზე და... ამ რიგის შევსებას სულაც არ აპირებდა.

თუმც დუელი... სპექტაკლად — რატომაც არა?

გიორგი ლეონიძე ერთ სალამოს სასტუმრო „ორიენტში" რომ შეუვლიდა (იმასაც აზუსტებს ქართველი პოეტი მემუარულ ჩანაწერებში „ორიოდე სიტყვა სერგეი ესენინზე": ექვსი საათი იქნებოდაო), მასპინძელი მარტო დახვდებოდა, სევდიანი, ნაცარწაყრილ გუნებაზე.

უეცრად აღგზნებული მოუბრუნდებოდა:

— გოგლა, დუელში გიწვევ!

— რა მოგივიდა, რა გაწყენინე?

— ხვალ, დილის ექვს საათზე, კოჯრის გზაზე.

— რა მოხდა, გამაგებინე!

— დუელი, ძმაო, დუელი!

— რას ბავშვობ?

— კაცო, რას ღელავ, რით ვერ მიხვდი? ფუჭი ვაზნებით ვესროლოთ ერთმანეთს და მეორე დღეს გაზეთში დაბეჭდავენ — ესენინსა და ლეონიძეს დუელი ჰქონდათო. მთელი ქვეყანა შეიყრება! მაშ დავიჯერო არ მოგწონს?!

გიორგი ლეონიძე გადაიხარხარებდა.

გააბამდნენ ლაპარაკს და ესენინს მალე სულ მიავიწყდებოდა „დუელის" ამბავი.

თუმც სკანდალს რომ დაეძებდა, უამისოდ მაინც ვერ გადარჩენილან ის და გოგლა — 1924 წლის 10 ნოემბერს რესტორან „ქიმერიონში" ისე წაიკიდებოდნენ, საქმეში მილიცია ჩაერეოდა... მეგობრულად შევეჯახეთო, იმავე სალამოს შევრიგდითო, მომხდარი გავაბათილეთ, გული გავიწმინდეთ და ახლა სხვაგან გადავინაცვლეთ, სადაც შეღვინებულებმა გათენებამდე დავყავითო, ირწმუნება მემუარისტი, მაგრამ 14 ნოემბრის „რაბოჩაია პრავდა" ამ ჩხუბს ირონიული სტატიით გამოეხმაურებოდა და შარში პაოლო იაშვილსაც გახვევდა, ვინც იქ საერთოდ არა ყოფილა. ის უარყოფდა თავის მონაწილეობას სკანდალში, ორი ოფიციანტიც დაუდასტურებდა...

ეს ეპიზოდი ძალაუნებურად რომ გახმაურდებოდა, რუს პოეტს იქნებ გულსაც დაკლებოდა: უფრო მეტადაც შეიძლებოდა ალიაქოთის გამოწვევა, ეს ჟურნალისტები ხომ სულ არ უქნია ღმერთსო!..

### XVIII

ესენინს მალე რომ მიავიწყდებოდა „დუელის" ამბავი, მემუარისტის ნაამბობს ვიმეორებთ.

თუმც სინამდვილეში სულაც არ დავიწყებია და, გიორგი ლეონიძეს თუ ჩამოეხსნებოდა, ახლა სხვას ამოიღებდა მიზანში: სანდრო შანშიაშვილს.

და ესეც ამავე ჩანაწერიდან ხდება ცნობილი: ასეთივე წინადადებით მიმართაო.

ესაა და ეს, რასაც გვატყობინებენ.

დიალოგის გაგრძელება, სავსებით მოსალოდნელია, ზუსტადაც განმეორებულიყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოგივიდა? რა გაწყენინე?

— ხვალ, დილის ექვს საათზე, კოჯრის გზაზე!

— რა მოხდა, გამაგებინა!

— დუელი, ძმაო, დუელი!..

თუმც ხალისიან გუნებაზე ველარ დგები და თაგვის სოროში შეძრომასაც არ ითაკილებ, ნაცნობ ჩეკისტსაც ჩარევ საქმეში, თუ მოგეჩვენა, მგონი... მგონი მართლაა დუელი მოსალოდნელიო.

რას იზამ, როდესაც პუშკინისა და ლერმონტოვის აჩრდილები წამოგებლანდებიან.

ამათ კი, ქართველ პოეტებს, ბარათაშვილის „ქიშმიში მაქვს ჯიბეში“ ჩაესმოდათ საიდანლაც და იქნებ კიდეც აჰყოლოდნენ შემოთავაზებულ თამაშს და ბარათაშვილური სპექტაკლიც გაემეორებინათ, საბედისწერო ჟამი რომ არა საქართველოსათვის...

მაინც 24 წლის შემოდგომაა... და ჯერაც ყურთან ჩქაფუნობს დაღვრილი სისხლი...

## XIX

სანანებელი ნიკა აგიაშვილსაც გაუხდებოდა, თუმც იგი უნებური ნამქეზებელი აღმოჩნდებოდა ორთაბრძოლისა და არა შეგნებული — ნანიშვილივით და ლეონიძესავით.

1939 წელს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდებოდა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენადან“ ერთი ფრაგმენტი. იოსებ მჭედლიშვილი, პოეტი, დრამატურგი და ამ ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი, სასიგნალო ცალებს რომ მიიტანდა მწერალთა სასახლეში დაბინავებულ რედაქციაში, ერთ ეგზემპლარს აიღებდა, „დიდოსტატის“ ნაწყვეტს ჩაუჯდებოდა და წითელი ფანქრით გადახაზ-გადმოხაზავდა, ააჭრელებდა და აშიებზე მწვავე გამოთქმებს მიაწერდა: ეს რა მოუჩმახავს, ეს რა აბდაუბდაა, ისტორია არა სცოდნია...

თანდათან მიბინარდებოდა მისი სახელი, ლექსებიც, პოემებიც, პიესაც ალექსანდრე ბატონიშვილზე, სცენაზეც რომ დაიდგმოდა, მიყრუვდებოდა ის ეპიზოდიც, 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის სისხლიანი დღეების შემდეგ იოსებ მჭედლიშვილი შავი ჩოხით რომ გამოჩნდებოდა გლოვის ნიშნად. ამის მერე მოხდება, ის ოთხი მეგობარიც — კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი და პავლე ინგოროყვაც — რომ გამოეწყობიან შავ ჩოხებში და ასე მდუმარედ დაიტირებენ ტრაგიკულ გაბრძოლებას თავისუფლებისათვის.

წითელი ფანქრით გადახაზ-გადმოხაზავდაო...

ეს ნასწორები ეგზემპლარი კონსტანტინე გამსახურდიას ჩაუვარდებოდა ხელში და ნიკა აგიაშვილს, ჟურნალის მდივანს, გამოჰკითხავდა: ვინ დახაზა, ვინ მიმტროო.

ეს ტყუილს ვერ შეჰკადრებდა თავის უსაყვარლეს მწერალს და, რომ ამოილუღლუღებდა: თქვენმა მეგობარმა იოსებ მჭედლიშვილმაო, — თითქოს მიწა გაუსკდაო.

ის განრისხდებოდა, თურმე ვინ მიბედავს, საქართველოს ისტორია და ქართული ენა მასწავლოსო, და თანამოსაუბრეს დაუბარებდა:

— ხვალ ჩემი ჩოხითა და ბასრი ხანჯლით მოვალ, უთხარი იმ მდაბიორს, ისიც ჩოხითა და ხანჯლით მეახლოს. აუცილებლად! ხანჯალმა უნდა გაგვასწოროს, დიახ, ხანჯალმა! ბევრი ვუთმინე, არ დაიშალა და... რაცა ვთქვი, ისე გადაეცი!

რა — მართლა ორთაბრძოლას აპირებს თუ?..

## XX

კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“ ჟანრობრივად თითქოს მემუარული თხზულებაა, მაგრამ ისეთი სიუხვით შეჭრილა თხრობაში ფანტაზია, დაბეჯითებით ვერც განსაზღვრავ მის ჟანრს — მოთხრობას უფრო ჰგავს მემუარულ-დოკუმენტური ელემენტებით.

დუელის სცენა მაინც რას მივაკუთვნოთ?

რეალისტურს, წარმოსახვითსა თუ... მათ ნაზავს?

ვიდრე დარწმუნებით გამოირკვეოდეს, გავიხსენოთ ისე, როგორც მწერალს უამბია ჩვენთვის.

კენიგსბერგში ყოფნისას კონსტანტინე გამსახურდია არეშიანსა და ვაინბერგთან ერთად ყოველ შაბათ საღამოს ლუდხანაში დაიარება, და ერთხელაც აღმოჩნდება კორპორანტ სტუდენტთა სიახლოვეს, რომელთაც შუაში ვილაც ლამაზი, მკერდმოშიშვლებული ქალი ჩაუსვამთ და ჭიქას ჭიქაზე ცლიან.

კორპორანტი რას ნიშნავს?

მწერალი გაითვალისწინებდა ამ მოსალოდნელ შეკითხვას და სქოლიოში განმარტავდა: ესენი იყვნენ არისტოკრატული წრის შვილები, საკუთარი ფორმა და დროშაც რომ ჰქონდათ, გაუთავებლად ქეიფობდნენ, დებოშებს ტეხდნენ და დუელში იწვევდნენ ყველას, ვინც არ მოეწონებოდათ. სახეზე ნადუელარი ჭრილობები აჩნდათ და ეს დიდ ბედნიერებად მიაჩნდათო.

ეს განმარტება უკვე მიგანიშნებს, რომ უდუელოდ ვერც ჩვენი გმირი გადარჩებოდა, თუმც ირწმუნება, ის ქალი რომ მომჩერებოდა, მიცინოდა და მემანჭებოდა, მე ყურადღებასაც არ ვაქცევდიო. ისინი ამას არ დაგიდევენ და ორი სტუდენტი მოადგება: რადგანაც ჩვენს დამას ეაშიკები, დუელში გიწვევთო. არეშიანი და ვაინბერგი დატრიალდებოდნენ, იქნებ იოლად მოვარიგოთო, მაგრამ სტუდენტები თავისას არ დაიშლიდნენ.

ვაინბერგი ვერაფერს რომ ვერ გააწყობდა, ამ ტაქტიკას დაადგებოდა: ეს ჭაბუკი მხოლოდ ოცი წლისაა, მაგრამ გირჩევთ განზრახვაზე ხელი აილოთ, თორემ ინანებთ, იგი ქართველი აზნაურია და რაპირებით ბრძოლას არ დათანხმდება. ამბობს: პისტოლეტებით ვიბრძოლოთო.

ტყვიას ტყვიაში ვსვამდიო, — თავს მოიწონებდა მკითხველთან კონსტანტინე გამსახურდია, — კენიგსბერგის სპორტდარბაზში ფარიკაობაშიც ვვარჯიშობდი, მაგრამ პისტოლეტებით ორთაბრძოლა მერჩივნაო.

იმათ: რაპირები და მხოლოდ რაპირებიო.

ეს დაყაბულდებოდა, სეკუნდანტებად, ცხადია, არეშიანსა და ვაინბერგს აირჩევდა და კვირას კაფე „იმპერატორიდან“ ორი ეტლით გასწევდნენ ქალაქგარეთ, იქ კი მდინარის პირას, უკაცრიელ მინდორზე გაიმართებოდა სეკუნდანტების თათბირი.

რაპირებით დუელი ათასგზისაა აღწერილი ლიტერატურაში და სიტყვას აღარ გავაგრძელებო, — მკითხველს სხვა თხზულებების გასაცნობად გაგზავნიდა მწერალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ კი საგანგებოდ მოიხსენიებდა მოპირდაპირის გვარ-სახელს: კურტ ფონ იქსიკიული, და ორიოდ შტრიხითაც წარმოსახავდა: ჩასუქებული, ცისფერთვალება, ფრიად კეთილი გამომეტყველების, განგებ რომ იჯღანავდა მშვენიერ სახეს, ხოლო რაპირას კარგად ხმარობდაო.

მესამე შეტევისას იმას ნიკაპში დაუჭრია ჩვენი გმირი („სწორედ იქ, სადაც ჯერაც მაჩნდა პეტერბურგელი პოლიციელის ხმლისგან მიყენებული შრამი").

ისიც არასოდეს დაავიწყდებოდა — რაპირების ჯახისგან ამდგარი ნაპერწკლების ცქრიალი.

ბოლოს მაინც ამას უმარჯვია და მოპირდაპირე ისე დაუჭრია ყურში, ბლომად დაუდინებია სისხლი.

ვაინბერგს მედიკამენტებიც წინასწარ გაემზადებინა და სახვევიც.

ასეა თუ ისე, ორთაბრძოლა საბედისწეროდ არ დასრულებულა.

ქართული დუელიანას ტრადიციული ჯაჭვი არც ამჯერად განწყვეტილა.

საბოლოოდ ორივე მხარე ცალ-ცალკე ჩასხდებოდა ეტლში და კენიგსბერგს მიბრუნდებოდა. იქ კი კონსტანტინე მეგობრებთან ერთად კაფე „იმპერატორს" მიადგებოდა და „ამ ავანტიურას" დაასრულებდა „დათვის" სმით.

ეპიზოდი მთავრდება არეშიანის ვრცელი სახოტბო სიტყვით, ეს ორთაბრძოლა ეროვნული გადასახედიდან რომ განისჯება და ბარონის ყურის გახვრეტა გასიმბოლოვდება ევროპისათვის ყურის გახვრეტის იმედით: ვეცადოთ და ვაგრძნობინოთ, რომ სომხეთი და საქართველო ვიყავით ფორპოსტები ქრისტიანული ცივილიზაციისა და, როდესაც ევროპელები ნეაპოლში, რომში, ვენეციაში, პარიზსა და ვენაში შიშისაგან ცახცახებდნენ, ეს ორი ქვეყანა ვებრძოდით ისლამურ ვეშაპს და ამიერიდანაც არავის დავუთმობთ ჩვენს მიღწევებსა და გამარჯვებებსო.

დუელის მსვლელობის აღდგენასაც მოინდომებს:

— მე შენ გიჭვრეტდი ბრძოლის დროს და გავიხარე იმითაც, რომ შენ არც ერთი დარტყმა არ შეარჩინე იმ ბარონს. როცა შენ მასზე იერიში მიიტანე უკანასკნელად, ეს დევკაცი ბარონი გაფითრდა, მაგრამ უნდა გითხრა, არც ის ყოფილა ჯაბანი, მაგრად შემოგიტია. მე და ვაინბერგი შევკრთით, მაგრამ შენ ზედიზედ აუკარი რაპირა და როცა ყურში აძგერე, ბარონი ოდნავ გაიდრიკა წელში და წამოვიდა შენსკენ გაბოროტებული, და მაშინ შენ უკანასკნელად აუკარი რაპირა და ელვასავით აკვესდნენ თქვენი რაპირები.

ეშხში შესული არეშიანი ველარ მოზომავს და იმასაც ეტყვის: შენ რომ სასიკვდილოდ დაეკოდე, რევოლვერს ამოვიღებდი და მაგ ღორისდასმულებს თაგვის ღვლიპებივით დავხოცავდი, მოგეხსენება, მე სომეხი ნაციონალისტი ვარ და ანაბანასთან ერთად ვსწავლობდი სროლასო.

ანაბანასთან ერთად რომ უსწავლია სროლა, ეს ძალიან კარგი, მაგრამ დუელის წესებზეც რომ ჰქონოდა რაღაც წარმოდგენა, ურიგო არ იქნებოდა, თორემ გამარჯვებული დუელიანტისა და მისი სეკუნდანტების ამოხოცვა უცნაურ, აუხსნელ ეპიზოდად დააჩნდებოდა დუელების ისტორიას.

გაოგნდით იმის წარმოდგენაზე, როგორ ეცემა მიწაზე ტყვიით განგმირული ორთაბრძოლაში გამარჯვებული დუელიანტი და სეკუნდანტებიც ზედ მიჰყვებიან?

ნუ, ნუ შეშინდით, ასეთი რამ მოსალოდნელი არ გახლდათ და ან არეშიანი აღარ უკვირდება, თუ რას ამბობს, ანდა ჩვენი გმირი ველარ მიადევნებს თვალს, თუ რას წერს.

ესეც იმ ვრცელი სიტყვის დასასრული:

— ჩვენ დიდად უნდა ვუმადლოდეთ კორპორანტების იმ კახპას, — რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის დუელების ერთი სპექტაკლი გაგვამეორებინა.

რაო, სპექტაკლიო?

ეს სიტყვა დუელის ზოგად მახასიათებლადაა გამოყენებული თუ... აქ, ამ გამოთქმაში უნდა ვეძებოთ ამ ეპიზოდის ახსნა?..

კონსტანტინე გამსახურდიას ყველაფრის გაბუქვა და ტრაბახი ძალიან რომ უყვარდა, ამას მისი მეხოტბენიც ვერა ფარავენ, მაგრამ ისიც ხომ რეალობაა — პაატა გუგუშვილის მიერ საკუთარი თვალით ნანახი და გადმოცემული — ხევსურეთში მოგზაურობისას კეჭნაობის დროს კონსტანტინემ აშკარად რომ დაჯაბნა ერთი თავგამოდებული ხევსური — ხმლის მძლავრი შემოკვრით ფარი გააგდებინა? სხვათა შორის, ეს ეპიზოდი რეალობიდან მხატვრულ ქარგაშიც გადაინაცვლებდა — მომხიბლავ სურათად ჩაერთვოდა „დიდოსტატის მარჯვენას" სიუჟეტს, მეფე გიორგის ფარულ მიმოსვლას ფხოვში.

* * *

„დიონისოს ღიმილში" მთავარი გმირის კონსტანტინე სავარსამიძის სახებას ავტობიოგრაფიული რეალიებითა და დეტალებით რომ შეავსებდა და პერსონაჟი არსებითად ავტორის ალტერ ეგოდ წარმოდგებოდა, დუელსაც ახსენებდა მისი ევროპული განსწავლა-მოგზაურობის გზაზე.

არც დიდი მტრობა და სიძულვილი შემხვედრია ადამიანებისაგან, რადგან არც ქონებაში, არც სახელში, არც ფულში არ შევცილებივარო, — ირწმუნება კონსტანტინე სავარსამიძე და დასძენს:

— ორიოდე დუელი თუ შემხვედრია, ისიც ქალების გამო.

აქ ჩამოვეხსნათ, ქალის გულისათვის დუელი ნაკლებმნიშვნელოვნად რომ მიაჩნია, და ფრაზის კილოს იმ თვალით დავუკვირდეთ, ის „ორიოდე დუელი" სასხვათაშორისოდ რომ აგონდება. ეტყობა, სისხლი არ დასდებია, თორემ ასე ჰაიჰარად ველარ ახსენებდა — დალუპული მეტოქის აჩრდილი გამოეცხადებოდა და თავის მართლებას მაინც აიძულებდა, მითუმეტეს, ალსარების გუნებაზე დამდგარს: რა მეღონა, სხვა გზა აღარ დამიტოვა და იძულებული გავხდი, მომეკლაო.

აშკარაა, მოსალოდნელი ორთაბრძოლები ჩაშლილა — ან მალევე, ან ბარიერთან წარდგომისთანავე.

ჩაშლილა კი.

და, ცხადია, არც არავითარი განცდა აღარ უღელვებს გულს.

ნეტა პერსონაჟი როგორ იქადნებოდა იმ ორიოდე შემთხვევისას — ხანჯალმა უნდა გაგვასწოროს, ხმალმა თუ დამბაჩამო?!.

მის პროტოტიპს კი ხანჯალი ემჯობინებინა.

რაცა ვთქვი, ისე გადაეცირო...

ეს ამ დანაბარებს იმ იმედით ამცნობდა იოსებს, შეშინდება და ხვალ სულ აღარ გამოჩნდებაო, მაგრამ... ის ფიც-

ხლად წამოიჭრებოდა ზეზე: ახლა კი დადგა მაგის აღსასრულის დღე. ხანჯლით მოვალო, თუ როგორ თქვა? არ იცის, რომ ხანჯლის ტრიალში პიატი მაქვს? თუ ბიჭია, გაბედოს და მობრძანდეს, აქ დავხვდებით.

## XXI

დუელი გარდუვალი ხდება.

ეს ერთადერთ იმედს მოებლაუჭება, იქნებ უბრალოდ ფაფხურობენ, გულისჯავრს ამით ამოიყრიან და ყველაფერი გადაავიწყდებათო, მაგრამ მეორე დღეს ორივე მართლაც ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ხანჯლიანი გამოცხადდება. სწრაფად მიეახლებიან ერთმანეთს, ხელი ხელს ჩაჰკიდებენ და ბრაგაბრუგით დაეშვებიან თავქვე — ბნელ, მიხვეულ-მოხვეულ კიბეზე; ვესტიბიულში, ბუხართან ცოტა ხანს შედგებიან, რაღაცას ჩაილაპარაკებენ და სწრაფად გავლენ ბაღში ხანჯლის ტარმუჭზე ხელდადებულნი.

კი მაგრამ:

სეკუნდანტები?

ექიმი?

ურთიერთთანხმობაზე დამყარებული ორთაბრძოლა დუელად ვერ ჩაითვლებაო, — აუცილებლად დააზუსტებდა სერგი ანდრიევსკი, კიბეზე მათ ბრაგაბრუგით დაშვებას რომ შესწრებოდა.

მართლა რომ მომხდარიყო შეტაკება, რასაკვირველია, ნავედავებოდით მემუარული ჩანაწერის ავტორს — დუელად არ უნდა მოგვენათლა ეს ეპიზოდი, სცენას აუცილებელი პერსონაჟები აკლდაო... მაგრამ რაკილა კომიკური იერი უნდა გადაეკრას, ეს უკვე ზედმეტი ჩაკირკიტება იქნება.

ნიკა აგიაშვილს ჯერ ვერ წარმოუდგენია ამ ეპიზოდის კომიკურობა.

ამიტომაცაა, თავზარი რომ დაეცემა და ირაკლი აბაშიძესთან, მწერალთა კავშირის იმჟამინდელ თავმჯდომარესთან, შევარდება: ასეა და ასე, შეიძლება ერთმანეთი დახოცონო.

იმას მშვიდად გაეღიმება:

— რა გულუბრყვილო და ახირებული კაცი ხარ! დეიჯერე ვითომ მაგი? ოცი წელიწადია ვხედავ მაგენს ასე ხმალხანჯლებიანს და ჯერჯერობით მაგათი ხანჯლით მოკლული კაცი არ მინახავს.

და აივნიდან გადაახედებდა.

იქ, შადრევანთან, დიდი ნაძვის ქვეშ ისე არხეინად იჯდა ორივე დუელიანტი და ისე მშვიდად და დინჯად ჭუკჭუკებდნენ, თითქოს ოდნავი გაუგებრობაც არ მომხდარიყოს მათ შორის და ხანჯლებიც დეკორაციისათვის ჩამოეკიდათ, დუელის იარაღად კი არა.

როგორ დასრულდა დუელიო, ცალ-ცალკე რომ ჰკითხავდათ ნიკა აგიაშვილი, ორივე მედიდურად გასცემდა პასუხს.

ძალიანაც კი გამიბედავდაო, — იოსებ მჭედლიშვილმა, — სტუდენტობის დროს პეტერბურგში რომ ვსწავლობდი, ნევის პროსპექტზე ჟანდარმერიის ერთ როტმისტრს თვალში არ მოუვიდა ჩემი ჩოხა-ახალუხი, არც მე მოვეწონე და ალმაცერად გადმომხედა. ხანჯალი ფაშვში ვატაკე და ხახვივით შემრჩაო.

ახლა როგორ გგონიათ, მაგის სისხლით შევსვრიდი ჩემი საქართველოს მტრების სისხლში განბანილ და განსპეტაკებულ მამა-პაპურ ხანჯალსო? — კონსტანტინე გამსახურდიამ, — მაგან არ იცის, პარიზში რომ ვიყავი, სენ-სირის სამხედრო აკადემიაში ვაპირებდი შესვლას, მსოფლიოს დაპყრობაზე ვოცნებობდი, მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი მეზმანებოდა დღენიადაგ. რაპირებით ვვარჯიშობდი, სულ ერთიანად დაცხრილული მქონდა ხელები დაშნებით ბრძოლაში... ახლა გადამირჩა, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია ისე არ ნახდება, ეს შეურაცხყოფა შევარჩინო. უთხარი, მიფრთხილდეს, სადმე არ გადამეყაროსო.

გახსოვთ, არა, მიუნჰაუზენის მხიარული მონათხრობები?!.

ქიშმიში მაქვს, ქიშმიშიო...

ის წუთები დაბრუნებულიყო, ქართული დუელების ისტორიის კომპოზიციური ქარგა იკვროდა და, იდუმალი განაჩენით, ზუსტად პირველი დუელის თარგზე უნდა ამოხვეულიყო — დრამატული მოვლენა მთლიანად კომიკურ სამოსელში გამოხვეულიყო და სახალისო ეპიზოდად შემორჩენოდა ჩვენს საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ ცხოვრებას. და ვიდრე ნიკა აგიაშვილი ნოველურ იერს მიანიჭებდა ამ მოგონებას („ერთი ორთაბრძოლის ამბავი"), ლადო ასათიანი თვითონაც იცინებდა და სხვათაც აცინებდა გალექსილი ეპისტოლეთი: იმ ჩვენს იოსებ მჭედლიშვილს იცნობ, რომ კრიტიკოსია, ქართულს უწუნებს მარტვილი გამსახურდია კონიას... გაჩუმდეს, თორემ კონიამ ხალხი თუ მიწი-მოწია, გადაავიწყებს იოსეფს ნადირთ საკლავად წონიალსო...

კომპოზიციურ ქარგას თავისი შეუვალი წესი აქვს და იქიდან ოდნავადაც არ გადაუხვევს.

შე შეჩვენებულო, გული რად გამიხეთქეო, — გონზე მოდიოდა ილია ორბელიანი და ღმერთს მადლობას სწირავდა, გასროლის ხმაზე მოცელილი დისწული ქვემოდან რომ შემოსცინოდა და — ქიშმიში არ ამომაცალო ჯიბიდანო — თითქოს მხოლოდ ამას ჯავრობდა.

შიო არაგვისპირელის ეტიუდი „ბედის მსჯავრი" ტრაგიკომიკური აღმოჩნდებოდა.

დუელის პირველი აღწერა ქართულ ბელეტრისტიკაში და... კომიზმის გარეშე ვერ გადარჩებოდა.

ტრაგიზმიც რომ შერევია?

მაგრამ ეს მაინც დუელის აქტის მიღმაა.

არადა, სახიფათოს არაფერს მიგანიშნებს თხრობის დასაწყისი.

ორი ყოფილი სამხედრო გულითადად ხვდება ერთმანეთს და ალალად უზიარებენ მომავლის გეგმებს, რაც გულისხმობს მოწყვეტას საკუთარი მამულებისაგან.

არამცთუ ოდნავ სინანულსაც არ განიცდიან, ისიც კი ანუხებთ, ამდენ ხანს მძიმე ტვირთად რომ აწვათ.

ერთი უკვე გამოხსნია მკვიდრ მიწას, მეორე წუთიწუთზე მოიცილებს.

და თავმომწონეობენ, ახალ ცხოვრებას რომ უნდა მიეცნენ.

— ნუ, კ ჩორტუ მამული!..

— სწორედ მაგრე მოვიქეცი და მამულს მივაფურთხე... მწერენ, ვილაც გადამთიელი დაეპატრონა შენ მამულსაო, მაგრამ რაში მეკითხება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეშმაკმა ჩამაგონა და ჩემი მამულისკენ გამისტუმრა... ამ შემოდგომაზე მგონი... რაღა მგონი?.. „ტორგში" გამეყიდება...

— მაგისთვის ნუ იდარდებ...

— მიხარიან კიდევაც... გაყიდვით ჭირს მოვიშორებ!..

თხრობის პათოსი ძალდაუტანებლად განაზოგადებს „მამულის" ცნებას და სამშობლოსთან აიგივებს, იმ სამშობლოსთან, რომელიც ჩირადაც არ ულირთ პერსონაჟებს — არც მიხაკოს, არც რევაზს.

მწერლის მწვავე სარკაზმიც ამას გამოუწვევია, მათი აღსასრული თავისთავად რომ უნდა გაპამპულდეს.

ჯერ კი ორი გულითადი ნაცნობი სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა წაიკიდოს.

არჩევანი — დუელი.

ორთაბრძოლა ხუთ საათზეა დანიშნული და მიხაკოს ისე ეჩქარება შურისძიება საცოლის წართმევის გამო, საათის ისარს ხელს წაატანს წინ წასაწევად, თითქოს დრო ისრის წაწევას წაჰყვებაო.

საცოლის წართმევის გამოო...

ეს ეპიზოდი თხრობაშია ჩაკარგული და მხოლოდ შემდგომი ამბებიდან უნდა შევიტყოთ, ორი სამოცდაათი წლის კაცი რას შეუტაკებია ერთმანეთისათვის ასეთი გაშმაგებით.

კომიკურია მიხაკოს ვარჯიში ხმლით, კედელსა და კარს რომ ეფარიკავება — ბრძოლა ხომ დამბაჩებითაა გადაწყვეტილი და არა ხმლებით... მაგრამ დამბაჩით როგორ ივარჯიშებს, მაშინ ქვეყანა გაიგებს და მიხაკოს ეს ხელს არ აძლევს.

ყველაფერი დუელის წესისამებრ ვითარდება.

გამოჩნდებიან მიხაკოს სეკუნდანტები.

გამოჩნდება რევაზიც თავის სეკუნდანტებითურთ.

აგერ მკურნალიც.

ორთაბრძოლა ჭალაში უნდა მოხდეს.

მაგრამ უეცრად მიხაკო გაჯიუტდება: დუელი აუცილებლად მთის წვერზე უნდა გაიმართოს, მზის სხივები გვირგვინად რომ დასდგომია თავსო.

რევაზის სეკუნდანტები უარზე არიან: ჩვენს მეგობარს ამ აღმართის ავლა არ შეუძლიაო, — რაც მიხაკოს ძალიან გაამხიარულებს და ხარხარს ასტეხს: ქალის გადაბირება კარგად შეუძლიაო!..

რევაზი იწყენს მოქიშპის დაცინვას და მრისხანედ წამოიძახებს:

— მოგიკვდეს რევაზი, თუ შენისთანა ლაჩარს ჩამოჰრჩეს!.. შევუდგეთ!..

და მთას შეუყვება.

ლაჩარი ვინცაა, მთის წვერი გამოაჩენსო, — მიხაკოს უნდა დაილრიალოს და წინაც გადაურბინოს.

უცნაური, უჩვეულო სურათია მსოფლიო დუელების ისტორიაში.

განა ორთაბრძოლის წინა ჟამი ერთმანეთის მუხლის სიმაგრეში გამოცდად ივარგებს?

კომიკურობაც ამისაა.

და მთელი გზა მთის წვერამდე პერსონაჟების სავალალოდ, იუმორითა და ირონიით იმსჭვალება.

ოთხივე სეკუნდანტი შუაში უნდა ჩაუდგეთ, მამლაყინწებივით ვაითუ ერთმანეთი წაქოჩრონო, მაგრამ ეს შიში ამაოა, რადგანაც ორივე ისე მიეშურება მწვერვალისაკენ, ერთმანეთს აღარც უყურებენ. რაც ძალ-ღონე შემორჩენიათ, ამ ასვლაში აქსოვენ.

სეკუნდანტები ფეხდაფეხ მისდევენ.

მკურნალი შორიახლო მიჰყვებათ ნელი ნაბიჯით და ოდნავ ეღიმება.

სად მოჰყვეს, რა სასაცილო ამბავს შეესწრო!..

მოგწყდა, მოგეკვეთა ხომ მუხლიო, — ბუზღუნ-ქშიტინით ძლივს უნდა ამოთქვას ეს სიტყვები მიხაკომ, რევაზმა კი საპასუხო სიტყვაც ველარ დაამთავროს.

ოფლად იწურებიან. ქუდებს დროდადრო იხდიან, დასველებული ცხვირსახოცით ოფლს იწმენდენ და ისევ იხურავენ... ოხშივარი ასდით, შუბლისა და ყელის ძარღვები დატეკვნიათ, მაგრამ სიარულს მაინც არ უკლებენ.

— ჩქაააარა... — ძლივს წამოიძახებს მიხაკო.

— გა...გა...და...

— ზემოთ... — წაართმევს სიტყვას მიხაკო რევაზს.

სეკუნდანტები ეხვეწებიან, მოიცადეთ, ცოტათი დაისვენეთო. ისინი კი:

— აა...

— რაა!..

— მსჯა...ვრი...ვრი...

— ბეე...ბეეე...

— დმა...დმა!..

ეს ყოველივე სწორედ სატირალი იქნებოდა, სასაცილოც რომ არ იყოს.

მწერალი უშუალოდაც უნდა ჩაერიოს თხრობაში: სხვას უეჭველად გაიტაცებდა მთის ძირს დაფენილი ჭალა-მინდორი, რომელიც ოდნავ შეკომლილ ცას შეტრფიალებდა და ნახევარი საათით მაინც დაავიწყებდა მის გულისთქმას, მაგრამ ეს ორნი ისე განმსჭვალულიყვნენ ზიზღით ერთმანეთისადმი, ამ გრძნობის გარეშე თუ ქვეყნად რაიმე არსებობდა, აღარც ეყურებოდათო.

პირველ ნაბიჯზე მიხაკო დადგება, მეოცეზე — რევაზი.

დამბაჩებს აირჩევენ.

სროლის წესი იციან — სამს რომ დაიძახებს სეკუნდანტი, ორივემ ერთდროულად უნდა ისროლოს.

ჩვეულებისამებრ სეკუნდანტები შერიგებას სთხოვენ, მაგრამ ორივე ძლივ-ძლიობით წამოიძახებს: არაო.

— ერთი!..

განითლებული სახე უეცრად ორივეს მიეფერფლება და ყურები შუილს დაუწყებთ ამ ხმაზე.

— ოორი!..

დამბაჩებს შეათამაშებენ და ოდნავ უკან გადაიზნიქებიან. ტვინი ცოტათი შეუჩუჩუნდებათ და გული შეუფრთხიალდებათ. დამბაჩები კი თამაშობენ...

სამი!..

„სამის" წარმოთქმა და ზურგზე დაცემა ორივესი ერთია. დამბაჩები ძირს დაცვივა.

რა მოხდაო, — გაკვირვებით უნდა იკითხოს მკურნალმა, ვინც ის-ისაა ამოაღწევს, — სამი რომ თქვით, გავიგონე და გამოვეჩქარე, დამბაჩების ხმა კი არა მსმენია. დაიჭრაო? — და მივარდება მიხაკოს, ვისაც ორი სეკუნდანტი გულს უხსნის. დააცქერდება და სისხლს კი ვერ დაინახავს.

— ბედის მსჯავრი! — მონყენით წამოიძახებს ერთი მათგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკურნალმა მწუხარებით უნდა გადაიქნიოს თავი და ახლა ოცი ნაბიჯისაკენ გაეშუროს: აქ რაღა ამბავიაო?

— იგივე, რაც იქ!.. — ერთხმად უნდა უპასუხონ რევაზის სეკუნდანტებმა.

ესეც ის ბედის მსჯავრი, ეტიუდის სათაურად გატანილი.

და ეს ყოველივე უთუოდ სასაცილო იქნებოდა, სატირალიც რომ არ იყოს.

თითქოს დავით კლდიაშვილის თემა და გარემოაო.

შიო არაგვისპირელის მხატვრული სამყარო უფრო მწუხარებით, კაეშნით, სკეპსისით შემოქსოვილა, მკაცრი სატირაც საცნაურია, ტრაგიკომიკურობა კი ნაკლებ დაჩნევია მის მხატვრულ ხილვებს. თუმც ამჯერად უსათუოდ წარმატებით მოუმარჯვებია ეს სტილისტიკა და ცრემლსა და სიცილს აზავებს ერთმანეთში.

დავით კლდიაშვილი ცხოვრებაში იკმარებდა დუელს.

შიო არაგვისპირელს კი პირადად თუ არ მოუწევდა ორთაბრძოლაში თავის გაყოფა, უყურადღებოდ მაინც ვერ მიატოვებდა ამ თემას... და ისე გაიაზრებდა, ქართულ სინამდვილეს როგორც უფრო შეჰფეროდა!..

როგორ შეჰფეროდა და:

ჩაშლილ დუელს ნიკოლოზ ბარათაშვილის აფორისტული სტრიქონის თავისებურ თვალსაჩინოებად აქცევდა: სასაცილოა ბერიკაცი რომ ყმაწვილობდესო.

და სამშობლოდაკარგულ, საკუთარი ფესვების უარმყოფელ ადამიანებს ისეთ სიკვდილს არგუნებს, მსმენელებმა სიცილი რომ ვერ შეიკავონ.

სამი — გაისმის სეკუნდანტის ხმა.

მაგრამ ბედის განაჩენის ძახილი ადვილად ფარავს ამ ხმას და მთის წვერს ვოდევილის ფიცარნაგად აქცევს — მოელი, რომ მაყურებელთა ტაშისცემისთანავე ორივე მსახიობი... მსახიობია, აბა რა!.. ზეზე წამოიჭრება და თავის დაკვრით გადაიხდის მადლობას.

კაეშნიან, სასოწარკვეთით ალსავსე მხატვრულ სინამდვილეშიც ღიმილი ანათებს, როდესაც დუელის წარმოსახვა ხდება აუცილებელი!..

### XXII

დუელის თემას ხელიდან როგორ გაუშვებდა მიხეილ ჯავახიშვილი „კვაჭი კვაჭანტირაძეში". განა შეიძლება პიკარესკული რომანი დუელის ქართული ნაირსახეობისა თუ დუელიანტის შარავანდის გარეშე?

როდესაც რომანის მთავარი გმირი საგანგებოდ წვრთნის და არიგებს მეგობრებსა თუ დაქირავებულ აგენტებს, რათა მითქმა-მოთქმით და ათასგვარი ქება-დიდებით კვაჭის სახელი გაბერონ, მისი დუელიანტობის ხელოვნებასაც დითირამბებს უძლვნიან.

არ კმარობს, როდესაც ხმებს ყრიან: უთვალავი სიმდიდრე აქვს — ნავთი, მარგანეცი, სპილენძი თუ ხუთასი ათასი დესეტინა მამულიო.

არ კმარობს: თურმე ისეთი მარმარილოს ციხე-კოშკი აქვს კოლხიდაში, რომ ამერიკიდან ჩამოდიან სანახავადო.

არ კმარობს: მეფის ჩამონავალია, ისეთი სუფთა სისხლი აქვს, როგორც ჩინეთის ბოგდიხანსო.

არ კმარობს: თურმე შინ ათი ულამაზესი ქალი უზის, სხედან და აქციების კუპონებს სჭრიანო.

არ კმარობს: სახელმწიფო ბანკის გამგედ მიიწვიეს, მაგრამ კი არ გაგიჟებულა, რომ დათანხმდეს, თვითონ თუნდ ხუთ ბანკს იყიდისო.

არ კმარობს: ერთი ლამაზი ქალიც ვერ გადაურჩა პეტერბურგშიო.

დუელიანტის სახელიც ნებავს და კლაკიორები ამიტომაც ატრიალებენ ამისთანა ამბებს: კატალონიის ჰერცოგინა, ულამაზესმა და უპატიოსნესმა ქალმა მთელი დედამიწის ზურგზე, სამ დღეზე მეტი ვერ გაუძლო კვაჭანტირაძის იერიშს, დაგვიჯერეთ, ნამდვილად ვიცით, ქმარმაც გაუგოო.

დუელი?

და ეს აუცილებელი შარავანდიც უნდა დაეგას:

— არა, როგორ გაჰბედავდა! კვაჭანტირაძე გაფრენილ ბუზსა ჰკლავს...

ვაითუ დაეჭვდნენ?

ამიტომ ახალ-ახალი ცნობებით უნდა განმტკიცდეს მისი ორთაბრძოლის ოსტატობა:

— ამას წინათ სამი კაცი გაიწვია დუელში და სამივენი ფეხის კოჭებში დასჭრა.

ეს მის დიდ კეთილშობილებაზე მეტყველებს, ამხელა უპირატესობას მართლა ადამიანის მოსაკლავად ხომ არ გამოიყენებს!.. ამიტომაც მხოლოდ აგრძნობინებს, რომ გაფრთხილდნენ და გამოეხსნან — აგრძნობინებს სროლის სიზუსტით.

ისე ფეხის კოჭი საგანგებოდ გახმიანდება თხრობისას და ეს მარჯვე დეტალიც მის პაროდიულობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

### XXIII

დუელი დატრიალდებოდა გალაკტიონ ტაბიძის გონებაშიც, იქნებ სტრიქონებიც მობმოდა, მაგრამ დრამატული იერისა თუ... კომიკური? როგორც გარდასახულიყო დუელი ჩვენს რეალობაში, ისევე მოექცეოდა პოეტურ საბურველშიც თუ გალაკტიონი ამ ორთაბრძოლის კლასიკურ სახეს აირჩევდა თავისი ხილვებისათვის? ევროპისათვის კლასიკურ, თორემ ჩვენი კლასიკა ესაა — ჩაშლილი ან სულაც იუმორით ალსავსე, და ისეთი შთაბეჭდილება გიჩნდება, რომ დუელი კომედიისა თუ ვოდევილ-ფარსის თემა უფროა, ვიდრე ტრაგიკული ჟანრის, და რატომ მოჩქეფდა ევროპაში ღვინის ნაცვლად სისხლი, სიცილის ნაცვლად კი ტირილი, ვერაფრისდიდებით ვერ აგიხსნია.

მივარდნილ აივანს შეჰყურებდა გალაკტიონი გონების თვალით, რეალურად არსებულსაც და გასიმბოლოებულსაც იმავდროულად, საქართველოს თავისებურ მეტაფორას, და სევდა და ირონია, ტკივილი და ღიმილი უცნაურად ერწყმოდა ერთმანეთს ამ ხილვაში და ოქტავებით პოემის წერა ყოვლად მოძველებულ და უსარგებლო მცდელობად მიაჩნდა, და სოფლის უდაბნოებას გადაუვლიდა ზარი და სასახლე ხდებოდა თილისმა, და მარტოსულის მღელვარე განცდებში იჭრებოდა მოლანდებანი თუ მონატრებანი, და მათ შორის, ეს სურათებიც:

**და მეგობარიც ხანდახან**
**უთუოდ მოვა, თუ ელი:**

**ტფილისში მეფობს თათარხან,**
**ღვინო, დუელი, დუელი!**

თითქოს ავბედით განცდას უნდა ბადებდეს მკითხველში დუელის ხსენება, მაგრამ ლექსის რიტმი — თამაშ-თამაშად გარდასახულ სულიერ ტკივილებს რომ გვაგრძნობინებს ხელშესახებად — ძალაუნებურად აცლის ამ სიტყვას საბედისწერო შინაარსს და უფრო იქით მიგვანიშნებს, საითაც ქართულ დუელთანაირსახეობა გვეგულება და სათავეში კი დამბაჩაშემართული ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას, სეკუნდანტი რომ ეჩურჩულება: ილიკოს იარაღი გავარდება თუ არა, მაშინვე წაიქეციო.

ოინბაზობას თავისი სრულყოფილება და დახვეწილობა ესაჭიროებოდა და „ქიშმიშიც“ დამაგვირგვინებელი აკორდივით გაისმოდა მტკვრის ნაპირას და მისი დუდუნი ამ აკორდსაც ჩაიხვევდა.

ჩაიხვევდა და ამოიბუტბუტებდა.

ეს ჩანაწერებიც იმ ბუტბუტს ამოჰყვა და, უნებურად რომ ჩამივარდა ხელში, აღარც ვიცოდი, რა მეღონა, ეს ფურცლები სადღა წამეღო, და ისევ შენ მოგანდობ, ძვირფასო მკითხველო, თუკი სადმე ხარ, გნებავს შეინახე, გნებავს ისევ მტკვარს დაუბრუნე, ოღონდ მაშინვე ნუ გამობრუნდები, გარინდდი, სული გაკმინდე, მიაყურადე, მანდ სადღაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცილი ისევ ხმიანებს და ნუ გამოგეპარება, ასეთ სიცილს ვერსად და ვერასდროს ველარ მოისმენ.

და მისი აჩრდილიც მოვა, უთუოდ მოვა, თუ ელი... დუელი... თუ ელი... დუელი...



# „ნათელი ცრემლით დაწერილი“

*

## ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილის წიგნის წარდგინება

**კარგა ხანს ვერ გადაეწყვიტა, გამოეცა თუ არა ეს წიგნი.**

**ამბობდა: რა გამართლება აქვს აი, ასე შეკრიბო ოცი წლის მანძილზე აქა-იქ მიმობნეული ლიტერატურული ჩანახატი და საიუბილეოდ დაწერილი თუ გამოსათხოვარი წერილიო.**

**მაგრამ...**

**ჩვენი ყოველდღიურობის აჩქარებულ რიტმებს შორის დგება ისეთი წუთიც, როცა უეცრად მოგინდება შეაჩერო დრო და ცოტა ხნით, სულ ცოტა ხნით მაინც დახედო შენთვის ძვირფას პორტრეტებს. ეს ალბათ ის წუთია, როცა ყველაზე მეტად გჭირდება თანაზიარობის ის განცდა, შენთვის სულიერად ახლობელ ადამიანებს რომ მოაქვთ – უფროსებსა თუ უმცროსებს, საყოველთაოდ ცნობილებსა თუ ჩვეულებრივ მოკვდავთ, ამ წუთისოფელში მყოფთა თუ იმ ქვეყნად უილბლოდ წასულთ...**

**ეს ის წუთია, რომელიც ისე გეძვირფასება, ისე გჭირდება, რომ თავს ანებებ ყველა სხვა ფიქრს, უბრალოდ იღებ ხელში კალამს და იწყებ წერას...**

**„დაფანტული ფურცლები“ – ასე ჰქვია ქალბატონი ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილის წიგნს, რომლის წარდგინებაც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.**

– ქალბატონი ცისანას წერილები მრავალმხრივ საგულისხმოა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ მარტო სწორი ორიენტირის თვალსაზრისით, – თქვა შეხვედრაზე ბატონმა **როსტომ ჩხეიძემ,** – კრიტიკულ წერილებში ჩვენ ხშირად ვხვდებით აჭრილ ვითარებას, ქალბატონი ცისანას ეს წიგნი კი სრულიად დაზღვეულია ზედმეტი სუბიექტივიზმისგან, ვითარების არასწორად წარმოდგენისგან. აქ თავი მოიყარა ლიტერატურულ-ესთეტიკურმა თხზულებებმაც და მემუარული ხასიათის ჩანაწერებმაც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან ავტორის შეფასებები ძალზე სანდოა, ამიტომ ეს წიგნი საგულისხმო წყარო იქნება მომავალი მკვლევარებისთვის.

ქალბატონი ცისანას თვალსაწიერი ფართოა, მარტო დღევანდელობით ან XX საუკუნით არ შემოიფარგლება, ის XIX საუკუნესაც გადაწვდება და ცოცხალ პორტრეტებს ქმნის. ამიტომაც ეს „დაფანტული ფურცლები“ კი არა, კარგად შეკრული და გააზრებული კრებულია. აქვე გავიხსენებ მის პირველ წიგნსაც, რომელიც ნიკო გოძიაშვილს ეძღვნება და ორიგინალური ყაიდის მონოგრაფიულ-მემუარული ნაშრომის სახით იცნობს მკითხველი.

* * *

ამ წიგნის ავტორი ძალიან მდიდარი ქალბატონია, – თქვა შეკრებაზე **იოსებ ჭუმბურიძემ,** – მისი სიმდიდრე მეგობრებია.

გადახედეთ ამ დარბაზს და დარწმუნდებით:

რამდენი ძვირფასი სახეა მის სამეგობროში.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ სამეგობროს ბევრი წევრი, სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარ არის. ამ წიგნში კი ისინი გვერდიგვერდ სახლობენ.

ეს საკმაოდ არაორდინარული წიგნია.

მისი სათაურიც ასეთია:

თითქოს ჩვეულებრივი, სინამდვილეში კი – არაჩვეულებრივი, რადგან დაფანტულ ფურცლებსაც გულისხმობს და ერთად თავმოყრილსაც.

ქალბატონი ცისანა სამეგობროს წინამძღოლადაც კი აურჩევიათ – როგორც ყველაზე ენერგიული და ორგანიზატორული ნიჭით შემკული.

რეზო ინანიშვილს მისთვის „დამძახებელი“ შეურქმევია.

ქალბატონ ცისანას ეს სახელი, რატომღაც, დაუწუნებია – ახლა გულწრფელად ნანობს და აღიარებს – მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რეზოს ამ სათაურით ბრწყინვალე მოთხრობა რომ ჰქონია დაწერილიო.

„დამძახებელს“, თურმე „რაზმის უფროსობა“ ამჯობინა.

არადა, რეზო ინანიშვილს რა შეეშლებოდა.

ქალბატონი ცისანა მართლაც რომ დამძახებელია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით – ჭირის თუ ლხინის, ტკივილისა თუ სიხარულის უპირველესი შემტყობი და გამზიარებელი და სხვებისთვისაც ამის მქადაგებელი.

ამ წიგნს ბატონმა რენე კალანდიამ „ნათელი ცრემლით დაწერილი" უწოდა.

ზუსტი ნათქვამია.

ამ წიგნში ცრემლი მართლაც ბევრია – ახლობელ ადამიანთან სამუდამოდ განშორებით გამოწვეული.

ამ წიგნში სიხარულის ცრემლიც უხვადაა, სხვისი წარმატებით მოგვრილი. მისთვის ღმერთს უხვად უბოძებია „უნარი სხვისი გახარებისა".

ეს წიგნი ამის უტყუარი საბუთია.

ამ წიგნში მოგონებებიც უხვადაა და საინტერესო ფაქტებიც. მათი მოხმობით გამოიკვეთება ძვირფას პიროვნებათა სილუეტები.

ამ წიგნში არის ერთი სრულიად არაორდინარული რეცენზია, რომლის მსგავსი, შესაძლოა, არც დაწერილა.

ამ დარბაზში ისეთი ერუდიტები ბრძანდებიან, რომ მათ წინაშე კატეგორიულად ვერაფერს დავიჩემებ, მაგრამ პირადად მე მსგავსი რეცენზია არსად შემხვედრია.

შესაძლოა, ავტორმა არც კი იცის, რომ უნიკალური რეცენზია დაწერა. ამაზე არც კი უფიქრია. ის უბრალოდ გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ მიიტანა საავადმყოფოში მწოლიარე ახლობელთან თამაზ ჩხენკელის წიგნი „მწვანე ბივრიტი". ხუთ დღეში ერთხელ მიდიოდა მის მოსანახულებლად და ყოველ მისვლაზე თითო თავს უკითხავდა. თითოეული თავი კი ამა თუ იმ გამოჩენილ ქართველს ეძღვნებოდა – კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას, აკაკი გაწერელიას, გერონტი ქიქოძეს, გურამ ასათიანს, სარგის ცაიშვილს...

ავტორი უხვად მოიხმობს ციტატებს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხსენებულ წიგნს, მასთან ერთად, ჩვენც ვკითხულობთ. ჩვენ თვალწინ წარმოჩნდება თამაზ ჩხენკელი, როგორც დიდებული ესეისტი, იშვიათი ლიტერატურული პორტრეტების ავტორი.

ერთი წიგნის საქებრად ეს ერთი სტატიაც იკმარებდა. ამ წიგნში კი ასეთი არაერთია.

* * *

„ვუძღვნი ჩემი ძმისწულის, ლანა კვინტრაძის ნათელ ხსოვნას" – ასეთი წარწერა აქვს წიგნს, რომელშიც, თავად ავტორის თქმით, ახალგაზრდობისდროინდელი, ფოტოსურათებივით გადანახული და გამოქვეყნების თარილების მიხედვით აკინძული საგაზეთო ამონაჭრები, წლების მანძილზე მეგობრებისა და კოლეგების შესახებ დაწერილი ჩანახატები გაერთიანდა.

– წიგნში გაცოცხლებული ადამიანები ჩვენი დიდი სამოციანელები არიან. ჩვენ მათ ჩრდილში ვართ და ვცდილობთ ეს სხივი შევუნარჩუნოთ მათ. ცისანაც ერთ-ერთია ჩვენს შორის, პირადად მე ისიც ერთ-ერთი სამოციანელი მგონია, რომელმაც ძალზე მართალი სიტყვა უთხრა მკითხველს, სიტყვა მწუხარებისაც და სიხარულისაცო, – თქვა შეკრებაზე ქალბატონმა **ცისანა გენძეხაძემ, თინა ცქიტიშვილმა** კი მათი ქუდბედიანი კურსი გაიხსენა და აღნიშნა: იშვიათია ერთად შეიკრიბოს, ერთ თაობაში აღმოჩნდეს ამდენი კეთილი სახე, ამდენი ნიჭიერი ადამიანი, შემდგომში ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილ სახელებად გაცხადებული.

ცისანას აქვს საოცარი უნარი – შეკრიბოს თავისი ახლობლები და ერთი ნიშნით – სულიერებით გააერთიანოს. „დაფანტული ფურცლებიც" ამის დასტურია.

ერთხელ ბატონმა რეზო ესაძემ მითხრა: ქართველი ერი განსხვავებულია, ქართველი კაცი ქრისტემდეც ქრისტიანი იყოო. ალბათ სწორედ ამ მადლმა მოგვიყვანა აქამდე და კიდევ ისეთმა ადამიანებმა, ქალბატონი ცისანასავით ჩვენი სამეგობროების, ჩვენი ორდენების სულიერ მეთაურობას რომ იღებდნენ საკუთარ თავზე და ერთმანეთის დავიწყების საშუალებას არ გვაძლევდნენ. ასე მოვიდა დღემდე ეს თაობაც და თუ დღეს ჩვენს ასაკთან შედარებით ასე ახალგაზრდულად გამოვიყურებით, სწორედ ცისანას დამსახურებააო.

ეს საოცარი უნარი ბატონმა **ვახტანგ ჯავახაძემ** ასე შეაფასა:

– ყველა თაობას, სამეზობლოს, სამეგობროს ჰყავს ადამიანი, რომელიც აკავშირებს, არ ავიწყებს ერთმანეთს. ჩვენს კურსზე ასეთი პიროვნება ცისანა აღმოჩნდა. ამ წიგნში არის დეტალები, რომელიც აღარც კი გვახსოვს, დრო თავის მტვერს აფარებს და აი, ცისანა ჩვენს წარსულს შეგვახსენებს მისთვის ჩვეული სითბოთი და სიყვარულით. იცით, საერთოდ ყველა წიგნი თავის ავტორს ჰგავს, მაგრამ ეს შემთხვევა განსაკუთრებულია, მსგავსებაც გამორჩეულიო, — თქვა მან.

ბატონმა **ჯანსულ ჩარკვიანმა** ამ ყველაფერში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" წვლილზე ისაუბრა და აღნიშნა:

– რომ გგონია წაიბილწა ყველაფერი, გადაფასდა ყველა ღირებულება, ასე არ არის – შეგიძლია მოხვიდე აქ, ამოისუნთქო და თქვა, რომ ისევ არსებობენ მწიგნობარი ადამიანები, კვლავ არის ინტელიგენცია, რომელსაც თავისი ხვალინდელი დღე აქვსო. ქალბატონ ცისანას კი, მადლიერების ნიშნად, ექსპრომტად მიძღვნილი ლექსი წაუკითხა სათაურით: „კვინტრაულა".

**კითხვის დროს ვსვი წყალი დიდხანს,**
**მკითხველს გამოკითხვა უნდა,**
**ვინც კვინტრაძე წაიკითხა,**
**ყველა გამოკვინტრაულდა.**

**ენობრივი სირთულე**

ცნობილი ფიზიკოსი ლეო სცილარდი, ეროვნებით უნგრელი, თავის პირველ მოხსენებას კითხულობდა ინგლისურ ენაზე და ძალზე ღელავდა. მოხსენების შემდეგ მასთან ჯექსონი მივიდა და ჰკითხა: „მითხარით, სცილარდ, რა ენაზე კითხულობდით მოხსენებას? სცილარდი შეცბა, მაგრამ მაშინვე მონახა გამოსავალი: "რა თქმა უნდა, უნგრულად. ვერ მიხვდით?" ჯექსონმაც არ დააყოვნა: „როგორ ვერა, მაგრამ ის ვერ გავიგე, თუ რატომ ჩატენეთ უნგრულში ამდენი ინგლისური სიტყვა."

**მის ძმას თავთან „ლიტრა“ უდევს,
ჩვენც ვუბერავთ „კვინტაურად“
და რომ გამოკვინტრაულდე
ნაიკითხე „კვინტრაულა“.**

* * *




– ეს არის წიგნი თაობაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია XX საუკუნეს.

გამოცემა უცნაურია თავისი ფორმატით – მას სარჩევი არ აქვს.

ძალიან მომეწონა შესავალი

გიყვარდეს სიცოცხლე – ასეთია ლაიტმოტივი ამ წიგნისა.

რატომ მომწონს იგი და რამ მიმაბრუნა მასთან მეორედ წასაკითხად?

პირველი პლასტი – აქ თავმოყრილია ისტორიულად ღირებული ფაქტები და ინფორმაციები – ვგულისხმობ გოძიაშვილების შესახებ არსებულ ლიტერატურას. ამ გვარის ცნობილი სახელების ბიოგრაფოსს ეს მასალა აუცილებლად დასჭირდება.

მეორე – წიგნში გაცოცხლებულია საოცარი პიროვნებები, რომლებსაც ფართო საზოგადოებრიობა არ (ან ნაკლებად) იცნობს. ეს ადამიანები განწყობას ქმნიდნენ იმ თაობაში.

და მესამე – ჩემთვის მნიშვნელოვანია უცნობი დეტალების მოწოდება ცნობილი პიროვნებების შესახებ.

ამ სამი პლასტის გამო მადლობა მინდა ვუთხრა ავტორს, – ეს ბატონი **ნოდარ ტაბიძის** შეფასებაა.

ქალბატონმა **ნათელა არველაძემ** კი წიგნის ღირებულება ამ კუთხიდან გახსნა:

– სულ ვფიქრობდი რომელ ფასეულობათა სისტემაში უნდა ჩამესვა ეს კრებული და ბოლოს მივხვდი:

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რადიკალურად შემობრუნდა ვითარება ჩვეულებრივი, უჩინარი ადამიანების მიმართ და საზოგადოებრიობა დაფიქრდა იმაზე, რომ ისტორიის სიმძიმე დგას არა მხოლოდ ლიდერებზე, ჩვეულებრივ, ყოფით უღელში შებმულ ადამიანებზეც. ჩემთვის სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო ეს წიგნი, ავტორის მოსაზრებები, მისი შეხედულებები — გამოთქმული ამა თუ იმ პიროვნების შესახებ შესაძლოა გაიზიარო, შესაძლოა არა, მაგრამ კამათის სურვილი არ გიჩნდება, რადგან შეუძლებელია ეკამათო სიყვარულს.

და ეს დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ მგონია, – თქვა მან.

ალბათ ამიტომაც უსურვა ბატონმა **ნოდარ ნათაძემ** ავტორს:

– ჩემთვის ამ ყველაფერში მთავარი ის არის, რომ გრძნობა, რომელიც გამოძრავებს, არც შენ და არც არავის შელახული არ ენახოსო.

თავისი სტრუქტურითა და ხასიათით დეტექტიურ რომანს შეადარა წიგნი ბატონმა **ნოდარ ცერცვაძემ:**

„აქ იმდენი უცნობი დეტალია, იმდენი უცნობი მოღვაწის სახელია წამოწეული, ასე მგონია თავიდან ვათვალიერებ იმ ეპოქის სურათებს. ეს პორტრეტები კი ისეთი ცოცხალია, ისეთი ხელშესახებია, მთელი გარემო იხატება მათი“.

* * *

ასეთი ადამიანები ჭირის დროსაც პირველნი ამოგვიდგებიან მხარში და ლხინსაც პირველები გაიზიარებენ, ამიტომ მის მიერ ასეთი წიგნის დაწერა არ გაკვირვებია ბატონ **გივი ბოჯგუას** და არც შეხვედრაზე შეკრებილ სხვა ადამიანებს.

ქალბატონი **ცისანა თოდუას** აზრით, რომ ეს წიგნი ავტორს ფართო მკითხველისთვის არ დაუწერია, თუმცა ვის ხელშიც ის მოხვდება, უთუოდ დააფიქრებს იმაზე, რომ წინაპართა სახელს თაობებს ცნობილ მოღვაწეებთან ერთად ჩვეულებრივი, ნაკლებად ცნობილი ადამიანებიც უნახავდნენ. ამიტომაც ბატონი **ტარიელ ხავთასი** ამ წიგნს მთელი იმ ეპოქის მაჯისცემად მიიჩნევს – არა მხოლოდ დიდი სახელების, საერთოდ იმ თაობის სიხარულსა და ტკივილს რომ გვინახავს. ბატონი **ლევან ქურციკაშვილისთვის** კი ეს კრებული იმედია იმისა, რომ ღირებულებები, რომელიც ასე გვეძვირფასება, ჯერ კიდევ მოგვდგამს. დაფანტული ფურცლები კი — აკრეფილი და შეგროვებული წარსულიდან — ავსებს და ამთლიანებს არა მხოლოდ ჩვენს ყოფას, არამედ მომავალი თაობის ცხოვრებასაც.

– თქვენ ძალზე ბედნიერი ადამიანი ხართ, – უთხრა ქალბატონ ცისანას ბატონმა **თემურ ნადარეიშვილმა, –** რომელი მწერალი არ ინატრებდა ასე ერთად შეკრებილი ენახა თავის წიგნში გაცოცხლებული უამრავი პერსონაჟი.

პირადად მე ამ კრებულმა თავისი თითქოსდა მარტივი ენით გამიტაცა, მაგრამ ეს სიმსუბუქე მოჩვენებითია. კითხულობ და ფიქრობ: თითქოს შენც შეგიძლია ასეთი რამის დაწერა, მაგრამ ასე არ არის. აქ უამრავი დეტალია აღდგენილი, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ ჩვენი ცხოვრებაც ხომ ამ დეტალებისგან შედგება და ასეთი სახიერი პორტრეტებიც სწორედ ამ „მონასმებით“ იხატება. წინათქმაში თქვენ ძალზე კარგად ამბობთ:

„ამ განდობილთა სახელებთან მიბრუნება რაღაც იმედით გავსებს, და სასოწარკვეთილების უფლებას არ გაძლევს. სწორედ ეს არის ამ წიგნის მიზანი – დაბრუნება იმ ადამიანთა პორტრეტებთან, რომელთანაც მეგობრობა, თანამშრომლობა თუ გამოთხოვება ისეთ სათუთ სიმს შეეხო, რომ არ მოგასვენებს, სანამ არ ამოიმღერებ ან არ ამოიტირებ შენ სათქმელს“.

* * *

აკი ამიტომაც გადაწყვიტა დაეწერა
ამოემღერა
ამოეტირა თავისი სათქმელი.

და ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ სურათებად, ამ უჩვეულო, გადანახულ წუთებად ღირს ის, რასაც ცხოვრებას ვუწოდებთ ადამიანები.

ნესტან ფიფია

# გაძლებაც, გადარჩენაც, სიცოცხლეც...

*

## სახელები ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში

ოცდაორ წიგნად შეკრული „მატიანე ქართლისა“ შეჰმატა ერის სულიერ საგანძურს „სულით მხედარმა“ ოთარ ჩხეიძემ. მისი ნაწარმოებების კითხვისას „გრძნობ, თურმე როგორ მოგშიებია, მოგწყურებია, მოგნატრებია ქართული სიტყვის სურნელი. მწერალი კი ენის გატლანქებას ჩივის, იქნებ იმიტომაც, რომ ამაღლებულობა და სულიერება გაქრა ჩვენი ცხოვრებიდან“ (მაია ჯალიაშვილი)

მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვით გამთლიანებულ ერის სატკივარს ახმიანებს სხვადასხვა რომანი, მათ შორის, „ამაღლება“, სადაც სულიერების წინააღმდეგ წითელი რეჟიმის ბრძოლის ვერაგული ხრიკებია დახატული, „მწერალი გულის თვალებით ხედავს და ხატავს“. გულის თვალებით მოხილულ ტკივილს გამორჩეული ფერები აქვს და მას ავლენს მწერლის მიერ ოსტატურად შერჩეული მხატვრული ხერხები. აქ თითოეულ სიტყვას, წერტილსაც კი თავისი მისია აქვს.

საოცრად მეტყველი და სიმბოლური დატვირთვისაა პერსონაჟთა სახელები ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახისმეტყველებით-ეტიმოლოგიური დატვირთვა. სახელებს აქვთ ალუზიის, ირონიის, ლიტოსის ფუნქცია.

წერილში, „სახელების მაგია“, ვალერიან გაფრინდაშვილი ამბობს: „სახელი და სიტყვა ერთად იზრდებიან, შემდეგ სახელი გაუსწრებს ზრდაში სიტყვას და მაღლა აგდებს ტანს, როგორც რომელიმე გმირი ჰქმნის ლეგენდას, ისე სახელი პირველი აშრიალების შემდეგ ჰქმნის თავის ფანტასტიკას“.

სახელის მიერ შექმნილი „ფანტასტიკა“ ქართული კლასიკური მწერლობის არაერთ ნიმუშში გვხვდება. მეცნიერული ინტერესითა და სიმბოლური დატვირთვით ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელების ეტიმოლოგია. სწორედ ამ ეტიმოლოგიური საიდუმლოს გახსნით ხდება საცნაური სახისმეტყველებითი დატვირთვა სამი რაინდის (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) მიერ ქაჯეთის ციხის განადგურებისა და ნესტანის გათავისუფლებისა, რაც ამ თვალსაზრისით მოიაზრება როგორც კოსმიური ბნელის დამარცხება და ზიარება ინიციაციასთან.

ოთარ ჩხეიძის მხატვრულ სამყაროში „უმადლო ჟამს“ დაუკნინებია ნესტან-დარეჯანი და თინათინი. ეს სახელები ქართულ სინამდვილეში ასოცირდება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებთან. პოემაში ისინი ნათელმოსილი სახეები არიან. მათი სახელების ეტიმოლოგიაც მიუთითებს მათ განსაკუთრებულ მისიაზე.

ნესტან-დარეჯანი პოემაში ინიციაციის (საღვთო სიბრძნესთან ზიარების) სიმბოლოა. სახელის არაბული ეტიმოლოგია „ნესთ ანდარე ჯეჰან“ — არ არის ქვეყნად, მიგვითითებს ნესტანის მისიაზე; ის არაამქვეყნიური სიბრძნეა. „ინიციაცია არის გზა განღმრთობისკენ, ცხოვრების ხის ძალების კვლავ მოპოვებისკენ“, სამი რაინდი: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ყველა ამქვეყნიურ დაბრკოლებას უმკლავდება საღვთო სიბრძნესთან ზიარების გზაზე. ამ პროცესის მაორგანიზებელი ძალა (ავთანდილისათვის დავალება უცხო მოყმის ძიებისა, შეგულიანება, მოაძებნინოს ტარიელს გადაკარგული მიჯნური) არის თინათინი. საგულისხმოა, რომ „თინათინის“ ლიტერატურული ფორმაა „ათინათი“, რაც ნიშნავს სინათლის ციმციმს, ნათებას, აგრეთვე, საბასეული განმარტებით, „სარკით ანუ მისთანათა რათმე მზის შუქის კედელზე ციალს“. ე.ი. ეს სიტყვა სინათლის სარკისეულ ანარეკლსაც ნიშნავს, ხოლო სარკე როგორ ანტიკურ, ისე შუასაუკუნეობრივ ფილოსოფიაში, საყოველთაო ცნობილი სიმბოლოა გონებისა“. ზვიად გამსახურდია ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თინათინი, გონების პერსონიფიკაცია, არის ინიციატორი შემეცნებისა.“

რუსთველისეული ნესტანი და თინათინი გამოირჩევიან მანათობელი გარეგნობით: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“. ნესტანის ბრწყინვალებას ჩვეულებრივი მზერა ვერ უძლებს, ფატმანი მის გამოჩენას ასე იხსენებს: „დავიწუხენ თვალნი, ყოლა ვერ შევაგენ ვითა მზესა“.

ამ ნესტანსა და თინათინს ცუდ ანარეკლადაც არ ეკადრება „არტისტული გადატრიალების“ სეხნიები.

„ნესტან-დარეჯანი, გამხდარი ქალი, წვრილი ყელი და წაწვეტებული ნიკაპი რო ჰქონდა, ამასთან: გასჩაჩხოდა ძვლები საყბეური“...

„გამოებერება და დაეჩუტება პატარა, პატარა ღაბაბი თინათინსა. გამოებერება და დაეჩუტება“ (4. 164)

გარეგნული კონტრასტის გაგრძელებაა ცნობიერების დაკნინება, რასაც ადასტურებს მათი მსჯელობა პირველ პრეზიდენტზე. აქ არც ნათელი რწმენაა და არც არაამქვეყნიური მადლით ცხებული გონება. აქ არც ნათელი რწმენაა და კამათობენ მხოლოდ იმაზე, აბდღვნიდა თუ არა სამი წლის ზვიად გამსახურდია ფარშევანგს კუდს.

ოთარ ჩხეიძემ ეს მძაფრი ირონია ეპოქის სულის დასახასიათებლად გამოიყენა. თუ პოემის თინათინი „მზეებრ ჭვრეტს ყოველთა, ცნობითა მის მხედველითა,“ აქ მისი „გონების სალესი“ საუბარია, ყმაწვილი ზვიად გამსახურდია ფარშევანგებს კუდს აგლეჯდაო. მსჯელობის ლოგიკურობა ნესტანთან კამათისას უბრალოდ სალი აზროვნე-

ბის დაბლაა. თვით ნესტან-დარეჯანიც ვერ ავლენს შესაშურ ღირსებას („კაპკაპებს“).

„უმადლო ჟამს“ დაუკნინებია ნესტან-დარეჯანი და თინათინი.

ეს ბანოვანები და მათი თანამეინახეები დარწმუნებულნი არიან: „ვის გაუჭირდება ჩვენი დაქცევაო, მოსკოვს წკიპურტი დაეზარება ჩვენთვისაო“. ეს ის პერიოდია, როცა „ბეტეერები დასცქეროდა რუსთაველსა შავნაბადადანა“, ხოლო ქართვლის „დედაი დაბღვერილი ისევე დასცქეროდა იმავე მოედანსა, იმავე მახვილითა, იმავე ჯამითა. მახვილისა არავის ეშინოდა, ჯამს ყველა ჰხაპავდა. ჰხაპავდა“.

ნესტანი ნესტანი აღარ არის, თინათინი — თინათინი, ქართვლის დედობის სული დაკნინდა, აღარც ნაშიერნი მოდიან მადლით, „რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი, განათებული“, და ფუნქცია დაუკარგავს ქართვლის დედის მახვილს, რადგან თვით მისი შვილნი დათითოკაცებულან, დაპირისპირებულან.

„ამაღლება“ მეთექვსმეტე თხზულებაა რომანების რკალისა „მატიანე ქართლისა“. ჩვეულებრივ, მწერალი ამხელს საბჭოთა რეჟიმს, „ვითომ რო ყველას ეკუთვნოდა ყველაფერი, ვითომაო. ვითომაო, სინამდვილეში რო აღარაფერი შერჩენოდა აღარავისა განამებული სულის გარდა, განამებულისა, განამებულისა. ერთი ხელი სამოსიც შერჩენოდა. თუ არ გაჰხდიდნენ რა თქმა უნდა“, როცა „სძულდათ ყველაფერი ძველი, აძულებდნენ და სძულდათ, სძულდათ; აკვანშივე ჩასძახოდნენ სიძულვილსა, მთლად აკვანში თუ არა, ოქტომბრელობაში, პიონერობაში, კომკავშირლობაში, ამას ჩასძახოდნენ მხოლოდ რო ამასა. და იზრდებოდა თაობები სიძულვილითა, ძველი რო სძულდა და რო სძულდა ყველაფერი წინაპრისა“.

ამ „უმადლო ჟამსაც“ ჰყავს თავისი ნათელმოსილი პერსონაჟები რომანში. გვარამი, ჰხვთისო, ნესტანი, ნესტანის დიდედა (კეთილშობილი გენის ძლიერი ფესვი). საგულისხმოა, რომ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელების შერჩევას; რომანში ამბობს, რომ ესეც მნიშვნელოვანი საზრუნავია მწერლისთვის.

სახელი გურამი (გვარამი) სპარსული „ბარამის“ ქართული ფორმაა და გამარჯვების გენიას ნიშნავს.

ჰხვთისო — სახეცვლილი ფორმაა ძველქართული სახელისა ღვთისავარი, ღვთისო, რაც უფალთან ზიარებას მოიაზრებს. გურამი და ჰხვთისო მზად არიან გაერიდონ ამ სულგაყინულ სინამდვილეს და გავიდნენ ტყეში, აღადგინონ ტაძარი, სიმართლისა და სიყვარულის მიკროსამყარო შეიქმნან. დაბრკოლება მხოლოდ უნესტანობაა და ისიც უყოყმანოდ მიდის ამ მიკროსამყაროს შემქმნელებთან, იპოვა გვარამმა „სუფთა ასული. ხალასი, ნათელი, წმინდა, ერთგული, უყოყმანო, მეუღლე თვისი“.

„ამაღლების“ ნესტანი ამართლებს თავისი სახელის ეტიმოლოგიას. მისი სილამაზე „თუალი სულისაჲთ“ აღიქმება, მხოლოდ ღირებულით შეუძლია დაკმაყოფილება და ღირებულისთვის სურს გახარჯვა. მან იცის, რა მისიაც აირჩია გვარამთან დაუღლებით: „ეშმაკი წყლისფერიაო, ყველაფერიც განყალებულა და ყველგანაც წამოსკუპებულა ეშმაკი... აუკლია აქ ყველაფერი, მოუმუსრია, მოუნარიკლებია, მოუთავებია საქმეი თვისი, მოუკლავს ჟინი. ახლა აქ ისევ ღვთის თვალი ტრიალებს, ჩვენც ალბათ ღვთის თვალს მოვუწევევივართ, ჩვენც აღვიდგენთ წარსულსა ჩვენსა და აღვიდგენთ თავსა ჩვენსა. ღმერთსაც მეტი რაილა ძალუძს: გვიჩვენოს გზაი!.. და აი გზაი: აღვადგინოთ წარსული ჩვენი...“

მყარია ნესტანის გადაწყვეტილება: „ნუ გეეჭვება!.. უეცრად არ გადამიწყვეტია, არც გადავთქვამ რო უეცრადა“.

„ამაღლების“ ნესტანი სწორედ ნათლის ერთგულების, მისი გადარჩენის ჩუმი ღვაწლით მოევლინა სამყაროს, ქვეყანას, რომელიც ღვთისმგმობელთა ხელში ჩავარდნილიყო. წითელ რეჟიმს გარიდებული ნესტანის მშობლები მძაფრმა ნოსტალგიამ დააბრუნა სამშობლოში, არ უნდოდათ ბავშვი უცხოეთში დაბადებულიყო, „აჰყვნენ ამასა, აჰყვნენ, ჩამოჰყვნენ, ანთუ ითქმის რო: ჩამოუსწრეს, — აეროდრომიდან სამშობიაროში გააქანეს... დაიბადა ბავშვი, ნესტანი დაიბადა“ (5. 84). ამ შემთხვევაში ნესტანი ქაჯებმა კი არ მოიტაცეს (არაამქვეყნიური სიბრძნე ბოროტმა ძალამ კი არ დაატყვევა, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ ხდება), ნესტანი ქაჯეთში დაიბადა საერთოდ (ის დაიბადა ქვეყანაში, სადაც ღვთის რწმენა სასტიკად იდევნებოდა, ე.ი. ბნელში, რადგან ნათელი ღმერთის სახელია). „ჰხრავდა სახელმწიფო ხორცსაცა, სულსაცა, ყველაფერს ჰხრავდა. გაძლომა რო ველარ გაეგო“.

ჩრდილოეთიდან მოტანილი სოციალიზმი დევნიდა ჯანსაღ ენერგიას, გენეტიკურ სიმრთელეს ვინც დაატარებდა, ყველას. „დაეპატიმრებინათ პაპაი ნესტანისა, მშობლები ნესტანისა...“. ნესტანი შიშითა და დარდით გათანგული დიდედის იმედად დარჩა. დიდედა ფესვმაგარ მუხად იდგა და ზეციურს ავედრებდა მას. „ალანთებდა სანთელსა და მოიყრიდა მუხლსა ღვთისმშობლის წინაშე: შენ გევედრები, შენ დაიფარეო... ჰო აღარც უნდოდა აქ ყოფნაი, ჰო მხოლოდ ნესტანის დარდილა აყოვნებდა“. ლოცვა, სანთელ-საკმეველი იყო მათი იმედი, მაგრამ ბებია ფრთხილობდა, ნესტანს არ უნდა გამოევლინა რწმენა, რადგან „სკოლა დაჭიმულიყო, სკოლა ყალხზე იდგა, რწმენა არსაიდან არ შემოგვეპაროსო, ნამდვილი რწმენაო, თორემ ცრუს ჰო ქადაგებდა დღენიადაგა, თავგამოდებითა ჰგადაგებდა. სიცრუე ბატონობდა და თვალები დაეჭყიტა სიცრუესა...“

სიცრუის, ათეიზმის ბატონობისას ნესტანი უჩვეულო მოვლენაა, ის არ იშლის პირჯვარის გადასახვას, თითები უნებლიედ ნაუვიდოდა ხელმე. რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩათ, დაუცაცხანეს, განმარტება მოსთხოვეს. დიდედა დაიბარეს. მას კლასის ხელმძღვანელმა შიშით, ჩურჩულით აუხსნა: „აშკარად მაინც არ უნდა ეტყობოდეს... ჰო იცით, რა დღეში ვართ!“

მძიმე იყო ბებიისა და შვილიშვილისთვის ულმერთო საზოგადოებაში ყოფნა, მაგრამ მაინც გადარჩენილიყვნენ ადამიანური ადამიანებიც; ისინი შეაშველებდნენ ხელს გაძლებაში... გადარჩნენ; „ნესტანი მაინც რო მოისუსხა, არ დააზრო ყინვამა, არა, არა, მაინც აყვავდა, გაიფურჩქნა მაინცა, ბუნება რო მაინც თავისას სჩადის, მკაცრ ზამთარს რო ლალი გაზაფხული მოჰყვება“. ნესტანი — არაამქვეყნიური სიბრძნე, მაინც აყვავდა, რადგან ბოროტებას მისი დაბრკოლება შეუძლია, განადგურება — არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმენა ადამიანის ნიშანია. საინტერესოა, რომ გენიალურ ექიმი-ჰუმანისტი ნ.ი. პიროგოვი, რომლის ნაშრომებიც როგორც მედიცინის, ისე პედაგოგიკის სფეროში დღემდე კლასიკურ ნიმუშებად რჩება, ამბობდა: „რწმენას მივიჩნევ ადამიანის ფსიქიკურ უნარად, რომელიც მას ცხოველისგან ყველაზე მეტად განასხვავებს".

საბჭოთა იდეოლოგია ადამიანურობის სწორედ ამ უმთავრეს ნიშანს ებრძოდა, რადგან მის სახელმწიფოებრივ სტრუქტურას ინდივიდუალური ნიშნებით მადლცხებული ადამიანი არ სჭირდებოდა.

ათეიზმის — სიყვარულის („სიყვარულია ღმერთი") უარყოფის ეპოქაში ნესტანის დაბადება გადარჩენის იმედი იყო. მშვიდი და მხიარული ნათლით ბრწყინდება სული ადამიანისა, რომელიც დღენიადაგ სიყვარულისა და მოწყალების საქმეებს აღასრულებს, როგორც კი მას მადლი ღმრთისა მოეფინება და შეეხება. ამ ენერგიას დაატარებს ნესტანი და მთელი ძალით ავლენს მას გვარამთან და ჰხვთისოსთან შეზიარებით სალვთო საქმეში.

ტკივილიანი წარსულიდან მოდიან ჰხვთისო და გვარამიც, ისინი სათნო დეიდა სალომემ გაზარდა, მშობლები ჟამის სივერაგემ, წითელმა რეჟიმმა შეიწირა.

სამივე ერთი ნიშნით დადაღული სულით დაიარება დუნე სინამდვილეში და ამ სინამდვილიდან გაქცევა უნდათ. ნესტანი გვარამს გამოუტყდა: „დამტანჯა დუნე სიცოცხლემა... მაინც ჰო შენ მოგეკოწინე... შენ გამორჩეულიყავ ჩემს თვალშია, შენ გეპოვნა ბილიკი შენი და აღარც გახსოვდა სხვა არაფერი, ვერც რო მიგეტოვებინა ისინი, უბილიკონი, დაბნეულნი..." (149)

ათეისტურ, ღვთისგმობელ სახელმწიფოში ადამიანებმა დაკარგეს გზა („მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ, არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემს მიერ").

მაცხოვრის მრავალ სახელთა შორის: ნათელი, სახიერება, ტარიგი, მწყემსი კეთილი, მდოგვის მარცვალი, ლოდი, მარილი, მზე სიმართლისა, ერთ-ერთი არის „გზა".

ულმერთო საზოგადოებას დაკარგული აქვს ბილიკი (ბილიკი ხომ გზაზე გადის). ჭეშმარიტი გზიდან, ნათლიერებისაგან მოწყვეტა მტკივნეულია სულისთვის. ნეტარი ავგუსტინე მიმართავდა უფალს: „რა ვარ უშენოდ, თუ არა მეგზური, უფსკრულისკენ რომ მიუძღვის საკუთარ თავს?"

ამაღლების ტაძრის აღდგენა არ არის მხოლოდ გარიდება „დუნე ცხოვრებისგან", ეს „უბილიკოთათვის", უფსკრულისკენ მავალთათვის უხილავი, ნათელი გზის გაკვალვის უძლიერესი სურვილიცაა.

ჰხვთისოც ქვეყნის ტკივილით სულდამძიმებულია. ნესტანმა გადაწყვიტა: მისი ბილიკი გვარამის ბილიკს შეუერთდა, გამოკვეთილი იყო მიზანი — „განდგე და აღადგინო რაც რო შებილწა დრომა, ხელისუფლებისაგან წაქეზებულმა ბრბომა".

ამაღლების ტაძარი ბრბომ არა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაარბიეს, კანონისა და ქვეყნის სამსახურის სახელით.

„რბევა ამაღლების ეკლესიის მიდამოებისა ისეთივე შთამბეჭდაობითაა წარმოსახული, როგორც ოთარ ჩხეიძის სხვა რომანების — „ბორიაყი" და „ცხრაწყარო" — ფინალური სცენები, აპოკალიფსურ სურათებს რომ მოგვაგონებს შინაგანი ტრაგიზმითა და მძაფრი ექსპრესიით" (როსტომ ჩხეიძე). ამაღლების ტაძრის აღდგენის მიზნით ჩვეულებრივი ყოფიერებისგან, ქალაქისგან გარიდება არსით „უდაბნოს ქალაქყოფის" მიკრომოდელია, რადგან აქ მხოლოდ ფიზიკური ტაძარი არ არის ზრუნვის საგანი. უმთავრესი მიზანი „დუნე ცხოვრებისგან" გაქცევაა, ტაძარი ერთგვარად გზაც არის და საშუალებაც ღვთისგან სწრაფვის, ეროვნულისადმი იმპერიულ-საბჭოური მტრობის დაპირისპირების: „წარსული რო აწმყოა, იმიტომ უნდა გავაცოცხლოთ წარსული, იმიტომა, იმიტომა. აწმყო იმიტომა გვაქვს, წარსული რო გვაქვს და იმიტომაც უნდა მოგვისპონ წარსული, აწმყო რო მოგვისპონ. აწმყო სძულთ ჩვენი, აწმყო სძულთ და წარსულს იმიტომაც გადაჰკიდებიან" — ასე გამოხატა მწერალმა სამ სხეულში დამკვიდრებული ერთი შთაგონების სულთა სწრაფვა, სავალი ბილიკი და მისი საფუძველი. აწმყოსა და წარსულის გამთლიანება მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში მხატვრული ხერხიც არის და თვითმყოფადობის ფორმულაც, რომელსაც მოგვიანებით დააზუსტებს მწერალი ნესტანის პირით: „გაძლებაც ეს არის, ისტორიაც რო არ დავკარგეთ, გადარჩენაც ეს არის, სიცოცხლეც ეს არის".

მართლაც ნაყოფიერი აღმოჩნდა ეს ღვაწლი. გვარამი და ნესტანი ემთლიანნენ ერთმანეთს, „ორი ვაჟი ეზრდებოდათ... ულელი მიიწევდა გაწონასწორებული".

ტყეში დაბანაკებულები უვლიდნენ ტაძარს, წმენდნენ გარემოს და თავის სარჩენად ჰქონდათ მეურნეობა (ქალაქთან თითქმის გაწყვეტილი ჰქონდათ კავშირი). ეს არ აპატიეს „თეორეტიკოსებმა", „რო მაღლდებოდნენ და მაღლდებოდნენ, იძენდნენ ხარისხებსა, წოდებებსა, ჯილდოებსა ჰო ნულარ იკითხავ..." ამ „სიმაღლის" ტრფიალთ ამაღლების ტაძრის ქომაგნი დამნაშავედ ჩათვალეს. „მეუდაბნოენი" გამორჩეული ინდივიდიდები იყვნენ: „ინდივიდუალიზმი ნაციონალიზმის საბურველიცა ყოფილა, ორივე ერთად დაუძინებელი მტერი სახელმწიფოსი. სახელმწიფოს მიზანიც რო ის უნდა ყოფილიყო, ორივე რო მოეშთო ერთდროულადა. ერთდროულადა. ერთდრულადა".

„ინდივიდუალიზმისა და ნაციონალიზმის" მტერს მასპინძლის ამტანობით დაუხვდა ნესტანი: „იდგა მასპინძლის მოვალეობითა, მოვალეობა რო ამტანობაა, იდგა, იტანდა". დაუპატიჟებელ სტუმრებს მოჰყვა უამრავი უსიამოვნება და ბოლოს: შექმნილი ნალკოტის დარბევა, მომხდური ვერასოდეს გაიგებდა, რომ გვარამისთვის „თავდებოდა ყველაფერი გუმბათის ქვეშა, რო თავდებოდა მიწიერი, ღვთაებრივი რო იწყებოდა".

რომანი „ამაღლება" იწყება ნესტანის შიშით გველის გამოჩენის გამო, რომელმაც კინაღამ ბავშვი დაგესლა, მაგრამ ჰხვთისომ მოასწრო, ლაყუჩებში სტაცა ხელი და დაამარცხა („ვეება რამ გახლდათ ის ვერანი...")

გვარამის, ჰხვთისოსა და ნესტანისთვის ყველაზე მძიმე წუთებშიც ეს „უხსენებელი" თითქმის პერსონაჟი ხდება, ნესტანი ვერ უმკლავდება შიშს, ცდილობს გვარამის დარწმუნებას, რომ გველს გაერიდონ, გვარამი ამშვიდებს:

„— რას იზამ, ცხოვრება ჰო მაგასთან ერთად დაიწყო ადამიანმა, — მოდიან მას მერე, ერთად მოდიან".

„ — გავეცლები."

„— ჰა, ჰა, ჰა... სად გაეცლები?!“

„— სადაც არ არიან...“

„— სად არ არიან?!“

„— სადაც ბევრი ადამიანია, იქ მაგათი სინსილაც არ არის...

„— არის. თვით ადამიანებში ჩაბუდებულან. ადამიანი ქმნილა სულისადა და სახისადა მაგისი. ადამიანი!“

„— მაინც ადამიანია...“

„— რაღა ადამიანია? ანთუ რაც არის უფრო საშიშია, ამას გაეცლები და მოიშორებ...“

„— ადამიანსაც გაეცლები და მოიშორებ...“

„— ჰხედავ, იგივეა!“

ნესტანის შიში ბავშვის საფრთხეს უკავშირდება. მის თვალწინ კინაღამ დაგესლა ბიჭი გველმა. დედისთვის უმთავრესია შვილის გადარჩენა, თუნდაც გარიდების გზით. უკვე უმთავრესი ბავშვის უსაფრთხოებაა და არა ამაღლების გუმბათი.

მწერალმა კანონზომიერი გადაწყვეტილება მიაღებინა პერსონაჟს. მხატვრული ლიტერატურის სამყაროში ბავშვი მომავალია, თუ ბავშვი იღუპება, ხდება „ანტიდაბადება“. ჩვენს შემთხვევაში ეს ბავშვი (გვარამისა და ნესტანის შემთლიანების ნაყოფი) ზეციური სიბრძნისა (ნესტანის) და ქვეყნის გულწრფელი ჭირისუფალის, გამარჯვების გენიის (გვარამის) ხვალინდელი დღეა. ვიდრე ჟამი აქვს, „ბოროტება თავს არ დასთმობს დასათრგუნავად“, ამიტომ განმტკიცება-გაძლიერებამდე გარიდება სჯობია.

სახისმეტყველებით აზროვნებაში მდგრადი პარადიგმული სახეა გველი. იგი არცთუ ისე იშვიათად ფიგურირებს ბიბლიაში შედარების საგნად: „ალლესეს ენაჲ მათი, ვითარცა გუელისაი, და გესლი ასპიტთა ბაგეთთა მათთა“ (ფს. 139,4), „გულისწყრომა მათი მსგავს არს გუელისასა და ვითარცა ასპიტსა ყრუსა, რომელსა დაეყუნიან ყურნი“ (ფს. 57, 5), „ხმაი მათი, ვითარცა გუელისა, მსტვინავისა“ (იერ. 46, 22)

სწორედ ამ გესლს, ასპიტს უნდა გაარიდოს ნესტანმა ვაჟი — იმედი, ჭეშმარიტებისა და წარსულის ერთგულების მსხმოიარობის დასტური; „ნესტანის ჯიშისად მოდის თუ გვარამის გვარისადა თუ ორივე შენივთებულა, რო ვერც გამოარჩევ ერთმანეთისგანა“. ეს პატარა ამ წარმომავლობის გამო თავისი მისიით მოვიდა, „ნაღველით ინყებდა ბიჭი ცხოვრებასა“, თვითონ ისწავლა ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი“, მთები უყვარს, ტაძარი და ფრესკებიც, მისი მშობლები თავს რომ ევლებიან და ჯერ არ იცის საკუთარი სამშობლოს უბედურება, თავს რომ მოახვიეს: „მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო“, ჩრდილოეთს თავისი მიზანი ჰქონდა, „ტრამალის ვნება მთაგრეხილებს ვერ მოითმენდა... ისტორიას იპარავდნენ, მიწებს იპარავდნენ, მომავალს იპარავდნენ...“ გველისა იყო ასპარეზი და სამომავლო ხსნის უმთავრესი პირობა მოვლენილი სიჯანსაღის (ნესტანისა და გვარამის შვილის) მისგან დაცვა იყო.

განსაცდელებმა და ამაო ფუსფუსისგან გარიდებამ საბოლოოდ გაუცხოველა „თუალი სულისაჲ“ გვარამს. იგი სულით ხატავდა, ფუნჯი დავალებას ასრულებდა და იხვეწებოდა ფრესკები: „სახიერდებოდა და სახიერება იგი სინათლე გახლდა, ანთუ რაიმ სხვა ნათელი იგივე სინათლეში, უხილავი ავთა თვალისთვისა, სიკეთისათვის სახილველი, მხოლოდ სიკეთისთვისა“ და როცა გამოაძევეს შემქნილი სამყაროდან, როცა ჰხვთისო მოძალადეებს თვალთაგან გაუქრა და მის შესახებ არაფერი იცის, გვარამი „ცოცხლადაც რო აღარ ითქმოდა, ჯერ მკვდრადაც რო ვერ გამოაცხადებდნენ“, ის „დუნე ცხოვრებას“ ვერ გაიჩვეულებრივებდა, ამაღლების გუმბათისა და შინაგანი სიმაღლის გარეშე ვერ გაძლებდა და ისევ მოიკრიბა ნესტანმა ძალა: „გავბრუნდეთ...“

ნაწარმოები სიმბოლურად მთავრდება: „კავკასიონის მწვერვალებთანაც აღმოაჩინეს თოვლის კაციო“, გაზეთში დაბეჭდილ უცნაურ სურათს ბიჭმა თითი დააბჯინა და დაბეჯითებით წარმოთქვა:

„ძია ჰხვთისო!“

ბიჭმა თავისებური ინტერპრეტაციით დახატა ის სურათი, კედელზე გააკრა და მტკიცედ განაცხადა: „ძია ჰხვთისო!“

„თვალები დახუჭვოდა გვარამსა, უცნაური რამ ჩვენებანი ამოჰფენოდა, უცნაური, აბურდული, გაურკვეველი, ოღონდ ეტყობოდა, რო გამოირკვეოდა, გამოირკვეოდა და გამოერკვეოდა“.

სიმბოლური დასაწყისიდან — გველისაგან ბავშვის (მომავლის) დაცვა, ლოგიკურ დასკვნამდე მივედით: ბოროტთან (გველთან) ბრძოლა რთული, მომქანცველი და მძიმეა, მაგრამ მადლი არაამქვეყნიური სიბრძნის შენარჩუნებით (ნესტანი), შინაგანი ნათლით გასხივოსნებული ქმნადობით (გვარამი), უტყვი ერთგულების მოლოდინითა (ჰხვთისო) და მომავლის (ბავშვი) გადარჩენით ვლინდება.

მხატვრულ-შინაარსობრივი დატვირთვით დიდი მნიშვნელობა აქვს ჰხვთისოს სავარაუდო ყოფნას კავკასიის მთებში. ის მთებშია — ეს სჯერა ბავშვს (მომავალს). „მთები სულს მარადისობას ახსენებენ, ბოროტ ძალას, რომელსაც ღვთისგან სულთა მოშორება უნდა, ტაძრების განადგურება, წმიდა წიგნების დაწვა შეუძლია, მაგრამ მთების — მარადისობის ამ საგალობლის დანგრევას იგი ვერ შეძლებს“, — ბრძანებს არქიმანდრიტი რაფაელი, მისივე სიტყვებით, „სახელი კავკასიონი „ღვთაებრიობის ტახტს“ ნიშნავს“.

შემთხვევითი არ არის, რომ ნესტანი (ნესთ ანდარე ჯეჰან), ჰხვთისო (ღვთის არისო) და გვარამი (გამარჯვების გენია) ამაღლების ტაძარს შეეხიზნენ, მას დაუდგნენ ქომაგად. ლუკას სახარების მიხედვით, მაცხოვარმა მკვდრეთით აღდგომის მე-40 დღეს თავის მოციქულებს მისცა უკანასკნელი დარიგება, აღუთქვა ნუგეშინისმცემლის მოვლინება, აკურთხა ისინი და ამაღლდა ზეცად. ქრისტეს მოციქულები „დარჩნენ სოფელსა შინა გარემოცულნი მრავალთა მტერთა და განსაცდელთა მიერ, მათ უთუოდ არ დაავიწყდათ სიტყვა მაცხოვრისა, რომელ იგინი დარჩებიან, ვითარცა ცხოვარნი წინაშე მგელთა“.

გვარამისა და ჰხვთისოს გადაწყვეტილების აღსრულებას მხოლოდ უნესტანობა აბრკოლებდა, ნესტანის თანხმობაც მალე მიიღეს, „ვინც აქ დაგელოდება, იქაც წამოგყვებაო“ და ამაღლების მადლს მიენდვნენ „ცხოვარნი“, „მგელთა“ შორის ყოფნით დამაშვრალნი „მგლურ“ ეპოქაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავიბადე 1985 წლის 10 ოქტომბერს ქალაქ თბილისში. ბავშვობის ადრეული წლები გავატარე მოსკოვში. მართალია, ცხოვრების ეს მონაკვეთი ბუნდოვნად აისახა მეხსიერებაზე, თუმცა ჩრდილოეთის ცივი კლიმატისადმი ჩემი დამოკიდებულება, რაც ნათლად იგრძნობა ჩემსავე შემოქმედებაში, ალბათ ამ პერიოდის ქვეცნობიერი ნაყოფია.

2002 წელს დავამთავრე 55-ე საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩავაბარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მიუხედავად ჩემი "მანიაკალური" მიდრეკილებისა ლიტერატურის მიმართ, რადიკალურად განსხვავებული სპეციალობა ავირჩიე - საერთაშორისო ურთიერთობები.

ლექსების წერა სკოლის ასაკში დავიწყე. თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ასაკში ვწერდი ზღაპრებსაც, მაგრამ „ფანტაზმის" პერიოდმა მალევე გადამიარა და ჩემს „განზომილებაში" მხოლოდ პოეზია დარჩა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წავედი ინგლისში, ოქსფორდის სამეფო აკადემიაში, სადაც გავიარე საერთაშორისო ურთიერთობების ექვსკვირიანი კურსები.

დღესდღეობით გეგმაში მაქვს სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაზე ამსტერდამის უნივერსიტეტში. და ჩემი ამჟამინდელი რუტინაც ამ მიზანზეა აგებული. პოეზია ჩემი შეგრძნებებისა და ნებისმიერი განწყობის განმსაზღვრელი ფენომენია, ეს ორი რამ კი ჩემივე ლექსების შემადგენელი კომპონენტი.

ქეთი თუთბერიძე

## Errare

ჩემო პირველო მამაკაცო,
შენია ჩემი მოგონილი კდემამოსილება
ამ ჭუჭყიანი ფანჯრების ქვემოთ.
ღრუბლები ჩანდა თავდაყირა ჩვენი კუთხიდან.
ალარასოდეს განვმეორდები(თ) ხორხში მომდგარი
ბგერებითა
და სიყვარულის დეფლორაციით.
ამინ...
ჩემო მეორე მამაკაცო,
ისევ მონწვეთავს გულგრილობა შენი თითიდან.
მარტოები ვართ წყლით სავსე სახლში,
სხვისი ჩრდილებით გადავსებულ ულრან ტყეებთან
მდუმარედ რომ დგას.
ვწევარ გულალმა
და შენს სტრიქონებს ვკითხულობ თითქოს შენსავე
თმებში,
სანამ გიწამებ.
ჩემო მესამე მამაკაცო,
უსიყვარულოდ ვინაწილებდით დედამიწის ბოლო
ნარჩენებს.
და კვლავ ვამრავლებ ანორგაზმიულ ისტერიებს
შენი პერვერსი ქალწულების ყალბ ორგაზმებზე,
მათი სხეულის პულსაცია უფრო ცხელია
ვიდრე ვნებების ამობურცვა ჩემს საფეთქლებთან.
ჩემო მეოთხე მამაკაცო,
ერთად დავმალეთ თანაგრძნობა ჩემს ვაგინაში,
გადავივიწყეთ მონატრება და
უცნაური ჰორიზონტი ჰქონდა სიშორეს ბოლო სალამოს.
ჩემო მეხუთე მამაკაცო,
ვერჩასახული ჩვენი შვილები
დედას მეძახდნენ იმ დღეს სიზმარში,
მე შენი ნერწყვით ნაფერებ მკერდში რძე ალარ მქონდა.
ჩემო მეექვსე მამაკაცო ,
ვერ დავივიწყე ის სიცივე,
ხელისგულიდან რომ შეიგრძნეს ჩემმა ლოყებმა.
ჩემო ერთ-ერთო მამაკაცო,
მე უკვე მოვკვდი მიწის ყურებით და მიწის ჭამით...
ჩემო ერთ-ერთო მამაკაცო,
ჩვენ ალარ გვწამდა არცერთი ღმერთის,
ალარც კერპების.
ჩემო ერთ-ერთო მამაკაცო,
შენ ველარ ხედავ ჩემს დაჭყლეტილ,
ბავშვურ შეგრძნებებს უსისხლო ტანში.
ჩემო ერთ-ერთო მამაკაცო,
ნუხელ გავგიჟდი,
სანამ შენ ჩემზე წერდი ლექსებს,
და ენის წვერს კი კვლავ გიწვავდა
უწმინდური ჩემი სახელი,
სანამ მე ვთვლემდი დახეთქილი მუხლისთავებით.
ჩემო ერთ-ერთო მამაკაცო,
იყავი ბოლო, -
უკანასკნელი წარმოსახვა ჩემი საშოსი!
იყავი მშვიდი,
სანამ ტკივილი მოიმატებს ყველა უჯრედში,
და სანამ მთვარე თავდაყირა ჩანს ფანჯრებიდან,
როგორც მაშინ,
ძველი სახლის ცივ კიბეებთან.
ამინ...

## Substitutio

ჩემი ქარები შენს ცივ ქალაქს ისე უხდება,
ლამის მოვგლიჯო თმის ღერები
და მაგ მხარეში გამოვუშვა შობის წინა დღეს.
ისევ გალვიძებს ალბათ დილით ჩაიდნის ყრუ ხმა.
ორთქლით გავსებულ ძველ ოთახში
ყოველი ნივთი ერთნაირია და ერთი ფერის.
და ერთნაირად ვუყურებთ იქნებ საათს მე და შენ -
ერთ დროს აჩვენებს.
კენტი ციფრები დაავადდნენ ფსიქოპატიით.
ჩემი ფარული ინტიმური ილუზიები
ისე უხდება კაბის ფერზე შენს პერვერს გოგოს,
ლამის მოვიჭრა ყველა თითი
და ვუწილადო შობის წინა დღეს.
იქნებ ამ ლამით მაინც იყოს მისი სხეულის ტემპერატურა
წინა ლამისგან განსხვავებული
მსგავსი ნივთებით გადაჭედილ ხის ძველ ოთახში.

## კოლაჟი

I

**სიზმარი**

რიტუალად მექცა
სველი ფეხებით
თეთრ და ჭუჭყიან კენჭებზე დგომა.
სარკე დაიმსხვრა...
გამთენიისას ონკანებიდან
მოტკბო სისხლი სდის ცივ ოკეანეს,
მეოთხე ჯგუფის და უმარილო.
ისე დამძიმდა წყალი ჩემი სიზმრის მოსმენით,
ველარ ატარებს...
ველარ იტევს ამდენ ფერად კადრს, -
სრულმეტრაჟიანს.
მერე მილებში იჭედება ჩემი სიზმრები
და შუა ღამით კვლავ მიწიდან მიბრუნდებიან,
რომ მეორე დღეს ისევ წყალში
დაიხრჩონ თავი.

II

**მკითხაობა**

როცა ბოლო ლერ სიტყვას
მომაწვავს სულზე ზამთარი,
რალაც მოხდება...
და საფერფლეში დარჩენილი
შენი სიგარა
მზისგან დაძონძილ
დილას დაფერფლავს.
ჟანგიან ონკანს
ჭუჭყიანი წყალი თუ წასკდა,
მაჯა ჩემი თმით გადაიხვიე.
ასეთ ამინდში
თვითმკვლელობაზე ფიქრი გვჩვევია
თურმე ორივეს.
ჩვრებში გაკარი
დუჟმორეული ყველა ტკივილი,
ზღურბლზე მიაგდე
და საფერფლეში დარჩენილი
შენი სიგარა
მზისგან დაძონძილ
დილას დაფერფლავს.
რალაც მოხდება...

III

**კვამლი**

ამ დროს მთავარი რუხი ფერია...
და მთვარე,
როგორც ამულეტი
მუქი ღრუბლების...
მაგისტრალები მძიმედ ოხრავენ
და ქალაქების არსებობაც კი ავიწყდებათ...
იქნებ ამიტომ იწერენ მკლავზე
მათ სრულ სახელებს...
მაგისტრალები ვერ იტანენ
რუხთვალებიან,
უცხო ტურისტებს.
რუხი ფერია ახლა მთავარი...
მთვარე კი
როგორც ამულეტი
მაგისტრალების
სველ,
ცივ ამინდში
კვამლის მსგავსია.
ან ტაბლეტივით გადატეხილი,
რომელსაც სვამენ მხოლოდ ბედლამში...
კედლების იქით
ორმოციანი წლების ჯაზი
ფხაჭნის ფირფიტას...

IV

**ინსომნია**

ვერასდროს ვხვდები რატომ არის
დილის ჰაერი ასეთი ცივი.
თითქოს თავიდან იბადება,
თავიდან იწყებს
გამჭირვალე ფილტვებით სუნთქვას.
თავჩახრილი მზე
სანამ ჰორიზონტს ულოკავს მუცელს,
დაკლაკნილ კლდეებს ეფერება
ხორკლიან ზურგზე.
ამ დროს სიკვდილი სიგიჟეა.
კარდიოგრაფზე მიერთებული ბლაგვი სიზმრები
სწორ, გრძელ ხაზებად ლაგდებიან და
თავიანთ ჩრდილებს უწყებენ ძებნას
ამობრუნებულ ხელისგულებში.
ელექტროსკამზე უჩვეულოდ ხვდებიან დილას, -
თანამედროვე ეშაფოტზე
ჰაერი სისხლით აივსებს ბრონქებს.
მე შევიშალე...
დილით ჰაერი ისე მძიმეა სიმსუბუქისგან
და ამაზრზენი.
ფეხისწვერებით გაივლის ნისლი სიცარიელეს.
ასეთ დროს ძილიც სიგიჟეა,
როცა კედლები დაიბზარა უფარდო სახლში. -
ინსომნია.

## სამკუთხედი

იცი, არასდროს მყვარებია გეომეტრია,
არც ფიგურების გამოყვანა
ხისფერ დაფაზე.
დღეს ჩემი სისხლით დაგიხატავ
მარტივ სამკუთხედს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის ალესილ კუთხეებად
ჩვენ განვლაგდებით.
იცი, შემცივდა...
მოგონილი ქალაქის მტვერი
თამბაქოს მსგავსად მიიჩვიეს
ჩემმა ფილტვებმა.
და რა ხანია გამითავდა
ფერადი ცარცი,
შენ რომ მაჩუქე
მოსახატად აკვილონების.
იმ დღეს
სიზმრებმა ჩრდილოეთი ჩამომიტანეს,
ენით ვიგრძენი გაცრეცილი კლიმატის გემო...
ჩვენ ასკეტურად სამნი ვდგავართ
მარტივ წვერებზე,
ასე მარტივად
დღის რუტინას მაინც ვლალატობთ.
ჩამომიწვეთე შენი სახე ყავის ჭიქაში,
რომ გადამექცე უძილობის ნერვიულ ჩვევად,
შეუხორცებლად მიგიჩვიო შეხორცებამდე.
ჩემი კუთხიდან
გალაქტიკაც დახაზული ჩანს.
თითქოს როგორი ადვილია განმარტოება,
როცა დაფაზე სამი ხაზი
უნდა გაავლო...
და არც კი იცი
თუ რომელი მხარეა შენი,
(თუმცა არასდროს მყვარებია გეომეტრია).
სამკუთხედს ვხატავ შენს ფეხებთან
ჩემივე სისხლით...
იცი, ის ცარციც გამითავდა
შენ რომ მაჩუქე.
ჩვენ კუთხეებად გავიშლებით ბასრ ფიგურაში
და გამოვიცნობ,
რომ მესამე კუთხე ჩემია.

## ფორმულა

ეს ქალაქია -
კედლის რუკაზე აღნიშნული შავი წერტილი.
და შენი თმების ყველა ღერზე კოდირებული სახელწოდე-
ბაც
პირობითია.
ეს სახლებია პლასტელინით გამოძერწილი, -
განლაგებული უადგილოდ ზამთრის ქუჩებზე,
საკვამურიდან ავარდნილი ნაცნობი სუნით
და ყვითელ ჭერზე შერჩენილი მთელი არქივით.
ეს კი ქუჩაა,
პირობითად ერთი ადგილი,
სადაც ყოველ დღე ჩვენ ვსწავლობდით სასოწარკვეთას.
ეს ამინდია – წვიმიანი და ცოტა მშვიდი.
(ადამიანებს მიეჩვივნენ ნაჭრის ქოლგები,
რომ მათ მახინჯი შეგრძნებები შეუნარჩუნონ).
ეს მე და შენ ვართ.
ანუ არ ვართ არაფერი,
ანუ სიტყვები დავაგროვეთ უერთმანეთოდ.
ანუ მე და შენ განვმარტავენ უკვე ცალცალკე.
თუკი ქალაქი დაამთქნარებს უფერულ ამინდს,
თუ სახლის ჭერი ჩამობერტყავს არქივს საწოლზე,
ზამთრის ქუჩებზე დაიწყებენ კნავილს კატები
ან თვით ქუჩები დაიწყებენ ქცევას კატებად,
რომ შეიცვალონ მისამართი დროებით მაინც.
ეს არის ალბათ უშენობის ერთი ფორმულა –
სიცივე,
სახლი
და ტკივილი ლაქებად ჭერზე.

## გამოყოლილი

ბავშვობის სახლში ნახატები გამოილია.
აუტანელი, სატირული სახით სიცივემ
თორმეტი თითი შემოარტყა ძველ აკვარიუმს.
მეთევზეებსაც დააავიწყდათ თევზის დაჭერა
და სხვა მხარეში უცხო მგზავრად გამომაცილეს.
საგზლის ნაცვლად კი გამატანეს "პურის ნაჭერი" –
გამხმარი სიტყვა გამოკრული ცის(ფერ) ქისაში.
მე ამ სოფელში თითქოს ადრეც ბევრჯერ ვყოფილვარ,
მაგრამ ველარ ვცნობ ჯუჯა ხეებს, ხალხის დიალექტს.
ტყეზე ჩუმია ახლა ლოცვა ქვრივი ქალების...
ქმარი მეთევზე გადაყლაპა აკვარიუმმა.
და კედლის მარცხნივ მიხატული წლების პორტრეტი,
მდინარის მსგავსად გამჭვირვალე, ფერით - ინდიგო,
მკვდარი თევზების ჩრდილებივით გაუფერულდა.

## ბრმების ქალაქი

ბრმების ქალაქში,
დედამიწის ბოლო განედზე,
სახლებს კაწრავენ მზის სხივები ჩასვენებისას.
ბრმების ქალაქში
ხორცგახდილი პურიტანები
ირეკლებიან თეთრ თვალებში... -
სიმახინჯეა.
მე და შენ წუხელ
ცეცხლს გავანდეთ ათივე მცნება
და გარინდულნი
სიყვარულის ანორგაზმიით
ლოყებს ვითბობდით
მივიწყებულ მორალის კვამლზე,
ათაშანგივით რომ გადმომდე ამაოება.
მე და შენ წუხელ
ზიზლით სავსე ბრმების ქალაქში
გვახრჩობდა ცოდვა საკუთარი სხეულებიდან,
ჩვენ ვილუპებით,
რა ხანია შორსაა ღმერთი,
ვერ გადაგვარჩენს ინტელექტი,
ვერც რელიგია.
ბრმების ქალაქში,
ქაოტური დღეების ფსკერზე,
ახალ ბაბილონს ვაშენებდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მონები,
ნურბელებივით
გამოვწოვეთ ერთმანეთს სისხლი,
რომ გვეარსება უსინათლო ბრბოს სივრცეებში.
ღმერთი შორსაა
ამ მტვრიანი სარკმელებიდან.
და ვიძირებით გახლეჩილი ნავივით ზღვაში.
ბრმების ქალაქში
ერთადერთი რამე გვხიბლავდა, -
ნარინჯისფერი ნაკაწრები თეთრ შენობებზე.
სანამ ფერმკრთალი ვამპირები
იწყებდნენ ნადიმს,
სანამ კახპები
მეზღვაურებს მისცემდნენ სულებს,
მახსოვს,
ოდესლაც ჩამავალი სილუეტები
ბელურებივით გვასხდებოდნენ
მშიერ ხელებზე.
ჩვენ ვიხლართებით
უსინათლო ელემენტებად ,
დიდი ხანია ველარ ვამჩნევთ
წითელ ჰორიზონტს.
ბრმების ქალაქში,
დედამიწის ბოლო განედზე,
სახლებს კაწრავდნენ მზის სხივები
ჩასვენებისას.

## ზღაპარი

პატარა ელფებს
ჩაეძინათ ხავსიან კუნძზე.
ზამთრის ქოხს შენთვის ვაშენებდი
ჯუჯებთან ერთად.
ყველა ნახვრეტი ამოვავსე მთვარის კენჭებით,
რომ არ შეგცივდეს, როცა თოვლი დაფარავს მიწას
და ჭალარა თმებს ნაძვის ტოტით გადაივარცხნის.
დახეულ ზეწარს დავაკერებ გვირილის ფურცლებს
და ყოველ დილით
ძველ ბუხარში თეთრი დათვები
აგვიდუღებენ პიტნის ჩაის.
გამეხლართება
თვალები შენი წამწამების სიახლოვეში.
შემოაწვები
არტერიებს სისხლის ნაკადად...
მე მოგატყუებ!
დაგიმალავ ამ ზღაპრის ფინალს, -
ბოლო ეპიზოდს (როცა ჩემგან უნდა წახვიდე).
დასრულებამდე ჯერ შორია ჩრდილების ტყეში,
ჯერ ორთქლი ასდის მაგიდაზე თაფლიან ჩაის,
ჯერ ყველას სძინავს.
დავიწყებას კი ერთმანეთის ბევრჯერ მოვასწრებთ,
სხვა ცხოვრებაში,
სევდიანი ზღაპრის გარეშე...



# ადამიანის თანმდევი დარდი

პირველივე ლექსი („ჩემო პირველო მამაკაცო"), ერთი შეხედვით, სკანდალურია და პურისტების სამსჯავროზე, ალბათ, ხმაურსაც ატეხენ, მაგრამ მე სხვა თვალით ვკითხულობ ტკივილით აღსავსე ლექსს, რომელშიც ახალგაზრდა ავტორმა შეძლო სრული გარდასახვა და იმ ფსიქო-ტიპის ჩვენება, ადამიანურად რომ უთანაგრძნობს. ლირიკული სუბიექტისადმი სიბრალულის განცდა, შეუძლებელია, არატენდენციურ, გულდასმით მკითხველებსაც არ გაუჩნდეს. მეტად საინტერესო და პრობლემური თემა იმდენად ბუნებრივადაა შესრულებული, რომ არ გამიკვირდება, თუ ვინმე სწორხაზოვნად გაიგებს და პროტესტიც გამოიხატება. თუმცა ავტორის „ბრალეულობა" მხოლოდ შესრულების ხარისხსა და გულწრფელობაში იქნება საძებნი და არა მის ლირიკულ გმირთან გაიგივებაში.

პიკანტური დეტალები და მინიშნებანი კიდევ უფრო ამძაფრებს პოეტურ ნარატივს და წარმოჩნდება ნაცრისფერი და ამაო გარემო, რასაც ურბანული აუცილებლობა ჰქვია და რომელშიც სწორედ ამ პიკანტურ მინიშნებებს შემოაქვს სიცოცხლის იმპულსები.

სხვა განწყობილება იკვეთება ლექსში „Substitutio"... განწირულობისა და სასოწარკვეთის დაძლევის მცდელობა და ამ ზღვარზე ამოზრდილი განცდა, ჭოგრიტივით მომარჯვებული კი არა, შინაგანად არსებული, ასე მკაფიოდ რომ გადმოსცემს არა მხოლოდ იმპულსებს, არამედ შეგრძნებათა გრადაციას სიტყვიერი დინებით.

თავიდანვე ქეთი თუთბერიძის ლექსებს რატომაც მივაქციე ყურადღება, ეს იყო საგრძნობი შინაგანი კულტურა და ურბანისტულ სამყაროში ჩაზრდილი ადამიანის თანმდევი დარდი, ზოგჯერ კი განწირულობის, ჩაკარგვის, სიმარტოვის მძაფრი შეგრძნებანი, როგორც მისი პოეტური ტექსტის პირველწყარო. შეგნებულად თავს ვარიდებ ცალკეული სტრიქონების ციტირებას, უფრო ღრმად რომ არ შევაღწიო ტექსტში და მკითხველს დავუტოვო არჩევანის საშუალება. ყოველ ლექსში ჭარბობს ეგზისტენციის ნაღვლიანი ფრაგმენტები, რითაც გაჯერებულია ურბანული სამყაროს მოჩვენებითად გულგრილი ან სულაც შემთხვევითი ურთიერთობები, თანაცხოვრება. ბუნებრივად ჩნდება დაუძლეველი და მისტიკური დარდი, არსებული სიახლოვის შემდეგ გაჩენილ ბზარში ან სულაც ბუნდოვანებაში რომ ჩასახულა, და სადაც მხოლოდ წარმოსახვა ავსებს მარტოობის რეალობას.

„კოლაჟი" (ოთხივე ლექსით), „სამკუთხედი", „ფორმულა" და ყველა აქ გამოქვეყნებული ლექსი, ჩემი აზრით, წარმოგვიჩენს მეტად საინტერესო ახალგაზრდა პოეტს, რომლის პერსპექტივაც ნამდვილად არ მაეჭვებს, თუ იგი გულდასმით აითვისებს პოეტურ გამოცდილებას, რაც ქართულ სინამდვილესა და ზოგადად მსოფლიო პოეზიაში არსებობს.

**გივი ალხაზიშვილი**

110 წელი შესრულდა მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით 9-11 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევით. სიმპოზიუმის დევიზი იყო: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები". ასეთი სიმპოზიუმის ორგანიზაცია ახლანდელ ურთულეს პირობებში დიდი გამბედაობა იყო. სასიამოვნო და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ იგი უმაღლეს მეცნიერულ დონეზე მოეწყო. მასში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ქართველოლოგები, იბერიულ-კავკასიური ენების სპეციალისტები ევროპის ქვეყნებიდან, ამერიკიდან, ჩრდილოეთ კავკასიისა და პეტერბურგის საენათმეცნიერო ცენტრებიდან. მომხსენებლები აღნიშნავდნენ არნოლდ ჩიქობავას თაოსნობით, მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ჩამოყალიბებული იბერიულ-კავკასიური ენების კვლევის მძლავრი კერის არსებობას. აფასებდნენ არნოლდ ჩიქობავას მრავალმხრივ მოღვაწეობას თეორიულ-ენათმეცნიერულის გარდა, პედაგოგიურ სფეროშიც; მსოფლიო მნიშვნელობის სახელმძღვანელოებს, რომლებიც დღესაც ღირსეულად ასრულებენ თავის დანიშნულებას. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ არნოლდ ჩიქობავას მრავალწლიანი ფართო სამეცნიერო და პედაგოგიური თავდაუზოგავი შრომით ენათმეცნიერებაში შეიქმნა უმდიდრესი მემკვიდრეობა და გამოვლინდა საინტერესო პერსპექტივები.

სიმპოზიუმის პლენარულ სხდომაზე პროფესორ ლადო მინაშვილის მოხსენებაში „არნოლდ ჩიქობავას ტალანტის მრავალმხრივობა" ითქვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურასთან, მხატვრული სიტყვის ხელოვნებასთან და მის ოსტატებთან არნოლდ ჩიქობავას დამოკიდებულების შესახებ. ამ თემას შეეხება ერთი კონკრეტული მაგალითი მეცნიერის ცხოვრებიდან, კერძოდ, მანანა ჩიტიშვილის პოეზიის შესახებ.

თინათინ ღვინაძე

# „არც ერთი გაცვეთილი ფრაზა"

*

## არნოლდ ჩიქობავა მანანა ჩიტიშვილის ლექსების შესახებ

ეს მოხდა არნოლდ ჩიქობავას სიცოცხლის ბოლოს, 1985 წელს. ამ დროს უკვე დაბეჭდილი იყო მანანა ჩიტიშვილის ლექსების მეორე კრებული „მინდვრის ფერადები", რომელიც ჩვენი ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ერთ-ერთი ტომის თანარედაქტორმა მერი მესხიშვილმა ზოგ სხვა კოლეგასთან ერთად მეც მაჩუქა. ლექსების პოეტური ენა, სამყაროს თავისებური აღქმა და ნაფიქრი სულის შემძვრელი აღმოჩნდა ჩემთვისაც და წიგნს ვერ ვიშორებდი.




ერთხელ ნაოპერაციევ, საავადმყოფოდან ახლადგამოწერილ მეცნიერთან ვმორიგეობდი ინსტიტუტში შემოღებული განრიგის მიხედვით. ძალიან იყო დასუსტებული, მაგრამ მაინც მისებურად დინჯად, სვენებ-სვენებით მესაუბრებოდა: მეკითხებოდა ჩემს ოჯახზე, შვილებზე, ჩვენი განყოფილების საქმეებზე; წუხდა ივანე გიგინეიშვილის ნაადრევად გარდაცვალების გამო. უცბად მეტყველებისა და კიდურების სპაზმი დაემართა, სახეზე ტანჯვა გამოეხატა. უხერხულობისაგან გაოგნებული მისთვის შესამჩნევად არ ავწრიალებულვარ, მაგრამ შინაგანად ჩემი უსუსურობით უაღრესად შეძრულმა გაუაზრებლად ჩანთიდან ჩემი საყვარელი „მინდვრის ფერადები" ამოვიღე, ვაჩვენე და ვუთხარი, რომ ძალიან საინტერესო ლექსების კრებულია. თვალებით მანიშნა, წამეკითხა. დავიწყე: „დაბადებიდან სულ შენს ვალს ვიხდი ჩემი წინაპრით და მისხის მისხით..." მალე გამაჩერა უკვე სიტყვიერად და მთხოვა წიგნის დატოვება. ღიმილით მითხრა: თქვენ ფსიქოლოგიც ყოფილხართო. სპაზმი გამქრალიყო. საუბარი გააგრძელა და მკითხა: თუ იცით, რას ნიშნავსო **მისხის მისხით**. ქართლურის ჩემი ცოდნის იმედით ვუპასუხე, რომ ნიშნავს ზოგადად ნათესავებისა და ნათესავის ნათესავებისგან.

შინ მისულმა ჩემი ცოდნის შემოწმებისას აღმოვაჩინე, რომ არც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" და არც „ქართლური დიალექტის ლექსიკონში" ამ გამოთქმის ახსნა არ იყო შეტანილი. საბასთან ვნახე: **მისხი** „ტომის ტომთაგანი". მაშინ მივხვდი მანანა ჩიტიშვილის ლექსების ენით ბატონი არნოლდის დაინტერესების მიზეზს.

„მინდვრის ფერადები" კი, რასაკვირველია, მეცნიერთან დარჩა მისივე თხოვნით და, ალბათ, ახლაც მის არქივშია მერი მესხიშვილისაგან ჩემდამი სამახსოვრო წარწერით. მაგრამ ეს შემთხვევა ამით არ დამთავრებულა. ბატონი არნოლდის გარდაცვალების შემდეგ მისდამი მიძღვნილ ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" (1985 წ. 3-4) ჩვენი ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომელმა, პროფესორმა ალექსი ჭინჭარაულმა გამოაქვეყნა მოგონება სათაურით: „რასაც პირში ვერ ვეტყოდი". მოგონების ავტორი წერს: „ეს, ერთი შეხედვით, მკაცრი, უტეხი, შეუვალი და გარეგნულად ასკეტი კაცი ქართული კულტურის, ქართული მწერლობისა და ქართველი მწერლების, საზოგადოდ, ხელოვნებისა და ხელოვანთა დიდი მოყვარული და გულ-

## სიტყვა კეთილი

მხურვალე დამფასებელი ბრძანდებოდა". ამის საილუსტრაციოდ ბატონი ალექსი იგონებს ვაჟა შენგელიასთან ერთად მძიმე ოპერაციაგადატანილი აკადემიკოსის მონახულების ერთ შემთხვევას. თურმე სხვა ამბების მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ მეცნიერს სიტყვა ჩამოუგდია მანანა ჩიტიშვილის პოეზიის შესახებ, უჩვენებია ის პატარა წიგნი და უკითხავს: თუ ჰქონდათ ნაკითხული. დადებითი პასუხის მიუხედავად თვითონ დაუწყია ლექსების კითხვა და გზადაგზა შენიშვნების ჩართვა. ვაჟა შენგელიას ყველაფერი ჩაუნიშნავს. ბატონი ალექსი კი იხსენებს: „საოცარი წიგნია! – სანთელივით ხელისგულზე დადებულ წიგნს ჩიტის მართვესავით ეფერება. ფურცლავს და ეფერება..." კითხულობს და შიგადაშიგ შენიშნავს:

„ზოგი ლექსი მაინც შესანიშნავია, შესანიშნავი"...

„ყველა ლექსი განცდილია, არც ერთი – ყალბი!.."

„ნაძალადევი არც ერთი არ არის"...

„ხალხური მეტყველება, როგორც გოგლა ლეონიძემ იცოდა, ისე მოსდგამს"...

„არც ერთი ბანალური, არც ერთი გაცვეთილი ფრაზა!.."

„პოეტია, მართალი პოეტი, ნიჭიერი პოეტი... გადაეცით საუკეთესო სურვილები და მთავარი სურვილი – ასე განაგრძოს..."

„ვუსურვოთ ეგრე ეაროს და მეტს მიაღწევს..."

მეცნიერისაგან ლექსების კითხვას ალექსი ასე იგონებს: „კითხულობს ხმის კანკალით, შთაგონებით, მის მონკურულს, მკაცრსა და შინაგანი სინათლით უცნაურად შუქჩამდგარ, ცრემლსუჩვეულ თვალებში ცრემლი კიაფობს. ნაცნობი ცრემლია – ფხასისხლიანი ხმალივით მოქნეული სიტყვის სიხარულმა იცის ასეთი ცრემლი..."

ამ მოგონებიდან ჩანს არნოლდ ჩიქობავას მიერ მანანა ჩიტიშვილის მართლაც ხმალივით მოქნეული პოეტური სიტყვის მრავლისმეტყველი შეფასება, იგრძნობა ამგვარი სიტყვის მაგიური ძალა.

მანანა ჩიტიშვილმა შემდგომაც „ასე განაგრძო" და „ეგრე იარა"; არ უღალატა სიმართლეს, რწმენას; ქართულ სიტყვას კი შეუსრულა დანაპირები: „როგორი მშვენიერი ხარ, სოფელ-ქვეყანას ვაჩვენო". მისი ლექსების კიდევ რამდენიმე კრებული გამოვიდა: 1988 წ. – „ქართლის გზაზე", 1990-ში – „მზის მოლოდინში", 1997-ში – „შენ ჩემი ლოცვა გიშველის", ხოლო 2005 წელს – ერთტომეული „სიყვარულია მარადი". 2008 წელს ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის" მე-5 და მე-9 ნომრებში დაიბეჭდა 30-30 ახალი ლექსი. წლევანდელი აგვისტოს უმძიმეს დღეებში გამოქვეყნდა დიდი მოქალაქეობრივი განცდით დამუხტული „სამშობლოს ვეძებ!"

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დალოცვა ახდა. მანანა ჩიტიშვილი თანამედროვეობის ერთ-ერთი ნამდვილად გამორჩეული პოეტია. ცნობები მის შესახებ და ლექსი „ქართლი" სრულიად სამართლიანად შეტანილია საშუალო სკოლის მე-7 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის ერთ-ერთ ალტერნატიულ სახელმძღვანელოში.

ქსნის ხეობის მთებმა თავის ასულს მთელი საქართველოს მოფერება შეაძლებინა.

## სპორტი

გივი გამრეკელი

# „ანანდში ტალის სული ჩასახლდა"

ერთმა ოხუნჯმა ჟურნალისტმა სიცრუის სამი „სახეობა" გამოარჩია: უბრალო ანუ მარტივი ტყუილი, თავხედური ტყუილი და სტატისტიკა. პირველ ორ შემთხვევაში ავტორთან საკამათო არაფერია, აი, რაც კი შეეხება მესამე შემთხვევას

როცა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩი იწყება, მიმომხილველები სავალდებულოდ მიიჩნევენ მონაწილეების ადრინდელი ანგარიშის ფიქსაციას. აი, ასეთი წინასწარი ანგარიში იყო და ახლა ვნახოთ, რა მოხდებაო. ჯერ ნუ ვიტყვით, რამდენად სანდოა ასეთი მინიშნება, მაგრამ ტრადიციას არ ვუღალატოთ და მაინც ვთქვათ, როგორი წარმატებით თამაშობდნენ ერთმანეთთან ვლადიმერ კრამნიკი და ვიშვანათან ანანდი.

ბონში ამ ისტორიულ მატჩამდე კრამნიკი და ანანდი 127-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. არავის მსოფლიო ელიტიდან დღემდე ერთმანეთთან ამდენი არ უთამაშია (მეორე ადგილზე არიან ანანდი და ვასილი ივანსუკი — 99 პარტია). აქედან 51 კლასიკური, ასე ვთქვათ, სრულმეტრაჟიანი პარტიაა, 45 — სწრაფი ჭადრაკის წესებით, 11 — ბლიცი, 12 — დაფაზე დაუხედავად და კიდევ 8 „წინ წაწეული ჭადრაკი".

დიახ, ეს „წინ წაწეული ჭადრაკი" რაღაა, ადრე ამაზე ხომ არავინ ლაპარაკობდა. ჩვენც ავდგეთ და იგი XXI საუკუნის ერთ-ერთ „მიღწევად" ვაღიაროთ — ამგვარ ჭადრაკში მეტოქეებს ოფიციალურად ეძლევათ უფლება თამაშის დროს კომპიუტერებიც გამოიყენონ. კარგია ეს თუ ცუდი?! ზოგის აზრით, ეს გახლავთ სრული პროფანაცია და ჭადრაკის დასამარების ცდა, სხვები კი ფიქრობენ, რომ აქ ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები აისახა. ჩვენი დიდედები ნამდვილად იტყოდნენ, აი, მეხი კი დავაყარე ამნაირ ტექნიკასო.

რახან მსოფლიო ჩემპიონატის მატჩზეა ლაპარაკი, ჩვენ მხოლოდ კლასიკური და სწრაფი პარტიები გავითვალისწინოთ. ამ 51 კლასიკური პარტიიდან კრამნიკმა მოიგო 6, ანანდმა — 4, 41 დანარჩენი კი ყაიმით დასრულდა. მეტოქეები ერთმანეთს შეხვდნენ 1989 წელს მოსკოვში, უკანასკნელად 2008 წელს ვეიკ-ან-ზეეში. ორივე ამ პარტიაში ყაიმი აღინიშნა.

ისიც ვთქვათ, რომ 31-ჯერ კრამნიკს თეთრი ფიგურებით მოუწია თამაში. ცხადია, ამასაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. დავუმატოთ, რომ კრამნიკი საერთოდ თეთრებით მოთამაშედ ითვლება: მხოლოდ ამ შემთხვევაში მიილტვის იგი მოგებისაკენ, შავებით კი ყაიმსაც ყაბულს არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფ ჭადრაკში ანანდი მეტოქეს აშკარად სჯობნიდა: ცხრაჯერ მოიგო, სულ ორი წააგო, ოცდათოთხმეტი კი ყაიმით დასრულდა. რაც შეეხება დანარჩენებს, რომელსაც კრამნიკი სალაღობოდ მიიჩნევს, მათ შედეგს, ცხადია, რაიმე პრაქტიკულ მნიშვნელობას არავინ ანიჭებს. აბა, რა გასათვალისწინებელია ის შეხვედრები, სადაც სვლების მოსაფიქრებლად სულ 5 წუთი გეძლევა, ან ისეთი — სადაც დაფას ვერ ხედავ, გნებავთ ისეთიც, სადაც სათამაშოდ დიდი ჩემოდნით მიდიხარ, შიგ კი კომპიუტერი გიდევს, რომელიც შენზე უკეთესად თვლის.

მატჩის დაწყების წინ აზრი უამრავმა — დიდმა თუ პატარა — სპეციალისტმა გამოთქვა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა ორივე მეტოქე დიდად შეაქო, მაგრამ „პატრიოტიზმის ტალღაზე" მაინც ერთგვარი, მცირე უპირატესობა კრამნიკს მიაკუთვნა.

მისგან დიდად არ განსხვავდებოდა არც მეორე ექს-ჩემპიონის, ვასილი სმისლოვის დასკვნა. სმისლოვის აზრით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კრამნიკს უფრო ძლიერი ნებისყოფა აქვს, რაც მას საშუალებას აძლევს მთელი ძალა სწორედ გადამწყვეტ პარტიებში გამოავლინოს. სმისლოვი, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობდა სწორედ უკანასკნელი პარტიის მოგებით შენარჩუნებულ მსოფლიო ჩემპიონობას ლეკოსთან (ისე კი დავაზუსტოთ, რომ ეს ორთაბრძოლა ყაიმით დასრულდა), და ფინიშს ტოპალოვთან, სადაც კრამნიკმა ასევე ბოლო პარტიის მოგებით შეძლო დაწეოდა ბულგარელს (შემდეგ კი დამატებითი შეხვედრებით გაიმარჯვა).

მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა ქალთა შორის ალექსანდრა კოსტენიუკმა ასევე კრამნიკის მხარე დაიჭირა: „ვიმედოვნებ, იგი მხარს დამიმშვენებს. ამ შემთხვევაში რუსეთს პირველად ეყოლება ორი მსოფლიო ჩემპიონი, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის".

ვიქტორ კორჩნოიმ მეტოქეები ნამდვილ საჭადრაკო ჯენტლმენებად მონათლა, რომლებმაც გულშემატკივრებს უნდა დაავიწყონ ის დებოში, 1993 წელს გარი კასპაროვმა და ნაიჯელ შორტმა რომ მოაწყვეს, ფიდეს გამოეყვნენ, ფინანსური მოსაზრებებით ამჯობინეს თამაში და ჭადრაკს, ფაქტობრივად, ლახვარი ჩასცეს. კორჩნოიმ გაიხსენა 2000 წლის მატჩი, როცა კრამნიკმა კასპაროვს მსოფლიო ჩემპიონობა ჩამოართვა და ამით იგი „მთავრობისათვის მიუღებელ პოლიტიკურ მოღვაწედ" აქცია!

თვით კრამნიკმა აღნიშნა, რომ ამ მატჩამდე მარცხიანად ითამაშა დორტმუნდსა და ტალის მემორიალზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. „მაგრამ, არა უშავს, ჯავრს ანანდზე ვიყრი".

ანანდმა, რომელსაც უამრავი შეჯიბრება აქვს მოგებული, მეტი, ვიდრე ნებისმიერ თანამედროვე მოჭადრაკეს, ყველა გააოცა ბილბაოში, სადაც 6 დიდოსტატის ორწრიან ტურნირში დამაჯერებლად დაიკავა ბოლო ადგილი! (ორი წაგება და 8 ყაიმი, ცხადია, არცერთი მოგება). ანანდს რაიმე კომენტარი არ გაუკეთებია, ისე კი, ცხადია, მხოლოდ ვარჯიშობდა (ეს კრამნიკის ბოლო ტურნირებსაც ეხება) და სადებიუტო სიახლეებს მატჩისათვის ინახავდა.

ერთი სიტყვით, მატჩამდე, როგორც უნდა იყოს კიდეც, ყველაფერი ბუნდოვნად რჩებოდა. არც არავის მიუქცევია ყურადღება, რომ „რეიტინგ-ლისტში" ანანდმა უკან დაიხია და მეხუთე გახდა, კრამნიკი კი სულაც მეექვსე (1 — ტოპალოვი, 2 — მოროზევიჩი, 3 — ივანჩუკი, 4 — ახალი ფანტასტიკური ტალანტი კარლსენი, რომელსაც 30 ნოემბერს მხოლოდ 18 წელი უსრულდება!). ანდა, საერთოდ რა არის ეს რეიტინგი, სულ ერთი პარტიის მოგება თუ წაგება რომ ესოდენ ცვლის?! იქნებ სწორია ცნობილი იუმორისტი ჟვანეცკი, რომლის აზრითაც, „რეიტინგი მძლავრი გზავნილია, რომლითაც გონებაჩლუნგები სხვა გონებაჩლუნგებს მიმართავენ".

უფრო რეალურ ამბებზე თუ ვიმსჯელებთ, ანანდი, მას შემდეგ, რაც კასპაროვმა ჭადრაკი მიატოვა, მიიჩნეოდა მსოფლიოს სატურნირო ჩემპიონად, უბადლო მებრძოლად (იმ ერთადერთ სასტიკ თუ გათვალისწინებულ ჩავარდნას ნუ ჩავთვლით), რომელსაც ორთაბრძოლებში ანუ მატჩებში დიდი წარმატებები არა ჰქონდა. დიახ, ოდესღაც წააგო კარპოვთან, თუმცა ამის ახსნა ძნელი არ არის — ნოკაუტ-სისტემის მთელი ორომტრიალი რომ გაიარა, სწორედ მაშინ შეახვედრეს დასვენებულ მეტოქეს, რომელსაც სხვა შემთხვევაში აუცილებლად მოუგებდა. სხვა ამბავია, რომ შემდეგ ინდოელმა წააგო დიდი მატჩი მსოფლიო პირველობაზე კასპაროვთან, რომელთან თამაში ყოველთვის უჭირდა. ახლა ძველი „დავთარი" არ მომაშველიებინოთ, სადაც გარკვევით წერია: კასპაროვმა მოიგო 15 პარტია, ანანდმა კი მხოლოდ 5, 26 შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ერთი სიტყვით, კასპაროვის ჭადრაკიდან წასვლა ანანდისათვის ნამდვილი მისწრება იყო. ახლა მას რჩებოდა დაემტკიცებინა, რომ კრამნიკსა და ტოპალოვზე უკეთესად თამაშობს, რადგან მაშინ კარლსენის ხსენებაც კი არ ყოფილა.

ჩვენ, მგონი, ისე უცნაურად გამოგვდის, როცა წინასიტყვაობა წერილის მთავარ ტექსტს აჭარბებს. ისე არავინ იფიქროს, რომ თვით მატჩზე ბევრი არაფერი გვაქვს სათქმელი. პირიქით!

ორთაბრძოლა ბონში სულ 12 პარტიისაგან შედგებოდა. შეხვედრების ასეთი რიცხვი ორივე მეტოქემ სავსებით საკმარისად მიიჩნია, თუმცა ასე არც ცნობილი დიდოსტატები ფიქრობდნენ და არც ჭადრაკის ისტორიკოსები. მათ რაღა ენაღვლებათო, იტყვით. შეიძლება ენაღვლებოდეთ კიდეც, რადგან ზოგიერთი დიდოსტატი, ხვალ იქნება თუ ზეგ, თვითონ აპირებს მსოფლიო პირველობაზე თამაშს და 12 პარტია ასეთი დონის ორთაბრძოლისათვის აშკარად უკმარად მიაჩნია. ხომ შევეჩვიეთ, რომ წლების განმავლობაში მატჩი მსოფლიო პირველობაზე 24 პარტიისაგან შედგებოდა. ამას დაახლოებით ორი თვე სჭირდებოდა, რაც დღევანდელი ზეჩქაროსნული დროისათვის ზედმეტ ფუფუნებად ჩათვალეს. ულიმიტო მატჩის გახსენებაც არავის სურს. ხომ გახსოვთ, 1985 წელს კარპოვმა და კასპაროვმა 48 (!) პარტია ითამაშეს, რაც ორივესათვის ღვთის წყევლად და კოშმარად დარჩა. კრამნიკი საერთოდ მიიჩნევს, რომ მატჩი იქნება ეს თუ ტურნირი, უძლიერესის გამოსარკვევად 10 შეხვედრა სავსებით საკმარისია.

ენამ უყივლაო, ამაზეა ნათქვამი. ამჟამად უმძლავრესის გამოვლენას ამდენიც არ დასჭირებია. 6 პარტიის შემდეგ, სადაც ანანდმა 3 მოიგო და 3 ყაიმით დაასრულა, უკვე ყველაფერი ნათელი იყო — 4,5:1,5 კრამნიკის სრულ განადგურებას ნიშნავდა. გაგვახსენდა ერთი ძველი ჟურნალისტის სიტყვები, რომელიც ემანუილ ლასკერისა და დავით იანოვსკის მატჩს აშუქებდა: „ორთაბრძოლა მეტად მრავალფეროვნად მიმდინარეობს: ზოგჯერ ლასკერი იგებს, ზოგჯერ კი იანოვსკი აგებს". ახლაც ზუსტად ასე

იყო, მაგრამ ისმის კითხვა — მაინც რა მოხდა: ანანდი და კრამნიკი ხომ დაახლოებით თანაბარი ძალის მოჭადრაკეებად არიან აღიარებულნი, შეიძლება ვილაცას ერთი ქულით განსხვავებით მოეგო, არც დამატებითი შეხვედრები გამოირიცხებოდა. სწრაფი პარტიებით, ისევე, როგორც კრამნიკ-ტოპალოვის ორთაბრძოლაში.

რა მოხდა და, როგორც ერთმა დიდოსტატმა მოსწრებულად თქვა, „ანანდში ტალის სული ჩასახლდა". ინდოელი ყოველთვის კრამნიკზე უფრო სწრაფად და აგრესიულად თამაშობდა, რაც მეტოქეს ცაიტნოტისაკენ უბიძგებდა. ეს სწრაფი თამაში ამჯერად უსწრაფესად და უფრო აგრესიულად იქცა. ვინც ამ ორთაბრძოლის მესამე, მეოთხე და მეექვსე პარტიები ნახა, დარწმუნდება, რომ ამჯერად მეტოქეები აშკარად არათანაბარი ძალისანი გამოდგნენ (ვინ იფიქრებდა!). რა თქმა უნდა, კრამნიკს დეტალურად ჰქონდა შესწავლილი ანანდის მთელი შემოქმედება. ამას წიგნებიც აღარ სჭირდება: საინტერნეტო ბაზაზე ხომ ინდოელის ყველა პარტიაა შეტანილი. კრამნიკი, მას მოსკოველი კი ჰქვია, მაგრამ პარიზში ცხოვრობს, ელოდა ანანდის სწრაფ და ინიციატივიან თამაშს, მაგრამ რას იფიქრებდა, რომ 39 წლის ასაკში შეიძლებოდა „ახალ ტალად" ქცევა. ისევე, როგორც ტალი, ამჯერად ანანდიც, შესაძლოა, ბოლომდე არ თვლიდა ვარიანტებს, მთლიანად ინტუიციას ეყრდნობოდა. ირაციონალურ, არეულ-დარეულ თამაშში კი ანანდი მასზე ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

1960 წელი გვახსენდება — ტალისა და ბოტვინიკის პირველი მატჩი. რიგელი ენით აუწერელ გართულებებზე მიდიოდა, ბოტვინიკი, შესაძლოა, გრძნობდა მეტოქის ბევრი კომბინაციის არაკორექტულობას, მაგრამ უშუალოდ პარტიის პირობებში, როცა ცაიტნოტი ახლოვდებოდა, დეტალური, მეცნიერული ანალიზის საშუალება სად ჰქონდა! აი, მეორე მატჩის დროს კი, ყველაფერი დეტალურად რომ შეისწავლა, ბოტვინიკმა მოიგო კიდეც.

ახლა კრამნიკს მეორე მატჩის საშუალებას ვინ მისცემს! როცა იგი მესამე და მეხუთე პარტიებს შეისწავლის, სადაც ანანდმა შავებით ლაზიერის გამბიტში ე.წ. მერანის სისტემა (ქალაქია იტალიაში) გამოიყენა, ზოგ შემთხვევაში შეიძლება მეტოქის თამაშში რაიმე წუნიც ნახოს, მაგრამ რალა დროსია?! მასზე 6 წლით უფროსმა ანანდმა თავისი შანსი მშვენივრად გამოიყენა, მაშინ, როდესაც კრამნიკმა ახალ შემთხვევებს უნდა უცადოს. გამოვა კი იგი დეპრესიის მდგომარეობიდან, რომელიც თან ახლავს ყოველ წაგებულ მატჩს?

ერთი სიტყვით, ამ მატჩის ბედი სულ 6 პარტიაში გადაწყდა. შემდეგ რა იყო? იყო ყაიმები, სადაც კრამნიკს ბრძოლაზე უარი არ უთქვამს, ზოგჯერ უპირატესობასაც კი აღწევდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ შინაგანად გატყდა და ამის გამომყენებელი არ გახლდათ. მართალია, კრამნიკმა მოიგო მეათე პარტია, მაგრამ ეს უკვე შინ მომზადებული „ნალმის" გამო მოხდა. ანანდმა კი ტალისებურ თამაშს პირდაპირ ფიშერისებური სიზუსტეც დაამატა და რაღა დარჩა გასარკვევი!

ერთი სიტყვით, ანანდმა გაიმარჯვა მეტად დამაჯერებელი ანგარიშით 6,5:4,5 და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა.

ეს ასეა, მაგრამ მსოფლიო მეთხუთმეტე ჩემპიონს დიდხანს შესვენება არ მოუწევს. საქმე ისაა, რომ ფიდემ გადაწყვიტა მოაწესრიგოს თავისი არეულ-დარეული საქმეები, რომლებიც, 1993 წლიდან მოყოლებული — კასპაროვისა და შორტის, რომ იტყვიან, ვოლუნტარისტული მოქმედებით — პირდაპირ ქაოსური გახდა. ახლა, როცა აღარც კასპაროვია ასპარეზზე და აღარც შორტი, ფიდემ გადაწყვიტა, ანანდს კიდევ ერთი მატჩი ათამაშოს.

ხომ დაისაჯა შარშანწინ სრულიად დაუმსახურებლად ვესელინ ტოპალოვი, რომელიც (მოდი, გაიგე რატომ?) პრეტენდენტთა ფინალურ ტურნირშიც კი არ დაუშვეს. ახლა ფიდე ასწორებს თავის აშკარა შეცდომას, ეს კი მის სამართლიანობაზე მიუთითებს. საკუთარი შეცდომის გამოსწორების უნარი მხოლოდ მაღალი ინტელექტისა და ზნეობის ადამიანებს აქვთ. დიახ, ტოპალოვი ითამაშებს მატჩს მსოფლიო თასის მფლობელ გატა კამსკისთან, რომელმაც თავის დროზე კარპოვთან შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ წააგო და შემდეგ 10 წლით ჭადრაკს ჩამოსცილდა. ისე კი საოცარია, რომ ამდენი ხნის პაუზის შემდეგ გატა, რომელიც ახლა „მხოლოდ" 34 წლისაა, კრამნიკსა და ტოპალოვზე ერთი წლით უფროსი, ყველაფერს თავიდან იწყებს, რაც მის განსაკუთრებულ შეუპოვრობაზე მიუთითებს.

ერთი სიტყვით, 2008 წლის 26 ნოემბრიდან ტოპალოვი და კამსკი მატჩს ითამაშებენ, აქ გამარჯვებული კი ამავე წლის შემოდგომაზე ანანდს უნდა შეხვდეს. ამით, ფიდეს აზრით, საბოლოოდ აღდგება სამართალი.

შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ახლა მტკიცდება სულ სხვა აზრიც: იქნებ მატჩების გამართვა მსოფლიო პირველობაზე საერთოდ საჭირო აღარც იყოს. იქნებ, გავიმეოროთ გამოთქმა, ჩვენს ზეჩქაროსნულ დროში უფრო სჯობდეს ყველაფრის სწრაფად და ოპერატიულად გადაჭრა. დიახ, ამდენი შესარჩევი ტურნირისა და მატჩის ნაცვლად გაიმართოს ერთი ასპარეზობა 8-10 დიდოსტატის მონაწილეობით — ორ წრედ, ეს კი ცნობილი მწვრთნელის ალექსანდრ ნიკიტინის აზრი გახლავთ. იგივე ნიკიტინი მიიჩნევს, რომ აქ შეიძლება ითამაშონ ჩვენი დროის ყველაზე წარმატებულმა მოჭადრაკეებმა: ანანდმა, კრამნიკმა, ტოპალოვმა, კამსკიმ, ივანჩუკმა, მოროზევიჩმა, არონიანმა, რაჯაბოვმა და (ბოლოსთვის მოვიტოვეთ!) გასაოცარმა მაგნუს კარლსენმა, რომელმაც ჭადრაკში ყველა არსებული რეკორდი მოხსნა.

იქნებ მართლა ასე სჯობდეს ორ წელიწადში ერთხელ მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენა, კარლსენზე კი მაინც უნდა ითქვას რამდენიმე დამატებითი სიტყვა. ადრინდელ წერილში ჩვენ ვილაპარაკეთ ნორვეგიელის უმაგალითო მიღწევების შესახებ. იანვრის ვეიკ-ან-ზეედან მოყოლებული, მთელი ზაფხულისა და სექტემბრის ჩათვლით, კარლსენი თამაშობდა თითქმის განუწყვეტლივ, უძლიერეს შეჯიბრებებში ხან პირველი იყო და ხან მეორე, ხოლო როცა ბილში (შვეიცარია) მესამე ადგილზე გამოვიდა, ყველამ შეიცხადა, ეს როგორ მოხდაო.

ერთი სიტყვით, ყველა სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ხვალ იქნება თუ ზეგ, წრიულ ტურნირსა თუ მატჩში, მაგნუს კარლსენი აუცილებლად მსოფლიო ჩემპიონი გახდება. ისიც საინტერესოა, რომ დღეისათვის ერთადერთი მოჭადრაკე, რომელთანაც ჭაბუკი დიდოსტატი მარცხიანად თამაშობს, სწორედ მასზე 21 წლით უფროსი ვიშვანათან ანანდია.

რამდენ ხანს შეინარჩუნებს „მადრასის ვეფხვი" ძალას?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ჭუმბურიძე

# პიროვნებად დარჩენა პიროვნებათა გადაშენების ეპოქაში

ახლად გამოსული ნებისმიერი წიგნის მნიშვნელობა, ალბათ, იმითაც იზომება, თუ რა ფიქრებს და ასოციაციებს აღგვიძრავს, ვის, რას და რატომ გაგვახსენებს. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ნათელა არველაძის ახალ ნაშრომზე საუბარიც სწორედ ამით მინდა დავიწყო.

ერთ წერილში, ზვიად გამსახურდია, გაბედულებით გამორჩეულ ეროვნულ მოღვაწესაც კი გასაოცარი გულახდილობით ურჩევს: „ნინასწარ ნურასოდეს დასდებთ თქვენს აზრებს ცენზურის პროკრუსტესეულ სარეცელზე".

არსებობს დოკუმენტური ფილმი მიხეილ თუმანიშვილზე.

როგორი ხასიათი გაქვთ? — ეკითხებიან რეჟისორს.

პასუხი:

„მძიმე და ჭირვეული".

* * *

ამ წერილის პროტაგონისტი, როგორც სათეატრო დარგის პროფესიონალი, მიხეილ თუმანიშვილის მემკვიდრეა, მამულიშვილური გზნებით და შეუპოვრობით კი, ყველაზე მეტად, ზვიად გამსახურდიას ენათესავება.

დარწმუნებული ვარ, მისი ახალი წიგნი ერთსაც ძალიან მოეწონებოდა და მეორესაც.

მას ვერასოდეს ვერავინ უსაყვედურებს საკუთარი აზრების პროკრუსტესეულ სარეცელზე დადებას.

ხასიათი კი თვითონაც მძიმე და ჭირვეული აქვს, რადგან არც დუმილის ღმერთი სწყალობს და მისი საყვარელი (თუ პირიქით — საძულველი?) სიტყვა რომ გამოვიყენოთ, არც თვინიერება შეუძლია, ამბიციური უნიჭობის ფაფხურსაც (მურმან ლებანიძის გამოთქმაა) ვერაფრით ეგუება.

* * *

სამშობლოს მსახურება — ასეთი კონკრეტული პროფესია არ არსებობს. მამულიშვილობა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ალბათ, სწორედ იმის უნარია, შენი პროფესია (ნებისმიერი პროფესია!) სამშობლოს ამსახურო.

ალბათ, სწორედ ამას გულისხმობდა ბატონი რეზო თაბუკაშვილი, როცა ამბობდა: „პატრიოტიზმი პროფესია არ არის, პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი".

იშვიათი განსაზღვრებაა, და, მაინც, საქმე გაცილებით უფრო რთულად არის.

მიხეილ თუმანიშვილის პატრიოტიზმიც, რა თქმა უნდა, მისი უზადო პროფესიონალიზმია, ოღონდ: ასეთმა პროფესიონალიზმმა შეიძლება, დაბადოს „დონ ჟუანი", მაგრამ ვერ შექმნის „ბაკულას ღორებს". ამისათვის საჭიროა სხვა რაღაც უფრო მეტი, და ეს უფრო მეტი სამშობლოს სიყვარულია. სწორედ „ბაკულას ღორებით" არის თუმანიშვილი ჭეშმარიტად ქართველი რეჟისორი.

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, ის სრულიად განსაკუთრებული მისიით იყო მოვლინებული, თორემ ვინც მის სამეცნიერო ნაშრომებს იცნობს, კარგად იცის, რომ პროფესიონალიზმშიც ტოლს არავის დაუდებდა. მისი, როგორც პოლიტიკოსის პროფესიონალიზმსაც დღეს მისი ყოფილი მტრებიც (და აქამდე ასეთებად დარჩენილებიც!) აღიარებენ. საჯაროდ აცხადებენ, რომ სწორედ მან მიიღო სამი ისეთი აქტი, რომელსაც ყოველთვის დაეფუძნება ქართული სახელმწიფოებრიობა — ეს „კავკასიის" ეთერში ბრძანა ბატონმა ნოდარ ნათაძემ (სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!).

ეს ყოველივე იმისთვის აღვნიშნე, რომ გამომეკვეთა ქალბატონი ნათელა არველაძის იშვიათი ნიჭი და უნარი — პროფესია და პროფესიონალიზმი სამშობლოს ამსახუროს.

შეიძლება, იყო კარგი თეატრმცოდნე, მაგრამ ეს უნარი არ გაგაჩნდეს. მაშინ ვერც ასეთ წიგნს დაწერ — „მომავლის გადასარჩენად" რომ ჰქვია.

ცხადია, მას, უპირველესად, თავისი სამშობლოს მომავალი აღელვებს.

ეს არის და არც არის თეატრმცოდნის წიგნი. ამას გვაფიქრებინებს წინათქმა და ორი თავი: „ჩვენი უახლოესი წარსული — „ბოროტების იმპერია", „დიადი თანამედროვეობა!" — დიადი თანამედროვეობა?"

* * *

ზემოხსენებულ წერილში ზვიად გამსახურდია წერდა: „როდესაც თქვენ ჩამოთვლით საქართველოს პირისპირ მდგარ მსოფლიო გოლიათებს: რომის იმპერიას, ბიზანტიის საკეისროს, არაბთა ხალიფატს რუსეთის ცარიზმზე ჩერდებით, ეს განცვიფრებას იწვევს, რაო, განა დღეს ასეთივე გოლიათის პირისპირ არ დგას საქართველო, სახელდობრ დღევანდელი საბჭოთა იმპერიის პირისპირ? თუ ჩამოთვლაა, სრული უნდა იყოს ეს ჩამოთვლა".

ნათელა არველაძის წიგნში ვკითხულობთ:

„რომანოვების, ბოლშევიკ-კომუნისტების და აწინდელი დემოკრატიული რუსეთის, მისი ლიდერების ამბიცია და მისწრაფება იდენტურია. სამივე ფორმაციის რეჟიმისათვის საერთოა იმპერიული სინდრომი, იმპერიის ყოფილი და ამჟამინდელი პროვინციებისადმი დამოკიდებულებაც, გენერალიტეტის გაშმაგებაც, თვით ინტელექტუალთა ნაწილის პოზიციაც".

* * *

წიგნის მთავარი თემა თეატრისა და სახელმწიფოს ურთიერთობაა. ეს ურთულესი პრობლემა კი რუსთავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის თეატრის მაგალითზეა განხილული. ამ მიზნით, ყურადღება გამახვილებულია ოთხ რეჟისორზე, „როგორც მისი შემოქმედებითი ცხოვრების ფერისცვალებათა უმთავრეს ავტორებზე“ — იგულისხმებიან: მარჯანიშვილი, ახმეტელი, თუმანიშვილი, სტურუა.




წინათქმა და ხსენებული ორი თავი იმ ეპოქის გაანალიზებას ეთმობა, ოთხ გამორჩეულ რეჟისორს რომ მოუხდა მოღვაწეობა.

ეს ეპოქა ჩვენი უახლოესი წარსულია, უდიდესი კატაკლიზმებით, ტრაგიკული ამბებით სავსე.

ამ ეპოქას ორი სიტყვისგან შემდგარი საშინელი სახელი აქვს: „ბოროტების იმპერია“.

წიგნში „ბოროტების იმპერიის“ არსი იმდენად ღრმად არის გაანალიზებული, რომ ხანდახან გგონია, ისტორიკოსის ნაშრომს კითხულობ. თუმცა, ეს რატომ უნდა გვიკვირდეს: თეატრმცოდნეც ხომ ისტორიკოსია, თეატრის ისტორიკოსი. თეატრისა და ეპოქის ბედი კი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

* * *

„ქართველმა ერმა სიტყვა „რუსი“ პირველად XII საუკუნეში აღიქვა, როგორც სრულიად რეალური საფრთხე“. — ასე იწყება ეს წიგნი.

რედაქტორი რომ არ ვყოფილიყავი და რამდენიმე თვით ადრე არ წამეკითხა, ვიფიქრებდი, რომ წიგნი აგვისტოს მოვლენების შემდეგ დაიწერა.

წიგნი აგვისტოს მოვლენების შემდეგ გამოვიდა!

და ამ ტრაგიკულ ფონზე კიდევ უფრო მძაფრად გახმიანდა მისი სათაური, რაც მთავარია, მისი მიზანი: „ წარსულში ეს ოდისეა მხოლოდ მომავლის გადარჩენისთვის არის გამიზნული — ვინძლო, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ და გავიაზროთ XX საუკუნის საქართველოს ყოფაცხოვრება, რათა სამომავლოდ არაერთი შეცდომა ავიცილოთ თავიდან“.

ამ წიგნში შემაძრწუნებელი ფაქტებითაა გამოკვეთილი ეპოქის ხასიათი, იმ ეპოქისა, როცა უსასტიკესი და უვერაგესი მეთოდებით ხორციელდებოდა „მასების დაკოდვისა და პიროვნებათა გადაშენების სახელმწიფო პროგრამა“. ნაჩვენებია, რომ ამ სასტიკი ეპოქის მსხვერპლია სანდრო ახმეტელიც, მისი ერთგული მსახიობებიც და ისინიც, ვინც ისტორიას გამცემის, დამსმენის, მოღალატის სახელით შემორჩებიან.

ნათელა არველაძე მოღალატეებზეც გულისტკივილით წერს, რადგან ის პროფესიონალია და მათი ნიჭიერების და მაღალი ოსტატობის უგულებელყოფა არ შეუძლია. ის სრული სახით პირველად აქვეყნებს უმძიმეს დოკუმენტს — აკაკი ვასაძის ხელით დაწერილ „ავტობიოგრაფიას“ და დასძენს: „დაკნინებული ეპოქისა და დაცემული ხელოვანის გულსაკლავი სურათია აღბეჭდილი ამ ავტობიოგრაფიით“.

სიტყვა „გულსაკლავი“ აქ ძალიან ბევრისმთქმელია.

* * *

წინათქმაში ვკითხულობთ:

„ნაშრომში სპექტაკლების დადგმის ამბავზეა ყურადღება გამახვილებული, შედარებით ნაკლებადაა გაშუქებული წმინდა ხელოვნებისეული საკითხები. ამჯერად, ჩემთვის მთავარია, წარმოჩნდეს „კულისებს მიღმა“ არსებული დაძაბული სათეატრო ყოფა“.

მაგრამ ის პროფესიონალი თეატრმცოდნეა და გული არ გაუძლებს, ამ პრინციპს ბოლომდე მიჰყვეს: „ანტიგონეს“ დადგმასთან დაკავშირებულ რთულ პერიპეტიებს ისე ვერ მოგვიყვება, თვითონ სპექტაკლის ანალიზიც რომ არ შემოგვთავაზოს.

და ეს ანალიზი, მართლაც, სანიმუშოა.

„წმინდა ხელოვნებისეული საკითხების“ ღრმა ცოდნასთან ერთად, აქ თეატრმცოდნის მასშტაბური ხედვაც მოჩანს. სპექტაკლი საერთაშორისო ვითარების ფონზე და კონტექსტშია განხილული. თანაც საუბარია იმაზეც, თუ როდის და რა ატმოსფეროში დაიწერა პიესა, და იმაზეც, თუ როდის და რატომ დადგა იგი მიხეილ თუმანიშვილმა.

ამ წიგნში, მართლაც, მარგალიტივით ბრწყინავენ ეპიზოდები, რომლებშიც „კულისებს მიღმა არსებული დაძაბული სათეატრო ყოფაა აღწერილი“, ანუ ის „სპექტაკლები“, თუმანიშვილის „ანტიგონეს“ თუ სტურუას „რიჩარდ მესამის“ ე.წ. „ჩაბარების“ დროს, თეატრის დირექტორის კაბინეტში რომ თამაშდებოდა.

ნათელა არველაძე შესაშური დოკუმენტურობით და ობიექტურობით გადმოგვცემს ამ მღელვარე ამბებს. მას შეუძლია, უაღრესად მიუკერძოებელი იყოს, არათუ კულტურის მინისტრს, ცეკას მდივანსაც კი არაფერი დაუკარგოს, მაგრამ ცხადია, ისიც არ ძალუძს, არ აღფრთოვანდეს რობერტ სტურუას გაბედული რეპლიკით („უბედურებაა, საქართველოს ასეთი ვერაგი კულტურის მინისტრი რომ ჰყავს“ — იგულისხმება ოთარ თაქთაქიშვილი) და მიხეილ თუმანიშვილის ისტორიული გამოსვლით, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება:

„მე ვიცავ ყოველი დროის ანტიგონეს ყოველი დროის კრეონტისაგან“.

ასევე საინტერესოდაა მოთხრობილი „რიჩარდ მესამის“ „ჩაბარების“ ამბავი, როცა უკვე რობერტ სტურუა იცავს შეუპოვრად თავის დადგმას ოფიციოზის კლანჭებისაგან.

* * *

წიგნის ერთი მოზრდილი თავი („მოკვდეს თავისი არჩევანისთვის“) თამარ წულუკიძეს ეძღვნება — საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთ მსხვერპლს, ვისაც ამ რეჟიმმა „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი სამშობლო ჩრდილოეთის უცხო, რუხი სივრცით და სუსხიანი ყოფით შეუცვალა“.

ამ უმშვენიერესი და უდრეკი ქალბატონის ტრაგიკულ თავგადასავალს რომ მოგვითხრობს, თეატრმცოდნე მწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ ოსტატობას აღწევს. გადმოცემის ფორმაც (პროლოგი, რამდენიმე თავი, ეპილოგი...) ამას ადასტურებს.

ერთი მაგალითი:

„საკანში ჭერიდან ვიწრო ზოლად ჩამოსული სინათლის სხივი, თორმეტი თვე მარტოობაში. მხოლოდ ნახევარი საათით პატარა ეზოში „გასეირნება", სადაც მარტო ზედამხედველს ხედავ! მერე ზონა, ხუთ საათზე რკინის გაბმული ჟღარუნი გაღვიძებს, ხის საჭრელად ტყეში მიდიხარ, ან მარტო დარაჯობ უდაბურ ველზე დათესილ კარტოფილს და შენი სიმაღლის ტომრებს ეზიდები".

ისიც მწერლური ოსტატობის მაგალითია, თამარ პეტკევიჩის მოგონების ფრაგმენტს, ქართულად, ასე რომ გადმოქვცემს:

„ბანაკში დაბადებულმა და გაზრდილმა ბავშვებმა არ იცოდნენ, რა არის თავისუფლება, არასოდეს ენახათ ყვავილებით მოფენილი მდელო, ძროხა, კატა, ქათამი. იცოდნენ მხოლოდ ძაღლების არსებობა. ძაღლები გარედან იცავდნენ ბანაკს, ამიტომაც როდესაც სცენაზე გამოჩნდა ძაღლი, ბავშვებმა ისეთი ტირილი მორთეს, რომ მათი გაჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. იძულებულნი გახდნენ, შეეწყვიტათ წარმოდგენა".

* * *

ეს წიგნი პიროვნებათა გადაშენების ეპოქას და იმ შემზარავ მეთოდებს ეხება, საბჭოთა რეჟიმი ასეთი მიზნის მისაღწევად რომ იყენებდა.

და, მაინც, წიგნის მთავარი სათქმელი ისაა, რომ ყველაფერს რეჟიმს ვერ დავაბრალებთ. მისი სისასტიკე ჩვენი სულმდაბლობის გამართლებად ვერ გამოდგება. გამცემლობას და ღალატს შთამომავლობა არავის და არაფრის „ხათრით" არ გვაპატიებს.

თანაც ღალატიც არის და ღალატიც. ერთია რეჟიმისგან არაადამიანური ტანჯვა-წამების შედეგად მოპოვებული ჩვენება და სულ სხვაა, როცა ღალატის სანაცვლოდ, ბინას და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობას ელოდები.

წიგნი იმასაც გვიჩვენებს, რომ პიროვნებად დარჩენა უსასტიკესი რეჟიმის პირობებშიც შესაძლებელია. მთავარია, თვითონ რა გირჩევნია — უღირსი სიცოცხლე თუ ღირსეული სიკვდილი. აქედან გამომდინარეობს წიგნის სათაური: როცა ამას შევიგნებთ და გავისიგრძეგანებთ, მაშინ გადავრჩებით. მომავალი გადარჩება! სამშობლო გადარჩება! ხომ დარჩნენ პიროვნებებად ახმეტელის ერთგული მონაფეები — ეგლუჯა ლორთქიფანიძე, ბუჟუჟა შავიშვილი, ნინო ღვინიაშვილი (მოკარნახე), პლატონ კორიშელი, ია ქანთარია, ვანიკო აბაშიძე, ვანიკო ლალიძე. ასევე, ტატე ბერიაშვილი, ვინც „საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად შემოუნახა შთამომავლობას ფასდაუდებელი საარქივო მასალა".

ხომ დარჩა პიროვნებად თამარ წულუკიძე!

* * *

„არ შეეძლო მისთვის მიუღებელი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, მით უფრო მათ მიმართ კეთილგანწყობის თამაში, მათი ღვაწლის და ნიჭის გაზვიადებული შეფასება, მათი პერსონის შექება ისე, როგორ ხოტბასაც მიჩვეულნი იყვნენ ფსევდომოღვაწენი, ფსევდოღირებულებები, ფსევდოწარჩინებულნი მისთვის მეტისმეტად მიუღებელნი ხდებოდნენ, არც ცდილობდა ამის დაფარვას, რადიკალურად უარყოფითი აზრის დიპლომატიურად გამოთქმას... წონასწორობის დაკარგვაც შეეძლო. ასეთიც იყო, მღელვარე და ბობოქარი".

ეს სიტყვები თამარ წულუკიძეს რომ არ ეხებოდეს, ნათელა არველაძის დახასიათება გეგონებოდათ.

ის, საერთოდაც, ძალიან ჰგავს ამ წიგნის გმირებს — სასტიკი რეჟიმის პირობებში პიროვნებებად დარჩენილებს.

ხასიათიც მათნაირი აქვს — მძიმე და ჭირვეული.

რას ვიზამთ, ის იმ ღირსეული ქალბატონის შთამომავალია, საბჭოთა მილიციას თავისი სახლის აივანზე წითელი დროშის გამოკიდების უფლება რომ არ მისცა.

იმ ახმეტელების შთამომავალია, ასი წელია, იმპერიას რომ ებრძვიან.

წიგნებითაც ებრძვიან.

ამ წიგნითაც!

მომავლის გადასარჩენად!

სამშობლოს გადასარჩენად!

## ქრონიკა

4 ნოემბერს სოხუმის უნივერსიტეტმა უმასპინძლა მთარგმნელსა და მეცნიერს გია ჯოხაძეს. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები დიდი ინტერესით უსმენდნენ მის საუბარს იოსიფ ბროდსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. შეხვედრას უძღვებოდა პროფ. ნინო ვახანია. მან აღნიშნა, რომ ეს-ესაა გამოვიდა გია ჯოხაძის შესანიშნავი წიგნი „იოსიფ ბროდსკი. მშვენიერი ეპოქის დასასრული". წიგნში შესულია ავტორის ვრცელი გამოკვლევა ნობელიანტი პოეტის შესახებ; ავტორის მიერვე თარგმნილი ბროდსკის ლექსები, ესეები, ინტერვიუები, ლექციები.

წიგნში სადად, ლაღად, ხანაც შეფარული ირონიით გადმოცემულია არა მარტო ერთი პიროვნების ბედისწერა, არამედ დახატულია ეპოქა, მწარე, უცნაურად არეული დრო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მონოგრაფიაში ჩართულია ბროდსკის თანამედროვეების ფოტოები, რაც მეტ ხიბლს სძენს ამ ისედაც კარგ, კულტურულ გამოცემას. ავტორის მსჯელობა პოეტური თარგმანის შესახებ დამოუკიდებელი ესეა, რომელიც წიგნსაც ძალიან ამშვენებს და ცალკეც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

აუდიტორიის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მის მიერ არტისტიზმით წაკითხულმა საკუთარმა თარგმანებმა. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი, უფრო კარგად გაეცნონ, შეისწავლონ იოსიფ ბროდსკის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

წიგნისა და ავტორის შესახებ აუდიტორიას ესაუბრა პროფ. მაკა კაჭარავა, სიტყვები წარმოთქვეს პროფ. ზურაბ პაპასკირმა, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა პროფ. შოთა კვირტიამ. სტუდენტებისა და უფროსების მრავალრიცხოვან შეკითხვებს საინტერესოდ უპასუხა სტუმარმა.

მასპინძელთა თხოვნით შეთანხმდნენ მომდევნო საჯარო ლექციის თემაზე — ელიოტის ცხოვრება და შემოქმედება.

გია ჯოხაძემ თავისი წიგნები საჩუქრად გადასცა სოხუმის უნივერსიტეტს.

ფრიდრიხ დიურენმატი

# მართლმსაჯულება

ა) ბებერი კნულპე: მან გზა საფოსტო ყუთთან გადამიჭრა. ის-ის იყო, წერილი ჭრილში უნდა შემეცურებინა, რომ ყუთთან მიმასწრო, ხელში წერილების მთელი დასტა ეჭირა და აკურატულად, თითო-თითოდ დაიწყო ჩაყრა. პროფესორი კარლ კნულპე სიმაღლით ორი მეტრი იქნებოდა, გამხდარი, გაძვალტყავებული, ერთდროულად სიმონ ბერგერს და წმ. ნიკოლოზ ფლუეელს მაგონებდა, ოღონდ წვერს არ ატარებდა და მოუვლელი, ჭუჭყიანი შესახედაობა ჰქონდა. ზამთარ-ზაფხულ პელერინით და ბერეტით დადიოდა. როგორც ყოველთვის, ცოლიც ახლდა. ცოლი მასავით მაღალი, გამხდარი და ხელმიშვებული იყო, მასავით მთელი წელი პელერინსა და ბერეტს ატარებდა, ასე რომ, ზოგიერთის აზრით, იგი პროფესორის ტყუპი ძმა გახლდათ და არა ცოლი. ორივე სოციოლოგი იყო და გარკვეული სამეცნიერო ხარისხებიც ჰქონდათ. და თუმცა პირად ცხოვრებაში ასეთ შეხმატკბილებულ წყვილს იშვიათად ნახავდით, მეცნიერებაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ გამართული და პერიოდულად ერთმანეთის საწინააღმდეგო, გამანადგურებელ პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ. კნულპე უდიდესი ლიბერალი იყო („კაპიტალიზმი როგორც სულიერი ავანტიურა", „ფრანკე", 1938), მისი ცოლი — თავგადაკლული მარქსისტი, რომელიც უფრო მოსე შტეელინის ფსევდონიმით იყო ცნობილი ("რეალური ცხოვრების მარქსისტული ჰუმანიზმი", "ოიროპა-ფერლაგ", 1939), პოლიტიკურმა შეხედულებებმა ორივე ერთნაირ შედეგამდე მიიყვანა: კარლ კნულპეს აშშ-ს ვიზა არ მისცეს, მოსე შტეელინს — საბჭოთა კავშირის. პროფესორმა თავს უფლება მისცა, მწვავე განცხადებები გაეკეთებინა შტატების „ინსტინქტურ მარქსისტულ ტენდენციებთან" დაკავშირებით, მისმა ცოლმა კი საბჭოთა კავშირის "წვრილბურჟუაზიული ლალატი" გააკრიტიკა. სამწუხაროდ, ამას წარსულის ფორმით ვყვები. ორი კვირის წინათ ისინი შტურცელერის ფირმის საბარგო მანქანამ გაიტანა, რომელიც ძველი შენობების დანგრევაზე მუშაობდა. ქმარი დაასაფლავეს, ცოლი კი, ანდერძის თანახმად, კრემატორიუმში დაწვეს, რამაც საკმაოდ გაართულა დაკრძალვის პროცედურა.

— დილა მშვიდობისა! — მივესალმე ორივეს. ხელში კოლერისთვის გასაგზავნი წერილი მეჭირა.

პროფესორმა არ მიპასუხა, მხოლოდ უნდობლად გამომხედა სათვალის დამტვერილი შუშებიდან და თვალები აახამხამა. ცოლმა (ზუსტად ასეთივე სათვალე ეკეთა) იგივე გააკეთა.

— არ ვიცი, გახსოვართ თუ არა, ბატონო პროფესორო, — ვთქვი დაბნეულმა.

— როგორ არა, — მიპასუხა კნულპემ, — მახსოვხართ. იურისპრუდენციას სწავლობდით და ჩემთან სოციოლოგიას ესწრებოდით. ახლაც მარადიულ სტუდენტს გავხართ. გამოცდები ჩააბარეთ?

— დიდი ხანია, ბატონო პროფესორო.

—ადვოკატი ხართ?

— დიახ.

— ყოჩაღ! სოციალისტი ხართ?

— ნაწილობრივ.

— კაპიტალის სანიმუშო მონა ხართ, არა?— მკითხა კნულპეს ცოლმა.

— ნაწილობრივ, ქალბატონო პროფესორო.

— ვხედავ, რაღაც საქმე გაქვთ, — დაბეჯითებით თქვა კნულპემ.

— ნაწილობრივ, ბატონო პროფესორო.

— კარგი, გაგვიძეხით, — მითხრა მისმა ცოლმა.

გავუძეხი. "ფარშევანგს" გვერდით ჩავუარეთ, წერილი ისევ ხელში მეჭირა, არც გამხსენებია.

— აბა, ბრძანეთ, — მითხრა კნულპემ.

— ციხეში ვიყავი დოქტორ H.C. ისააკ კოლერთან.

— აჰა, ესე იგი, ჩვენი კეთილი მკვლელი მოინახულეთ! ესე იგი, თქვენც დაგიბარათ?

— დიახ, ასეა.

კითხვები დამაყარეს.

— ისევ ისეთი ბედნიერია?

— დიახ.

— ისევ ისე უბრწყინავს სახე?

—რა თქმა უნდა!

კიდევ ერთ საფოსტო ყუთს ჩავუარეთ. მინდოდა შევჩერებულიყავი და წერილი ჩამეგდო, მაგრამ მეუღლეები ჩქარი ნაბიჯით წინ მიიწევდნენ. რომ არ ჩამოვრჩენილიყავი, თითქმის მივრბოდი.

— კოლერმა მითხრა, რომ რაღაც უცნაური დავალება მოგცათ, ბატონო პროფესორო.

— უცნაური? რატომ უცნაური?

— ბატონო პროფესორო! გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით: როდესაც კოლერი მის მიერვე ჩადენილი მკვლელობის შედეგების შესწავლას გთხოვთ, ეს ყოველგვარ ზღვარს გადადის! დღისით-მზისით კაცს კლავს, თან სრულიად უმიზეზოდ, მერე კი ამის სოციოლოგიურ გამოკვლევას გავალებთ იმ საბაბით, რომ მხოლოდ ასე შეიძლება რეალობა სრულად აღიქვა.

— დიახ, ასეც იქნება, ახალგაზრდავ. სრულად შევისწავლით.

— მაგრამ ამის უკან აშკარად რაღაც იმალება! — წამოვიძახე მე.

მეუღლეები გაჩერდნენ. სულს ველარ ვითქვამდი ამ დოლის შემდეგ. კნულპემ სათვალის შუშები გაწმინდა და ახლოს მოვიდა, ასე რომ, ახლა ქვევიდან ვუყურებდი, ის კი — ზევიდან. პროფესორმა სათვალე მოირგო და მზერა ისარივით დამასო.

ცოლი ქმარს გვერდით ამოუდგა. ისიც გულწრფელი აღშფოთებით მიყურებდა.

— ამის უკან მეცნიერება დგას, ახალგაზრდავ, მეცნიერება, გესმით, და მეტი არაფერი! პირველად გაჩნდა შესაძლებლობა, მეთოდურად და ძირფესვიანად შევისწავლოთ მკვლელობის შედეგები სამოქალაქო საზოგადოებაში! ჩვენი აღმატებული ბატონი მკვლელის წყალობით! უნიკალური შანსია! რა პერსპექტივები იხსნება! რა კავშირებს ვხედავთ! ნათესაურს, პროფესიულს, პოლიტიკურს,

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა" №23

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსურს, კულტურულს! არც არის გასაკვირი. ამქვეყნად ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ასევეა ჩვენს ქალაქში, ერთი მეორეში გადადის, ერთი მეორეს ლობირებს, როდესაც ერთი ნაიქცევა, ბევრი მიესევა, აი, ახლაც მიესივნენ. პირადად მე ძალიან დავინტერესდი ამ შედეგებით ჩვენი პატივცემული ალმა-მატერის მაგალითზე. და ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია!

— უკაცრავად, მანქანა, — ორივენი უსაფრთხო ადგილზე გადავათრიე. ალგზნებული მეუღლეები ტროტუარიდან ჩამოვიდნენ, ტაქსის მუხრუჭის წივილისთვის ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ. ტაქსი სავსე იყო, ვიღაც ხნიერი ქალი, ხელოვნური ყვავილებით მორთული ქუდი რომ ეხურა, შუბლით საქარე მინას მიაჯახა. ტაქსისტმა რაღაც უცენზურო მოგვაძახა.

— არა უშავს, — თქვა კნულპემ. — სტატისტიკის თვალსაზრისით სულ ერთია, გადაგვივლიან თუ არა. მხოლოდ ამოცანა, მხოლოდ მეცნიერებაა მნიშვნელოვანი.

მაგრამ ქალბატონი კნულპე არ დაეთანხმა.

— როგორ თუ არა უშავს? მე პირადად გული დამწყდება.

ტაქსი წავიდა. კნულპემ ისევ თავის სოციოლოგიურ გამოკვლევაზე გააგრძელა ლაპარაკი.

— მაგაში გეთანხმებით, მკვლელობა ყოველთვის მკვლელობაა, მაგრამ მეცნიერისთვის ეს ფენომენია, რომელიც ისევე უნდა შეისწავლო, როგორც ყველა სხვა ფენომენი. აქამდე ჩვენ მოტივების, მიზეზების, გარემოს შესწავლით შემოვიფარგლებოდით. ახლა კი შედეგები უნდა შევისწავლო. ამიტომ თავს ნებას მივცემ და ვიტყვი: ამ მკვლელობამ ჩვენს ალმა-მატერს მხოლოდ სიკეთე მოუტანა. პირდაპირ ხელები მექავება, ისე მინდა მეც ვინმე მოვკლა. რასაკვირველია, მკვლელობა სამწუხარო მოვლენაა, თვითონაც ხომ გესმით, დანაშაულია, მაგრამ ხვრელიდან, რომელიც ვინტერის სიკვდილის შედეგად წარმოიქმნა, ჟანგბადმა იწყო დენა, ახალმა სულმა შემოაღწია. საოცარი რამ ირკვევა: ჩვენი ძვირფასი გარდაცვლილი მექანიზმის კბილანებში მოხვედრილი კენჭი იყო, ჩამორჩენილი ელემენტი, სულაც არ მინდა, გარდაცვლილზე აუგი ვთქვა და ცოდვა დავიდო, ან უკბილო ხუმრობებში ვივარჯიშო, უბრალოდ, ფაქტებზე ვსაუბრობ, ახალგაზრდავ, ფაქტები და მეტი არაფერი.

„ფარშევანგს" გავუსწორდით.

— ღმერთი შეგეწიოთ, ბატონო ადვოკატო, — მითხრეს გამომშვიდობებისას.

—შეხვედრა მაქვს ერთ კაცთან უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლიდან. — დასძინა კნულპემ. — იმ ტერიტორიაზეც მინდა მოვსინჯო ნიადაგი. ვინტერის გავლენა პედაგოგიურ საბჭოზე თავისთავად ერთი რომანია, სენსაციის სუნი მცემს. საინტერესო რამე შეიძლება გამოვიდეს.

რესტორნის ზღურბლზე კიდევ ერთხელ მომიბრუნდნენ, ორივემ თითი ცისკენ აღმართა:

— მეცნიერულად უნდა იაზროვნოთ, ახალგაზრდავ, უნდა მიეჩვიოთ ამას. როგორც ადვოკატს, ძალიან გამოგადგებათ. — დაასრულა ქალბატონმა კნულპემ, ანუ მოსე შტეელინმა.

ისინი წავიდნენ, წერილი ისევ ჯიბეში მედო.

ბ) არქიტექტორი ფრიდლი: ცოტა ხანში მასთან ერთად ვიჯექი „სელექტში", წერილი ისევ თან მქონდა. „სელექტში" საერთოდ დიდხანს სხედან ხოლმე და აღარ მიდიან, უხსოვარი დროიდან, უკეთ რომ ვთქვათ, მილიონობით წლის წინათ, როდესაც მდინარის გასწვრივ ჯერ კიდევ ბრონტოზავრები დააბოტებდნენ, "სელექტის" წინ უკვე ხალხი იჯდა. ფრიდლის ჯერ კიდევ შტუსი-ლოიპინის ხანიდან ვიცნობდი, რადგან სულ უსიამოვნებები ჰქონდა მიწის ნაკვეთებით სპეკულაციის გამო, მაგრამ ფრიდლის გაჩერება შეუძლებელი გახლდათ, ეს ნამდვილი ქონის ზვავი იყო, რომელიც დროდადრო ჩვენი ქალაქის ცალკეულ ნაწილებს დაატყდებოდა თავს და იმ ადგილას, რომელსაც გადაუვლიდა, ადმინისტრაციულ შენობებს, სასტუმროებს და შემოსავლიან სახლებს ტოვებდა — უფრო ძვირებს, რა თქმა უნდა, ვიდრე ადრე იყო. გულდასმით დავაკვირდეთ ამ სტიქიურ მოვლენას — იგი 50 წლისაა, ყველა მხრიდან უშველებელი, ოფლიანი ქონის ბალიშები ამოსჩრია, თვალები ზვავს პატარა და მოციმციმე აქვს, ცხვირი და ყურები — ციცქნა, სხვა ყველაფერი კი — უზარმაზარი. შელფმადემან-ია, ლინგშტასეს ნაშიერია (დედაჩემი, ძვირფასო შპეტ, ოჯახ-ოჯახ დადიოდა და სარეცხს რეცხავდა, მამაჩემი გალოთდა, ჩემი ხელით გადავასხი მის საფლავს ერთი ბოთლი ლუდი), ველოსპორტის მეცენატი, ველორბოლებისთვის სპეციალურ პრიზებს აწესებს, დახურულ სტადიონზე ზის, შეუწყვეტლივ ჭამს სანკტ-გალენურ ძეხვს, თანაც მუსიკალური ხელოვნების მფარველიცაა, ეს ფრიდლის წყალობით ინარჩუნებს ჩვენი სიმფონიური ორკესტრი და საოპერო თეატრი საშუალოზე ოდნავ მაღალ დონეს, ფრიდლიმ დირიჟორების — კლემპერერის, ბრუნო ვალტერის და თვით კარაიანის — მოწვევაც კი მოახერხა, ახლა კი მონდშაინს მფარველობს; ასე რომ, ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებას მაინც უწყობს ხელს, მიუხედავად იმისა, რომ მის იერს ულმობლად ამახინჯებს.

იმწამსვე მიცნო. დილა, როგორც უკვე გითხარით, თბილი იყო, ფენი უბერავდა, ხალხი ამ ძალაგამომცლელი ამინდის გამო გაოგნებული იჯდა, მე ფრიდლის მივეწყე, რომელიც ძალიან კარგ გუნებაზე გახლდათ, ფუნთუშას რძიან ყავაში აწობდა, ხვნეშოდა, პირს აწკლაპუნებდა და პერანგის საყელოსა და ჰალსტუხზე ყავისფერი წვეთები ჩამოსდიოდა.

ფრიდლის სიხარული ჩვენს საქვეყნოდ ცნობილ გაზეთში გამოქვეყნებულმა ნეკროლოგმა გამოიწვია. ღმერთმა ისურვა, ტრაგიკული შემთხვევის საშუალებით „თავის საუფლოში წაეყვანა ჩვენი საყვარელი მეუღლე, მამა, ძმა, ბიძა, სიძე და ცოლისძმა ოტო ერიხ კუგლერი. მისი სიცოცხლე მთლიანად სიყვარული იყო."

— თქვენი მტერი იყო? — ვკითხე მე.

— არა, მეგობარი.

მივუსამძიმრე.

— შამთან არმისული ხეს შეეჯახა, ჩვენი ძვირფასი, კეთილი ბებერი კუგლერი. — ამიხსნა ფრიდლიმ, ხმაურით მოსვა ყავა და მთელ ფუნთუშას გადაუძახა პირში. — პირდაპირ ცის სასუფეველში მოხვდა.

— თანაგიგრძნობთ.

— ერთი მისი „ფიატი" გენახათ! ბლითივითაა დაბრტყელებული.

— რა საშინელებაა!

— რას იზამ, ბედისწერაა. ყველა დავიხოცებით, ადრე თუ გვიან.

— ეგრეა.

— მეგობარო, — მითხრა ფრიდლიმ, — ალბათ არც კი იცით, ეს რა სერიოზული დარტყმაა ჩემი უმნიშვნელო პიროვნებისთვის?

რასაკვირველია, არ ვიცოდი. გაბერილი უმნიშვნელო პიროვნება გახარებული მომაშტერდა.

— კუგლერს ქვრივი დარჩა, — ამიხსნა მან, — მაგარი ქალია.

ნელ-ნელა ვხვდებოდი, რაშიც იყო საქმე.

— ახლა იმ ქალის ცოლად მოყვანა გინდათ?

არქიტექტორმა ფრიდლიმ ქონის ის ნაწილი შეარხია, რომელშიც, ჩემი ვარაუდით, თავი იყო განლაგებული.

—არა, ახალგაზრდავ, ქვრივზე კი არა, მისი საყვარლის ცოლზე მინდა დავქორწინდე. ისიც ძალიან მაგარი ქალია. გაიგეთ? ღმერთო ჩემო, ეს ხომ ძალიან მარტივია: თუ საყვარელი ქვრივზე დაქორწინდება, თავის ცოლს ხომ უნდა გაეყაროს. ჰოდა, იმას მე შევირთავ ცოლად.

— უმაღლესი საზოგადოების მათემატიკაა, — ვუთხარი.

— ესე იგი, მიხვდით.

— მაგრამ მაშინ თქვენც უნდა განქორწინდეთ, — შევახსენე მე, თან იმედი მომეცა, რომ ამ პროცესის წაყვანას მე დამავალებდნენ.

— განვქორწინდი კიდეც. ერთი კვირის წინათ. მეხუთედ.

ისევ მარცხი მომივიდა.

კელნერმა ფუნთუშების ახალი პარტია მოიტანა. მოედანი ქალთა გიმნაზიის კლასმა გადაკვეთა. ზოგ გოგონას კიკინები ჰქონდა, ზოგი უკვე ახალგაზრდა ქალს ჰგავდა. ერთი ჯფუფი კინოთეატრის აფიშებთან შეჩერდა. ფრიდლიმ თვალი გააპარა მათკენ.

— თქვენ ის სახელგანთქმული ადვოკატი არა ხართ, თავხედობა რომ გყოფნით, ოფისი შპიგელგასეს მანსარდაზე იქონიოთ? — მკითხა მან, თან გოგონებს თვალს არ აცილებდა.

სხვა რა გზა მქონდა, დავუდასტურე.

— ახლა ათის ნახევარია, — თქვა და გაიკრიჭა — უტაქტობაში არ ჩამომართვათ, შპეტ, მე საერთოდ ზრდილობიანი კაცი ვარ, მაგრამ ასე მგონია, ჯერ თქვენს ოფისში არც კი შეგიხედავთ,

— ზუსტად ასეა, — ვუპასუხე, — თქვენი ეჭვი სავსებით გამართლებულია, მაგრამ ბევრი-ბევრი ერთ საათში, ან ნასადილევს ვაპირებ მისვლას.

— აჰა, აპირებთ, — გამომცდელად შემომხედა ფრიდლიმ, — ძვირფასო შპეტ, თქვენი ბრალია. მე დღეს შვიდიდან ცხრამდე სამშენებლო მოედანზე ვიყავი, — თქვა თავმდაბლად, — მილიონებს ვაკეთებ. ეს სიმართლეა. მშენებლობით, მიწის ნაკვეთებით სპეკულაციით, ეგეც სიმართლეა. მაგრამ მე ვმუშაობ. დისციპლინა, ეშმაკმა დალახვროს! ვაღიარებ, რომ ბევრს ვსვამ, მაგრამ ყოველ დილით ქეჩოთი ვაგდებ ჩემ თავს ლოგინიდან.

ქონიანმა ლეშმა მამობრივი მზრუნველობით გადამხვია ხელი.

— ძვირფასო შპეტ, — ნაზად განაგრძო მან, უზარმაზარი ქონიანი სინაზის განსახიერება იყო, ყავისა და ფუნთუშებისგან გაცისკროვნებული. — ჩემო ძვირფასო შპეტ, მინდა გულახდილად დაგელაპარაკოთ. აშკარად სირთულეები შეგხვდათ, თვალს ნუ მიხვევთ. სერიოზულად არავინ აღგიქვამთ. ადვოკატი, რომელიც ათის ნახევარზე სამუშაო მაგიდას არ უზის, წესიერი ბიზნესმენისთვის არ არსებობს. არ მინდა თქვენს საქმეებში ცხვირი ჩავყო, ზარმაცს არ გავხართ, მაგრამ ჯერ, ეტყობა, ძალა ვერ მოიკრიბეთ, რომ ცხოვრების ორომტრიალში თავით გადაეშვათ. და იცით რატომ? იმიტომ, რომ რეპრეზენტატულობის არაფერი გაგეგებათ, წარმოსადეგი გარეგნობა და ღიპი გაკლიათ. უნივერსიტეტის დიპლომი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ კარგი ნიშნები მარტო მასწავლებლებზე ახდებს შთაბეჭდილებას. საწერი მაგიდა საკმარისი არაა. რამდენიც გინდა იჯექით კაბინეტში, კლიენტი მაინც არ მოვა. და სწორადაც მოიქცევიან — ვის დაკარგვიხართ? არა, ჩემო მეგობარო, "ფოლკსვაგენი" და მანსარდა მარტო ფინანსური კი არ, სულიერი სიღარიბის ნიშანიცაა. არ გაბრაზდეთ. არაფერი მაქვს პატიოსნების და თავმდაბლობის საწინააღმდეგო, მაგრამ ადვოკატი ისე უნდა დადიოდეს, რომ მიწა ზანზარებდეს! პირველ რიგში, წესიერი ოფისი გჭირდებათ, თქვენი სამტრედე ხეირს არ მოგიტანთ, იქ არც ერთი ადამიანი არ ამოვა, ხალხს, ბოლოსდაბოლოს, იურიდიული დახმარება სჭირდება, სპორტული ფორმის გაუმჯობესება კი არა! მოკლედ, ასე საქმე არ გამოვა. შანსი მინდა მოგცეთ. ხვალ დილით ჩემთან მოდით, 4000 მოიტანეთ და რამდენიმე წესიერ ოთახს მოგცემთ ცელტვეგზე.

(ამას რა მოყვა? გრძელი მსჯელობა გიგანტური მასშტაბის სპეკულაციაზე და ამის თანადროულად ფუნთუშების და რძიანი ყავის მორიგი პარტიის შთანთქმის პროცესი, ირონიულ-სარკასტული აზრების კასკადი, რომლებსაც საფუძვლად შემდეგი მოსაზრება ედო: ამ ქვეყანაში ყველაზე მსხვილი მაქინაციები მხოლოდ ღიად, ყველას დასანახად შეიძლება გაიჩარხოს. მაქინაციებიდან ფრიდლი უცებ სტრავინსკის ფესტივალსა და ჰონეგერის ციკლზე გადავიდა, და როდესაც წასვლა დავაპირე, იმის თქმაც მოასწრო, გზებზე ქასი იმიტომ გვაქვს, ჩვენს მერს ფეხით სიარული უყვარსო).

კერძო დეტექტივი ლინჰარდი: ერთ წელს ვართ დაბადებულნი. გამხდარი, შავთმიანი, სიტყვაძუნწი კაცია, განქორწინებული მშობლების ერთადერთი შვილი. როდესაც გიმნაზიაში სწავლობდა, დედისა და მისი საყვარლის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. ორივე გვამი შიშველი იპოვეს საძინებელში, ქალი ლოგინზე იწვა გაჭიმული, კაცი — კიუსნაჰტელი ფსიქიატრი — ხალიჩასავით იატაკზე იყო გაგებული. ლინჰარდი პირდაპირ სიმწიფის ატესტატის გამოცდაზე აიყვანეს, ტაციტუსს თარგმნიდა. მისი მდგომარეობა გამოუვალს ჰგავდა, მეტი ეჭვმიტანილი არ არსებობდა, თუმცა, ლინჰარდის მტკიცებით, მკვლელობის ღამეს იგი წყნარად იჯდა თავის მანსარდაზე კლასიკოსებისა და ზოოლოგიის სახელმძღვანელოთა გარემოცვაში. სინამდვილეში კი გაირკვა, რომ დედასთან გაათია ღამე. თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად, ლინჰარდს უკვე

თვრამეტი წელი შეუსრულდა, ასე რომ, არასრულწლოვანთა საქმეების კურატორი პროკურორის კომპეტენციაში კი აღარ მოექცა, იემერლინის ულმობელ კლანჭებში აღმოჩნდა. დაკითხვები რთულად მიდიოდა. იემერლინი გიმნაზიელს ყველა მხრიდან ესხმოდა, მაგრამ ლინჰარდს ბრწყინვალედ ეჭირა თავი, ერთი შეხედვით თითქოს უტყუარ ნივთმტკიცებებში ბევრი წინააღმდეგობა აღმოაჩინეს, და საბოლოოდ მართლმსაჯულება იძულებული გახდა, ლინჰარდი გაემართლებინა, ნივთმტკიცებები იმისთვისაც კი არ ეყოთ, რომ მეურვეობა დაეწესებინათ მასზე. იემერლინი ცოფებს ყრიდა, სწორედ მაშინ დაემართა პირველად ნერვიული კრიზი. რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა განაჩენი ფედერალურ სასამართლოში გაეპროტესტებინა. ამასობაში ლინჰარდი გამდიდრდა, მამიკომ მთელი თავისი ქონება დაუტოვა. ამას არცთუ გაჭირვებული დედიკოს კაპიტალიც დაემატა, ყოველი მხრიდან ფული აცვიოდა თავზე, გროვდებოდა, მრავლდებოდა, ერთ მემკვიდრეობას მეორე მოყვა, მეორეს — მესამე, პაპები, ბებიები, ბიძები, დეიდები სასწრაფოდ მიემგზავრებოდნენ იმქვეყნად, მათ შესაძლო მემკვიდრეებიც მიყვებოდნენ, თითქოს ცა და დედამიწა შეითქვნენ და მათ განკარგულებაში მყოფი სიკვდილის ყველა სახეობა აამოქმედეს, რათა ლინჰარდი დაესაჩუქრებინათ. როგორც კი იემერლინის კლანჭებს დააღწია თავი, ოცი წლის ლინჰარდი გაოცებულ საზოგადოებას მილიონერის სახით წარუდგა. ეს მართლაც ზღაპარს ჰგავდა. ლინჰარდმა იემერლინის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება, მისი მეთოდები მარტივი და თანმიმდევრული იყო:სულ პროკურორის ახლო-მახლო ტრიალებდა. იემერლინი სადაც უნდა წასულიყო, აუცილებლად ლინჰარდს შეხვდებოდა. რა პროცესზეც უნდა გამოსულიყო სიტყვით, დარბაზიდან ლინჰარდი უღიმოდა. თუ რესტორანში სადილობდა, გვერდით მაგიდასთან აუცილებლად ლინჰარდი იჯდა. სადაც იემერლინი ცხოვრობდა, იქვე ლინჰარდიც დასახლდებოდა ხოლმე. როდესაც გაშმაგებული იემერლინი სხვა ბინაზე გადადიოდა, ლინჰარდიც თან მიყვებოდა. იემერლინი საგონებელში გახლდათ ჩავარდნილი. ლინჰარდის ატანა აღარ შეეძლო. უკვე მზად იყო, ყელში სწვდომოდა და ერთხელ რევოლვერიც კი შეიძინა. მომთაბარედ ცხოვრობდა — ერთი ქუჩიდან მეორეზე გადადიოდა, ჰინტერბერგშრტასედან —მაიერშტრასეზე, ვოლისჰოფენიდან — შვამენდინგენში, ბოლოსდაბოლოს ცივილიზაციას გასცდა და კაცენშვანცშტრასეზე ვიტიკონთან დაიწყო ვილის მშენებლობა. გვერდით წამში დაიწყეს რაღაცის შენება. იემერლინს გულმა ავი უგრძნო, და ბოლომდე არ ენდო ცნობას, რომლის მიხედვითაც, მისი მომავალი მეზობელი ციურიხის ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელი უნდა ყოფილიყო. მართალიც გამოდგა. როდესაც გაზაფხულზე სახელოები დაიკაპიწა და თავისი გაზონის მოსარწყავად გარეთ გავიდა, ლინჰარდმა მხიარულად დაუქნია ხელი ახალშეღებილი ღობის მეორე მხრიდან და მეგობრული საუბარი გაუბა, როგორც ძველ ნაცნობს (თუმცა ეს ასეც იყო, მართლაც ძველი ნაცნობები იყვნენ). თქვენი ახალი მეზობელი ვარო, უთხრა. მითიური ბანკირი ჰაერში გაიფანტა. იემერლინი შინისკენ წალასლასდა, მაგრამ ვერანდემდე ვერ მიაღწია. მეორე ნერვიული კრიზი, თანაც — ინფარქტი. ექიმებმა აღარ იცოდნენ, სად დაეწვინათ, ფსიქიატრიულში თუ კარდიოლოგიურში. იემერლინი შინ დარჩა, გაუნძრევლად იწვა, ცვილისფერი ედო, და ყველას ეგონა, მისი საქმე უკვე წასულიაო. მაგრამ გაუძლო. ფეხზე წამოდგა, თუმცა შინაგანად დაცარიელებული დარჩა. ლინჰარდის ოინებს მორჩილად, უდრტვინველად იტანდა. ასე დარჩნენ საცხოვრებლად ერთმანეთის გვერდიგვერდ, ტყის პირას. ხედით ვიტიკონზე. იემერლინი ხმის ამოღებას ველარ ბედავდა, მით უმეტეს უძლური იყო ლინჰარდის ახალი წამოწყების წინაშე: ლინჰარდი უდიდესი გაქანების კერძო დეტექტივი გახდა. ტალაკერის ერთ-ერთ შუა საუკუნეების დროინდელ შენობაში მთელი სართული იქირავა. სრულიად თანამედროვე საწერ მაგიდას მხარბეჭიანი, მოკლედ თმაგაკრეჭილი ბატონები უსხდნენ და სიგარებს ეწეოდნენ. ყველა ყოფილი სპორტსმენი იყო, თუმცა უკვე პატარა ღიპები დასდებოდათ ლუდის სმისგან. აქ ყოფილ პოლიციელებსაც ნახავდით, რომლებიც ლინჰარდმა ადვილად გადმოიბირა, რადგან მას ბევრად მეტის შემოთავაზება შეეძლო, ვიდრე ჩვენი ქალაქის ბიუჯეტს. მაგრამ სამართალდამცავთა გადაბირების ფაქტი როდი აღაშფოთებდა იემერლინს: ბიზნესი ბიზნესია, რას იზამ. მას ლინჰარდის სულ სხვა შენაძენი უკარგავდა მოსვენებას: არ შეეძლო გულგრილად ეყურებინა, როგორ იკავებენ ტალაკერის ძველებური შენობის ოთახებს ვიღაც საეჭვო პირები, რომლებსაც თავის დროზე თავად მოხუც პროკურორთან ჰქონდათ საქმე. ყოფილ პატიმრებს, ბანდიტებს, ძნელადაღსაზრდელ მოზარდებს აქ სპეციალისტებად იყენებდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ლინჰარდის "სისხლის სამართლის განყოფილება" ქალაქში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურება ძალიან ძვირი ღირდა. გასაკვირიც არაა — "ლინჰარდის კერძო საინფორმაციო ბიურო", როგორც ოფიციალურად ერქვა ამ დაწესებულებას, კლიენტებს მეუღლეთა ღალატის თუ ერთგულების შესახებ აწვდიდა ცნობებს. პოულობდა მამებს, რომლებსაც დედების მოთხოვნების დაკმაყოფილება ნებით არ სურდათ, კერძო თუ სამრეწველო შპიონაჟს ეწეოდა, ეძებდა, სდევნიდა, თვალყურს ადევნებდა, დელიკატურ დავალებებს ასრულებდა. მას ხშირად მიმართავდნენ ადვოკატები, როდესაც იემერლინისთვის უნდოდათ ხელი შეეშალათ, მაგალითად, ნივთმტკიცებები დაემალათ. ლინჰარდის წყალობით არაერთი პროცესი დასრულდა ბრალდებულისთვის ხელსაყრელად, თუმცა პროგნოზები სულ სხვაგვარი იყო. ტალაკერი ადვოკატთა არაოფიციალური შეხვედრების ადგილიც გახდა. ლინჰარდი გულთბილად ხვდებოდა ყველას, მის სუფრასთან კი ხშირად პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც ისხდნენ და ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებებს უზიარებდნენ.

ასეთია მოკლე წინათქმა. ჩვენი შეხვედრა უშუალოდ „სელექტის" წინ შედგა, თერთმეტის დასაწყისში. ფრიდლი, როგორც იქნა, წავიდა, და მეც, როგორც იქნა, წამოვდექი, რომ კოლერის წერილი საფოსტო ყუთში ჩამეგდო, მაგრამ უკვე წინანდებურად აღარ ვიყავი დარწმუნებული ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში. სწორედ ამ დროს მოვიდა ლინჰარდი. „პორშეთი". დაამუხრუჭა. სტუდენტობის დროიდან ვახსოვდი, ისიც სამართალს სწავლობდა,

თუმცა მხოლოდ ერთი სემესტრი გაძლო. თავის დროზე თავისთან მუშაობა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი.

— ჰეი, ადვოკატო, — მომმართა თავისი კაბრიოლეტიდან, — ჩემთან საქმე გაქვთ?

— შეიძლება.—მივუგე მე.

— ჩაჯექით! – გასცა ბრძანება.

მეც დავემორჩილე.

— მაგრად დარბის, — შევნიშნე.

— 5000, — მიპასუხა ლინჰარდმა. ამით იმის თქმა სურდა, „პორშეს" ამ თანხად დაგითმობდიო. ბევრი მანქანა ჰყავდა, გეგონებოდათ, ყოველდღე იცვლისო.

კოლერთან შეხვედრაზე ვუამბე. ლინჰარდს მანქანა ტბის ნაპირის გასწვრივ მიჰყავდა, ასეთი ჩვევა ჰქონდა — ყველა მნიშვნელოვან საქმეს მანქანაში წყვეტდა. "მოწმეები რომ არ იყვნენ", — ამიხსნა ერთხელ. მანქანა თანაბარი სიჩქარით მიყავდა და ყურადღებით მისმენდა. როდესაც ლაპარაკს მოვრჩი, დაამუხრუჭა. იუტიკონში, ტელეფონის ავტომატთან.

— კარგი საქმეა, — განაცხადა მან, — კერძო დეტექტივი გჭირდებათ?

თავი დავუქნიე.

— კი, თუ დავთანხმდი.

დასარეკად გადავიდა, როდესაც დაბრუნდა, მითხრა:

— მისი ქალიშვილი შინაა.

ვაინბერგშტრასეზე გავედით და კოლერის სახლთან გავჩერდით.

— წავედით, — ბრძანება გასცა ლინჰარდმა. შევყოყმანდი.

— დავთანხმდე?

— რა თქმა უნდა!

— ძალიან ბნელი საქმეა, — გამოვთქვი ჩემი ეჭვი.

ლინჰარდმა სიგარეტს მოუკიდა.

— თუ უარს იტყვით, სხვა ვინმე დათანხმდება, — მიპასუხა მან, ეს მისთვის მთელი გამოსვლა იყო.

მანქანიდან გადავედი. დიდებული პორტალის წინ, რკინის აჟურულ, ნაჭედ ღობეზე საფოსტო ყუთი ეკიდა. ყუთმა გამახსენა. წერილი ისევ ჯიბეში მედო. კარგად მესმოდა ჩემი მოვალეობა. მაგრამ რატომ უნდა განმეცხადებინა უარი, რატომ უნდა მეთამაშა პრინციპული ადამიანის როლი? ფული ხომ მჭირდება? მჭირდება. ჰოდა, მორჩა. ფული კიდევ ქუჩაში არ ყრია, შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა. თუ ადვოკატურაში წარმატების მიღწევა მინდა, ანტურაჟი მჭირდება. არქიტექტორმა ფრიდლიმ სიმართლე მითხრა. თანაც, თუკი დავუფიქრდებით, კოლერის დავალებაში ისეთი არაფერია, ეს უფრო სამეცნიერო გამოკვლევაა, კოლერს შეუძლია თავს ამის უფლება მისცეს.

— 5000 მითხარით, არა?

— ოთხი.

— რა სულგრძელი ხართ!

— დავალებას გააჩნია.

— რაში გჭირდებათ?

— საინტერესოა.

— ჯერ კოლერის ქალიშვილს უნდა დაველაპარაკო, — ვთქვი მე.

— დაგიცდით, — მიპასუხა ლინჰარდმა.

მივმართავ პროკურორს: მეტი გაჭიანურება აღარ შეიძლება, ელენთან ჩემი პირველი შეხვედრის შესახებ უნდა გიამბოთ. ჩემთვის ეს ძალიან მტკივნეულია, მაგრამ რას იზამ. ვერსად გავექცევი. ჩემს მონაყოლში შეიძლება ძალიან პირადული მოტივები წამოტივტივდეს. წინასწარ ვგრძნობ, რომ გაგიხარდათ, როგორც იქნა, პირადული! განსაკუთრებული ინტერესით წაიკითხავთ ამ ნაწილს. როდესაც ვამბობ, „წაიკითხავთ", თქვენ გგულისხმობთ, ბატონო პროკურორო იოაჰიმ ფოიზერ. ნუ შეცბით! რატომაც არ უნდა მოგმართოთ პირადად? თქვენ ხომ, როგორც იემერლინის მემკვიდრე, პოლიციის უფროსის შემდეგ პირველი წაიკითხავთ ამ სიტყვებს. უფრო სწორად, უკვე კითხულობთ, და მეც ამ წუთში ჯოჯოხეთურ სიხარულს ვგრძნობ, დიახ, ჯოჯოხეთურს, ამ სიტყვის ორმაგი მნიშვნელობით. სალამს გიძღვნით იმ ქვეყნიდან! გულახდილად გეტყვით: თქვენ თქვენი ჯიშის ძალიან პედანტური წარმომადგენელი ხართ, თუმცა ცხონებული იემერლინისგან განსხვავებით, პროგრესულ შეხედულებებს იზრალებთ და ყველა ფსიქოლოგიურ სიმპოზიუმს ესწრებით. გიჟდებით ნივთმტკიცებებზე. ჩემი გვამი მორგში მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით დაათვალიერეთ, ღია ფერის ლაბადა გეცვათ, ქუდი, მიცვალებულების პატივისცემის ნიშნად, ხელში გეჭირათ, და საერთოდ, პროფესიული დამწუხრებული სახე გქონდათ: აღიარეთ, თვითმკვლელობა ისე მოვაწყე, წყალი არ გაუვა, კოლერსაც ხელოვნების ყველა კანონის დაცვით მოვექეცი, რა საზეიმო იერი ადევს, როდესაც ასე გვერდიგვერდ ვწევართ. მაგრამ მოდით, თქვენი აწმყოდან, რომელიც ჩემთვის მომავალია, ჩემს აწმყოში დავბრუნდეთ, რომელიც თქვენთვის უკვე წარსულია. დრო ერთმანეთს კვეთს. მიხვდით? არა მგონია. ალბათ, გაბრაზდით. კარგად მოვემზადე.

პირველ რიგში, ისტორიული, არქიტექტონიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისით. იმას, რაც შინაგანი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია, მკაფიო ჩარჩოები სჭირდება. ამიტომ კოლერის ვილა დაწვრილებით შევისწავლე. ქალაქის ბიბლიოთეკაშიც კი წავედი, მასალები მოვიძიე. აღმოჩნდა, რომ ეს ნიკოდემუს მოლხის ყოფილი რეზიდენციაა. ნიკოდემუს მოლხი, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟის მოაზროვნე, გაურკვეველი ეროვნების და წარმოშობის ევროპელი იყო (ერთ-ერთი ვერსიით იგი ალექსანდრე მესამის და ავსტრალიელი მომღერალი ქალის შვილი იყო, მეორე ვერსიით — ადრე მცირეწლოვანთა გახწნისთვის მსჯავრდებული ბურგდორფელი მასწავლებელი იაკობ ჰეგერი), მოსესავით წვერი ჰქონდა და მდიდარი ქვრივების და ხელოვნების მოტრფიალე პოლკოვნიკთა შემოწირულობით შექმნილ დამოუკიდებელ აკადემიას ხელმძღვანელობდა, მიმოწერა ჰქონდა მოხუც ტოლსტოისთან, შუახნის რაბინდრანატ თაგორთან და ახალგაზრდა კლაგესთან. განახლების კოსმიურ მოძრაობას თაოსნობდა, მსოფლიო ვეგეტარიანულ მთავრობას აარსებდა, რასაც, სამწუხაროდ, სერიოზულად არავინ აღიქვამდა (არადა, ეგებ ორივე მსოფლიო ომი, ჰიტლერი და სხვა მომდევნო უბედურებებიც აგვეცილებინა თავიდან, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერი თვითონ იყო ვეგეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიანელი), ნახევრად ოკულტურ, ნახევრად პორნოგრაფიულ ჟურნალებს რედაქტორობდა, დრამა-მისტერიებს წერდა, მოგვიანებით ბუდისტი და დალაი-ლამას მდივანი გახდა — ეს კიდევ უფრო მოგვიანებით, როდესაც მრავალჯერ გაკოტრდა, უამრავი ქალი უჩიოდა სასამართლოში მამობის აღიარების მოთხოვნით და მისი ფოტოები და გარეგნული ნიშნების აღწერილობა პოლიციის ყველა განყოფილებას დაეგზავნა. მაგრამ ესეც შეუმოწმებელი ინფორმაციაა, რადგან ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე — კინოექსპედიციის წევრი — ამტკიცებდა, რომ მოლხი 30-იან წლებში შანხაის ერთ-ერთ ბარში ნახეს. იგი ბარში პიანისტად მუშაობდა და კლიენტებს ართობდა.

ვილის მდებარეობა: სილარიბეში, ცუდ, უკეთ რომ ვთქვათ, არანაირ პირობებში გაზრდილი ადვოკატისთვის, რომელმაც ახლახან გადაწყვიტა, ტკბილი ცხოვრების მორევში გადაეშვას (ფრიდლის სიტყვები მომყავს), გზა ლინჰარდის მანქანიდან კოლერის ვილის კარამდე მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი სასიამოვნო გამოდგა. გზა პარკში მიდიოდა, ბუნებაც კი სიმდიდრეზე მეტყველებდა. ფლორამ აქ სიუხვე გამოიჩინა. ხეები დიდებული იყო, ჯერ კიდევ საზაფხულო სამოსი ეცვათ. ფენიც კი არ იგრძნობოდა, ეტყობა, ამ საკითხზე რაღაც უხილავ ინსტანციას მოელაპარაკნენ, მდიდარ ხალხს დიდი შესაძლებლობები აქვთ (ცნობისათვის: ფენს ჩვენს ქალაქში ისეთ მეტეოროლოგიურ ვითარებას ეძახიან, რომელიც თავის ტკივილს, თვითმკვლელობებს, ცოლ-ქმრულ ღალატს, ავტოსაგზაო შემთხვევებს, ძალადობის აქტებს და სხვ. გულისხმობს). სუფთა, გამარგლულ, მოხრეშილ ბილიკზე მივაბიჯებდი. პარკი თანამედროვე არ იყო, ძველს, კულტივირებულს ჰგავდა. ბუჩქები საგულდაგულოდ გაეკრიჭათ, აქა-იქ ხავსმოკიდებული ქანდაკებები იდგა — შიშველი, წვეროსანი ღმერთები ახალგაზრდული დუნდულებით და წვივებით. პატარ-პატარა ტბები, მედიდური ფარშევანგების წყვილი.. და ეს ქალაქის ცენტრში, სადაც კვადრატული მეტრი მიწა ასტრონომიული თანხა ღირს! გარშემო ტრამვაი დადიოდა, მანქანები გრუხუნებდნენ, მაგრამ ქუჩის ხმაური ისე უკუიქცეოდა პარკის რკინის ღობიდან, როგორც ოკეანის მიქცევა. კოლერის ვილაში სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ჩიტების გალობა ისმოდა.

შენობა: არქიტექტურული თვალსაზრისით საშინელება იყო, დასავლელმა მოაზროვნემ თვითონ გააკეთა მისი პროექტი. და როგორ მოახერხა კანტონის საბჭოს მრჩეველმა, ეს საძაგლობა ადამიანისთვის საცხოვრებლად გამოსადეგი გაეხადა, დღემდე უცნობი რჩება. ალბათ უამრავი გუმბათი, კოშკურა, ერკერი, ანგელოზის ფიგურა და ზოდიაქოს ნიშანი მოანგრევინა (ნიკოდემუს მოლხი ყველაფერთან ერთად, ასტროლოგიითაც იყო გატაცებული). და აი, არქიტექტურული მონსტრიდან ვილა გამოიჩეკა. თუმცა ფრონტონი დარჩა, მაგრამ ახლა უხდებოდა კიდეც, კედლებზე ვაზი, ფათალო და ვარდი შემოხვეოდა. შიგნიდანაც მშვენიერი იყო. უკანასკნელად გავხედე „პორშეს", რომელიც შორს, წითელ ლაქად მოჩანდა და ზღურბლს გადავაბიჯე. არქიტექტორებს ძალა არ დაუზოგავთ, ბევრი კედელი მოანგრიეს, რბილი იატაკი დააგეს, ყველაფერი მსუბუქი და მყუდრო იყო. ანტიკვარული ავეჯი, ცნობილი იმპრესიონისტები, ძველი ჰოლანდიელები (წინ მოახლე გოგონა მიმიძღვოდა).. ბატონი მრჩევლის კაბინეტში შემიყვანეს და მოცდა მთხოვეს. კაბინეტი ვრცელი და მზით სავსე იყო. ღია კარი პარკში გადიოდა, ორივე ფანჯარა თითქმის იატაკს აღწევდა. იატაკზე ძვირფასი პარკეტი ეგო, ოთახში უზარმაზარი საწერი მაგიდა და ტყავის სავარძლები იდგა, კედლებზე არც ერთი სურათი არ ეკიდა, მხოლოდ წიგნის თაროები იატაკიდან ჭერამდე: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მათემატიკა. სოლიდური ბიბლიოთეკა იყო, მას როგორღაც არ ეხამებოდა აქვე მდგომი ბილიარდის მაგიდა. იგი ღრმა ნიშაში მოეთავსებინათ, მწვანე მაუდზე სამი ბურთი იდო, კედელთან კიების მთელი კოლექცია აეყუდებინათ. ბევრი მათგანი ძველებური იყო, წარწერიანი: ონორე დე ბალზაკის, გოტფრიდ კელერის, გენერალ დიუფურის, ბისმარკის კიები. ერთი სავარაუდოდ ნაპოლეონს ეკუთვნოდა. ოდნავ დაბნეულმა მიმოვიხედე. ბებერი დოქტორ H.C.-ს იქ ყოფნა იგრძნობოდა, თითქოს წამიც და — შემოაბიჯებდა პარკიდან, თოთქოს მისი სიცილიც გავიგონე, ყურადღებიანი მზერაც დავიჭირე.

ხილვა: უეცრად უცნაური რამ მოხდა. კოლერის ბუნებას ჩავწვდი. ერთბაშად. მოულოდნელად. თითქოს გონება გამინათდა. მისი საქციელის მიზეზს მივხვდი. ამ მიზეზს ჩემს გარემომცველ ძვირფას ნივთებში, წიგნებში, ბილიარდის მაგიდაზე ვხედავდი. იგი იმ დამოკიდებულებაში ამივიცანი, რომელიც მკაცრ ლოგიკასა და თამაშს შორის არსებობდა და ამ ოთახში იგრძნობოდა. საიდუმლო ამოვხსენი: კოლერმა იმიტომ კი არ ჩაიდინა მკვლელობა, რომ მოთამაშე იყო. არა, იგი სულაც არ ყოფილა აზარტული, ფსონები არ აინტერესებდა. თავისთავად თამაში იზიდავდა, ბურთების სრიალი მწვანე მაუდზე, გამოთვლები, შესაძლებლობები. იღბალი მისთვის არაფერს ნიშნავდა (ამიტომაც სრულიად გულწრფელად მიაჩნდა თავი სავსებით ბედნიერ ადამიანად). უბრალოდ ამაყობდა, რომ თვითონ აწესებდა თამაშის წესებს, უყვარდა გარკვეული აუცილებლობაზე დაკვირვება, რომელიც თვითონვე განაპირობა. ამაში მდგომარეობდა მისი იუმორი. მართალია, ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ალბათ, ეს ძალაუფლების წყურვილი იყო, სურვილი, ადამიანებითაც ბურთების მსგავსად ეთამაშა, ღმერთს გასტოლებოდა. შესაძლებელია. მაგრამ ეს არაა მთავარი. იურისტს არ შეჰფერის ფსიქოლოგიის სფეროში ჩაღრმავება, მით უმეტეს, ფილოსოფიასა და თეოლოგიაში. მკვლელობით კოლერმა უბრალოდ ახალი პარტია წამოიწყო. ახლა ყველაფერი მისი გეგმის მიხედვით მიდიოდა. მე კი მხოლოდ ერთ-ერთი ბურთი ვიყავი, რომელიც მისი დარტყმის ძალამ აამოძრავა. ლოგიკურია. სასამართლოს იმიტომ დაუმალა მკვლელობის მოტივი, რომ ვერც ეტყოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა.

მკვლელი, როგორც წესი, კონკრეტული მოტივით ხელმძღვანელობს. ეს შეიძლება შიმშილი ან სიყვარული იყოს. სულიერი მოტივები უფრო იშვიათია, თანაც ისინი, როგორც წესი, პოლიტიკის მიერაა დამახინჯებული. რელიგიური მოტივები კიდევ უფრო იშვიათად გვხდება. ასეთი მსჯავრდებული, ჩვეულებრივ, საგიჟეთში მიდის. კანტონის საბჭოს მრჩეველს კი მეცნიერული ინტერესი ამოძრავებდა. აბსურდულად ჟღერს, მაგრამ ის მოაზროვ-

ნეა. კონკრეტული კი არა, აბსტრაქტული მოტივები ჰქონდა. აი, ამაზე შეიძლება მისი გამოჭერა. თავისთავად ბილიარდი კი არ უყვარდა, არამედ თამაშს, როგორც სინამდვილის მოდელს, სინამდვილის გამარტივებულ სახეს აღიქვამდა (სინამდვილის მოდელი — ეს მოკის საყვარელი გამოთქმაა. მოკი მოქანდაკეა, რომელსაც ძალიან უყვარს ფიზიკა და თავისი პროფესიით ნაკლებადაა დაკავებული, და საერთოდაც, გამოუსწორებელი მეოცნებეა. ამ ბოლო დროს ხშირად ვზივარ ხოლმე მის სახელოსნოში — აბა, ჩვენს ქვეყანაში სასმელს თორმეტის შემდეგ სად იშოვნი? მოკთან ურთიერთობა საკმაოდ გართულებულია იმის გამო, რომ ყურთ აკლია, თუმცა მისგან ბევრი იდეა ავითვისე). ამავე მიზეზით სწავლობდა კოლერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს და მათემატიკას. ეს დარგებიც "რეალობის მოდელების" კონსტრუირების საშუალებას აძლევდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს მოდელები მობეზრდა, ამიტომ მკვლელობა ჩაიდინა და მორიგი მოდელი შექმნა. ექსპერიმენტს ატარებდა, სიკვდილი მისთვის მხოლოდ მეთოდი იყო. ამიტომაც დაავალა კნულპეს მკვლელობის შედეგების შესწავლა, ამიტომაც წამოაყენა აბსურდული წინადადება, სხვა „შესაძლო" მკვლელი მომეძებნა. მხოლოდ აქ, ამ კაბინეტში, როდესაც მოხუცის ნივთებთან პირისპირ დავრჩი, ბოლომდე ჩავწვდი მასთან საუბრის აზრს. „ზუსტად განვსაზღვროთ ერთი ქმედების შედეგები გარემოზე დაკვირვების გზით", „სინამდვილე სხვაგვარად უნდა გავიაზროთ, რათა შესაძლებლის სფეროში შევაღწიოთ". დოქტორ H.C.-მ თავისი კარტები გახსნა, მაგრამ მე მაშინ თამაშის აზრი ვერ გავიგე. მხოლოდ ახლა, როდესაც ეს თამაში სერიოზულად მივიღე, მკვლელობის მოტივიც ცხადი გახდა: მან კაცი მოკლა, რათა დაკვირვება წარმოებინა, ვიღაცას სიცოცხლე იმიტომ წაართვა, რომ საზოგადოების ფუნდამენტური კანონები გამოეკვლია. თუმცა ამ მოტივის შესახებ სასამართლოსთვის რომ ეამბო, არავინ დაუჯერებდა. მიიჩნევდნენ, რომ ეს ცარიელი ლაყბობაა. იურისტის თვალსაზრისით მოტივი ზედმეტად აბსტრაქტულია. მაგრამ მეცნიერული აზროვნება სწორედ ასეა მოწყობილი! აბსტრაქტულობა მისი თავდაცვის საშუალებაა. მაგრამ თუ იგი ზედამხედველობის ქვეშიდან გამოვიდა, უბედურება გარდაუვალია. ჩვენ უძლურები შეიძლება აღმოვჩნდეთ. ზუსტად ეს დაემართა კოლერის ექსპერიმენტს: მეცნიერებას მკვლელობა დასჭირდა. ვერც მრჩეველს გავამართლებთ, ვერც მეცნიერებას გავამტყუნებთ. რაც უფრო სულიერია ძალადობის მოტივი, მით სასტიკია თვით ძალადობა, რაც უფრო შეგნებულია, მით ნაკლებად შეიძლება მისი გამართლება. იგი არაადამიანურობის ნიშნებს და თვისებებს იძენს. ულმერთობას უტოლდება. ამ მხრივ ჩემი მსჯელობა სწორი იყო, ჩემი ხედვა სავსებით რეალური აღმოჩნდა. მან გადამარჩინა ალტაცებას, რომელიც შეიძლება კოლერის მიმართ მეგრძნო. არ მომცა საშუალება, წამით მაინც მეფიქრა, რომ ის უდანაშაულოა. მის მიმართ ზიზლი მაგრძნობინა. ამ მომენტიდან აღარც ერთი წამით არ შემპარვია ეჭვი, რომ ეს მან მოკლა ვინტერი. მაგრამ საქმე ისაა, რომ მაშინ საშიშროება ვერ ვიგრძენი. მეგონა — ჩემი მონაწილეობა კოლერის წამოწყებულ პარტიაში უმნიშვნელო, წმინდა ტექნიკური ხასიათისაა, მას ცუდი შედეგი არ შეიძლება მოყვესმეთქი. მეგონა, პარტია სადღაც ჰაერში გაიმართებოდა, იმ ბებერი ღვთისმგმობის წარმოსახვაში. თამაში მკვლელობით დაიწყო. როგორ ვერ მივხვდი, რომ პარტიის მსვლელობა აუცილებლად მეორე მკვლელობამდე მიგვიყვანს? და ადამიანის მოკვლა ამჯერად დოქტორ H.C.-ს კი არა, არამედ ჩვენ მოგვიწევს, ჩვენ, მართლმსაჯულების წარმომადგენლებს, რომლებთანაც კოლერმა საშიში თამაში წამოიწყო!



მხატვარი ნინო დვალი

მეორე მხრივ, სულიერად: დიად შეხვედრას მარტო მკაფიო ჩარჩოები კი არ სჭირდება, იგი შესაბამისი ფორმითაც უნდა აღიწეროს. ამიტომაც საშინლად ვსვამ და კახპებშიც დავდივარ. ჯერ რამდენიმე ლიტრი ვაშლის ღვინო დავლიე, ცუდი ტონია, ვიცი (ფასის საკითხია), მაგრამ მხოლოდ იმიტომ ვსვამდი, რომ შესაბამისი განწყობა მქონოდა; როდესაც გოგო შემომიერთდა, კონიაკზე გადავედი. ნუ გეშინიათ, კუჭი ყოველთვის რკინის მქონდა. ჰო, გოგოებს რაც შეეხება — ამჯერად ეს გიზელა კი არ ყოფილა (ბრწყინვალე აღნაგობის მქონე), არამედ მონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(თუ მარია, ან მარიანა, არ მახსოვს, რალაც "მ"-ზე იწყებოდა), ყველაფერი უმაღლეს დონეზე მიდიოდა, უამრავი ხალხური სიმღერა შემისრულა გერმანული ფილმებიდან და მეც ტკბილად ჩამეძინა, მერე კი მონიკამ, რაც კი ნაღდი ფული მქონდა, სულ მოკრიფა და გაქრა. როდესაც გავილვიძე, მსხლის არაყზე გადავედი და ცოტა ხანში მონიკა ერთ უალკოჰოლო ბარში ვიპოვე ბელვიუს ახლოს. მარტო კი აღარ იყო, გიზელასა და მის მფარველთან (ზემოხსენებულ ლაკისთან) ერთად იჯდა. ეს უკანასკნელი, როგორც გამოირკვა, მისი მფარველიც იყო. პასუხი მოვთხოვე, ლაკიმ ჰუმანურად მოაგვარა ყველაფერი, მარლენს (თუ მონიკას, თუ მაგდალენეს) ფულის გაბრუნება მოუწია. საერთოდ ყვლაფერი ძალიან წესიერად წარიმართა. ასე ვიტყოდი — კეთილშობილურადაც კი: მაგალითად, მიმტანმა ქალმა არ შეიმჩნია, რომ ბარში ერთი ბოთლი "ვილიამინი" შევიტანე. ოთხივემ დავლიეთ. მერე მოულოდნელად ელენი მოვიდა, როგორც რალაც სხვა სამყაროს ხილვა. უარესი სამყაროს. მას მერე აღარ მიფიქრია ელენზე, რაც პირველად დავინახე შტუსი-ლოიპინთან ერთად, მართლა, როდის იყო ეს — ორი, სამი თვის, ნახევარი წლის წინათ? თუმცა არა, ერთხელ ვფიქრობდი, ღამით, გათენებას რომ ბევრი აღარ უკლდა და ჩემს ზევით გიზელა ბუდასავით ირწეოდა. მაგრამ მას მერე ნამდვილად აღარ მიფიქრია, მარტო ერთხელ გამიელვა თავში, როდესაც ბელვიუსთან ნაწვიმარ ქუჩას ვკვეთდი, მაგრამ ეს არ ითვლება, უბრალოდ ამინდის მკვეთრი ცვლილება ცუდად მოქმედებს ფსიქიკაზე. და აი, ელენი წინ მედგა — თურმე ნუ იტყვით, ჩემთან საქმე ჰქონია. უნებლიეთ გამეცინა, სხვებმაც გაიცინეს. ელენი სიმშვიდეს, მეგობრულ ტონს, ნათელ მზერას ინარჩუნებდა, მოკლედ, თავის დაჭერა კარგად შეეძლო. ესაა ყველაზე საშინელი — თავი ყოველთვის ხელში ეჭირა, ყოველთვის მშვიდი, ზრდილობიანი, თავაზიანი იყო. მზად ვიყავი მომეკლა, ყელი გამომეჭრა, მომეხრჩო, გამეუპატიურებინა — უკანასკნელს ყველაზე დიდი სიამოვნებით ჩავიდენდი.

— თქვენთან საქმე მაქვს, ბატონო შპეტ. — თქვა ელენმა და მუდარით შემომხედა.

— ეს ვინაა? — იკითხა გიზელამ.

— ძალიან დიდგვაროვანი ქალიშვილია, — ვუპასუხე. — კარგი ოჯახიდანაა, ერთი მკვლელის გოგონაა.

— ვისთან წევს? — დაინტერესდა მარიანა (თუ მადლენი, ან მაგდალენე).

— ერთ სუპერადვოკატთან, — ავუხსენი მას. — იურიდიულ ვარსკვლავთან, ყველა მნათობზე დიდ მნათობთან, კარგად მომზადებულ არამზადასთან, ყველზე უფრო ადვოკატ შტუსი-ლოიპინთან. ამიტომ სქესობრივი კი არა, იურიდიული აქტი გამოსდით.

— ბატონო შპეტ, — ჩაილაპარაკა ელენმა.

— დაბრძანდით, — ვუპასუხე, — ამ ორი ქალბატონის მფარველის, ბატონი ლაკის კალთაში ხომ არ გსურთ ჩაჯდომა? მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვარ. თუ სავარძელი გირჩევნიათ?

— სავარძელი მირჩევნია, — ჩუმად თქვა ელენმა.

ლაკიმ თავაზიანად მიუჩოჩა სავარძელი, განსახიერებული ზრდილობა იყო, თავით ფეხებამდე ჯენტლმენი. წვრილი შავი ულვაში, თაფლისფერი თვალები და მოციქულის მზერა ჰქონდა, „პალმოლივის" რეკლამიდან გადმოსული გეგონებოდათ. ელენს თავიც კი დაუხარა, თან ერთი მილის რადიუსში აფრქვევდა ოდეკოლონის და „ქემელის" სურნელს. ელენი დაჯდა.

— თქვენთან მოწმეების გარეშე მინდოდა დალაპარაკება, — თქვა მან.

— რა საჭიროა, — გამეცინა მე, — ჩვენ არაფერს ვუმალავთ ერთმანეთს. ფროილაინ გიზელასთან უკვე რამდენიმე კვირაა მძინავს, მონიკასთან თუ მარიანასთან, თუ რა ვიცი, ვინც არის, წუხელ მეძინა. ჩვენში საჯაროობაა მიღებული. მოკლედ, ამოღერღეთ.

ელენს თვალზე ცრემლი მოადგა.

— ერთხელ რალაც მკითხეთ.

— გკითხეთ.

— მაშინ ბატონ შტუსი-ლოიპინთან ერთად ყავას ვსვამდი..

— მესმის, რაზეც მელაპარაკებით, — გავაწყვეტინე სიტყვა, — მხოლოდ იმ ნაძირალას სახელის წინ „ბატონოს" ნუ იტყვით.

—იმ დღეს თქვენი შეკითხვის აზრი კარგად ვერ გავიგე. — თქვა ჩუმად.

გარშემო ყველა დუმდა. გიზელა ჩემი მუხლებიდან ჩამოცურდა და ახლა მაკიაჟს ისწორებდა. გავბრაზდი. "ვილიამინი" ჭიქებში ჩამოვასხი, და უცებ ვიგრძენი, რომ თმები სულ გაწეწილი მაქვს, სახე— ოფლიანი, თვალები მეწვის, გაუპარსავი ვარ და ვყარვარ, გოგოების მორცხვობამ კიდევ უფრო გამახელა — თითქოს ელენის შერცხვათ, თითქოს უცებ ხსნის არმიის სულმა დაბერა. მზად ვიყავი, გარშემო ყველაფერი დამემსხვრია. ღმერთო ჩემო, რატომაა ეს სამყარო ასე უკუღმართად მოწყობილი? ეს ელენს უნდა ეხოხა მუხლებზე ამ გოგოების წინაშე! არა უშავს, მაგის დროც მოვა! ისევ შევივსე ჭიქა, უხმოდ ვიჯექი და თვალს არ ვაცილებდი მშვიდ სახეს, დიდ მუქი ფერის თვალებიანს.

— ფროილაინ ელენ კოლერ, — წავილუღლუღე ენის ბორძიკით, და ძლივს წამოვდექი, — ფროილაინ კოლერ, მხოლოდ ერთი განცხადება მინდა გავაკეთო. ერთი, მაგრამ საფუძვლიანი. დიახ, განცხადება, ეს ზუსტი ფორმულირებაა. მაშინ იმ თქვენ ბულასთან, შტუსი-ლოიპინთან ერთად გნახეთ — წყნარად, ქალბატონებო, — თქვენ ბულასთან, შტუსი-ლოიპინთან ერთად გნახეთ, ფროილაინ კოლერ. ასეა. გკითხეთ, იყავით თუ არა რეისში მკვლელობის დღეს, იმ რეისში, რომლითაც ინგლისელი მინისტრი გაფრინდა თავის წყეულ კუნძულებზე. დამიდასტურეთ. ახლა კი, აი, რა მინდა გითხრათ, ელენ კოლერ, არა, სახეში უნდა მოგახალოთ, მინისტრს პალტოს ჯიბეში რევოლვერი ედო, თქვენ რევოლვერი ამოაცალეთ, რაც სულაც არ ყოფილა რთული, ეს ზუსტად ის რევოლვერი იყო, რომლითაც თქვენმა ძვირფასმა მამიკომ კაცი მოკლა, თუმცა ეგ ხომ ჩემზე უკეთ იცით. თქვენ მკვლელობის თანამონაწილე ხართ, ელენ კოლერ, მარტო მკვლელის შვილი კი არა, მკვლელი ხართ. მეზიზღებით, ელენ კოლერ, ვერ გიტანთ, მამათქვენივით სიკვდილის სუნი გდით, და არა ჩემსავით არყის და გარყვნილების. გისურვებთ ცოცხლად დალპობას და კიბოს თქვენს ძვირფას საშვილოსნოში, იმიტომ, რომ თუ პატარა შტუსი-ლოიპინს მოავ-

ლენთ ამქვეყნად, ჩვენი სამყაროს აღსასრულიც დადგება, საცოდავი დედამიწა ასეთ მონსტრს ნამდვილად ველარ გაუძლებს! მე კი ძალიან შემეცოდება დედამიწა, აი, ამ მშვენიერი კახპების გამო, რომლების ფეხის მტვრადაც არ ღირხართ, პატივცემულო, ისინი პატიოსნად შრომობენ, და არავის არ კლავენ, ჩემო საყვარელო, ახლა დაიკარგეთ აქედან, თვალით არ დამენახოთ. ნადით, თქვენ სუპერადვოკატს დაუწექით...

წავიდა. მერე რა იყო, ბუნდოვნად მახსოვს. მგონი. წავიქეცი, იატაკზე ვეგდე, გამორიცხული არაა, რომ ჩემთან ერთად მაგიდაც წაიქცა. „ვილიამინის" ბოთლიდან ნარჩენები გადმოიქცა (ეგ ზუსტად მახსოვს), ვიღაც კლიენტმა, მოაზროვნის შუბლი რომ ჰქონდა და სათვალე ეკეთა, მიმტანთან იჩივლა, მის ჩივილზე პატრონი ქალი მოვარდა, ტიპური მამაშა (ბანდერშა) იყო. ლაკიმ, კეთილშობილმა ლაკიმ ტუალეტში გამიყვანა, იქ უცებ მივხვდი, რომ მისი ულვაშები მაღიზიანებდა და ჩხუბი დავუწყე. ლაკი ყოფილი მოკრივე იყო, ასე რომ, უსისხლოდ არ გამოვიდა, მე თავით ჩავერჭე პისუარში, რაც ძალიან უსიამოვნო იყო, პირველ რიგში იმიტომ, რომ ყველაფერს სიმბოლიკის სქელი ფენა ედო, როგორც ცუდ ფილმში. მერე პოლიციაც გამოჩნდა — ვახმისტრი შტუბერი და კიდევ ორნი. რამდენიმე საათი განყოფილებაში გავატარე: დაკითხვა, ოქმი და ა. შ.

ბოლოთქმა: წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით უნდა ვაღიარო, რომ ელენთან ჩემი შეხვედრის აღწერის პირველი მცდელობა ჩამივარდა. მე უკანასკნელ შეხვედრაზე მოგიყევით, ასე რომ, მომავალში უფრო ყურადღებით უნდა ვიყო. მთვრალ მდგომარეობაში წერა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მოკლე ფრაზები, მხოლოდ მოკლე ფრაზები. რთული წინადადება ამ დროს საშიშია. სინტაქსი არეულობას იწვევს. ეპილოგი უნდა დავასრულო (ახლახან მივიღე ღია ბარათი კოლერისგან. რიო-დე-ჟანეიროდან გამომიგზავნა, გულითად მოკითხვას მითვლის, იქიდან სან-ფრანცისკოში მიემგზავრება, სან-ფრანცისკოდან — ჰავაის კუნძულებზე, მერე სამოაზე, მოკლედ, დრო ბევრი მაქვს). საქმე ისაა, რომ ჩემთან კანტონის პოლიციის უფროსი მოვიდა. მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. მესმის. ამით აიხსნება ის, რომ ახლა კრისტალურად ფხიზელი ვარ. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ პოლიციის უფროსი მიხვდა, რაც მაქვს ჩაფიქრებული. თუ ასეა, ძალიან ცუდი. მაგრამ, მეორე მხრივ, მაშინ რევოლვერს ჩამომართმევდა. გაუფრთხილებლად მომადგა, ასე საღამოს ათ საათზე, იმ ავბედითი სცენიდან კაფეში ორი დღე იყო გასული. გარეთ სველი თოვლი მოდიოდა. უცებ ჩემს მანსარდაზე გამომეცხადა. ქვევით საზეიმოდ ღმუოდა სექტა.

პოლიციის უფროსი ცოტა დაიბნა. გაოცებულმა გადახედა ჩემს საწერ მაგიდას, რომელიც ხელნაწერი ფურცლებით იყო სავსე.

— მწერლობა ხომ არ გადაგიწყვეტიათ?

— რატომაც არა, ბატონო უფროსო, თუ მოსაყოლი მაქვს.— ვუპასუხე.

— იმუქრებით?

—როგორც გინდათ, ისე გაიგეთ.

ილლიაში ბოთლი ამოეჩარა. ირგვლივ მიმოიხედა. სამწუხაროდ, დივანზე ქალი მეწვა, რომელსაც საერთოდ არ ვიცნობდი, მე მგონი, ეს ლაკის საჩუქარი გახლდათ. უკვე გახდილი იყო, როდორც ჩანს, სამსახურებრივ ეთიკაზე გავრცელებული წარმოდგენებით ხელმძღვანელობდა (ჩვენში ყველგან იგრძნობა კეთილსინდისიერი დამიკიდებულება სამსახურებრივ მოვალეობებთან. მაგრამ მე მისთვის არ მცხელოდა, ვმუშაობდი, ჩემს ჩანაწერებს ვაწესრიგებდი).

— ჩაიცვი, — უბრძანა პოლიციის უფროსმა.— გაცივდები. თანაც მე ადვოკატთან საქმე მაქვს.

ბოთლი მაგიდაზე დადგა.

— კონიაკია, — მითხრა, — „ადე", იშვიათი მარკაა. ერთმა მეგობარმა გამომიგზავნა დასავლეთ შვეიცარიიდან. ორი ჭიქა მოიტანეთ, შპეტ. გოგო დღეს მეტს აღარ დალევს.

— დახ, ბატონო უფროსო. — უპასუხა გოგომ.

— წადი, დაიძინე, დღეისთვის კმარა.

— დიახ, ბატონო უფროსო.

თითქმის მოასწრო ჩაცმა. პოლიციის უფროსმა მშვიდად აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა, ბატონო უფროსო.

წავიდა. გვესმოდა, როგორ ჩაირბინა კიბე.

— იცნობთ? — ვკითხე მე.

— ვიცნობ.

ქვევით სექტა ისევ აგუგუნებდა თავის ქორალებს. პოლიციის უფროსმა კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა.

— გაგიმარჯოთ.

— თქვენც.

— რევოლვერი გაქვთ?— მკითხა მან.

უარყოფას აზრი არ ჰქონდა. რევოლვერი საწერი მაგიდის უჯრიდან ამოვიღე. მან ყურადღებით დაათვალიერა იარაღი და უკან დამიბრუნა.

— ისევ მიგაჩნიათ, რომ დამნაშავე კოლერია?

— თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— შეიძლება, — თქვა და დივანზე დაჯდა.

— მაშინ რატომ გახვედით თამაშიდან? – ვკითხე მე.

— თქვენ კიდევ მოგების იმედი გაქვთ?

— რატომაც არა, ჩემებურად.

პოლიციის უფროსმა ისევ რევოლვერს შეხედა.

— თქვენ იცით. — თქვა და ჭიქები შეავსო. — როგორ მოგწონთ ჩემი „ადე"?

— არაჩვეულებრივია.

— ბოთლს დაგიტოვებთ.

— რა თავაზიანი ბრძანდებით!

ქვევიდან ლოცვას თუ ქადაგება ისმოდა.

— იცით რა, შპეტ, — დაიწყო პოლიციის უფროსმა, —რთულ სიტუაციაში აღმოჩნდით. არ მინდა რამე ცუდი ვთქვა ღრმად პატივცემულ ბატონ ლაკიზე და, მით უმეტეს, ამ საბრალო არსებაზე, აქ რომ დამხვდა. მათი ბრალი არაა, რომ ასეთები გახდნენ, მაგრამ თქვენ რას მიაღწევთ კახპების ადვოკატობით, არ ვიცი. ადვოკატთა კოლეგია რომ უახლოეს მომავალში იძულებული იქნება რაიმე რეაგირება მოახდინოს ამაზე, მე მგონი, თვითონაც ხვდებით. კოლეგიას არაფერი აქვს კახპების ინტერესთა დამცვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის საწინააღმდეგო, თუ ის ბევრ ფულს აკეთებს. მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში მათი პრესტიჟი ილახება.

— მერე რა?

— მომისმინეთ, შპეტ, აი, თქვენ მკითხეთ, თამაშიდან რატომ გახვედითო. — განაგრძო პოლიციის უფროსმა, თან თავის უცვლელ სქელ "ბაიანოსს" აბოლებდა. ხელი საერთოდ არ უკანკალებდა. — გულახდილად გეტყვით, მეც მიმაჩნია, რომ დამნაშავე კოლერია. მომხდარი კომედიაა და მეტი არაფერი, ბევრს მივცემდი, მისი თავიდან აცილება რომ შემეძლოს. მაგრამ ნივთმტკიცებები არ გამაჩნია. თქვენ თუ მიაღწიეთ რამეს თქვენ გამოძიებაში?

— არა, —მივუგე მე.

— მართლა?

მეორეჯერაც უარყოფითად ვუპასუხე.

— არ მენდობით? — მკითხა.

— არავის არ ვენდობი.

— კარგი, ეგრე იყოს. ჩემთვის კოლერის საქმე წარსულს ჩაბარდა, თანაც დავმარცხდი. სამწუხაროა, მაგრამ რას იზამ, ჩემი პროფესიის ადამიანს რისი ატანა არ უწევს. ვფიქრობ, თქვენი პროფესიის ადამიანსაც. თავი უნდა დაიმორჩილოთ, შპეტ. ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოთ.

— არა, გვიანია, — ვუპასუხე მე.

ქვევით სექტა ისევ აღრიალდა. უცებ ერთმა აზრმა გამიელვა.

— რაღაცას მიმალავთ?

პოლიციის უფროსმა ღრმა ნაფაზი დაარტყა და ფეხზე წამოდგა.

— სამწუხაროა, — თქვა და ხელი გამომიწოდა, — აბა, კარგად ბრძანდებოდეთ. შეიძლება ჩემთან დაგიბაროთ.

— ნახვამდის, ბატონო უფროსო.

სიყვარულის დასაწყისი: აქ ისევ შეიძლება ნავიბორძიკო. მაგრამ სხვა გზა არაა, ელენთან პირველი შეხვედრის შესახებ უნდა გიამბოთ. უნდა ვაღიარო, რომ მიყვარდა. ისიც უნდა ვთქვა — თავიდანვე მიყვარდა. პირველი შეხვედრიდან. ასეთი რამის აღიარება საერთოდ იოლი არაა, მხოლოდ ახლა მოვიკრიბე ძალა ამის სათქმელად. მაგრამ ეს შეუმდგარი სიყვარულია. მისი აღწერა ძნელი ამოცანაა. ახლა, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ელენი ისეთი არაა, როგორიც მეგონა. ახლა ისეთს ვხედავ, როგორიც სინამდვილეშია. კოლერის თანამონაწილეა. ადამიანურად კიდევ შეიძლება გავუგო, რომ არაადამიან მამამისს ხელს აფარებს. უაზრობაა მოსთხოვო, რომ გასცეს. არადა, მხოლოდ მის აღიარებას შეუძლია კანტონის საბჭოს მრჩეველი გაანადგუროს. მაგრამ ის ხომ არასდროს არაფერს იტყვის! იმდენი პროფესიონალიზმი კი გამაჩნია, რომ მაგას მივხვდე. მე ჩემი გზით წავალ, ის — თავისით. და მაინც, ბოლომდე ვერ ვამბობ უარს იმ აზრზე, რომელიც მასზე შემექმნა. ელენის ბრალი სულაც არაა, რომ ის ჩემს შეხედულებებს არ შეესაბამება. ვწუხვარ, რომ ამდენი უხეში სიტყვა ვუთხარი. სულელი ბიჭივით ვიქცეოდი. თანაც ეს ლოთობა და ქალები! მას უფლება აქვს ისეთი იყოს, როგორიც არის, მე კი მამამისის მოკვლის უფლება მივითვისე. ადრე თუ გვიან მოვკლავ კიდეც.

მაშინ რომ დავწეოდი მამამისს აეროპორტში, ორივენი დიდი ხანია ამ ქვეყანას მოვშორდებოდით. ყველაფერი კარგად იქნებოდა, სამყარო უკვე სხვა საქმეებით იქნებოდა დაკავებული. ახლა ჩემს ცხოვრებას მხოლოდ ერთი აზრი აქვს: კოლერს უნდა გავუსწორდე. მარტივად გავთვალე. ერთი გასროლაც საკმარისი იქნება. მაგრამ ჯერჯერობით ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენია. ეს კი ვეღარ გავითვალისწინე, რადგან ერთია სამართლიანობა აღადგინო, მეორე კი — ელოდო, როდის მოგეცემა მისი აღდგენის საშუალება. გიჟს ვგავარ. ამდენს ჩემი მდგომარეობის აბსურდულობის გამო ვსვამ. ვიცი, რომ მართალი ვარ, და ეს მთლად მანადგურებს. ამაზე უარესი არაფერი არაა. თავს ვიკლავ იმიტომ, რომ ბებერ კოლერს ვერაფერს ვაკლებ. და, აი, ჩემს თავს და ელენს ვხედავ, ჩვენს პირველ შეხვედრას ვიხსენებ. ვიცი, რომ ყველაფერი დავკარგე. ბედნიერებას ვერაფრით ვერ შეცვლი. თუნდაც ეს ბედნიერება სიგიჟედ გადაიქცეს. ჩემი ამჟამინდელი უბედურება სიფხიზლეა. სინამდვილის ნათელი აღქმა. აი, რატომ ვიხედები სევდიანად წარსულში. მინდა დავივიწყო, მაგრამ არ შემიძლია. ყველაფერი ისე ცხადად მაქვს ჩაბეჭდილი გონებაში, თითქოს ეს გუშინ მოხდა. ჯერ კიდევ მესმის მისი ხმა, მის სახეს, თვალებს, მოძრაობას, კაბას ვხედავ. ჩემს თავსაც ვხედავ. ორივენი ახალგაზრდები ვართ. ჯერ ცხოვრებისეული ძალები არ დაგვიხარჯავს. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა და უკვე დავბერდი. ერთმანეთს ვენდობოდით, თუმცა გასაკვირი არ იქნებოდა, უნდობლობით რომ მომკიდებოდა, ჩემში მხოლოდ ადვოკატს ხედავდა, რომელსაც მოგების წყურვილი ამოძრავებს. და მაინც, თავიდანვე მენდო. მეც მზად ვიყავი, ყოველმხრივ დავხმარებოდი. ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაშინაც კი, როდესაც უბრალოდ პირისპირ ვიჯექით და საქმეებზე ვსაუბრობდით. რა თქმა უნდა, მესმის, რომ სინამდვილეში ასეც არ ყოფილა, ეს ყველაფერი მირაჟი, ილუზია, შეცდომა იყო, ან კიდევ უარესი — მუხანათური ინტრიგა, რომელიც ელენმა ჩემს წინააღმდეგ წამოიწყო, მაგრამ სანამ ეს არ ვიცოდი, ბედნიერი ვიყავი.

— დაბრძანდით, ბატონო შპეტ, — მითხრა მან.

მადლობა გადავუხადე. ელენი ჩემს პირდაპირ, ტყავის ღრმა სავარძელში ჩაჯდა. მეც ასეთივე სავარძელში მოვკალათდი. უცნაური ვითარება იყო: დაახლოებით ოცდაორი წლის შავგვრემანი, მომღიმარი, თამამი და, ამავე დროს, მორცხვი ქალიშვილი, უამრავი წიგნი, მასიური საწერი მაგიდა, უკანა პლანზე — ბილიარდი, რომელსაც მზის სხივები ეცემოდა, შუშის კარს იქით გადაშლილი პარკის ხედი. ელენი ხნიერი ბატონის თანხლებით შემოვიდა. მას სახელად ფიორდერი ერქვა. ფიორდერს უნაკლოდ ეცვა, კოლერის პირადი მდივანი აღმოჩნდა. უხმოდ და თითქმის მუქარით დამათვალიერა და ხმისამოუღებლად წავიდა. პირისპირ დავრჩით. ელენი დაბნეული ჩანდა. მეც თითქოს ეკლებზე ვიჯექი, კოლერზე ფიქრი არ მასვენებდა, მეტყველების უნარს მართმევდა. თანაც ელენი მეცოდებოდა. მივხვდი, რომ მამის საქციელი არ ესმის და ამის გამო იტანჯება.

— ბატონო შპეტ, — მითხრა მან, — მამა ბევრს მიყვებოდა თქვენზე.

ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. გაკვირვებულმა შევხედე:

— მართლა?

— დიახ, მას მერე, რაც "თეატრალურში" გნახათ.

— რას გეუბნებოდათ?

— თქვენი საადვოკატო პრაქტიკის გამო წუხდა.

— მაშინ არანაირი პრაქტიკა არ გამაჩნდა.

— სამაგიეროდ, ახლა გაქვთ.

— ვერ ვიტყვი, რომ წარმატებული, — ვაღიარე მე.

— იმ საქმის შესახებაც მიამბო, რომელიც თქვენ უნდა დაგავალოთ.— განაგრძობდა ელენი.

— ვიცი.

— მოკიდებთ ხელს?

— დიახ, გადავწყვიტე.

— პირობები თქვენთვის ცნობილია, — მითხრა მან, — აი, ჩეკიც. ეს ავანსია. 15000. პლუს კიდევ 10. ხარჯებისთვის.

ელენმა ჩეკი გამომიწოდა. გამოვართვი და ორად გავკეცე.

— მამათქვენი გულუხვი ადამიანია, — ვუთხარი.

— ძალიან დაინტერესებულია, რომ თქვენ გაუძღვეთ ამ საქმეს. — ამიხსნა ელენმა.

— ვეცდები.

ჩეკი საფულეში შევინახე. ელენი დუმდა და აღარ ილიმებოდა. ვგრძნობდი, რომ რაღაცის თქმა უნდა და სიტყვებს არჩევს.

— ბატონო შპეტ,— თქვა ბოლოს, — ვიცი, დავალება უჩვეულოა.

—ძალიან.

— ბატონი ფიორდერიც ამავე აზრისაა.

— არ მიკვირს!

— მაგრამ მაინც უნდა შესრულდეს, — თქვა გადაჭრით.

— მაინც რატომ?

მუდარით შემომხედა.

— ბატონო შპეტ, მამასთან თვეში ერთხელ მაქვს პაემანის უფლება. მითითებებს მაძლევს. ძალიან აწეწილი აქვს საქმეები, მაგრამ ყველაფერში ბრწყინვალედ ერკვევა. განკარგულებებს მაძლევს, მე კი ვასრულებ. ის ხომ მამაჩემია. ხომ გესმით, რომ ვემორჩილები.

— რასაკვირველია.

ელენი უცებ გაცხარდა. მისი რისხვა გულწრფელი ჩანდა.

— მდივანი და ადვოკატები ამბობენ, მეურვეობა უნდა დავუწესოთო. — თქვა მან. — მეურვე მე უნდა ვიყო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მამა ჭკუიდან შეშლილი არაა. ახლა კიდევ ეს დავალება! დიდი მნიშვნელობა არ გააჩნიაო, ამბობს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ასე არაა.

ისევ დუმილი.

— მიუხედავად იმისა, რომ მე არაფერი არ მესმის, — დასძინა ელენმა ჩუმად.

— ფროილაინ კოლერ, — ვუპასუხე მე. — იურისტისთვის ამ დავალებას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ პროფესორ ვინტერის მკვლელი მამათქვენი არაა. მაგრამ ეს ასე არაა. და ამიტომ ჩემს დავალებას ყოველგვარი აზრი ეკარგება იურიდიული თვალსაზრისით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მეცნიერული თვალსაზრისითაა უაზრო.

ელენმა გაკვირვებით შემომხედა:

— რის თქმა გინდათ, ბატონო შპეტ?

— მე ყურადღებით დავათვალიერე ეს ოთახი, ფროილაინ კოლერ. მამათქვენს ეს საბუნებისმეტყველო წიგნები და ბილიარდი ძალიან უყვარდა..

—დიახ, მხოლოდ ეს. — თქვა გადაჭრით.

— საქმეც ესაა.

ელენმა სიტყვის დასრულება არ მაცალა.

— სწორედ ამიტომ ის ვერავის ვერ მოკლავდა. ალბათ რაღაცნაირად აიძულეს..

არაფერი ვუპასუხე. ზარბაზანივით ხომ არ მივახლიდი სიმართლეს! ხომ ვერ ვეტყოდი, რომ მამამისმა იმიტომ მოკლა ადამიანი, ამქვეყნად თავის წიგნების და ბილიარდის მეტი არავინ და არაფერი არ უყვარდა. თანაც ამას ხომ მხოლოდ ჩემი ინტუიციით ვხვდებოდი, დამტკიცება არ შემეძლო.

— იცით, ფროილაინ კოლერ, ჩემთვის არაფერი არაა ცნობილი მკვლელობის მოტივის შესახებ, — ვუთხარი ფრთხილად, — ამაზე არ გვილაპარაკია. ჩემს დავალებაზე ვმსჯელობდით, და არა მის საქციელზე. მამათქვენს შესაძლებლის საზღვრების დადგენა სურს. მისი მტკიცებით, ეს მეცნიერებისთვის კეთდება. ჩემი საქმეა, მკაცრად დავიცვა მისი ინსტრუქციები.

— დაუჯერებელია! — წამოიძახა აღელვებულმა ელენმა.

არ დავეთანხმე.

— პირადად მე ვალდებული ვარ, მჯეროდეს. — ავუხსენი ელენს. — რადგან მისი წინადადება მივიღე. ეს თამაშია, მამათქვენს შეუძლია, თავს ასეთი რამის უფლება მისცეს. ვიღაცას დოღის ცხენები ჰყავს, მე, როგორც იურისტს, მამათქვენის კაპრიზი უფრო საინტერესოდ მეჩვენება.

ელენი ჩაფიქრდა.

— ეჭვი არ მეპარება, — თქვა ბოლოს ყოყმანით, — რომ ნამდვილ მკვლელს იპოვით. მას, ვინც მამა აიძულა, მკვლელობა ჩაედინა. მე მჯერა მამაჩემის

მისმა მწუხარებამ მეც მატკინა გული. სიამოვნებით დავეხმარებოდი, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო!

— ფროილაინ კოლერ, — ვუპასუხე, — გულახდილად გეტყვით. არა მგონია, რომ ამ "ვიღაცას" ვიპოვით. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი ადამიანი ამ ქვეყნად არ არსებობს. მამათქვენი ასე ადვილად არ მოექცეოდა ვიღაცის გავლენის ქვეშ.

— ძალიან გულახდილი ბრძანდებით.

— მინდა, რომ მენდობოდეთ.

ყურადღებით და სევდიანად შემომხედა. მეც თვალებში ვუყურებდი.

— გენდობით, — მითხრა ბოლოს.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია დაგეხმაროთ, თუ ყოველგვარ ცრუ იმედს დაივიწყებთ, — ვუთხარი. — მამათქვენი მკვლელია, მოტივებიც თვით მასში უნდა ვეძიოთ, და არა მის გარემოცვაში. და საერთოდ, ნულა ფიქრობთ მის ახირებაზე, ახლა ეს ჩემი საქმეა.

ავდექი. ისიც წამოდგა.

— მაშინ რატომ დათანხმდით?

— ფული მჭირდება, ფროილაინ კოლერ, ჩემს თაობაზე ილუზიები ნუ შეგექმნებათ. მამათქვენი ამ დავალებას მეცნიერული თვალსაზრისით უყურებს, მე კი იმედი მაქვს, რომ ჩემს პრაქტიკას ადგილიდან დავძრავ. ასე რომ, თავს ნუ მოიტყუებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მესმის, — თქვა მან.

— მე თავს უფლებას ვერ მივცემ, სხვანაირად მოვიქცე, ამიტომ მამათქვენის სურვილს უნდა დავმორჩილდე. მაგრამ მინდა ზუსტად იცოდეთ, ვის ენდობით.

— თქვენი იმედი მაქვს, — თქვა ელენმა და ხელი გამომიწოდა, — ვიცი, დამეხმარებით.

გარეთ ლინჰარდი მელოდებოდა თავის „პორშეში". ოღონდ ახლა საჭესთან კი არა, გვერდით იჯდა და გულგრილი სახით სიგარეტს ეწეოდა.

— ყველაფერი რიგზეა, —ვუთხარი, — დავალება მივიღე.

— ჩეკი?

— ჩეკიც?

— კარგია, —თქვა ლინჰარდმა.

საჭესთან დავჯექი. ლინჰარდმა სიგარეტი და სანთებელა მომაწოდა. ვეწეოდი, ორივე ხელი საჭეზე მედო, ელენზე ვფიქრობდი და ბედნიერი ვიყავი. მომავალს სიხარულით ვუყურებდი.

— აბა? — თქვა ლინჰარდმა.

დავფიქრდი.

— სხვა რა დაგვრჩენია, — ვთქვი ბოლოს, — ახლა კოლერი ჩვენთვის მკვლელი აღარაა. თამაშის წესები უნდა მივიღოთ.

—გეთანხმებით.

— კიდევ ერთხელ დაკითხეთ მოწმეები, ვინტერის წარსული შეისწავლეთ, მისი ნაცნობები, მტრები.

—მოდით, დოქტორ ბენოს მივხედოთ.— მიპასუხა ლინჰარდმა.

— ჰაინც-ოლიმპიელს?— გავიკვირვე მე.

— ვინტერის მეგობარია, — ამიხსნა ლინჰარდმა, — და მონიკა შტაიერმანის.

მონიკა შტაიერმანი „ტრიოგის" სარემონტო სახელოსნოების (სააქციო საზოგადოება) ერთადერთი მემკვიდრე იყო.

— რატომ? – ვიკითხე.

— იმიტომ, რომ ბენოს მეგობარია.

— არა, მაგას თავი დავანებოთ.— ვთქვი და ჩავფიქრდი.

მისმა სიტყვებმა უცებ დამაეჭვა, აქ რაღაც არ იყო რიგზე.

— უცნაურია, — ვთქვი მე.

— რა? — მკითხა ლინჰარდმა.

— კოლერმა მაიმცდამაინც თქვენ გაგიწიათ რეკომენდაცია.

— შემთხვევითობაა.

მანქანა დავქოქე და ფრთხილად დავძარი ადგილიდან. „პორშეს" საჭესთან ჯერ არასდროს არ ვმჯდარვარ. რკინიგზის ხიდზე რომ გადავდიოდით, ლინჰარდმა მკითხა:

— შპეტ, მონიკა შტაიერმანს იცნობთ?

— სულ ერთხელ მყავს ნანახი.

— უცნაურია. —თქვა ლინჰარდმაც.

ტალაკერში გადავიდა. მე კი ქალაქგარეთ გავეშურე. სულ ერთი იყო, სად. უმისამართოდ, დაუფიქრებლად მივდიოდი შემოდგომაში. ძალიან ვცდილობდი, მაგრამ სულ მონიკა შტაიერმანის სახე მედგა თვალწინ და ელენ კოლერის სახეს ეფარებოდა.

## II

გამოძიების დასაწყისი: ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილი ხმაურით დაიწყო. მეორე დღესვე გავხდი „პორშეს" და ახალი ოფისის მფლობელი. მართალია, გულდასმით დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ „პორშე" იმაზე ბევრად ძველია, ვიდრე მეგონა და ისეთ მდგომარეობაშია, რომ ლინჰარდის მიერ დათქმული ფასი ახლა ცოტა ნაკლებად მეგობრული ჩანდა. ოფისი კი ადრე ოლიმპიურ ჩემპიონს ფარიკაობაში და შვეიცარიის ჩემპიონს პისტოლეტიდან სროლაში დოქტორ ბენოს ეკუთვნოდა. ბენო დიდი ხანია თავქვე მიდიოდა. ოლიმპიელმა მოლაპარაკებაში მონაწილეობას თავი აარიდა. არქიტექტორ ფრიდლის მტკიცებით, რომელმაც დილაუთენია წამიყვანა და ოფისი მაჩვენა, ბენო აქაურობას თვეში ორ ათასად მითმობდა, ოთხი თვის ფული წინასწარ უნდა გადამეხადა. ძნელი სათქმელია, ვის ჯიბეში წავა ეს ფული, ასეა თუ ისე, მე შემეძლო დაუყოვნებლივ გადავბარგებულიყავი იქ. ბენოს მთელი ავეჯი და მდივანი ქალიც მე დამრჩა. ეს მუდამ ნამძინარევი სახის მქონე ქალბატონი ცენტრალური შვეიცარიის მკვიდრი იყო, მაგრამ შვეიცარელისთვის უჩვეული სახელი ერქვა — ილზე ფროიდე. ფრანგ ბარმენ ქალს ჰგავდა, მუდამ თმის ფერს იცვლიდა, მაგრამ ძალიან მონდომებული იყო: საეჭვო გარიგება გამომივიდა, მაგრამ რა უნდა მექნა, მის აზრს ჯერჯერობით ვერ ჩავწვდი. სამაგიეროდ, ცელტვეგზე მდებარე კაბინეტი და მისაღები, რომლებიც მუდმივ საცობებს გადაჰყურებდა, თავის დანიშნულებას სავსებით შეესაბამებოდა. საწერი მაგიდა ნდობას აღძრავდა, სავარძლებიც სავსებით მისაღები იყო. ოთახები და სამზარეულო უკანა ეზოში გადიოდა. ერთ-ერთ ოთახში ფრაიეშტრასედან წამოღებული ცნობილი დივანი მოვათავსე. ძველი ავეჯი არ გადამიყრია. ჩემი საქმეები ერთბაშად გამოსწორდა. ჰორიზონტზე განქორწინების მომგებიანი საქმე გამოჩნდა, კარაკასში მოგზაურობაც მეჭყანებოდა ერთი მსხვილი მეწარმის დავალებით (კოლერმა გამიწია რეკომენდაცია), მემკვიდრეობის გარშემო დავა, საგადასახადო დეკლარაციები ბედნიერი ვიყავი, და, შესაბამისად, უდარდელად ვცხოვრობდი, სულ აღარ მახსოვდა კერძო საგამოძიებო ბიურო, რომელიც ჩემივე დავალებით კოლერის საქმეს იძიებდა. არადა, წესით ლინჰარდის ქცევას ჩემში ეჭვი უნდა გაეღვივებინა: სანდო ადამიანი არ იყო, ვერ გაიგებდი, რა მიზნები ამოძრავებდა, ჩემთან კოლერის რეკომენდაციით მოვიდა და უცნაური მონდომებით მოეკიდა ამ საქმეს. თანაც რა პროფესიულად მუშაობდა! „თეატრალურში" შონბეხლერი დასვა, თავისი საუკეთესო აგენტი, რომელიც ძველ, მაგრამ საკმაოდ კომფორტულ სახლში ცხოვრობდა ნოიმარკტზე. სხვენში, საგანგებოდ მოწყობილ ოთახში დისკების უზარმაზარ კოლექცია და აუდიოაპარატურა ჰქონდა. შონბეხლერს სიმფონიები უყვარდა. მისი თეორიის თანახმად (შონბეხლერი კი თავიდან ფეხებამდე თეორიებით იყო აღჭურვილი), სიმფონიას ცალი ყურითაც შეგიძლია უსმინო, მისი თანხლებით შეგიძლია ამთქნარო, ისადილო, იკითხო, იძინო, ისაუბრო და ასე შემდეგ. სიმფონიაში მუსიკა საკუთარ თავში იკეტება, უხმო ხდება, როგორც ციურ სფეროთა მუსიკა. საკონცერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო დარბაზს არ ცნობდა. იქ მუსიკისგან კულტს ქმნიან. სიმფონია კი მხოლოდ თანხლება უნდა იყოს, ამტკიცებდა შონბეხლერი, მხოლოდ ფონი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ძალადობაა. მაგალითად, ბეთჰოვენის მეცხრეს მაშინ ჩანვდა, როდესაც პოტაუფეუ-ს ჭამდა, ბრამსი, მისი აზრით, კროსვორდებს და ვენურ შნიცელს უფრო შეეფერება, ბრუკნერი იასის ან პოკერის თამაშის დროს უნდა მოისმინო. მაგრამ ყველაფერს სჯობს, ორი სიმფონია ერთად ჩართო, რაც, როგორც თავად ამტკიცებდა, ხშირად გაუკეთებია. იმის გათვალისწინებით, თუ რა ჯოჯოხეთური ხმაური წარმოიქმნება ამის შედეგად, ბინებზე სხვადასხვა ფასი დააწესა: მისი აუდიოთეკის ქვეშ მდებარე ბინას თითქმის უფასოდ აქირავებდა, მდგმურებს მხოლოდ ბრუკნერის, შოსტაკოვიჩის და მალერის მოსმენა უწევდათ, შუა ბინაში ჩვეულებრივ ფასს ითხოვდა, ქვედას კი ვერ გაეკარებოდი. შონბეხლერი მგრძნობიარე კაცი გახლდათ. გარეგნობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ჰქონდა, ბიურგერის განსახიერებული ტიპაჟი იყო. ყოველთვის კარგად ეცვა, ოდეკოლონის სურნელი ასდიოდა და არასდროს არ თვრებოდა. საერთოდ, გარესამყაროსთან საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა. რაც შეეხება მის ეროვნებას, თავს ლიხტენშტაინის მოქალაქეს უწოდებდა. დიდი საამაყო საქმე არაა, დასძენდა ხოლმე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არც არაფრის შეგრცხვება: ლიხტენშტაინი პრაქტიკულად უდანაშაულოა დღევანდელ საერთაშორისო პრობლემებში. თუ, რა თქმა უნდა, უამრავი საფოსტო მარკის გამოშვებას ცოდვად არ ჩავუთვლით, და თუ მის ზოგიერთ ფინანსურ ცელქობაზე დავხუჭავთ თვალს. ლიხტენშტაინი მდიდარ სახელმწიფოებს შორის ყველაზე პატარაა. ლიხტენშტაინელს იშვიათად უჩნდება განდიდების მანია, თითქმის არასდროს მიიწერს რალაც დადებით თვისებებს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ლიხტენშტაინელია, როგორც ეს ამერიკელებს, რუსებს, გერმანელებს და ფრანგებს მოსდით, რომლებიც აპრიორი დარწმუნებულები არიან, რომ გერმანელი თუ ფრანგი უმაღლესი არსებაა. ზესახელმწიფოს — ლიხტენშტაინელისთვის კი ყველა ქვეყანა ზესახელმწიფოა, შვეიცარიის ჩათვლით, — მოქალაქეობა ძალიან მავნებელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ასეთ ადამიანს ერთგვარი გონებრივი სისუსტე ემუქრება. და რაც დიდია ნაცია, მით მეტია რისკი. ამ მოსაზრებას შონბეხლერი თაგვების მაგალითზე ხსნიდა: მარტოხელა თაგვი საკუთარ თავს მარტივად თაგვად მიიჩნევს, მილიონი თაგვის გარემოცვაში თავი უკვე კატად მიაჩნია, 100 მილიონის გარემოცვაში — სპილოდ. ყველაზე საშიშია თაგვთა 50 მილიონიანი ერთობა, სადაც ყველა თაგვი თავს კატად მიიჩნევს, მაგრამ სპილოობაზეც არ იტყვის უარს. ეს მანია მარტო ცალკეული თაგვისთვის კი არა, მთელი სათაგვეთისთვისაც საშიშია. თაგვების რაოდენობასა და მის მიერ შობილი განდიდების მანიას შორის ფარდობას იგი „შონბეხლერის კანონს" უწოდებდა. რაც შეეხება პროფესიას, ამბობდა, მწერალი ვარო. თუმცა დღემდე ერთი სტრიქონიც კი არსად არ გამოუქვეყნებია. შონბეხლერი ამაზე არც კამათობდა, თავმდაბლად იტყოდა, პოტენციური მწერალი ვარო. თავის შემოქმედებითი დუმილის მიზეზებს ასე განმარტავდა: მაგალითად, ამტკიცებდა, რომ მწერლობა „სახელების შეგრძნებით" იწყება, ეს პირველი, პოეტური პირობაა, მეორე კი ჭეშმარიტების ერთგულებაა. და თუ კარგად დავფიქრდებით, დავინახავთ, რომ ამ პირობების დაცვის შემთხვევაში შეუძლებელია ისეთი სახელწოდების წიგნის არსებობა, როგორიცაა, მაგალითად, "რაულ შონბეხლერის ლექსები", იმიტომ, რომ ასეთი ლირიკა მთის წყაროსავით უნდა რაკრაკებდეს*. რა თქმა უნდა, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ თუ ასეა, გვარის გადაკეთებას წინ რაღა უდგას, მაგრამ მაშინ ჭეშმარიტების ერთგულების პრინციპი შეილახება. სადაც შონბეხლერი გამოჩნდებოდა, ყველგან სიცილი ისმოდა. საერთოდ სასიამოვნო კაცი იყო და მის ხარჯზე ბევრი დაიარებოდა ლუდხანებში. მისი ბრძანებით, ყველა ხარჯს იწერდნენ, აჯამებდნენ და თვის ბოლოს ანგარიშს შინ უგზავნიდნენ. კარგა გვარიანი თანხა გამოდიოდა ხოლმე. მისი შემოსავლის წყაროების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ლიხტენშტაინის მიერ დანიშნული სახელმწიფო სტიპენდია, რა თქმა უნდა, ტყუილი იყო. ვიღაც-ვიღაცები იმასაც ამბობდნენ, რომ შონბეხლერი რეზინის ნაწარმის ცნობილი ფაბრიკის წარმომადგენელია. ისიც ცხადი იყო, რომ მან ბევრი რამე იცოდა და ყველაფერთან დაკავშირებით საკუთარი მყარი, ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა (შეიძლება იმიტომაც არაფერს არ წერდა, რომ მისი აზრით, ზოგიერთი მწერლის მსგავსად წერას სჯობს საერთოდ არ წერო. და არა იმიტომ, რომ ზარმაცი იყო). ყველაზე საოცარი მაინც მისი საუბრის ნიჭი იყო, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი თანამემამულეების უმეტესობა ამ ნიჭით ვერ დაიკვეხნის. შონბეხლერზე ანეკდოტებს და ლეგენდებს ყვებოდნენ. მაგალითად, ერთხელ ნიძლავზე (ყოველ შემთხვევაში, პოლიციის უფროსი ამას თავგამოდებით ამტკიცებს) ისე გაართო საუბრით ვიღაც ფედერალური მრჩეველი, რომელიც კანტონის თვითმმართველობის წევრებთან ერთად მეზობელ მაგიდასთან იჯდა და ჩაის სვამდა, რომ ამ უკანასკნელმა ბერნის მატარებელზე დააგვიანა. საუბარი შვეიცარიის და ლიხტენშტაინის ურთიერთობებს ეხებოდა. მჯერა. თუმცა ფედერალური მრჩეველისთვის ტიპური საქციელი არაა. ისე შონბეხლერი უწყინარი კაცი იყო. ფიქრადაც კი ვერავინ გაივლებდა, რომ ის ლინჰარდთან მუშაობს. ყველას გაუკვირდა, როდესაც ეს ფაქტი ცნობილი გახდა. შონბეხლერმა ჩვენი ქალაქი დატოვა და სამხრეთ საფრანგეთში დასახლდა თავის აუდიოთეკასთან ერთად, რითაც ჩვენს თანამოქალაქეებს ძალიან დაწყვიტა გული, აი, ამას წინათაც ერთმა მეუშტი დამიქნია. საბედნიეროდ, ლაკისთან ერთად ვიყავი. მოკლედ, ეს ორიგინალი შონბეხლერი ერთ მშვენიერ დღეს ყველას გასაკვირად "თეატრალურში" გამოჩნდა, თუმცა მანამდე იქ არასდროს უნახავთ. მთელი დღე იქ გაატარა, მეორე დილასაც მივიდა, და ასე იარა მთელი კვირა. ყველა გაიცნო, ყველას გამოელაპარაკა, ოფიციანტებს და მეტრდოტელს დაუმეგობრდა, მერე კი გაქრა და ისევ თავის ლუდხანებს დაუბრუნდა. „თეატრალურში" გატარებული კვირა ინტერმეცოს ჰგავდა. სინამდვილეში კი შონბეხლერმა კიდევ ერთხელ დაჰკითხა

---

* გვარი შონბეხლერი წარმოქმნილია გერმანული სიტყვებიდან **schönes bach**, რაც „ლამაზ წყაროს" ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მოწმეები. ამის შემდეგ ლინჰარდმა გამოძიებაში ფოიხტინგი ჩართო, რომელიც იმ საეჭვო პირთა რიცხვს ეკუთვნოდა, ტალაკერზე, სააგენტოში რომ ჰყავდა. მაშინ იგი ნანახიც არ მყოლია, ახლა კი ვიცნობ (ბარიდან „მონაკო"). ფოიხტინგი სანდო არაა, და საერთოდაც, საზიზღარი ტიპია, ამას არავინ უარყოფს, თვით ლინჰარდიც კი, ისევე, როგორც პოლიცია, რომელმაც ფოიხტინგი რამდენჯერმე დააკავა (ნარკოტიკები), მერე კი თავისი მიზნებისთვის გამოიყენა. მოკლედ, ფოიხტინგი პოლიციის ჯაშუშია, რომელმაც თავისი საქმე და ადგილი იცის. შეიძლება ოდესღაც უკეთესი ცხოვრებაც უნახავს, შეიძლება უნივერსიტეტშიც უსწავლია, მაგრამ ახლა მისი დარჩენილი ნაწილი, ასეთი გაჭირვებით, შანტაჟით და თაღლითობით რომ იკვლევს გზას ცხოვრებაში, საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენს. ერთხელ, „მონაკოში", პერნოს ჭიქას ჩაშტერებულმა მითხრა, ჩემი უბედურება ისაა, რომ რუსი კი არა, გერმანელი ვარო. გერმანელობა ამ ქვეყანაში პროფესიად არ ითვლება, ჰა და ჰა ეგვიპტეში ან საუდის არაბეთში თუ მიიჩნევენ ასე, მაგრამ შვეიცარიაში — არავითარ შემთხვევაში. რუსი კი ითვლება. რუსი რომ ყოფილიყო, მისი ცხოვრების წესი სრულიად გასაგები იქნებოდა. მეტიც, ვალდებულიც კი იქნებოდა, ასეთი ყოფილიყო: მუდამ მთვრალი და გაუბედურებული. მაგრამ რუსად ვერავის ვერ მოაჩვენებს თავს, რადგან საშინლად ჰგავს გერმანელს წინააღმდეგობის მოძრაობაზე გადაღებული ფრანგული ფილმიდან. ამაში კი მართალია. გამონაკლისის სახით მართალს ამბობს. ზუსტად ეგრე გამოიყურება. ჩვენი საზოგადოების მაღალი და დაბალი ფენები ერთნაირად კარგად აქვს შესწავლილი, ბრწყინვალედ იცის ბარების და ლუდხანების გეოგრაფია. ნებისმიერ კლიენტზე შეაგროვებს ინფორმაციას. სანამ ლონჰარდი შონბეხლერის და ფოიხტინგის მიერ მოპოვებულ ცნობებს გადმომცემდა, მეორეჯერ შევხვდი მონიკა შტაიერმანს. მოხდა ის, რისიც მეშინოდა თუ რასაც ველოდი –არ ვიცი, რა უფრო სწორია. მაგრამ სჯობდა, ეს შეხვედრა არ შემდგარიყო (არც ერთი და არც მეორე).

მუშაობა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში: რატომაც არ უნდა მოგითხროთ შტაიერმანების საგვარეულოს ისტორია? ახლახან მივიღე კოლერის მორიგი ღია ბარათი — მანამდე ერთი თვის წინათ მომწერა. კატათაგვობანას თამაში გრძელდება, მან სამოაზე ვიზიტი გადადო და ჰავაიდან იაპონიაში გაემგზავრა უმაღლესი კლასის ლაინერით. მე კი სამეთვალყურეო კომისიის და მისი პრეზიდენტის, ბატონ ოიგენ ლოიპინგერის წინაშე წარვდექი. სახელგანთქმულმა იურისტმა — მელოტი და პოეზიის მოყვარული იყო, სახეზე ნაიარევები ჰქონდა — თავის კაბინეტში მიმიღო, მოადგილის თანდასწრებით. მოადგილე შტოსი სპორტული შესახედაობის კაცი გახლდათ, მხნე, მხიარული და სალი. ბატონებს ზედმიწევნით დემოკრატიულად ეჭირათ თავი. პანღური გარდაუვალი იყო, კოლეგიას რომც შევცოდებოდი, სახელმწიფო მრჩეველი მაინც მოითხოვდა ჩემს გარიცხვას, ასე რომ, სჯობს, ახლავე მომახსენონ სათქმელი. ორივენი თავაზიანად მელაპარაკებოდნენ, თანაგრძნობას გამოთქვამდნენ, თბილად მექცეოდნენ, ჩემს მიმართ, როგორ ვთქვი, ყურადღებას იჩენდნენ, ერთი საყვედურიც კი არ დასცდენიათ. თუმცა ისე, ჩვენს შორის რომ დარჩეს, კაცურად რომ ითქვას, მე თვითონაც უნდა ვაღიარო, რომ იურისტს გარკვეული ცხოვრების წესი შეჰფერის, იგი შესაბამის წრეში უნდა ტრიალებდეს. მკაფიო ფორმულირება რომ მოვახდინოთ, ასეთი რამ გამოდის: რაც უფრო საეჭვოა წრე, მით უმწიკვლო უნდა იყო ცხოვრების წესი; სამწუხაროდ, სამყარო ფილისტერების დიდი საკრებულოა, ჩვენს ძვირფას ქალაქზე ხომ აღარაფერს ამბობს, სად გაიქცეს, აღარ იცის. მას, ლოიპინგერს, ამ დუქნის დაკეტვა რომ შეეძლოს, იმწამსვე სამხრეთში გადასახლდებოდა, მაგრამ მთავარი ეს არაა, კახპებიც, რა თქმა უნდა, ადამიანები არიან, და ძალიანაც ღირსეული ადამიანები, საბრალონი, აი, პირადად იგი, გულახდილად უნდა აღიაროს ჩემი და კოლეგა შტოსის თანდასწრებით, დიდად არის მათგან დავალებული, დიახ, — ხა-ხა, ხომ გესმით, სითბო, თანაგრძნობა, გაგება, — ბოლოსდაბოლოს, კანონი კახპებისთვისაც არსებობს, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ ხელი შევუწყოთ. როგორც იურისტს, ეს უნდა მესმოდეს. რეკომენდაციებმა, რომლებსაც მე დანაშაულებრივ სამყაროს ვაძლევდი, მათი მაღალი პროფესიონალიზმის გამო მძიმე შედეგები მოიტანა. გარკვეული წრეებისთვის იურიდიული ნიუანსების ცოდნა დაუშვებელია! პოლიცია სასოწარკვეთილია, ადვოკატთა კოლეგია, რასაკვირველია, ვერაფერს მიბრძანებს, მისთვის მორალური ტერორი უცხოა, ეს საერთოდ ძალიან ლიბერალური ორგანიზაციაა, დიახ-დიახ, მაგრამ კანონი კანონია, თუნდაც დაუწერელი. და როდესაც შტოსი რაღაც საქმეზე გავიდა, ლოიპინგერმა მითხრა, ერთ ცნობილი პიროვნების ტელეფონის ნომერს ხომ ვერ მომცემდით, აი, იმის, შესანიშნავი ფიგურა რომ აქვსო (ანუ გიზელას), და როდესაც თვითონ მოუწია გასვლა, შტოსმა იგივე მთხოვა. ორ კვირაში კი პატენტი ჩამომართვეს. ჰოდა, ახლა კატასტროფის მსხვერპლივით ვზივარ ხან უალკოჰოლო კაფეში, ხან „მონაკოში", ძირითადად ლაკის და გიზელას ხარჯზე ვცხოვრობ, უამრავი თავისუფალი დრო მაქვს, რაც ჩემთვის განსაკუთრებით აუტანელია, და გადავწყვიტე, შტაიერმანების საგვარეულოს ქრონიკა გაგაცნოთ. ამიტომაც ნავედი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, მართალია, მკითხველები აფორიაქდნენ, როდესაც დარბაზში ჯინის ბოთლი შევიტანე. დიახ, რატომაც არ უნდა ჩავეძიოთ საქმეს ბოლომდე, რატომაც არ უნდა შევიხედოთ კულისებში, და საერთოდაც, რა იქნებოდნენ შტაიერმანები სცენის მიღმა ისტორიის გარეშე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გერმანულიდან თარგმნა
**ნინო სილაგაძემ**

სამშაბათს, 25 ნოემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

**ლელა თათარაიძესთან**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

## აჰა, ცხენი მწვანე

ზღაპრულ ბაღდადს სიზმარშიღა თუ ნახავდნენ. სახელოვან ქართულ მხედრობას წილად ერგო, რომ ულმობელ გარნისში დაეღვარა სისხლი.

იდგა 1225 წლის აგვისტო — როგორც ყოველთვის მცხუნვარე და აუტანელი.

ჯალალედინი მიეშურებოდა ქართველებთან საომრად.

მისი მდივან-ბიოგრაფის მუჰამედ ნესევის სიტყვით, როდესაც გარნისს მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ ამაღლებულ გორაკზე შავ გროვად მოჩანდნენ ქართველები, თითქოსდა უკუნი ღამე ჩამომდგარიყო. ისმოდა მათი ღრიანცელი, რომელსაც ძალუძდა გაეფხრიწა ვარსკვლავთა საბურველი და ყრუ კაცის სამუდამოდ დახშულ სმენასაც ჩასწვდომოდა.

ნესევი აღმოსავლურ ყაიდაზე მოქარგული ტექსტით გადმოგვცემს სახელმოხვეჭილი მხედართმთავრის გულადობას: ჯალალედინი ქართველთა სიმრავლეს იმაზე მეტად არ შეუშინებია, ვიდრე მგლებს შეეშინდებათ ცხვრის ფარისა, ბალახს რომ ძოვს მინდორში ანდა მშიერ ლომს — უპატრონოდ მიტოვებული საქონლისა.

მთელი დღე ელოდა, რომ ქართველები საომრად დაეშვებოდნენ, მაგრამ ისინი ადგილიდან არ დაძრულან. ამასობაში მზეც ჩაესვენა.

ხვარაზმშაჰს პატარა კარავი გაუშალეს ღამის გასათევად. სანამ ძილს მიეცემოდა, ამირებს უბრძანა, ეფხიზლათ გარიჟრაჟამდე. მათაც უსიტყვოდ შეასრულეს ბრძანება და კოცონებს მიუსხდნენ. როდესაც გათენდა, ჯალალედინმა იხმო ისინი და თქვა: „ცხადია, მტერმა გადაწყვიტა, რომ დრო გააჭიანუროს. ჩვენ თვითონ უნდა დავესხათ თავს, ყოველი მხრიდან შევუტიოთ. თუკი დროულად ავალთ გორაკზე, ჩამოსასვლელ გზებს გადავუკეტავთ და ისრებით ჩავქოლავთ".

ხვარაზმშაჰი ცხენს მოახტა და აუყვა აღმართს (არაო, იქვე დასძენს ნესევი, თვით ალაჰმა აიტაცაო). გამალებით მიჰყვებოდნენ არწივებივით ფრთებგაშლილი და სისხლმოწყურებული მეომრები. სახელგანთქმული ქართველი სარდალი შალვა ახალციხელი წინ დაუხვდა გორაკისაკენ აჭრილ მტერს და გაჩაღდა ბრძოლა. როგორც ნესევი ამბობს, ისრები ფრინავდა მეტეორებივით ანდა იმ თოვლივით, ქარი რომ დააქროლებს ჰაერში. ყველაფერი აირ-დაირია. ერთიმეორისგან ველარ გაარჩევდი მუსლიმსა და ურჯულოს, მძლეველსა და ძლეულს, აღმავალსა და დაღმავალს, ცხენოსანსა და ქვეითს. ხვარაზმელნი ჩქარობდნენ, რომ ცოცხლებს მოესწროთ გორაკზე ასვლა და როდესაც მხედრებმა ფლოქვების თქარათქურით გადაუარეს „ვაების ბინძურ ნარჩენებს", ქართველებმა შეაბრუნეს თავიანთი ცხენები და ვიდრე შეხლა-შემოხლა გადაიქცეოდა ომად, ხოლო ურთიერთსროლა — ურთიერთჟლეტად, ზურგი აქციეს მტერს და „გაქცევის ფრთებით" გაეცალნენ ბრძოლის ველს. შერცხვენილნი და სახელგატეხილნი გარბოდნენო...

ბრძოლის ველი კი მოფენილი იყო გვამებით და მათი რიცხვი იქნებოდა ოთხი ათასი (არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის მიხედვით, გარნისის ომში დაიღუპა ოცი ათასი ქართველი).


ჩინური მინიატურა

ძნელია, ძალზე ძნელია, რომ მშვიდად, აუღელვებლად წაიკითხო ზემოთ დამოწმებული გულსატკენი ინფორმაცია ნესევის თხზულებიდან. რამდენიც არ უნდა ვუსაყვედუროთ მაჰმადიან ისტორიკოსს სურათის შეფერადება თვისტომთა სასარგებლოდ, ძლეულთა დაკნინება და მძლეველთა განდიდება, სიმართლეს მაინც ვერ დავუსხლტებით „გაქცევის ფრთებით". არასოდეს გამოთქმულა ეჭვი გარნისის ომის სავალალო მსვლელობისა და საბედისწერო, ავი ფინალის თაობაზე.

ასეთი გაუგონარი და არნახული დამარცხება, ალბათ, არც ახსოვდათ საქართველოში. დიდგორი, თბილისი, ანისი, შამქორი, დვინი, ბასიანი, ტრაპიზონი, ყარსი, არდებილი, თავრიზი, მარანდი — მოწმენი ქართული მხედრობის ტრიუმფისა — ერთბაშად დაჩრდილა გარნისმა, რომლის სახელი მანამდე ბევრს გაგონილიც არ ექნებოდა.

დამარცხებაც არის და დამარცხებაც! აბა, როგორ უნდა შეუდარო გარნისი — ხუნანისა თუ მარაბდის ველს, სადაც ასევე მწარედ დამარცხდნენ, მაგრამ ღირსება არ დაუკარგავთ, სახელი არ შეურცხვენიათ, „გაქცევის ფრთები" არ მოუსხამთ. ვაგლახ, არა ტყუის ჯალალედინის მეხოტბე ისტორიკოსი. სომხური წყაროებიც ერთხმად ადასტურებენ ნესევის ნათქვამს.

კირაკოს განძაკეცის სიტყვით, ბრძოლის ველიდან გაქცეული ქართველი მეომრები ერთმანეთს ველარ ცნობდნენ. გარბოდნენ, თუმცა უკან არავინ მისდევდათ. შეშინებულნი ცვიოდნენ უფსკრულში და სოფელ გარნისის ზემოთ მდებარე ხეობა მათი გვამებით აივსო.

სხვა სომეხი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ, რომ ქართველები თითქმის უომრად, დაუმარცხებლად გაიქცნენ ბრძოლის ველიდან, მათი უმეტესობა კლდიდან ჩაიჩეხა ღრმა ხეობაში და თითქმის ყველა დაიღუპაო.

და რა უნდა ელონა ქართველ მწერალს, რომელსაც თავისი „ლაშარელა" გაეგრძელებინა და ტრილოგიის მეორე ტომისათვის „დიდი ღამე" დაერქმია, თვალი დაეხუჭა მემატიანეთა ცნობებზე და შავი „ფრთები გაქცევისა" გადაექცია „ძლევაი საკვირველის" თეთრ ფრთებად? არა, გრიგოლ აბაშიძეს არა სჩვეოდა სიმართლის ღალატი და გულისტკივილით გადაჰქონდა ქაღალდზე წყაროთა უამური ნაუბარი, თუმცა არ იყო გამორიცხული, რომ მისი პირუთვნელობა და ერთგულება ისტორიული სინამდვილისა კვლავ გამოიწვევდა (როგორც „ლაშარელას" გამო) მკითხველი საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულისწყრომას.

... გარნისის ომი შავი ასოებით ჩაიწერა ჩვენს ისტორიაში. იწყებოდა დიდი ღამე ქართლის ცხოვრებისა.

/192



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სადაა ჩემი მოყვარე?

როგორც ცნობილია, ბორის პასტერნაკი გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგს ზედიზედ ორჯერ ეწვია საქართველოს, რომელიც მისთვის გადაიქცა „მეორე სამშობლოდ".

ჩვენი ქვეყანა გაიცნო იმ ხანებში, როდესაც, ანდრეი ბელის გონებამახვილი შენიშვნით, მატერიალიზმის ზეიმმა ამქვეყნად გააუქმა მატერია. საჭმელ-სასმელიც ქრებოდა და ჩასაცმელიც. მგზნებარე და ოპტიმისტური იდეები კი ნათელ მომავალს უქადდა პლანეტის ერთ მეექვსედს და შემდგომში — მთელ პლანეტასაც.

პასტერნაკი თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი" წერს: თუკი ჩვენ მაშინ სული არ გაგვძვრა შიმშილით, ეს მხოლოდ და მხოლოდ თბილისელი მეგობრების დამსახურება გახლავთო.

სწორედ იმ წლებში ჩაეყარა საფუძველი პასტერნაკის პირადსა და შემოქმედებით მეგობრობას ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან, სიმონ ჩიქოვანთან...

პასტერნაკის გატაცება ქართული პოეზიით დააგვირგვინა 1935 წელს მოსკოვში გამოცემულმა კრებულმა „ქართველი ლირიკოსები" (სხვათა შორის, პასტერნაკმა ეს წიგნი, მოკლე ბარათის თანხლებით, გაუგზავნა სტალინს).

... გაზეთები იუწყებოდნენ, რომ საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის მიერ თავისი უკვდავი პოემის დაწერის 750 წლისთავისადმი, საზეიმოდ გაიხსნა რუსთაველის სახელობის თეატრში 1937 წლის 24 დეკემბერს.

თბილისში სტუმრად ჩამოსულთა შორის იყვნენ ცნობილი რუსი მწერლები ფადეევი და ტიხონოვი, ლეონოვი და ფედინი, დემიან ბედნი და ილია ერენბურგი, სურკოვი და მიხალკოვი, ანტოკოლსკი და ზაბოლოცკი, უკრაინელები პავლო ტიჩინა და მიკოლა ბაჟანი, ბელორუსი იანკა კუპალა, სომეხი ავეტიქ ისააკიანი, აზერბაიჯანელი სამედ ვურღუნი, ყაზახი ჯამბული... ერთი სიტყვით, „მეფის მთელი მხედრიონი" ეწვია თბილისს.



ბორის პასტერნაკი

თქვენ წარმოიდგინეთ, წითელი არმიის მარშალი ბუდიონიც (სამოქალაქო ომის გმირი!) იყო მოწვეული თბილისში, მაგრამ მოუცლელობისა გამო რუსთველის სახელზე „ბოლშევიკური სალმის" გამოგზავნით დაკმაყოფილდა.

ერენბურგი თავის მემუარებში გადმოგვცემს, რომ საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იჯდა ლავრენტი ბერია და როდესაც ზოგიერთი ორატორი მას ხოტბას ასხამდა, ყველანი ფეხზე დგებოდნენ და ტაშს უკრავდნენ; ბერიაც აჰყვებოდა ტაშს და თავმომწონედ ილიმებოდაო.

თბილისში გამართულ ზეიმს ესწრებოდა ყველა, ვინც უნდა დასწრებოდა და ესწრებოდა ისიც, ვინც არ უნდა დასწრებოდა, მაგრამ იქაურობას თვალშისაცემად აკლდა ორი პიროვნება, სახელდობრ — XX საუკუნის ქართული პოეზიის მშვენება ტიციან ტაბიძე და დიდებული რუსი პოეტი, ქართული ლექსის უბადლო მთარგმნელი ბორის პასტერნაკი.

ტიციანის არყოფნა, ვაგლახ, გასაგებია. ვერანაირად ვერ დაესწრებოდა, რადგანაც უკვე აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ პასტერნაკს რაღა დაემართა? ნუთუ არ მოიწვიეს თბილისში? როგორ არ მოიწვევდნენ! თბილისი რა მოსატანია, პარიზსა და ლონდონში ნატრობდნენ „რუსული პოეზიის სინდისად" წოდებული კაცის სტუმრობას.

რა თქმა უნდა, მოიწვევდნენ და მოუთმენლადაც ელოდებოდნენ გამორჩეულ სტუმარს, მაგრამ პასტერნაკი არ ჩამოსულა რუსთველის იუბილეზე.

„როგორ უნდა წავსულიყავი საქართველოში მაშინ, როდესაც იქ უკვე აღარ იყო ტიციანი?! თქვენ არ იცით, როგორ მიყვარდა ის!" — მოგვიანებით უთქვამს თავისი ახლო ნაცნობისათვის.

სიყვარული მოყვასისა განუყრელი თანამგზავრი იყო პასტერნაკის ცხოვრებაში, რაც არაერთხელ დაუმტკიცებია სიტყვითაც და საქმითაც.

## ქრონიკა

2008 წელს ბორის პასტერნაკისთვის ნობელის პრემიის მინიჭებიდან 50 წელი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, 4 ნოემბერს ლიტერატურის ინსტიტუტში შეხვედრა მოეწყო ლიტერატურათმცოდნე ირინა ემელიანოვასთან, რომელმაც წაიკითხა მოხსენება — „პასტერნაკი და საქართველო".

ქალბატონმა ირინამ დიდი დრო გაატარა პასტერნაკის გვერდით. დედამისი, ოლგა ივინსკაია პასტერნაკის მუზა იყო. მწერალთან ახლობლობის გამო დედა-შვილმა მკაცრი რეპრესიები განიცადა.

ირინა ემელიანოვა, დედასთან ერთად, ავტორია წიგნისა: „წლები პასტერნაკთან ერთად და უიმისოდ." მას ძალიან უნდოდა ეს თარიღი საქართველოში აღენიშნა, თუმცა შიშობდა, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში პოეზიაზე სალაპარაკო განწყობა არ იქნებოდა. მაგრამ ქართველმა მეგობრებმა ამ შიშის უსაფუძვლობაში დაარწმუნეს. ამიტომაც ჩამოვიდა პარიზიდან, სადაც ამჟამად ცხოვრობს, თბილისში. მოხსენების თემაც საგანგებოდ შეარჩია. მისი თქმით, პასტერნაკისთვის საქართველო უბრალოდ ეგზოტიკური მხარე არ ყოფილა. ეს ქვეყანა მისთვის თავშესაფრად იქცა ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდებში.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ირინა ემელიანოვას მეგობარი და მასპინძელი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე ემზარ კვიტაიშვილი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა ისაუბრა პასტერნაკის როლზე ქართულ ლიტერატურაში და ინსტიტუტის სახელით მადლობა გადაუხადა სტუმარს მოხსენებისათვის.

შეხვედრის დასასრულს ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი, რომელიც პასტერნაკისა და ოლგა ივინსკაიას ტრაგიკულ სიყვარულს და მწერლის მიერ ნობელის პრემიის მიღებასთან დაკავშირებულ სკანდალს ასახავს.

# მეცნიერების კარიბჭესთან

XX საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ბედისწერის ნაწილი — გაშლა ემიგრანტულ სივრცეში.

ერთმანეთს მოწყდა საზღვარს იქითა და საზღვარს აქეთა საქართველო.

დგება ჟამი მისი გამთლიანების — ერთმანეთს დაცილებულ კულტურულ მემკვიდრეობათა შერწყმის.



ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის მონაწილენი ხდებიან ახალგაზრდებიც.

ამ თვალსაზრისით „სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კრებული (XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ისტორიიდან)“ მრავალმხრივ საგულისხმო განაცხადია.

დაბეჯითებით ითქმის, არავითარი შეღავათი არ სჭირდება **ზაალ ჩხეიძის, მაია გულედანის, შალვა ურიადმყოფელის, მარიამ ქობალიას, ნესტან მამუჭაძის, მაია თუთბერიძის, მზია კაპანაძის, თამთა გრიგოლიას, სალომე ნანავას, იამზე ერქომაიშვილის, თამარ ჩაჩავას, ნათია კოდალაშვილის, მარინე გოგნელაშვილის, ვანდა რიჟამაძის, მადონა ხაჭაპურიძის, ანი გიორგაძის, ნათია ფურცელაძის, გივი ბარამიძის, ნუნუ ბალავაძის, გიორგი ასტამაძის, დიმიტრი სილაქაძის, ლელა კოტორაშვილის, ნაზი ნატროშვილის, ნინო ხიდიშელის, ნინო მაჭარაშვილის და სოფიკო ძნელაძის** სამეცნიერო ნარკვევებს.



ყველას თავთავისი მნიშვნელობა აქვს მრავალფეროვან საკითხთა და პრობლემათა კვლევისათვის. მისასალმებელია, რომ ამ უდავოდ წარმატებულ პროექტში მონაწილეობენ არამარტო თბილისის (ივანე ჯავახიშვილისა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტების), არამედ ქუთაისის, ბათუმისა და გორის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები და მაგისტრები.

პროექტი განხორციელდა პროფესორ **რუსუდან ნიშნიანიძის** იდეითა და ძალისხმევით.

აღსანიშნავია სხვა მეცნიერ-ხელმძღვანელთა — **ავთანდილ ნიკოლეიშვილის, გიორგი ქაჩლიშვილის, მარინე გიგაშვილის, რუსუდან დაუშვილის, დიმიტრი შველიძის, ნანა გუნცაძისა და ლეილა გეგუჩაძის** — ღვაწლიც.

გამომცემლობა „უნივერსალი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქეიფის დასასრული გამთენიისას

ბორის რომანოვსკი